

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

Series
of History,
Archeology,
Ethnology
and
Art History



თბილისი
Tbilisi

2. 2018

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, ნანა გელაშვილი, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, გიორგი ოთხმეზური, ოთარ ყორდანიანი, ჯაბა სამუშია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ნანა ხაზარაძე, ოთარ ჯაფარიძე.

Editorial Board:

Zaza Abashidze, Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Nana Gelashvili, Omar Gogiashvili, Otar Japaridze, Nana Khazaradze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Georgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Giorgi Otkhmezuri, Kiazoo Pitskhelauri, Jaba Samushia, Kakha Shengelia, Sergio Vardosanidze, Otar Zhordania.

ტექსტის

რედაქტორ-კორექტორი: ირმა რუხაძე

Text corrector-editor: Irma Rukhadze

კონსტრუქციული

დისკუსიის რედაქტორი: პაატა ქორქია

Constructive design: Paata Korkia

სარჩევი

საქართველოს ისტორია

ნინო ჯაფელიძე. „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ პროექტისა გამო 5
ვახტანგ გოგილაძე. 482-484 წლების ანტიირანული აჯანყება ქართლში.

ამბაზუკის პუნები..... 31

მარიკა მშვილდაძე. მხედრის იკონოგრაფიული გამოსახულებები საქართველოს

ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებზე 49

ჯაბა სამუშია. ივანე ათაბაგის ლაშქრობა ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ 61

მურმან პაპაშვილი, ელდარ მამისთვალისძე, ზურაბ გამეზარდაშვილი,

ხაოუნა ჩაფიჩაძე. ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი..... 73

როინ მეტრეველი. ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი..... 88

მსოფლიო ისტორია

პაატა გერგაია. რაციონალიზმი – განმანათლებლობის ფილოსოფია 98

არქეოლოგია

ლაშა ტაბიძე. მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისის ინტერირის

ერთი კომპონენტის კვლევისათვის: შიდა ქართლისა და

სირია-პალესტინის მასალათა შედარებითი დახასიათება..... 107

ეთნოლოგია

ლია მელიქიშვილი. ტრადიცია – მოდერნიზმის ოპოზიცია 119

ხელოვნების ისტორია

თორნიკე დიასამიძე. სიცოცხლის ხის დაკარგული არტიფაქტი ინგუშეთის

ტყობა-იერდის ტაძრიდან და მისი კავშირი ქართულ შუა საუკუნეების

ხელოვნებასთან 125

ისტორიოგრაფია

რუსუდან ლაბაძე. შუა საუკუნეების დროის კონცეპტი ქართულ ჰაგიოგრაფიასა

და ისტორიოგრაფიაში (IV-XI სს.)..... 135

წყარომცოდნეობა

გონელი არახაშია. რევზ კიხაძე და საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობა..... 149

ეპიგრაფიკა

ვლადიმერ კეკელია. შანშე ათაბაგ-ამირსპასალარის 1251 წლის წარწერა ანისში 154

ცნობები და შენიშვნები

ლელა ხაჩიძე. “წმენი გალობა” როგორც სასულიერო განათლების ნაწილი..... 161

როზეტა ასათიანი. ეკონომიკური თეორია როგორც ეკონომიკური პოლიტიკის

ჩამოყალიბების საფუძველი და განმსაზღვრელი 169

ბელა გზირიშვილი. ზოგიერთი საკითხი ლევილის მამულის ისტორიიდან..... 178

ნინო ოთხოზორია. პრობითი მიგრაცია საქართველოდან: რისკები და გამოწვევები..... 189

ტექსტოლოგია

პარმენ მარგველაშვილი. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციისა და

წერეთლისეული ნუსხის მნიშვნელობისათვის რუსთველოლოგიაში 199

საისტორიო მაცნეარების გამოჩენილი მოღვაწენი

ნანა ხაზარაძე. გიორგი მელიქიშვილი - 100 212

ლია მელიქიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი. აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

90 წლისაა..... 226

ჩვენი მილოცვა

უჩა ბლუაშვილი – 70 238

ძრონია და ინფორმაცია

რუსუდან ლაბაძე. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი II "თბილისის

უნივერსიტეტის 100 წელი"..... 244

ახალი წიგნები..... 247

CONTENT

GEORGIAN HISTORY

| | |
|--|----|
| N. Javelidze. About project "For Abkhazian Symbolism" | 29 |
| V. Goiladze. Anti-Iranian revolt in Kartli in 482-484. Huns of Ambazuki | 47 |
| M. Mshvildadze. Iconographical representation of riders on glyptic artifacts discovered in Georgia | 59 |
| J. Samushia. Ivane Atabagi's campaign against Pkhovi and Dido | 61 |
| M. Papashvili, E. Mamistvalishvili, Z. Gamezardashvili, K. Chapichadze. Austrian Aspect of Vakhtang VI's Diplomacy | 86 |
| R. Metreveli. Agha-Mohammad-Khan's Ultimatum to King Erekle II | 97 |

WORLD HISTORY

| | |
|--|-----|
| P. Gergaia. Rationalism - The Philosophy of Enlightenment | 106 |
|--|-----|

ARCHAEOLOGY

| | |
|---|-----|
| L. Tabidze. Comparison of One Component of the Kura-Arax Culture Housing Interior: Comparative Characteristics of Shida Kartli and Syriac-Palestine | 118 |
|---|-----|

ETHNOLOGY

| | |
|---|-----|
| L. Melikishvili. Tradition against Modernism | 124 |
|---|-----|

ART HISTORY

| | |
|---|-----|
| T. Diasamidze. The lost artifact of "the tree of life" from the temple of Tkhaba-Yerdy in Ingushetia and its connection with Georgian middle-ages art | 133 |
|---|-----|

HISTORIOGRAPHY

| | |
|---|-----|
| R. Labadze. The Medieval Concept of Time in Georgian Hagiography and Historiography of the 4th-11th Centuries | 147 |
|---|-----|

SOURCES

| | |
|--|-----|
| G. Arakhamia. R. Kiknadze as a researcher | 153 |
|--|-----|

EPIGRAPHY

| | |
|--|-----|
| V. Kekelia. Inscription of Shanshe atabag-amirspasalari of 1251, in the city of Ani | 160 |
|--|-----|

DISCUSSION AND REVIEW

| | |
|---|-----|
| L. Kbachidze. "Voice Chanting" as a Part of Theological Education | 168 |
| R. Asatiani. Economic theory as a basis and determiner for the economic policy formation | 176 |
| B. Gzirishvili. Some of the issues are from the history of Leuville | 188 |
| N. Otkhozoria. Labor Migration from Georgia: Risks and Challenges | 197 |

TEXTOLOGY

| | |
|--|-----|
| P. Margvelashvili. For the significance of the Vakhtangian edition and of the Tsereteli manuscript in Rustvelology | 210 |
|--|-----|

PROMINENT FIGURES OF HISTORICAL SCIENCES

| | |
|--|-----|
| N. Khazaradze. Giorgi Melikishvili - 100 | 226 |
| L. Melikishvili, A. Daushvili. Academichian David Muskhelishvili - 90 | 124 |

OUR CONGRATULATIONS

| | |
|-----------------------------------|-----|
| Ucha Bluashvili - 70 | 226 |
|-----------------------------------|-----|

CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS

| | |
|--|-----|
| R. Labadze. International Kartvelological Congress II. "100 Years of Tbilisi State University". | 232 |
| New books. | 235 |

ნინო ჯაველიძე

„აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ პროექტისა გამო

საქართველოს პარლამენტთან არსებული პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ეგიდით 2016 წელს გამოსცეს წიგნი-პროექტი „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“. ავტორი ამ პროექტისა, ამავე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი მამუკა გონგაძე თავის ნაშრომში წარმოადგენს აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის დასამტკიცებელ სიმბოლოებს და განიხილავს რამდენიმე საკითხს:

1. აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეს მოქმედი სიმბოლოები
2. აფხაზეთის ტერიტორიის პერალდიკური მემკვიდრეობა
3. აფხაზეთის ტერიტორიის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა
4. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის სიმბოლოების პროექტი
5. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის გერბის პროექტი
6. აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის დროშის პროექტი

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ საკითხის შესახებ, რომელიც დასათურებულია სახელწოდებით „აფხაზეთის ტერიტორიის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა“ და რომლის საფუძველზე ავტორი პარლამენტს სთავაზობს პროექტს, თუ სამომავლოდ როგორი იერ-სახის დროშა უნდა დაკანონდეს ხსენებული პოლიტიკური ერთეულისთვის. ნაშრომის ბოლოს მოცემულია თავად ამ დროშის პროექტიც.

მ. გონგაძე მის მიერ შემოთავაზებული დროშის იერ-სახის თაობაზე იუწყება შემდეგს: „აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს შუა საუკუნეების ევროპული სავაჭრო, საზღვაო რუკები (პორტოლანები)... კარტოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, როგორი სიმბოლიკა მოქმედებდა ამ ტერიტორიაზე და როგორ იცვლებოდა ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ნიმუშები საფუძველად უდევს აფხაზეთში მოქმედ დროშას და ასევე პირველადი წყაროა ჩვენი პროექტისთვისაც“.¹ ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ავტორს შუა საუკუნეების დასავლეთეუროპული პორტულანოები მიაჩნია „უმნიშვნელოვანეს წყაროდ“ აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლისთვის და, გამომდინარე აქედან, პორტულანოებზე აღნუსხული ნიმუშები მისთვის გამხდარა „პირველადი წყარო“, რათა დროშის პროექტი შეექმნა.

ავტორის თქმით, სამი საუკუნის (XIV-XVI სს) განმავლობაში „პორტოლანებზე დატანილი პორტების“ აღმნიშვნელი დროშები შეიძლება პირობითად ამგვარად დაჯგუფდეს:

1. ხუთჯვრიანი კომპოზიცია
2. მწვანე და თეთრი მონაცვლე ირიბი ზოლები (სარტყელი)
3. განსხვავებული სიმბოლოები.

ჩვენი განხილვის საგანი გახლავთ პირველი ორი ჯგუფის ნიმუშები – ე.წ. ხუთჯვრიანი და შედგენილი, ანუ „ხუთჯვრიანი“ და ირიბად მოხაზული, მწვანე-თეთრ ზოლებიანი დროშები. სწორედ ამ ორ ჯგუფში შემავალი დროშების საფუძველზეა შექმნილი პროექტი.


დავინწყით იმით, თუ რამდენად მართებულია, რომ შუა საუკუნეების დასავლეთევროპული პორტულანოები მივიჩნიოთ როგორც „უმნიშვნელოვანესი წყარო“ სრულიად საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახ. დროშის იერ-სახის დადგენისთვის. ამგვარი მიდგომა, შესაძლოა, მისაღები ყოფილიყო იმ შემთხვევაში (ისიც სათანადო შესწავლის შემდგომ), თუკი ხელთ არ გვექნებოდა სხვა სახის ისტორიული წყაროები. თუმცა ცნობილია, რომ არსებობს მრავალი მასალა, როგორც წერილობითი წყაროების ცნობების, ასევე ჩვენს დრომდე შემორჩენილი, შუა საუკუნეების ქართული დროშების სახით, საიდანაც ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი ირიბად დასტურდება, თუ როგორ იყო შექმნილი „სამეფო“ და სხვა სახის დროშის აღმები. უპირველესად მოვიხმოთ წყაროთა ცნობები.

თეიმურაზ ბატონიშვილს თავის „ისტორია“-ში დაცული აქვს ანტიოქიის პატრიარქის, ევსტათის (IV ს) ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ნმ. გიორგის ხატ-წერილი ალამი ქართველებს ნმ. ნინომ დაუწესა ქართლში ქადაგების დროს: „მიერთგან ნინო სათნოყოფითა მეფისა და მთავართა მისთა და ერისა მისისათა განუწესნა“ და შემდეგ განაგრძობს, რომ „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მონამისა გიორგისა...“² ე. ი. ევსტათი პატრიარქის თქმით, მას შემდგომ, რაც ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული, „სამეფო“ დროშაზე გამოსახეს ნმ. გიორგის ხატი. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობიდან ირკვევა ისიც, რომ ასეთივე აღმნიანი დროშები ჰქონდა არა მხოლოდ მცხეთს, არამედ – „ერსა მისისა“-ც. მეფის ერში იგულისხმებიან დედოფალნი, უფლისწულნი, დიდ-დიდნი აზნაურნი, სადროშოების მფლობელნი, მხედრები (ააჭურველსა და მუზარადზე) და სხვ. ხოლო გვიან შუა საუკუნეებში მათ ემატებიან – თავადნი, მოურავნი და ა. შ. თუმცა ამ ცნობაში ყურადსაღები ის გახლავთ, რომ ნმ. ნინოს დროიდანვე ამგვარი დროშები ჰქონიათ დაწესებული მთავართაც. ადრე შუა საუკუნეებისა და გაერთიანებული საქართველოს დროს ესენი იყვნენ ფეოდალ-ერისთავნი,³ ხოლო საქართველოს დაშლის შემ-

2 თ. ბატონიშვილი, ისტორია დაწყებიდან ივერიისა ესე იგი გიორგისა რომელ არს სრულიად საქართველოსა, სპბ, 1848 წ., გვ. 19.

3 ბატონიშვილი, ივერთა დედნე მეფის თანასწორ ქვეშევრდომებად და მეფე იყო მხოლოდ პირველი ბატონი. და არა უყვრისთა (აღლ. სახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. XXIII).

დგომ, XV ს-დან ცნების „მთავართა“ ქვემ იგულისხმებთან დასავლეთ საქართველოს სამთავროთა (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) მფლობელნი – დადიანი, გურიელი და შერვაშიძე.⁴



გურიის ერისთავის დროშა.
ერთ გვერდზე – წმ. გიორგის ხატი,
მეორეზე – წმ. დემეტრეს ხატი

თეიმურაზ ბაგრატიონის ამ ცნობას ამყარებს უცხოელ ავტორთა, რომელნიც XIII-XVIII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ, ცნობები:

1. ჟაკ დე ვიტრი (XIII ს): „ამ ხალხს გეორგიანებს უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებული მოწინებით ეპყრობა და ეთაყვანება წმ. გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნია ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს სცემს ყველა სხვა წმინდანზე მეტად“.
2. რუდოლფ ფონ ზუჰემი (XIV ს): „ქართველებს თავიანთ დროშაზე აქვთ გამოსახულება წმ. გიორგის“.
3. იოჰან ჰილდესჰაიმი (XIV ს): „ქართველები თავიანთ ქვეყანაში დადიან წმ. გიორგის დროშებით“.
4. ქვემორაინელი ანონიმი (XIV ს): „ქართველებს თავიანთ დროშებზე აქვთ გამოსახულება წმინდა გიორგისა, რომლის მიხედვითაც შეერქვათ სახელი“.
5. იოჰან ფონ კოტოვიჩი (XVI ს): „ქართველებს სამხედრო დროშებზე დახატული წმ. გიორგის სახე ყოველთვის თან დააქვთ“.
6. ფილიპი კლუვერი (XVI-XVII სს): „სახელი გეორგია წმინდა [გიორგიდან] მომდინარეობს... რომლის სახეც, როგორც წილხვედრისა, ქართველებმა დროშებზე გამოსახეს“.
7. ემიდიო დორტელი დ'ასკოლი (XVI-XVII სს): „ჯორჯიანის მებრძოლ მოსახლეობას დროშებზე წმ. გიორგის გამოსახულება აქვს“.
8. ჟან ტენო (XVII ს): „მათ ეწოდებათ გეორგიანები... ომებში... ისინი წმინდა გიორგის დროშებით იბრძვიან“.
9. ფრანს ფერდინანდ ტროილოელი (XVIII ს): „ქართველებს წმ. გიორგის გამოსახულება ჰქონდათ ყველა დროშაზე“.
10. ბერძენი ღვთისმეტყველი ევგენიოსი (XVIII ს): „მეფენი საქართველოსანი დროშათა ზედა სახესა წმიდისა გიორგისასა აღმართებდნენ და ამისთვის უწოდეს გიორგიანად“.

ამრიგად, უცხოელი ავტორები ცხადყოფენ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა ქართველთა სეფე და სხვა სახის, მათ შორის მთავართა დროშებზე გამოსახული წმ. გიორგის შესახებ უსაფუძვლო არ გახლავთ და იგი სინამდვილეს ასახავს.

⁴ გურიის ერისთავის დროშა დღემდეა შემორჩენილი. იგი შეინდისფერია და ერთ გვერდზე წმ. გიორგია გამოსახული, მეორეზე კი – წმ. დემეტრე.

გარდა ამ ნერილობითი წყაროებისა, ზემოთ ვთქვით, შემორჩენილია შუა საუკუნეებში შექმნილი სხვადასხვა სახის არაერთი ქართული დროშა, რომლებზეც მეტწილად გამოსახულია წმ. გიორგი.

ვიდრე ამ დროშებს აღვწერდეთ, უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, ქართული დროშები იყოფა რამდენიმე ჯგუფად:

1. დროშები, რომელთა ალამი ქსოვილის იყო
2. დროშები, რომლებიც შედგებოდა ბუნზე დამაგრებული ლითონის დისკოსგან
3. ცხოველის სახის დროშები
4. ლაბარუმები (სამეფო, საეკლესიო) – ოთხ ან ხუთკუთხა ხის ან ლითონგადაკრული ფირფიტა
5. დროშა-ჯვრები.⁵

ხსენებული ლაბარუმები, დისკოს ფორმის დროშები, დროშა-ჯვრები და ალმინი დროშები, რაც კი შემოგვრჩა ან აღწერილია, შემდეგნაირად არის შემკული: **წმ. გიორგის ხატი** (სოლომონ I-ის, პაპუა მოურავის, გერის ეკლესიის, რუსთავის არქიეპისკოპოსის, მალაღიანთ დროშები); **წმ. გიორგისა და წმ. დემეტრეს ხატებით** (გურიის ერისთავის დროშა), **წმ. დემეტრეს ხატით** (იმერეთის მეფე გიორგი III-ის დროშა), **ლეთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებით** (გიორგი XII-ის საუფლისწულო დროშა); **მაცხოვრის გამოსახულებით** (სამთავისის დროშა-ჯვარი); **სეკტიცხოველით, ორი მთავარანგელოზით, მირიან მეფის, წმ. ნინოს ხატით, მაცხოვრის კვართით, დავით მეფე ქნარით** (ვახტანგ VI-ის სადღესასწაულო დროშა); **გრიგოლ ლეთისმეტყველის გამოსახულებით** (დუმეთისა და ბაზალეთის მხარის დროშა), **ჯვარცმის გამოსახულებით** (დავით III-ის საპროცესო დროშა-ჯვარი, ბაგრატ IV-ის წინგასაძლოლი დროშა-ჯვარი, დავით აღმაშენებლის საალმო ჯვარი, თამარ მეფის წინ გასაძლოლი ჯვარი, სამთავისის დროშა-ჯვარი) და სხვ.

ერთი სიტყვით, ნერილობით წყაროებში დაცული ცნობებისა და ჩვენს ხელთ არსებული ქართული დროშების (მეფის, საუფლისწულო, დედოფლის, მთავართა, თავადთა, საერისთავო, სამოურავო, სადროშოების და ა. შ.) თანახმად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შუა საუკუნეების სხვადასხვა სახის დროშაზე უპირველესად გამოსახული იყო მთავარმონაშე წმ. გიორგი. გარდა წმ. გიორგის სახებისა, დროშებზე გამოხატავდნენ მთავარანგელოზებს, ლეთისმშობელს, მაცხოვარს, ბიბლიურ პერსონაჟებს, სხვადასხვა წმინდანს, „ძელი ცხოვრებისას“ და სხვ. **„ხუთჯვრიანი“ სიმბოლო შუა საუკუნეების არცერთი სახეობის დროშაზე აღწუსებული არ არის.**⁶ წარმოდგენილი ნიმუშები და წყაროთა ცნობები ჩვენთვის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ, როგორც წესი, იგულისხმება შუა საუკუნეებში შექმნილი სამთავროების, კერძოდ კი აფხაზეთის სამთავროს სიმბოლიკაც – აფხაზეთი, ქართველტომელების პირველსაცხოვრისი რომ იყო, ეგრისის სამეფოში შედიოდა და ჯერ კიდევ მამასახლისობის პერი-

5 ს. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბილისი, 1953, გვ. 13.

6 ნ. ჯაველიძე, ძიებანი, თბილისი, 2018, გვ. 105-165.






ოდინან მოყოლებული ემორჩილებოდა მცხეთის მამასახლისს („ძენი და ძენი ძეთა ეგროსისანი... იყვნენ მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა“), იგი ყოველთვის განუყოფელი ნაწილი იყო სრულიად საქართველოსი.⁷

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე აცხადებს მკვლევარი მ. გონგაძე, რომ: „აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს შუა საუკუნეების ევროპული პორტოლანები, რომელზეც, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ხშირად არის მონიშნული სოხუმის ნავსადგური“ და რომ: „კარტოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, როგორი სიმბოლიკა მოქმედებდა ამ ტერიტორიაზე და როგორ იცვლებოდა ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში“? რით გამოირჩევიან ეს პორტულანოები ჩვენთვის ცნობილი ქართული და უცხოენოვანი წყაროებისგან, ანდა, მით უფრო, შემორჩენილი ისტორიული დროშებისგან, რომელთაგან ავტორი არცერთ მათგანს არ მოიხმობს, რომ ისინი „უმნიშვნელოვანეს წყაროდ“ მივიჩნიოთ აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობისთვის და ვალიაოთ წერილობითი წყაროებისა თუ შემონახული დროშების საპირწონედ. მეტიც, დავისახოთ ისინი (პორტულანოები) როგორც „პირველადი წყარო“ აფხაზეთის სიმბოლიკის (დროშის) პროექტის შესაქმნელად?!


„ხუთჯვრიანი“ დროშა

მივყვეთ მკვლევარის მსჯელობას და ვნახოთ, რამდენად მართებულია და საფუძვლიანი მისი კვლევა აფხაზეთის სამთავროს ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლისთვის და, საერთოდ, გამოდგება თუ არა დასავლეთ ევროპაში შედგენილი საზღვაო რუკები იმის წარმოსაჩენად, თუ სინამდვილეში რა სახის სახელმწიფოებრივი სიმბოლო (დროშა) მოქმედებდა შუა საუკუნეების სრულიად საქართველოსა და მის ერთ-ერთ სამთავრო აფხაზეთში.

როგორც ვთქვით, მკვლევარი განსახილველ კარტოგრაფიულ მასალას ჰყოფს სამ ჯგუფად და იძლევა სქემას ამ დროშათა მონაცვლეობისა საუკუნეების განმავლობაში თბილისისა და ცხუმის ადგილას. აი, ეს სქემაც:

| | | | |
|----------------|---|--|---|
| ტფილისი |  <p>1339 1367</p> | | |
| | | | |
| ცხუმი (სოხუმი) |  <p>1321 1330 1339 1340 1385</p> <p>1327 1350</p> | | |
| |  <p>1439 1447 1450 1470-80</p> <p>1456</p> | | |
| | | |  <p>1508 1559 1561</p> <p>1530</p> |
| | | |  <p>1552 1552 1568 1551</p> |
| XIV საუკუნე | | | XV საუკუნე |
| | | | XVI საუკუნე |

7 ნ. ჯაველიძე, აფხაზეთი და აფხაზნი, თბილისი, 2016.



შავი ზღვის რუკა, შედგენილი ვენეციელი
ვაჭრების მიერ (XIII ს.)

შემადგენლობაში არსებული პორტები, როგორც მათ ავტორი უწოდებს) XIV ს-მდე შექმნილ რუკებზეც იყო აღნიშნული. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ XIII ს-ში ვენეციელი ვაჭრების მიერ, რომელნიც ზღვით მოგზაურობდნენ და ერთობ დახელოვნებული კარტოგრაფებიც იყვნენ, შედგენილი რუკა. ამ რუკაზე გამოსახულია შავი და აზოვის ზღვების აუზები, წვრილად არის აღნუსხული ყველა ზღვისპირა პუნქტი, დანყებული შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროდან და დასრულებული ყირიმის ნახ. კ.-ით, მათ შორის ქართული ქალაქ-პორტები თუ სხვა დასახლებებიც არის მონიშნული.⁹

კვლავაც მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ XIV ს-ის ათიან წლებში, 1313 წელს პეტრუს ვესკონტეს მიერ შედგენილი შავი ზღვის რუკა, რომელზეც ქართული პორტები ასევე აღნიშნულია.¹⁰ ე. ი., ჩვენ ხელთ გვაქვს XIII ს-ისა და XIV ს-ის დასაწყისში შედგენილი რუკები, სადაც პონტოს სანაპიროზე განლაგებული ქართული ნავთსაყუდლები და სანაპიროს სხვა პუნქტები აღნუსხულია და ისინი შექმნილია მაშინ, როდესაც მონღოლთა ჯარი საქართველოში იმყოფებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ვითარება (მონღოლთა ბატონობა) სუფევდა კიდევ ორი ათეული წლის განმავლობაში და გიორგი V ბრწყინვალემ მონღოლები მხოლოდ 1330-იან წლებში განდევნა, როდესაც დამპყრობლის 10.000-იანი ლაშქარი გააძევა ქვეყნიდან და საქართველო გაათავისუფლა. გამომდინარე აქედან, უმართებულოა მ. გონგაძის ნათქვამი, თითქოსდა მონღოლთა ბატონობის გადაგდებაამდე ქართული პორტები დასავლეთევროპულ

8 მ. გონგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

9 Дж. Гамахория, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси, 1997. გვ. 820.

10 იქვე, გვ. 823.


შემდეგ ავტორი აღნიშნავს: „განსაკუთრებით ინტერესს იწვევს XIV საუკუნის პორტოლანები. ეს არის გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ხანა. პერიოდი, როდესაც საქართველო მონღოლთა ბატონობისგან გათავისუფლდა და გაერთიანდა. შედეგად, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში არსებული პორტები დასავლეთევროპელი კარტოგრაფების რუკებზეც გაჩნდა“.⁸

ვერ დავეთანხმებით ავტორის ამ თვალსაზრისს, რადგანაც, თუკი შუა საუკუნეების საზღვაო რუკებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართული პორტები (და არა საქართველოს


საზღვაო რუკებზე „დატანილი არ იყო“ და ეს პორტები მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როდესაც გიორგი V ბრწყინვალემ საქართველო გაათავისუფლა და გააერთიანა. ავტორის თვალსაზრისი არ შეესატყვისება სინამდვილეს.

სხვა საკითხია, თუ რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან XIV ს-მდე და 1320 წლის შემდგომ შედგენილი დასავლეთევროპული პორტულანოები. მართლაც, ამ ორი პერიოდის საზღვაო რუკები ერთმანეთს რომ შევადაროთ, დავინახავთ, რომ მათ შორის სხვაობა, დიახაც, არსებობს. კერძოდ, 1320-იანი წლების შემდგომ შექმნილ პორტულანოებზე სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებთან ერთად საქართველოს ორი ქალაქი – თბილისი და ცხუმი მონიშნულია „ხუთჯვრიანი“ დროშებით, ხოლო წინა პერიოდის რუკებზე, სადაც ნაჩვენებია შავი და აზოვის საზღვაო გზები და ნავთსაყუდებლები, „ხუთჯვრიანი“ დროშები არსად ჩანს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს საკითხი გახლავთ შესასწავლი, რათა გავარკვიოთ რუკებზე ამ დროშების გაჩენის ნამდვილი მიზეზი და ამოვიცნოთ მათი იერ-სახის შინაარსობრივი დატვირთვა.

დავინწყით პეტრუს ვესკონტეს რუკებით. პეტრუს ვესკონტემ, როგორც ვთქვით, 1313 წელს შექმნა პორტულანო, სადაც „ხუთჯვრიანი“ დროშა ქართულ ქალაქებზე არ ჩანს. არ აღინუსხება ეს დროშა არც 1318 წელს მის მიერვე განმეორებით შედგენილ ორ რუკაზე, რაც, მკვლევართა აზრით, 1313 წლის რუკის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს. მაგრამ, 1321 წელს პეტრუს ვესკონტე ქმნის ახალ პორტულანოს, რომელზეც ქ. ცხუმის ადგილას უკვე გვხვდება „ხუთჯვრიანი“ დროშა.



პეტრუს ვესკონტეს რუკა (1318 წ.)



პეტრუს ვესკონტეს რუკა (1321 წ.) (დეტ.)

რით შეიძლება აიხსნას ეს სიახლე, რატომ მონიშნა ავტორმა რუკაზე „ხუთჯვრიანი“ სიმბოლო და, საერთოდ, რატომ გაჩნდა დასავლეთევროპულ პორტულანოებზე XIV ს-ის 20-იანი წლებიდან საქართველოში ამ ორი ქალაქის ადგილას „ხუთჯვრიანი“ დროშები? ეს სხვაობა, ჩვენი აზრით, გამონეული არ იყო საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობით და

მას სულ სხვა სახის მოვლენები განაპირობებდა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ 1310-იანი წლების ბოლოდან საქართველოში ამოქმედდა კათოლიკთა ორი სამისიონერო ცენტრი. თავდაპირველად ქ. ცხუმში 1318 წელს მოღვაწეობას შეუდგა კათოლიკი ეპისკოპოსი ბერნარ მორე¹¹, ხოლო 1328 წელს ქ. თბილისში მცირე აზიის ქ. სმირნადან გადმოტანილ იქნა კათოლიკთა საეპისკოპოსო კათედრა.¹² სწორედ ეს ორი ფაქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ 1320-იანი წლებიდან მოყოლებული პ. ვესკონტესა და სხვათა მიერ (ძმები პიციგანები, გაბრიელ დე ვალსეკა, ანჯელინო დულჩერი...) შედგენილ პორტულანოებზე საქართველოს ეს ორი ქალაქი – თბილისი და ცხუმი „ხუთჯვრიანი“ სიმბოლოთი იყო მონიშნული. მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში მონიშნული ეს დროშები მეზღვაურ ვაჭართა და მისიონერებისთვის გზამკვლევი გახდა, რათა მათ წინასწარ ცოდნოდათ, თუ სად მდებარეობდნენ უცხო ქვეყნებში მათი სააღმსარებლო ცენტრები და თავშესაფრები. გარდა ამისა, იმხანად (1320-იანი წლების დასაწყისში) პორტულანოებზე მონიშნული „ხუთჯვრიანი“ დროშების გაჩენას სხვა მიზეზიც უნდა ჰქონოდა. ირკვევა, რომ მზადდებოდა კიდევ ერთი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც 1323 წელს უნდა დაენყოთ. ამის თაობაზე ოქროს ურდოში გამხდარა ცნობილი და ყაენი უზბეკის (1312-1341 წ.წ.) ბრძანებით მონღოლთა ჯარი მთელი თვე მზადყოფნაში ჰყოლიათ, რათა ჯვაროსნებს შებრძოლებოდა. თუმცა ხსენებული ლაშქრობა არ განხორციელებულა.¹³ საფიქრებელია, რომ პეტრუს ვესკონტეს რუკაზე ქ. ცხუმის კათოლიკი ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი „ხუთჯვრიანი“ დროშით მონიშნული იყო მოსალოდნელი IX ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთათვისაც. ერთი სიტყვით, დროის მიხედვით ერთმანეთს თვალშისაცემად ემთხვევა ცხუმსა და თბილისში კათოლიკური სამისიონერო ცენტრების დაფუძნებისა და კარტოგრაფების მიერ ამ ქალაქების „ხუთჯვრიანი“ დროშით აღნუსხვის ფაქტები. ამიტომ გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ქ. თბილისსა და ქ. ცხუმში კათოლიკთა სამისიონერო ცენტრების გახსნა გახდა ის წინაპირობა, რის გამოც XIV ს-ის 20-იანი წლებიდან დასავლეთეუროპულ პორტულანოებზე ქართულ ქალაქებს შორის ეს ორად-ორი ქალაქი აღინიშნებოდა ჯვაროსანთა მიერ შემოღებული სიმბოლოთი – „ხუთჯვრიანი“ დროშით. რუკებზე ქ. თბილისთან აღნუსხული „ხუთჯვრიანი“ დროშა და ქ. ცხუმთან მისი სახეცვლილი ვარიანტი, სადაც პატარა ჯვრების ადგილას დისკოებია მოთავსებული, მანიშნებელი იყო იმ ქართული პუნქტებისა, რომლებშიც კათოლიკთა სასულიერო ცენტრები მოქმედებდა. ასე რომ, ხსენებული კარტოგრაფიული ნიშნები არ გახლავთ „ის სიმბოლოცა, რომელიც მოქმედებდა ადგილობრივ

11 ე. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, 243, 1983 წ. გვ. 97.

12 მ. გაბაშვილი, რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში, კრებული „აღმოსავლეთი და კავკასია“, I, თბილისი, 2003 წ., გვ. 33-40.

13 ე. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.


ტერიტორიაზე”, არამედ მათ, როგორც რუკის ნიშნებს, ზემოთ ნახსენები შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭებოდათ ოდენ.

საზღვაო რუკების ერთ-ერთი დანიშნულება რომ სწორედ სამისიონერო ცენტრების ადგილმდებარეობის მიკვლევა გახლდათ, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ არის პორტულანოებისგან განსხვავებით შედგენილი ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ პოლიტიკური რუკები. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ ძმები პიციგანების (1367 წ.), ანონიმი ავტორის (1542 წ.), ბატისტი აგნეზის (1553 წ.), ჯაკომო გასტალდის (1561 წ.), ჯაკომო დე მაიოლოს (1563 წ.), ქრისტოფორო კასტელის (1654 წ.), არქანჯელო ლამბერტის (1654 წ.), ჟან შარდენის (1672 წ.), გ. სანსონის (1674 წ.) და სხვათა მიერ შედგენილი ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზების ამსახველი რუკები, რომლებზეც არც ერთი პუნქტი, მათ შორის არც ქ. ცხუმი და არც ქ. თბილისი კათოლიკური სიმბოლო-დროშებით მონიშნული არ გახლავთ. ხსენებული რუკები ავტორთა მიერ შექმნილი იყო არა მეზღვაურ-მისიონერთა გზამკვლევადა, არამედ იმისათვის, რათა ევროპულ საზოგადოებას წარმოდგენა ჰქონდა და ცოდნა შეეძინა რუკებზე ნაჩვენები ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებებისა და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ (ცნობისთვის – საქართველოში კათოლიკური მისიონები XVII საუკუნეშიც მოქმედებდა).

საზღვაო რუკების აღწერილობიდან გამომდინარე არსებობს კიდევ სხვა არგუმენტი, რომელიც ცხადყოფს, რომ „ხუთჯვრიანი“ დროშები არ გახლავთ „საქართველოში მოქმედი სიმბოლიკა“, რადგანაც სხვადასხვა ავტორთა (ძმები პიციგანები, ჯ. სიდერი, პ. ვესკონტი და სხვ.) მიერ მსგავსი დროშებით მონიშნულია პუნქტები ყირიმში, მცირე აზიაში, კ. კვიპროსზე, დასავლეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან და სხვ.



პეტრუს ვესკონტი (1325 წ.). დასავლეთი ევროპა, „ხუთჯვრიანი“ დროშა ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან.



ანჯელინო დულჩერი (1339 წ.). „ხუთჯვრიანი“ დროშები ქ. თბილისთან და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით.



ჯორჯო სიდერი (1565 წ.). ხმელთა შუა ზღვის აღმ. ტერიტორია, „ხუთჯვრიანი“ დროშები ორ ქალაქთან

აქ წარმოდგენილი რუკებიდან ჩანს, რომ კარტოგრაფები „ხუთჯვრიანი“ დროშით აღნიშნავდნენ მახლობელ აღმოსავლეთსა თუ დასავლეთ ევროპაში მდებარე პუნქტებს და ამ დროშას საერთო არაფერი აქვს „საქართველოს ტერიტორიასთან ასოცირებულ სიმბოლოსთან“, როგორც ამას ვარაუდობს პროექტის ავტორი მ. გონგაძე. ამიტომ მის მიერ მოხმობილი კარტოგრაფიული მასალა არ გამოდგება იმის დასადაგენად, თუ „როგორი სიმბოლიკა მოქმედებდა ამ ტერიტორიაზე“, მით უფრო არ შეიძლება იგი აღიქმებოდეს როგორც გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო, გნებავთ, აფხაზეთის სამთავროს სიმბოლოები.

შედგენილი დროშა

ავტორი შემდეგ გვთავაზობს ქ. ცხუმის თავზე მონიშნული იმ ორნამენტიანი დროშის განხილვას, რომლის ერთი ნაწილი „ხუთჯვრიანი“ კომპოზიციას, მეორე ნაწილში კი თეთრ-მწვანე ირიბი ზოლებია და იუნწყება, რომ „ასეთი შედგენილი დროშები, როგორც წესი, დამოკიდებულ ტერიტორიებს გამოსახავს. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ ცენტრალურ (სუვერენის) და ადგილობრივ (ფეოდალის) სიმბოლოთა გაერთიანება, სადაც პრიორიტეტული მდგომარეობა თბილისის თავზე აფრილებულ ხუთჯვრიან დროშას ენიჭება“.¹⁴

დავინწყით იმით, რომ ამგვარი დროშით საქართველოს ტერიტორიაზე მონიშნულია მხოლოდ ქ. ცხუმი, ე. ი. ეს ნიშანი, ერთი შეხედვით, თითქოსდა, აფხაზეთის სამთავროს სიმბოლოს უნდა გამოსახავდეს. მაგრამ, ჯერ ერთი, თუ ეს დროშა მართლაც ადგილობრივი ფეოდალის და სუვერენის – მეფის ურთიერთდამოკიდებულებას გამოსახავდა, მაშინ რატომ არ არის ასეთივე დროშით მონიშნული სხვა „ადგილობრივ ფეოდალთა“ – გნებავთ ამიერ და გნებავთ იმიერ საქართველოში – მთავარი ციხე-ქალაქები? თუკი ამ კითხვის პასუხი ის იქნება, რომ გვიანი შუა საუკუნეების „აფხაზეთის ფეოდალი“ ცალკე სამთავროს მმართველი იყო, ასეთ შემთხვევაშიც ჩნდება კითხვა – რით განსხვავდებოდა „აფხაზეთის ფეოდალი“ სამეგრელოს და გურიის ფეოდალებისაგან, რომელნიც ასევე საკუთარ სამთავროებს – სამეგრელოსა და

გურიას ფლობდნენ?! თანაც გასათვალისწინებელია, რომ შედგენილი დროშე-ბიანი პორტულანოები, რომელთაც ავტორი იმონებებს თავისი თვალსაზრისის წარმოსაჩენად, ყველა, ორის გამოკლებით, განეკუთვნება XIV საუკუნესა და XV ს-ის 30-70-იან წლებს (მხოლოდ ორი პორტულანო თარიღდება 1508 და 1530 წ.წ.-ით), როდესაც საქართველოს სამეფო არ იყო დაშლილი ცალკეულ „საქართველოებად“, ანუ სამეფო-სამთავროებად. ანდა XVI ს-ში შექმნილ იმ ორ რუკაზე, სადაც ასევე მარტო ქ. ცხუმია დროშით აღნიშნული, მის დარად სამეგრელოსა და გურიის ქალაქები – ზუგდიდი და ოზურგეთი რატომ არ აღინუსხება შედგენილი დროშებით? შესაძლოა, ჩვენ გვიპასუხონ, რომ აფხაზეთის სამთავრო უფრო მეტ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ვიდრე გურია-ოდის სამთავროები. მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზეთის სამთავრო შედიოდა სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში და მას ცალკე გამოეყო XVII საუკუნეში, როდესაც ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული ყველა ციხე-სიმაგრე, დაიპყრეს სამთავრო და, ასე განსაჯეთ, თავიანთ ოფიციალურ დოკუმენტებში მას ტერიტორიულად საქართველოს შემადგენლობაში აღარ ასახელებდნენ.¹⁵ თუმცა, როგორც ვთქვით, ზემოხსენებული რუკები XIV-XVI სს-ში შეიქმნა, ანუ იმ დროს, როდესაც აფხაზეთი ჯერაც სამეგრელოს ნაწილს წარმოადგენდა. ასე რომ, რუკებზე ქ. ცხუმს ხსენებული მიზეზის გამო ე. წ. შედგენილი დროშით ვერანაირად აღნუსხავდნენ.

მეორე, შედგენილ დროშებთან დაკავშირებით სხვა კითხვებიც ჩნდება. კერძოდ, თუკი ვიფიქრებთ, რომ იგი ქ. ცხუმთან, როგორც მნიშვნელოვან ქალაქ-პორტთან მონიშნეს, მაშინ ლოგიკური იქნებოდა, ასეთივე დროშა ალემართათ ფოთთან ან თუნდაც ბიჭვინთასთან. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის წყაროებიდან ბიჭვინთაც და ფაზისიც ცნობილი იყო როგორც გამორჩეული მნიშვნელობის ნავთსაყუდლები, საიდანაც საზღვაო გზით საქონელი გაჰქონდათ არა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსულ ვაჭარ-მოგზაურებსაც. ამიტომაც სახელდება ქ. პიტიუნტი, როგორც პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შიგნით მდებარე „უმდიდრესი ქალაქი“ (პლინიუს უფროსი). ბიჭვინთა რომ გვიან შუა-საუკუნეებშიც ასრულებდა პორტის ფუნქციას, ეს ჩანს ოსმალეთში რუსეთის ელჩის, პ. ტოლსტოის, რომელიც 1702-1714 წწ-ში ასრულებდა თავის მოვალეობას, ჩანაწერებიდან. რუსი დესპანის თქმით, შავი ზღვის სანაპიროზე არის „მოხერხებული პორტი სახელად პისკონტა (ბიჭვინთა)... კავკასიის მთასთან არის აპასიკის (აფხაზეთი) პორტი, რომელსაც უწოდებენ პინზოტს

15 ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით... გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბილისი, 1982, გვ. 81, 99; ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღ. შავიზღვისპირეთის შესახებ (XVII-XVIII სს), ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით... მოამზადეს პროფ. გ. ანაბაძემ და პროფ. ნ. შეგელიამ, თბილისი, 2012, გვ. 75, 101, 193, 195, 242.

(ბიჭვინთა)".¹⁶ აფხაზეთის პორტებთან დაკავშირებით იგივე ვითარება წარმოჩინდება იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის დავალებით 1737-1738 წლებში შესრულებული საქართველოს რუკის მიხედვით. ამ რუკაზე მონიშნულია ქართული ნავთსაყუდლები: ბიჭვინთა – წარწერით „ნავთსაყუდელი, ლიმნა“, ანაკოფია – წარწერით „ნავთსაყუდელი“, ხოლო ზუფუს გასწვრივ სანაპიროსთან წერია „ლიმნა, ნავთსაყუდელი“ და იქვე არის ცხუმის ციხე-სიმაგრე. გარდა ამისა, შავი ზღვის სანაპიროსთან მოჩანს გემები, რომელთაგან ერთი მათგანი ბიჭვინთის პორტთანაა აღნიშნული, მეორე კი – ცხუმთან. გემების კორპუსის მიხედვით, ისინი გადაიან ბიჭვინთისა და ცხუმის პორტებიდან.¹⁷ ბიჭვინთის ნავმისადგომი XVIII ს-ში მოქმედი რომ არ ყოფილიყო, ალექსანდრე V ასეთი სახის რუკას რუსეთის იმპერატორი ანა იოანეს ასულს არ გაუგზავნიდა.

ქ. ფაზისის თაობაზე ასევე საუბრობს არაერთი უცხოელი ავტორი: „მდ. ფასისის მარცხნივ მდებარეობს ქალაქი ფაზისი, რომელშიც, ამბობენ, ჩამოდის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მათ შორის, ამბობენ, ზოგნი არიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანიდან“ (სკიმნე ქიოსელი). ხაზგასმულია მისი, როგორც პორტის ხელსაყრელი მდებარეობა, სადაც ალებ-მიცემა იყო გაჩაღებული: „ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო პორტი, გარშემორტყმული ერთის მხრივ მდინარით, მეორეთი – ტბითა და მესამე მხრიდან – ზღვით“ (სტრაბონი). ქალაქ-პორტ ფაზისს არც ადრე შუა საუკუნეებში დაუკარგავს მნიშვნელობა, რაც სხვადასხვაენოვანი წყაროებით ცხადდება. აგათია სქოლასტიკოსი (VI ს) წერს, რომ: „ეხლანდელი მცხოვრებები (ლაზები) დაცურავენ კიდეც... და ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებლობას“. ცხადია, ეგრისის სამეფოში მცხოვრები ლაზები ზღვაოსნობის დროს უპირველესად ფოთის ნავთსაყუდელით ისარგებლებდნენ. XIII ს-ის დროინდელი ფოთის შესახებ საგულისხმო ცნობაა დაცული არაბულ წყაროში, რასაც მ. ბროსე იმონებს და, რომლის მიხედვით ვგებულობთ, რომ იერუსალიმს ზღვით ნასულა „ვილაც გურჯელი მეფე“. იგი „ფოთში ხომალდში ჩამსხდარიყოს და აქედამ სისში და პტოლემეაიდაში გამგზავრებულიყოს“.¹⁸ როგორც ვხედავთ, არც მონღოლთა ბატონობის ჟამს დაუკარგავს ქ. ფოთს პორტის მნიშვნელობა და ამ ნავთსაყუდელიდან შესაძლებელი და მოსახერხებელიც იყო წინა აზიის ქალაქებთან დაკავშირება. თანაც, ნუ დაგვაინყვება, რომ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოს მიწაზე ფეხი ვერ შედგეს და მათი ბატონობა ლიხთიმერეთში არ ვრცელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ფოთის პორტი თავის მნიშვნელობას გვიან შუა საუკუნეებში კვლავაც ინარჩუნებდა. იმავე პ. ტოლსტოის თქმით, „...არის მდ. ფასი, რომელიც ჩაედინება შავ ზღვაში. იქ არის ყურე და მოხერხებული პორტი, შემდეგ არის სამეგრელოს ყურე ანაკრა (ანაკლია)... არსებითად თვით მდინარე არის მოხერხებული პორტი... იმ მხარიდან თურქებმა ააგეს ახალი ქალაქი, რათა დაიცვან ის პორტი. შიშის გამო მათ

16 ე. მამისთვალმეილი, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II ნოტარა და საქართველოს საგარეო ურთიერთობები; ქართული დიპლომატია, თბილისი, 2018, გვ. 141

17 Б. Готия, Абхазия историческая провинция Грузии, Париж-Тбилиси, 2005, გვ. 70.

18 შ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ბათუმი, 1998, გვ. 157.

იქ ჰყავთ... სამი როტა”.¹⁹ XVIII ს-ის ოსმალთა მემკვიდრეობა ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდი წერს, რომ ოსმალებმა 1765 წელს იმერეთში ლაშქრობისას იანიჩრები რუმელიიდან გემებით გადმოსხეს ფოთში, ხოლო ჯარისთვის საჭირო სურსათ-სანოვაცე ბალკანეთის ქვეყნებიდან გემებით გამოგზავნეს, რომლებიც ასევე ფოთში შემოსულან.²⁰ მართალია იმხანად ევროპელები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას საკუთარი ხომალდებით შემოსულიყვნენ შავი ზღვის ქართულ პორტებში, მაგრამ წყაროებიდან ცხადდება, რომ ვაჭარ-მისიონერები ოსმალთა გემებს ქირაობდნენ და მაინც აღწევდნენ ნავთსაყუდლებამდე. ამგვარი ფაქტების ამსახველი მასალა შემონახულია XVII ს-ის უცხოელთა (ჯოვანი და ლუკა, იერუსალიმის პატრიარქი პაისი და სხვ.), რომლებიც საქართველოში ნამყოფნი იყვნენ, ჩანაწერებში. პროფესორი შ. მესხია შენიშნავს, რომ: XVI-XVIII სს-ში „ფოთს, როგორც ციხე-სიმაგრესა და პორტს, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით”.²¹ ერთადერთი, რითიც ქ. ცხუმი გამოირჩეოდა სხვა ქართული პორტებისგან, რასაც ევროპული წყაროებიდან ვგებულობთ, გახლდათ ის, რომ ცხუმის პორტი განიხილებოდა, როგორც ტყვის სყიდვის, რასაც XIV-XV სს-ში, ძირითადად, გენუელები წარმართავდნენ, ერთ-ერთი მთავარი პუნქტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და კავკასიის შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის იყო უმნიშვნელოვანესი „საქონლის სანყოფი”²². ამიტომ ახსნა სჭირდება იმ ფაქტს, თუ XIV ს-ის დასავლეთევროპულ პორტულანოებზე ქართული პორტებიდან რატომ მაინც და მაინც ქ. ცხუმის ადგილას ჩნდება ხსენებული შედგენილი დროშა.

საკითხის გასარკვევად, ვფიქრობთ, საჭიროა შესწავლილ იქნას ყველა ის პორტულანო, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში იქმნებოდნენ და რომლებზეც ამ დროებით აღწერულია ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზებში განთავსებული თუ სხვაგან მდებარე ქვეყნები. ბუნებრივია, ყველა მათგანზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ, რაც სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილია, მათ საფუძველზე შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას – რატომ უთითებენ ანჯელინო დულჩერი, გაბრიელ დე ვალსეკა და სხვანი თავიანთ პორტულანოებზე ქ. ცხუმთან შედგენილ დროშას და რის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო იგი ნაოსან-მისიონერ-ვაჭართათვის.

ამ პორტულანოების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ასეთი შედგენილი დროშით მხოლოდ ქ. ცხუმი არ იყო მონიშნული და იგი სხვადასხვა გეოგრაფიულ-პოლიტიკურ არეალში არსებულ პუნქტებზეც შეინიშნება. ასე, მაგ.: 1375 წლით დათარიღებული კატალონიის ატლასის რუკაზე მსგავსი შედგენილი დროშა აღმართულია კ. კვიპროსზე და მცირე აზიაში, ქ. ფილადელფიასთან. ამას გარდა, ანონიმის მიერ შექმნილ ატლასში (1450 წ.)

19 ე. მამისტვალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 142.

20 ნ. ჯაველიძე, ძიებანი, გვ. 209.

21 III. Месхия, «Города и городской строй в феодальной Грузии XVII-XVIII вв., Тбилиси. 1959, გვ. 121.

22 ე. მამისტვალიშვილი, საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიიდან, „სახალხო გახათლება“, 1989 წ.



კატალონიის ატლასი (1375 წ.)
შედგენილი დროშა კ. კვიპროსზე



ანონიმის ატლასი (1450 წ.)
შედგენილი დროშა ხაზარეთში



აბრაჰამ და იეჰუდა კრესკები.
შედგენილი დროშა ქ. ფილადელფიასთან
(მცირე აზია)

ეს დროშები მიგვანიშნებენ, რომ აფხაზეთი სრულიად საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, ხაზარეთი რუსეთს ემორჩილებოდა, ქ. ფილადელფიის გამგებელი – ბიზანტიის იმპერატორს, ხოლო კ. კვიპროსი იმ ხანად ვენეციის „კუთვნილება“ გახლდათ. ასეთ შემთხვევაში ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს, ვენეციას, რუსეთსა და ბიზანტიასაც ჯვერიანი და ე. წ. ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშები ჰქონიათ?! იგივე უნდა ითქვას შედგენილი დროშის ზოლებიანი ნაწილის მნიშვნელობის თაობაზეც.

სიმართლე კი ისაა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ე. წ. ხუთჯვრიანი სიმბოლო მანიშნებელია კათოლიკთა სასულიერო ცენტრისა, რომელიც, ვიცით, რომ ცხუმში არსებობდა არაუგვიანეს 1318 წლიდან და იგი მოქმედებდა კ. კვიპროსზეც. აქ XII ს-დან დასავლეთ ევროპელებს დაარსებული ჰქონდათ ეპარქიები. კერძოდ, ქ. ნიქოზიაში მოქმედებდა კათოლიკი არქიეპისკოპოსის კათედრა, სხვა ქალაქებში კი – საეპისკოპოსოები. რაც შეეხება ზოლებიან ნაწილს დროშისა, იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხსენებულ პუნქტებში მოქმედ გენუელთა თუ ვენეციელთა პოლიტიკურ-დიპლომატიურ ცენტრებთან. მართლაც, ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქ. ცხუმსა და ქ. კაფაში გენუელებს დაფუძნებული ჰქონდათ საკონსულოები და მნიშვნელოვანი სავაჭრო დასახლებები. ასე მაგ.,

ერთ-ერთ იტალიურ წყაროში ნათქვამია, რომ უკვე 1280 წლიდან ქ. ცხუმში საქმიანობდა გენუელი ვაჭარი, ხოლო გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის ამოქმედება 1354 წლიდან არის აღწერილი. ამავე წელს გენუის ანალების თანახმად (1424 წ.), ქ. ცხუმში მოქმედებდა გენუის საკონსულოც, სადაც კონსული ინიშნებოდა „ბედნიანთან“ შეთანხმებით. ფაქტორიებისა და კოლონიების საქმიანობის მოსაწესრიგებლად სათანადო საკანონმდებლო აქტები იქმნებოდა. არსებობდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გენუის კოლონიების წესდება (1449 წ.) და ქ. ცხუმის სავაჭრო ფაქტორიაში მცხოვრები გენუელები ამ კანონებით მოღვაწეობდნენ.²³ მეტიც, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე განთავსებული კოლონიების კათოლიკ მოსახლეობას რეგიონის სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის მესვეურნი საშინაო საქმიანობისას კიდევ იყენებდნენ ხოლმე. ასეთი შემთხვევა დასტურდება ტრაპიზონის საკეისროს ისტორიიდან. XV ს-ში კეისარ ალექსი IV-ის თანამესაყდრე ვაჟმა კალოიონემ, როდესაც გადაწყვიტა ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო, მამის წინააღმდეგ საბრძოლველად ქ. კაფადან გემებით ნამოიყვანა კათოლიკები – „დასავლეთელი მეომრები“ და მათი დახმარებით სანადელს მიაღწია.²⁴ ჩვენი აზრით, გენუელთა საკონსულოები თუ სავაჭრო ფაქტორიები მოქმედებდა ყველა იმ ადგილას, სადაც პორტულანოებზე ხსენებული შედგენილი დროშებია მონიშნული. ეს შედგენილი დროშები დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის სინამდვილესთან და შინაარსობრივად ისინი ასახავდნენ კათოლიკ ევროპელთა სამისიონერო (საეპისკოპოსო კათედრა) და პოლიტიკური (საკონსულო) ცენტრების არსებობას. კერძოდ, „ხუთჯვრიანი“ ნაწილი ამ დროშისა იყო მანიშნებელი კათოლიკი ეპისკოპოსის რეზიდენციისა, ხოლო ზოლებიანი ნაწილით, ამ შემთხვევაში, დიპლომატიურ მისიონს აღნიშნავდნენ.

თუმცა მ. გონგაძე კვლავაც მოიხმობს იმ არგუმენტებს, რომელნიც, მისი აზრით, მეტყველებენ ე. წ. ხუთჯვრიანი და შედგენილი დროშების, როგორც ადგილობრივი სიმბოლიკის სასარგებლოდ: „სხვადასხვა ავტორის პორტოლანებზე გვხვდება ისეთი სიმბოლოები, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიებზე რუკების შექმნის მომენტში გამოიყენებოდა. ამის მაგალითია ტრაპიზონის იმპერია, ბიზანტიის იმპერია, გენუის რესპუბლიკა, ფლანდრია, უნგრეთი და სხვა ევროპული ტერიტორიები. სავარაუდოდ, რუკის ავტორები სწორედ ტერიტორიებთან ასოცირებულ სიმბოლოებს გამოსახავდნენ. ნიშანდობლივია, რომ ხუთჯვრიანი სიმბოლო საკმაოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში. ის გამოსახულია თამარ მეფის მონეტაზე, ასევე გვხვდება ხუროთმოძღვრებაში დეკორის სახით, ეთნოგრაფიულ ყოფაში და სხვ.“²⁵ – წერს ავტორი. ნუმიზმატიკურ მასალაში და საეკლესიო ძეგლებზე ე. წ. ხუთჯვრიანი სიმბოლოს შესახებ საკითხი ცალკე, საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს, რაც შემდგომი ძიების საქმეა. ამიტომ სიტყვას აღარ გა-

23 ე. მამისთვალისშვილი, საქართველოს შავი ზღვისპირეთის ისტორიიდან, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წ.


24 Трапезницкая хроника Михаила Панарета, издал А. Хаханов. Москва, 1905, გვ. XXXII.

25 მ. გონგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 21-22

ვაგრძელებთ, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ სასურველი იქნებოდა, ავტორს ამ თემის თაობაზე საკუთარი ხედვა ფაქტების ანალიზის შედეგად წარმოეჩინა და არ შემოფარგულიყო ოდენ რამდენიმე ფოტომასალის შემოთავაზებით, რომლებიც, თუკი გავითვალისწინებთ ქართული ნუმისმატიკური ნიმუშებისა თუ სასულიერო ნაგებობების რაოდენობას, აგრეთვე სხვა ფაქტორებსაც, ვერ ქმნიან საერთო სურათს, რათა ვირწმუნოთ მისი ნათქვამი. მიუხედავად ამისა ავტორის მსჯელობას და ენახოთ, თუ კიდევ რა აძლევს მას იმის თქმის საფუძველს, რომ რუკებზე ადგილობრივი (ქართული) სიმბოლიკა გამოსახული. მ. გონგაძე თვალსაჩინოებისთვის ასახელებს კატალონიის, უნგრეთის, ფლანდრიის, დანიის, ტრაპიზონისა და ბიზანტიის ტერიტორიებზე აღმართულ დროშებს. ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ზემონახსენები ქვეყნები, ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს გარდა, განეკუთვნებიან კათოლიკურ სამყაროს, ყოველი მათგანი კათოლიკური ევროპის ნაწილია. საზღვაო რუკებზე ისინი შესაბამისად მონიშნულნი არიან საკუთარი სახელმწიფო დროშებით. მაგრამ რის საფუძველზე შეიძლება მათი მოხმობა იმის საბუთად, რომ მართლმადიდებლური საქართველოს მინა-წყალზე მონიშნული კათოლიკთა სიმბოლოები ქვეყნის „ტერიტორიულ-ადგილობრივი“ დროშები იყო? ამ ლოგიკით იგივე სიმბოლიკა, რომელიც მონიშნულია მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნების ქალაქებთან, სადაც კათოლიკთა მისიები არსებობდა, ასევე შეიძლება მუსლიმური ქვეყნების „ტერიტორიულ“ სიმბოლოებად ვალიართ?! ამდენად, ავტორის მიერ სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქვეყნებს შორის პარალელის გავლება და ამ მეთოდით კათოლიკური სიმბოლიკის „გაქართულების“ მცდელობა გაუმართლებელია. ამას გარდა, მ. გონგაძე საკუთარი აზრის დასადასტურებლად მოიხმობს ქ. ტრაპიზონსა და ქ. კონსტანტინოპოლთან აღმართული დროშების მაგალითს და საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოსდა ყველა ავტორის მიერ შექმნილ პორტულანოებზე ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს სახელმწიფო სიმბოლოები იყოს გამოსახული. სინამდვილეში ასე არ არის და სხვადასხვა პორტულანოებზე ზშირად მონიშნულია არა მხოლოდ ამ ორი პოლიტიკური ერთეულის დროშები, არამედ სხვა სახის სიმბოლოებიც. ასე მაგ.:

პეტრუს ვესკონტეს რუკაზე (1325 წ.) კონსტანტინოპოლთან აღმართულია წითელი, სამტოტიანი, მართკუთხედის ფორმის ალამი, რომელზეც ერთი ოქროსფერი ჯვარია მონიშნული, ხოლო მის ტოტებქვეშ 4 ცალი ლათინური ასო „B“ წერია. ასეთი დროშა აღმართულია შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთანაც.

აბრაჰამ და იეჰუდა კრესკების (Cresque) რუკაზე (კატალონიის ატლასიდან) კონსტანტინოპოლთან ორი დროშაა, ერთი მათგანის ალამი ოთხკუთხა, წითელი ფერის ტილოა, ზედ ოქროსფერი ჯვარია გამოსახული, მეორეს ალამი კი თეთრი ფერისაა, წითელი ჯვრით. ასეთივე დროშაა მონიშნული ყირიმის ნახ.კ.-ზე.



პეტრუს ვესკონტე (1325 წ.)

ანდრე ბენიკაზის რუკაზე (1508 წ.) კონსტანტინოპოლთან, მის ევრო-პულ ნაწილში ორი ოთხკუთხა აღმნიანი დროშაა აღმართული. ერთის ალაში თეთრი ფერისაა, წითელი ჯვრით, ხოლო მეორე ალაში წითელი ფერისაა,




აბრაჰამ და იეჰუდა კრესკები (XIV ს.)



ანდრე ბენიკაზი (1508 წ.)

მოხატული ოქროსფერი ფიგურებით. პირველი დროშის მსგავსი დროშებით მონიშნულია ყირიმის ნახევარკუნძული, აზოვის სანაპიროს პუნქტი და ტრაპიზონის მომდევნო პუნქტი (სულ რეგიონში თორმეტი ასეთი დროშაა მოცემული).

სალვათ დე პილესტრინას (იგივე Davide Uccello) 1511 წ-ის რუკაზე კონსტანტინოპოლთან ორი დროშაა აღნუსხული. პირველის ალამი ოთხკუთხაა, ოქროსფერი, ზედ არწივის გამოსახულებით. მეორეს ალამი თეთრია, წითელი ჯვრით, ასეთივე ალმინი დროშაა ყირიმის ნახევარკუნძულზე, კაფასთან და ქ. ცხუმთან.



სალვათ დე პილესტრინა (1511 წ.)

ჯორჯო სიდერის რუკაზე (1565 წ.) კონსტანტინოპოლთან ორი დროშაა, ქალაქის ევროპულ ნაწილზე ნაჩვენებია დროშა ოთხკუთხა ალმით, რომელზეც „ხუთჯვრიანი“ სიმბოლოა გამოსახული. აზიურ ნაწილში კი დროშის ალამზე მთვარეა გამოსახული. მსგავსად ქალაქის ევროპულ ნაწილზე აღნუსხული „ხუთჯვრიანი“-სა, ასეთივე დროშა აღმართულია ყირიმშიც, ქ. კაფასთან.



ჯორჯო სიდერი (1565 წ.)


ამრიგად, ზემონაჩვენები მონაცემებით ირკვევა, რომ სხვადასხვა საუკუნეში მოღვაწე კარტოგრაფები ქ. კონსტანტინოპოლს არ აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე „ტერიტორიული“ დროშით. ამ ქალაქთან აღმართულია ხან „ხუთჯვრიანის“ მაგვარი, ხან არნივის გამოსახულებიანი, ხანაც ჯვრიანი დროშები. მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც ერთ რუკაზე ქ. კონსტანტინოპოლთან მონიშნულია ერთდროულად ორი სხვადასხვა დროშა. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. პ. ვესკონტეს 1325 წლით დათარიღებულ პორტულანოზე მონიშნულია „ხუთჯვრიანის“ მსგავსი დროშა, რომლის ალამზე, ჯვრის ტოტებქვეშ ნერია ლათინური ასო „B“. ეს დროშა, რომელსაც მ. გონგაძე ბიზანტიის ტერიტორიის სიმბოლოდ მიიჩნევს, სინამდვილეში არ გახლავთ იმპერიის სახელმწიფო დროშა. ცნობილია, რომ ცნება „ბიზანტია“, როგორც რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის აღმნიშვნელი, ევროპის სამეცნიერო წრეებში პირველად ჩნდება XVI ს-ში. ამდენად, 1325 წელს პ. ვესკონტე ქ. კონსტანტინოპოლთან „B“ წარწერიანი დროშით იმპერიის ტერიტორიას ვერანაირად მონიშნავდა, ვინაიდან იმხანად იმპერია „რომანია“ („გრაკია“)–ს სახელწოდებით „ბიზანტია“ არავინ იცნობდა. ასე რომ, ვერ მივიღებთ მ. გონგაძის მიერ შემოთავაზებულ მაგალითს იმის საჩვენებლად, თითქოსდა ხსენებული დროშა გახლავთ ბიზანტიის იმპერიის „ადგილობრივი სიმბოლიკა“. დროშა იგი არ არის ბიზანტიის სახელმწიფო სიმბოლო და მისი მოხმობა, რათა პარალელის გავლების გზით ვირწმუნოთ, რომ ცხუმთან აღმართული შედგენილი დროშა აფხაზეთის „ადგილობრივი სიმბოლოა“, გაუმართლებელი გახლავთ. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ XV-XVI სს-ში შექმნილ პორტულანოებზე ქ. კონსტანტინოპოლის ადგილას მონიშნულია ხან „ხუთჯვრიანი“, ხანაც ჯვრიანი ალმები. ჩნდება კითხვა, რით აიხსნება, რომ XV-XVI სს-ის კარტოგრაფები ამ დროშებით აღწუსხავენ იმ ქალაქს, რომელსაც სახელწოდებაც შეცვლილი აქვს და უკვე სტამბოლი ჰქვია და რომლის სახელმწიფო აღარ არსებობს, მის ადგილას კი დაფუძნებულია ეთნიკურად, სარწმუნოებით და პოლიტიკურ-ეკონომიკურად სრულიად განსხვავებული ოსმალეთის იმპერია?! სინამდვილე ისაა, რომ კარტოგრაფები „ხუთჯვრიანი“ თუ ჯვრიანი დროშებით აღნიშნავდნენ ქ. სტამბოლის ევროპულ ნაწილში დაარსებულ კათოლიკთა სამისიონერო ცენტრსა და სავაჭრო კოლონიას, თორემ ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო სიმბოლო (ნახევარმთვარე) რუკებზე ქ. სტამბოლის აზიურ ნაწილში სწორედაც რომ მონიშნულია. ამიტომ კვლავაც უნდა აღვნიშნოთ, მ. გონგაძის მიერ მოხმობილი პ. ვესკონტეს „ხუთჯვრიანი“ დროშა არ გამოდგება მისი თვალსაზრისის დასამტკიცებელ არგუმენტად – თავად პ. ვესკონტეს რუკის სიმბოლო არ გახლავთ ბიზანტიის „ტერიტორიულ-ადგილობრივი“ დროშა და მით უფრო გაუმართლებელია ამ სიმბოლოს მოხმობა იმის ნიშნად, რათა ვაჩვენოთ შედგენილი დროშის კავშირი ქართულ სინამდვილესთან.

კითხვები ჩნდება ტრაპიზონის საკეისროს დროშასთან დაკავშირებითაც. თუკი მ. გონგაძე თავისი ვარაუდის გასამყარებლად ტრაპიზონთან აღმართულ, არნივის გამოსახულებიან დროშას მოიხმობს, მაშინ იქვე უნდა

განემარტა, რატომ არის ზოგიერთ რუკაზე, ტრაპიზონის მომდევნო პუნქტთან მონიშნული ნითელჯვრიანი ალაში და რა კავშირი აქვს მას ან ტრაპიზონის საკეისროს ან, მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ, საქართველოს „ადგილობრივ სიმბოლიკასთან“?! თუმცა მის სტატიაში ეს კითხვაც უპასუხო რჩება. ერთი სიტყვით, ფაქტებით ცხადდება, რომ ავტორის თვალსაზრისი შედგენილი დროშების მნიშვნელობის თაობაზე მცდარია და დაუსაბუთებელი. არც შუა საუკუნეების წყაროთა ცნობებით და არც ქართული ვექსილოლოგიური მასალით არ წარმოჩინდება, რომ დასავლეთევროპულ პორტულანოებზე აღნუსხული შედგენილი დროშებით გამოსახული გახლავთ აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიული და სრულიად საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები.

ჯვრიანი დროშა


დაბოლოს, უნდა გამოვყოთ პორტულანოებზე ქ. ცხუმთან მონიშნული ჯვრიანი დროშის საკითხი. მ. გონგაძე შენიშნავს: „არსებობს რუკები, რომლებზეც ცხუმის თავზე მხოლოდ ერთჯვრიანი დროშებია გამოსახული“, რაც, მისი აზრით, გასათვალისწინებელი ყოფილა. ავტორი მხოლოდ ამ განცხადებით შემოიფარგლა და არ ხსნის, თუ რატომ არის მონიშნული ამგვარი დროშებით შავი ზღვის სანაპიროზე არა მხოლოდ ცხუმი, არამედ სხვა პუნქტებიც. მართლაც, დასავლეთევროპული პორტულანოების მიხედვით ჩანს, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში მდებარე პუნქტებთან აღმართულია დროშები, რომელთა ალაში თეთრი ფერისაა და ზედ აღბეჭდილია ნითელი ჯვარი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ XV ს-ში მოღვაწე გენუელი კარტოგრაფის ალბანო დე კანეპას პორტულანო. ამ საზღვაო რუკაზე ნითელჯვრიანი დროშებით მონიშნულია ქ. ცხუმი, ქ. კაფა, პონტოს ჩრდილოეთი სანაპიროს დასახლებები და მისი სამხრეთი სანაპიროს პუნქტები (ქ. კონსტანტინოპოლი, ქ. ტრაპიზონი და სხვ.).



ალბინო დე კანეპა (1489 წ.)


საგულისხმოა, როგორ ხსნიან ამ დროშის მნიშვნელობას თურქი მკვლევარები.

„Genevizli haritacı Albino de Canepa Tarafından yapılmış, portolan haritası. Haritada Karadeniz'deki Geneviz ticaret kolonileri yer almakta olup. Onlar arasındaki (Sokhumi) Sebastopol ticaret kolonisi Gürcüstan Krallığı içinde gösterilmiştir“: „გენუელი კარტოგრაფის, ალბინო დე ჯანეპას მიერ შექმნილი საზღვაო რუკა. რუკაზე ნაჩვენებია შავი ზღვის ის ადგილები, რომლებიც გენუის სავაჭრო კოლონიებს ეკავათ. მათ შორისაა სოხუმის (სებასტოპოლი) სავაჭრო კოლონია, რუკის მიხედვით, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რომ არის“. როგორც ვხედავთ, თურქი მეცნიერები შენიშნავენ, რომ პორტულანოების შემქმნელი ავტორები რუკებზე ნითელჯერიანი დროშით უთითებენ სხვადასხვა ქვეყანაში დაფუძნებულ ევროპელთა სავაჭრო ცენტრებს. ეს ნიშნავს, რომ ამ დროშათა მნიშვნელობა მათთვის, ისევე, როგორც სხვა უცხოელ მეცნიერთათვის, სრულიად გამჭვირვალეა და ცხადი. თანამედროვე თურქმა მეცნიერებმა, საკუთარი ეთნოსის ისტორიიდან, კერძოდ კი, ოსმალეთ-გენუისა და ოსმალეთ-ვენეციის ურთიერთობებიდან გამომდინარე, ჩინებულად უწყიან, თუ როგორი იყო ევროპელთა ვექსიოლოგიური სიმბოლოები. მათ მიერ შედგენილი ოსმალური ენციკლოპედიის რვატომეულში მრავლად ვხვდებით გემებზე აღმართული, გენუელთა და ვენეციელთა დროშების ამსახველ ფოტომასალას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შუა საუკუნეებში მოღვაწე ოსმალთა მემატრიანეთა ჩანახატები, სადაც აღბეჭდილია ევროპელთა დროშები მათ ხომალდებზე. ამდენად ეს მასალა ნყაროს მნიშვნელობას იძენს პორტულანოებზე გამოსახული ჯერიანი დროშების მნიშვნელობის ახსნისთვის.²⁶




1. ევლია ჩელების (XVII ს) გრაფიკული ჩანახატი. ევროპელთა ხომალდებზე აღმართულია ჯერიანი დროშები.


26 Osmanlı Ansiklopedisi, Tarih/Medeniyet/Kültür, İstanbul, 1993, c. III, c. IV, 1) ტ. III, გვ. 188; 2) ტ. III, გვ. 110; 3) ტ. IV, გვ. 226; 4) ტ. IV, გვ. 254.



2. ინეზაპის ბრძოლა (1571წ.). „სალვო ლიგისა“ და ოსმალების ხომალდების შეტაკება. ევროპელთა ხომალდებზე – ჯვრიანი დროშები.



3. ოსმალების ფლოტის გამარჯვებით დასრულებული ბრძოლა კოიუნის კუნძულებისთვის (XVII ს). ევროპელთა ხომალდებზე – ჯვრიანი დროშები.



4. მუსტაფა II-ის (1695-1703 წ.წ.) ტახტზე ასვლის წელს სინგინისთვის წარმოებული ოსმალთა საზღვაო ბრძოლა ევროპელებთან, რომელთა ხომალდებზე აღმართულია ჯვრიანი დროშები.


გენუელთა და ვენეციელთა გემებზე აღმართული ჯვრიანი დროშები ამ ქალაქ-რესპუბლიკების პოლიტიკური სიმბოლოა და მას არაფერი აქვს საერთო სხვა ქვეყნების „ტერიტორიებთან ასოცირებულ ადგილობრივ სიმბოლიკასთან“. ცნობილია, რომ გენუა და ვენეცია ერთმანეთს ეცილებოდნენ ახლო აღმოსავლეთში გამავალ სავაჭრო მაგისტრალზე გაბატონებისა და ხმელთაშუა, შავი და აზოვის ზღვების პორტებთან სავაჭრო ცენტრების დაარსების გამო. გენუელებს ბიზანტიაში XIII ს-დან მოპოვებული ჰქონდათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება, რასაც მოჰყვა მათი კოლონიების დაფუძნება სმირნაში, ტანასთან, კაფასთან და სხვ. ვენეციელთა უპირატესობა, ამ მხრივ, იკვეთება XIV ს-დან, როდესაც მათ საუკუნოვანი დაპირისპირების შემდგომ ჩამოცილეს გენუელები და ვაჭრობის სფეროში თავად გახდნენ ძირითადი

შუამავალნი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამასთანავე, ოსმალეთს ხარკს უხდიდნენ, რადგანაც იმპერიის ტერიტორიაზე დაარსებული ჰქონდათ საკუთარი სავაჭრო ცენტრები. გამომდინარე აქედან, შავი, აზოვისა და ხმელთაშუა ზღვების სანაპირო პუნქტებთან მონიშნული ჯვრიანი დროშები გამოხატავენ ევროპელთან სავაჭრო კოლონიებსა თუ ფაქტორიებს. საქართველოში, ქ. ცხუმთან ფუნქციონირებდა კათოლიკთა სავაჭრო ფაქტორია, ხოლო ქ. კაფასა და აზოვის სანაპირო დასახლებებში მოქმედებდა მათი სავაჭრო კოლონიები. ამიტომაცაა რუკებზე მონიშნული ჯვრიანი დროშებით ხსენებული გეოგრაფიული ნომენკლატურა. თეთრ ფონზე წითელჯვრიანი (ან წითელ ფონზე თეთრჯვრიანი) დროშები გაჩნდა შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ სამყაროში (გენუა, ვენეცია) და მათი გამოყენება პორტულანოებზე არანაირად არ უკავშირდებოდა სხვა სახელმწიფოების სიმბოლიკას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მ. გონგაძე ამას თავადვე აღიარებს: „ცხუმის თავზე გვხდება ვენეციის დროშა, რამდენიმე რუკაზე გამოსახულია გენუის დროშაც.“ ოღონდაც ამ ფაქტებს იგი აღიქვამს ოდენ იმ გამონაკლის შემთხვევებად, როდესაც „სიმბოლოთი გამოსახულია არა ტერიტორია, არამედ სავაჭრო ფაქტორია“. ჩანს, ავტორისთვის, ერთი მხრივ, „ხუთჯვრიანი“ და შედგენილი, ხოლო, მეორე მხრივ, ჯვრიანი დროშები შინაარსობრივად განსხვავებული სიმბოლოებია და მათი მნიშვნელობის ახსნას იგი ასევე განსხვავებული არგუმენტებით ცდილობს. ავტორის ამგვარი „ორმაგი“ მეთოდი საკითხის კვლევისა გასაგებია, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევდა ელიარებინა, რომ რუკებზე აღნიშნული ჯვრიანი დროშების მსგავსად „ხუთჯვრიანი“ და შედგენილი დროშებიც გამოხატავენ დასავლეთევროპული ქვეყნების გარკვეული ფუნქციების მქონე ცენტრებს! ერთი სიტყვით, „ხუთჯვრიანი“ დროშა, აგრეთვე შედგენილი და ჯვრიანი დროშები, რომლებითაც მონიშნულია შავი, აზოვის, ხმელთაშუა ზღვების აუზებში მდებარე ქალაქები და აგრეთვე სხვა გეოგრაფიულ არეალში განლაგებული პუნქტები, გახლავთ კარტოგრაფიული ნიშნები, რითიც პორტულანოების ავტორები აღნუსხავდნენ დასავლეთევროპულ ხელისუფალთა მიერ მახლობელი აღმოსავლეთის და სხვა ქვეყნებში დაარსებულ სარწმუნოებრივ, პოლიტიკურ თუ სავაჭრო ცენტრებს — იქნებოდა ეს საეპისკოპოსო კათედრა და მისიონები („ხუთჯვრიანი“ დროშა), საკონსულოები (ზოლებიანი ალამი) და სავაჭრო კოლონიები თუ ფაქტორიები (ჯვრიანი დროშა).


ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული ცნობები თუ ვექსილოლოგიური მასალა და, რაც მთავარია, თავად პორტულანოებზე სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში აღნუსხული „ხუთჯვრიანი“ და შედგენილი დროშები ცხადყოფენ, რომ მ. გონგაძის ნაშრომში წარმოდგენილი „ვექსილოლოგიური მემკვიდრეობა“ არ განეკუთვნება ქართულ სიმბოლიკას. ეს დროშები არასოდეს ყოფილა არც საქართველოს სამეფოს და არც აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური სიმბოლოები.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ მ. გონგაძის მიერ განხილული შუა საუკუნეების ევროპული საზღვაო რუკები (პორტულანოები) არ წარმო-

ადგენენ „აფხაზეთის ვექსილოლოგიური მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს წყაროს“ და ისინი „ამა თუ იმ პერიოდში ტერიტორიაზე მოქმედი სიმბოლიკისთვის“ არ შეიძლება არა თუ უმნიშვნელოვანეს წყაროდ, არამედ საერთოდ წყაროდ მივიჩნიოთ. გამომდინარე აქედან, გაუმართლებელია ზემოგანხილულ პორტულანოებზე აღნიშნული დროშები, როგორც „პირველადი წყარო“, საფუძვლად დაედოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის პროექტს.



კილიკიის სომხეთი
შედგენილი დროშა (1443 წ.)



აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა
(შედგენილი დროშის პროექტი).

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში შემუშავებულ პროექტს სახელწოდებით „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ საფუძვლად არ უდევს შუა საუკუნეების არც აფხაზეთის სამთავროს და არც საქართველოს სამეფოს ვექსილოლოგიური ნიმუშები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის შესაქმნელი დროშის პროექტი არ ასახავს და, მეტიც, ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს.

NINO JAVELIDZE

ABOUT PROJECT “FOR ABKHAZIAN SYMBOLISM”

Summary

In 2016 year under the aegis of State Soviet Heraldry under the Parliament of Georgia it was issued a book-project titled as “For Abkhasian Symbolism”. In this project, which the author and the vice-president of mentioned above State Soviet Mamuka Gongadze wants to present to the Parliament of Georgia to statement the symbol (banner) for the Autonomous Republic of Abkhasia, holds that the Middle Ages West European portolans are the “most important sources” for investigation the “vexillis” heritage of Abkhasia. Hence, the cartography symbols, which are on the portolans, are “primary sources” for him to create the flag project of Abkhasia.

Let’s begin from that how it is lawful to hold the Middle Ages West European portolans as the “most important sources” to estimate the view of banners of the whole Georgia and the Autonomous Republic of Abkhasia? Such approach will be acceptable only in that case if it would not exist other reliable sources. Moreover, it is known that there are exist an enormous materials as narrative sources as is also reached to us the Middle Ages Georgian banners, which proves the view of Georgian king’s flag and other banners. In particular, on the flags of the Middle Ages banners first of all there was the St.George portrayal. There are no banners where were flags with “five crosses”. Moreover, the “five crosses” flags as well as so called compound flags, which are on the different geographical parts of the portolans, are saying about that banners with these flags never were the state-political symbols neither Georgian kingdom’s and nor Abkhasian principdom’s.

As appears from the above it must be concluded, that the Middle Ages West European portolans are not the “most important sources of “vexillis” heritage of Abkhasia”, moreover, it is impossible to use them as a “most important sources” or as a source in general. Thus, there is no evidence about mentioned above portolans that they may be use as a “primary sources” and take them as a fundamental principle of banner project for the Autonomous Republic of Abkhasia.

Н.М. ДЖАВЕЛИДЗЕ

ПО-ПОВОДУ ПРОЕКТА «ДЛЯ СИМВОЛИКИ АБХАЗИИ»

Резюме

В 2016 году под эгидой Государственного совета геральдики при парламенте Грузии была издана книга-проект под названием «Для символики Абхазии». Автор, заместитель председателя упомянутого Государственного совета Мамука Гонгадзе, в своем проекте, представляемом на утверждение символа (знамени) Автономной республики Абхазии, считает, что средневековые западноевропейские портуланы являются «наиважнейшим источником» изучения вексиллологического наследия Абхазии. Исходя из этого, картографические знаки, имеющиеся на портуланах, для него оказались «первоисточником» создания проекта флага Автономной республики Абхазии.

Начнем с того, насколько правомерно считать, что средневековые западноевропейские портуланы являются «наиважнейшим источником» для установления вида Государственного знамени всей Грузии и Автономной республики Абхазии? Такой подход, мог бы быть приемлемым только в том случае, если бы не существовало других достоверных исторических источников. При этом известно, что существует огромный материал как в виде письменных источников, так и в виде дошедших до нас средневековых грузинских знамен, доказывающих как выглядел флаг царя Грузии и другие знамена. В частности, флаги различных грузинских знамен Средневековья были украшены, в первую очередь, изображением великомученика Св. Георгия. Наличие «пятикрестного» флага не наблюдается ни на одном из знамен. Более того, «пятикрестный» флаг, а также т.н., составные флаги, нанесенные на те или иные географические области морских карт, гласят о том, что знамена с такими флагами никогда не были государственно-политическими символами ни царства Грузии, ни княжества Абхазии.

Исходя из вышесказанного, следует заключить, что средневековые европейские портуланы не являются «наиважнейшим источником вексиллологического наследия Абхазии», и более того, их вообще нельзя принять за источник, тем более за «первоисточник». Таким образом, совершенно не обосновано утверждение о том, что вышеупомянутые портуланы могут быть признаны в качестве «первоисточника», и приняты за первооснову проекта знамени Автономной республики Абхазии.

482-484 წლების ანტიირანული აჯანყება ქართლში.

ამგაზუჯის უწყევტი

468 წელს ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა აშკარად პრობიზანტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. როგორც ირანის შაჰი, ისე ქართლ-ალბანეთის მარზპანი, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდნენ, ვახტანგის ასეთ კურსს ისინი თუ ზღვარს არ დაუდებდნენ, ქართლს დაკარგავდნენ. V ს-ის 80-იანი წლების დამდეგიდან, მათ ვახტანგის უფლებები, როგორც ჩანს, საგრძნობლად შეზღუდეს (ცხადია, უფრო დამძიმდებოდა ირანელთა ბატონობა ქართლის „წერილი ერისათვის“) და შედეგმაც არ დააყოვნა. V ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში, როცა ირანელებს განსაკუთრებით გაურთულდათ მდგომარეობა შუა აზიაში, ვახტანგი ირანელთა წინააღმდეგ აჯანყდა. ამ აჯანყების შესახებ ჯუანშერის თხზულებაში არაფერია ნათქვამი (რადგან ვახტანგი აჯანყებაში დამარცხდა, სავარაუდებელია, ის ცნობები, რომლებიც აჯანყებას ასახავდა, გვიან, როცა ქართველთა წარმოდგენაში ვახტანგის სახე უძლეველი გმირისა და სამაგალითო მეფის შარავანდედით შეიმოსა, ამოიღეს). სამაგიეროდ, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის თხზულებაში აისახა. „ქართლის ქვეყანაში, - წერს ფარპეცი, - მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბედუზი ვაზგენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“ [21:243].

ფარპეცი, როგორც ვხედავთ, ვახტანგ გორგასლის მიერ ვაზგენის (იგივე ვარსქენ პიტიახში) მოკვლისა და აჯანყების დანაშაულის თარიღად პეროზის მეფობის ოცდამეხუთე წელს უთითებს. რადგან პეროზმა 459 წელს დაიკავა ირანის ტახტი, მისი მეფობის 25-ე წელი 484 წელზე მოვა და გამოდის, რომ ამ წელს მოაკვლევინა ვახტანგმა ვარსქენი და იმავდროულად აჯანყდა კიდეც [17:280].

ფარპეცის ცნობის საფუძველზე ს. გორგაძემ ვარსქენის მკვლელობა 483, ხოლო აჯანყება 483-484 წლებით დაათარიღა [10:71]. ივ. ჯავახიშვილმა მთელი აჯანყების მსვლელობა 484 წლით განსაზღვრა. მისი თქმით, ვახტანგ მეფემ პიტიახში ვარსქენი 484 წელს მოაკვლევინა, რაც სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხების წინამორბედი იყო [17:280].

როგორც ლ. ჯანაშია წერს, ვარსქენის მოკვლის წლად ეს თარიღია მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში [21:144], მაგრამ ეს სწორი არ არის. თუ ჩვენ - წერს ივ. - დავეყრდნობით თვით აჯანყების მსვლელობის აღწერას, რომელიც მოცემული აქვს ლაზარ ფარპეცის, დავინახვთ, რომ პეროზი

აჯანყების დაწყებიდან მესამე წელს დაილუპა (რადგან აჯანყების დაწყებიდან ამ ამბებამდე ორჯერ დაუზამთრებია), მაშასადამე აჯანყება 482 წელს დაწყებულია. ამრიგად, ასკენის იგი, ვარსქენის მოკვლა და ვახტანგის აჯანყება 482 წელს უნდა მომხდარიყო [21:142].

როგორც ლ. ჯანაშია წერს, აჯანყება, მართლაც, 482-484 წლებით უნდა დათარიღდეს, მაგრამ ვარსქენის მკვლელობის მისეულ თარიღს ვერ დავეთანხმები. ვახტანგ მეფის მიერ ვარსქენ პიტიახშის 482 წელს მოკვლევის შესახებ თავისი აზრი ლ. ჯანაშიამ 1973 წელს „საქართველოს ისტორიის ნაკრევების“ II ტომშიც გაიმეორა. „უშუალოდ აჯანყების დაწყების წინ— წერს იგი— ვახტანგმა იერიში მიიტანა თავის მონინაალმდეგე, ქართლის დიდებულებზე. პირველ ყოვლისა, მან თავის მონინაალმდეგეთა ერთ-ერთი ბელადი ვარსქენ პიტიახში ჩამოიშორა“. შემდეგ ლ. ჯანაშია იქვე დასძენს: „პეროზის ოცდამეხუთე წელი გვაძლევს 483-484 წლებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ლაზარ ფარპეცის აქ შეცდომა მოსვლია, სინამდვილეში ვარსქენი მოუკლავთ 482 წელს“ [18:100-101;19:312;20:336]. ვარსქენი ვახტანგმა, მართლაც, აჯანყების დაწყებისთანავე რომ მოაკვლევინა, ასეთ მოსაზრებას ლ. ჯანაშია იმიტაც ამართლებს, თითქოს ვარსქენის მოკვლით ვახტანგმა „მეტი იდეური სიცხოველე შეჰმატა თავის ბრძოლას ცეცხლთაყვანისმცემელ ირანელებთან“ რომ „ბრძოლა წარმოებდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ სარწმუნოებისთვისაც“ [18:101].

ლ. ჯანაშიას ზემომოტანილი მსჯელობა, თითქოს, მისაღები ჩანს, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ფარპეცის ცნობაში ეჭვი შევიტანოთ. ვფიქრობ, ირანის შაჰის სიძე და ქართლის ცნობილი ფეოდალი ადვილად არ ჩაუვარდებოდა ხელში ქართლის მეფეს. უფრო სავარაუდებელია, აქტიური ზომები ვარსქენის წინააღმდეგ ვახტანგს 484 წელს შუა აზიაში ჰუნებთან ბრძოლაში პეროზის დაღუპვის შემდეგ გაეტარებინა. როცა ვარსქენის მფარველი შაჰი ცოცხალი აღარ იყო. ამ მხრივ ფარპეცის ცნობა საეჭვო არ ჩანს.

რაც შეეხება აჯანყების დაწყებას, მისი დრო, მართლაც, კარგად იყო შერჩეული. გარდა იმისა, რომ ირანს გართულებული ჰქონდა მდგომარეობა შუა აზიაში, სომხეთსა და ალბანეთში უკვე ანტიირანული აჯანყებები იყო დაწყებული. აჯანყებულთა წარმატება პირველ ხანებში იმანაც განაპირობა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ძირითადი სამხედრო ძალები ირანელებს შუა აზიაში ჰყავდათ გაყვანილი, რის გამოც, იმხანად ირანული გარნიზონები ქართლში მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო [18:101]. სწორედ ზემოაღნიშნულის გამო აჯანყების დაწყებისას ქართლიდან ირანელთა განდევნა ვახტანგმა ადვილად შეძლო.

ცნობას ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებისა და ჰუნებთან ვახტანგის კავშირის შესახებ სომეხთა თავკაცებში დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია. სომხებში თვით ვახტანგიც რომ ცნობილი ყოფილა და მას მამაც მეომრად თვლიდნენ, მათ გადაუწყვეტიათ აჯანყებული ქართველებისათვის მხარი დაეჭირათ.

482 წელს, აჯანყების წარმატებით დაწყების მიუხედავად, რადგან ვახტანგს ჩრდილო კავკასიიდან ჰუნთა შეპირებული ლაშქარი არ მოუვიდა

(ასევე, არც ბიზანტიელთა დახმარების იმედი ჰქონდა), ლ. ჯანაშია აჯანყებულთა მდგომარეობას იმთავითვე მძიმედ თვლის. მაგრამ, საეჭვოა, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება ვახტანგს მხოლოდ პუნთა იმედით დაენყო. როგორც ფარპეცის ცნობიდან ჩანს, პუნთა მოუსვლელობას რადგან სომხები უფრო მეტად განიცდიდნენ, ეს, ვფიქრობ, იმით იყო განპირობებული, ვახტანგი პუნებით დახმარებას სომხებისადმი რომ იყო შეპირებული. სხვა მხრივ როგორ უნდა აიხსნას – ზამთარში, როცა საბრძოლო მოქმედება შეწყვეტილი იყო (კავკასიის ზეკარები კი ალბათ თოვლით ჩაკეტილი), სომხთა დაჟინებული თხოვნის გამო, მათ ვახტანგ მეფემ 300 პუნი რომ გაუგზავნა. მაგრამ „ზამთარის ერთი თვეც არ იყო გასული“ ეს პუნები ვახტანგმა ისევ უკან გაიწვია. ვახტანგ მეფის ასეთ ქმედებას ლ. ჯანაშია იმით ხსნის, ვახტანგს „შინაურობაში გართულებული მდგომარეობა“ რომ ჰქონდა [18:10]. მაგრამ, ქართლის მეფეს შინაურ მტრებთან ბრძოლა განა ისე უჭირდა, რომ 300 პუნის დახმარება ნყვეტდა საქმეს? ვახტანგ მეფის ხელისუფლება იმხანად, ცხადია, იმდენად ძლიერი იყო, რომ მას შინაურ მტრებთან ბრძოლა არ გაუჭირდებოდა. სხვა საქმეა როცა ამ შინაურ მტერს შაპი მფარველობდა და შინაურ მტრებთან ერთად მეფეს ირანელთა მრავალრიცხოვან ლაშქართან უხდებოდა ბრძოლა. „საიდანლაც შეკრებილი ეს სამასი პუნი“ ვახტანგ მეფეს არც შინაურ მტრებთან და არც ირანელებთან ბრძოლაში არ გამოუყენებია. საიდან მოიყვანა ისინი მეფემ? ამის შესახებ ჩვენ მეცნიერებაში ერთი პასუხია – ჩრდილო კავკასიიდან.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩემი სადოქტორო დისერტაციის მომზადებისას კარგად არ ვიცნობდი არა თუ ჩრდილო კავკასიის პუნურ-თურქულ სამყაროს, იქ ოსთა წინაპრების მოსვლისა მათ მიერ პირველი გაერთიანებების შექმნის დროის საკითხსაც. ამიტომ დისერტაციის ტექსტში ვწერდი: „საიდანლაც შეკრებილი ეს სამასი პუნი“ (როგორც ლ. ჯანაშია მიუთითებს) „იქნებ პუნთა...ნაწილი იყო და ძირითადი მასის გადაადგილებასთან ერთად მათაც დატოვეს ამიერკავკასიის ტერიტორია“ [11:167]. 482-484 წლების ანტიირანულ აჯანყებაზე საუბრისას არც VI ს-ის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის ის ცნობა გამომიყენებია, რომელშიც V ს-ის დასასრულისათვის დარიალის კარის მფლობელად „შთამომავლობით პუნი ამბაზუკია“ დასახელებული. დღეისათვის ჩემთვის ახ.წ. I-VI საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე არსებული ეთნიკური ვითარების შესახებ მეტია ცნობილი [6;9]. როგორც გაირკვა, იმ დროის ჩრდილო კავკასიაში არსებული პოლიტიკური და ეთნიკური ვითარების შეფასებისას ცდებოდნენ არა მარტო თანამედროვე მკვლევრები, არამედ ძველი ავტორებიც. ასე მაგ., არ დასტურდება V ს-ის სირიელი ავტორის – ზაქარია რიტორის ცნობა V ს-ის შუახანებისათვის ჩრდილო კავკასიაში პუნი ჰეფტალიტების ყოფნის შესახებ (იხ. ქვემოთ შენ. 23) და სხვა. ფაქტი ისაა, რომ როცა საჭირო იყო ვახტანგ გორგასალმა ჩრდილო კავკასიაში ვერც პუნები და ვერც სხვა ხალხი, მათ შორის ოსთა წინაპრები ვერ დაიქირავა (იქნებ არ დაიქირავა?). ისე კი, საუკუნეთა მანძილზე კავკასიის გადაღმა მცხოვრები და მომთაბარე

ხალხები („კავკასიანები“) ქართლის სამეფოს სიძლიერეს განაპირობებდნენ. „კავკასიანთა“ თანადგომით არამარტო ქართლის სამეფოს მესვეურები, პართიისა და რომის (შემდგომში სასანიანთა ირანი და ბიზანტია) მმართველებიც იყვნენ დაინტერესებულნი. ეს სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩრდილოელთა სამხედრო ძალა მონინალმდეგისაკენ მიემართათ. სათანადო გასამრჯელოს მიღების შემდეგ ჩრდილოელები სიამოვნებით თანხმდებოდნენ დაქირავებული ლაშქრის სახით მონაწილეობა მიეღოთ როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოების, ისე პართიის, რომისა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ოპერაციებში. ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე მომთაბარეთა მიერ შექმნილი გაერთიანებები ამიერკავკასიის სახელმწიფოებისთვის ერთი მხრივ თუ სასურველი სამხედრო მოკავშირის როლში გამოდიოდნენ, მეორე მხრივ ისინი თავისი მოკავშირის ტერიტორიების დარბევაზე და ძარცვა-გლეჯაზეც არ ამბობდნენ უარს. ამიტომ საჭირო გახდა ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე შემოსული მომთაბარეებისათვის ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი გზების ჩასაკეტად აეგოთ სპეციალური სიმაგრეები და კედლები, მათ შორის დარიალი, დარუბანდი და სხვანი.

ქართლის ძლიერი სახელმწიფო ახერხებდა თავისი კონტროლი დაენესებინა დიდი კავკასიონის ზეკარებზე (დარიალის კარი და სხვანი), ჩრდილოელთა სახით კი ძლიერი იარაღს ფლობდა თავისი სამხრეთელი მეზობლების წინააღმდეგ. ქართლის სამეფოს მესვეურებს ყოველთვის შეეძლოთ შეთანხმებოდნენ მთიელებს და მომთაბარეებს, გამოეშვათ ისინი სამხრეთისაკენ და მათთან ერთად გაენადგურებინათ თავისი მონინალმდეგის ტერიტორია [32:293]. ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონების შემდეგ კავკასიონის ზეკარებით სასანიანთა ირანიც დაინტერესდა და საბოლოოდ ზეკარებზეც ირანელთა კონტროლი დამყარდა. ზეკარების გასაკონტროლებლად სასანიანებმა შექმნეს სპეციალური მმართველობის სისტემა, ზეკარების დაცვა ქ. ბარდამი მჯდომი ირანელ მარზპანთა ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა გახდა. თუმცა, პროკოპიოს კესარიელის ცნობიდან გამომდინარე, 482 წელს ქართლში დაწყებული ანტიირანული აჯანყებისას დარიალის კარს ირანელები კი არა, „შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკი“ აკონტროლებდა. ე.ი. საკმარისი იყო ვახტანგ გორგასალი ამბაზუკს შეთანხმებოდა გზის გახსნის შესახებ და შესაძლებელი იქნებოდა ჩრდილო კავკასიიდან ჰუნთა დაქირავებული ლაშქარი გამოეყვანა, მაგრამ ვახტანგმა ეს ვერ შეძლო. ჰუნების მრავალრიცხოვანი ლაშქრის ნაცვლად სომხებს მხოლოდ 300 ჰუნი გაუგზავნა.

დაქირავებული ლაშქრის გარეშე დარჩენილი მეფე, მას შემდეგ რაც ჭარმანიანის ველზე ირანელებთან ბრძოლაში დამარცხდა (ბრძოლის მიმდინარეობისას სომხებმა ბრძოლის ველი დატოვეს), იძულებული შეიქმნა ქართლი დაეტოვებინა. ქვემოთ შევეცდები ავხსნა რატომ ვერ დაიქირავა ვახტანგ გორგასალმა ჰუნები, ვინ უნდა ყოფილიყო დარიალის კარის მფლობელი ამბაზუკი. აქვე ისმის კითხვა— ახ.წ. 35 წელს ქართველებმა დიდი გამარჯვება პართელებზე ოსთა წინაპრების დახმარებით მოიპოვეს. V ს-ის დასასრულისათვის ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე ოსთა წინაპრების ორი

ძლიერი გაერთიანება არსებობდა, ვახტანგ გორგასალმა რატომ მათი დაქორავება არ სცადა?

ლ. ჯანაშიას სიტყვით, აჯანყების დაწყებისას ვახტანგ მეფემ, მართალია ბიზანტიელებისაგან დახმარება ვერ მიიღო, მაგრამ სამაგიეროდ იგი მოლაპარაკებია ჩრდილო კავკასიელ ჰუნებს და პირობა მიუღია მათგან, რომ ისინი მას დიდძალი ჯარით დაეხმარებოდნენ [21:143;18:100]. ლაზარ ფარპეციც ცნობით, ქართლის მეფე ამბობდა: „მე ბრძოლას არავის დავანახებ. იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენ-ო [21:243-244]“.

როცა 482 წელს „დაზამთრდა“, – წერს ფარპეცი, – სომხებმა „სასწრაფოდ გააგზავნეს დესპანი ქართლის მეფე ვახტანგთან, რათა თავისი დაპირებისამებრ მიეცა მათთვის ჰონები, ის კი დროის გასაყვანი სიტყვებით აჭიანურებდა თავისი ნათქვამის [ასრულებას]. შემდეგ საიდანლაც შეკრიბა სამასი ჰონი და გამოგზავნა სომხეთში. მაგრამ ჯერ კიდევ ზამთრის ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სასწრაფო მომიზეზებით ისევ თავისთან გაიხმო. და დარჩა ჩვენი სომეხთა ქვეყნის შემწეობის ძალად ქრისტე [21:248]“.

ვახტანგ მეფემ, – წერს ლ. ჯანაშია, – „პირობა რატომღაც არ შეასრულა“ [18:100]. თუ ლ. ჯანაშიას მსჯელობას დაუუჯერებთ, ვახტანგ მეფეს სომხებისათვის მიცემული პირობის შესრულება არ უნდა გასჭირვებოდა, რადგან მისი სიტყვით, ჩრდილო კავკასიიდან „ჰუნების ამიერკავკასიაში გადმოყვანისათვის საჭირო იყო კავკასიონის ქედზე გადმომავალი გზები ვახტანგის ხელში ყოფილიყო. . . V ს-ის ორმოციანი წლების დასაწყისისათვის დარიალის გასასვლელი, და, ალბათ, სხვა ზეკარებიც, სპარსელთა მოხელის, ქართლის მარზპანის ხელთ იყო“. აჯანყების დაწყებისას კი, როგორც ჩანს, ეს გადასასვლელი უკვე ვახტანგს ეჭირა“ [21:143-144].

დარიალის კარი რომ ვახტანგ მეფის კონტროლქვეშ იყო, ამის დასადასტურებლად ლ. ჯანაშია წერს: „ჯუანშერს ვრცლად აქვს მოთხრობილი ვახტანგის ლაშქრობის შესახებ ჩრდილო კავკასიაში... მართალია, ჯუანშერის მოთხრობა სავსეა ზღაპრული ამბებით, მაგრამ შესაძლებელია იგი წარმოადგენდეს რეალურად მომხდარი ამბების გამომძიხლს“ [21:144]. ლ. ჯანაშია იქვე დასძენს: „ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, რომელიც მოიპოვება წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში“. მათგან ერთში ნათქვამია: ვახტანგმა „დაიმორ-ჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და ალაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალიმსა, და ან თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ჳელ-ენიფების გადმოსვლად ოვსთა და ყივჩაღთა“ [21:144].

ქართლსა და სომხეთში 482 წელს დაწყებული ანტიირანული აჯანყებისას, როგორც ლ. ჯანაშია წერს, „დარიალის გასასვლელი“ და „სხვა ზეკარე-

1 V ს-ის 40-იანი წლებისათვის ქართლსა და ალბანეთს უკვე ერთი მარზპანი განაგებდა [4:121;5:123-145].

ბიც² თუ უკვე ვახტანგ მეფეს ეჭირა, მაშინ ჩრდილო კავკასიიდან ჰუნების გადმოსაყვანად მისთვის ხელშემშლელი არაფერი არ უნდა ყოფილიყო (ასეთი აზრია გატარებული ლ. ჯანაშიას სიტყვებშიც). ვახტანგ მეფემ „პირობა რატომღაც არ შეასრულა“), მაგრამ თუ იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, ვახტანგ მეფე სომხებისათვის მიცემულ პირობას მართლაც ვერ შეასრულებდა – ჰუნების ლაშქარს ვერ დაიქირავებდა, რატომ?

ამ საკითხზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ 482 წლის ანტიირანული აჯანყების დროისათვის ჰუნების იმპერია კარგა ხნის დანგრეული იყო². თანაც, მართალია, ეს უკვე ის დროა, როცა საისტორიო წყაროებში ყველა მომთაბარე ხალხი ჰუნებად იწოდებოდა³, მაგრამ აჯანყების თანადროულ ჩრდილო კავკასიაში არათუ საკუთრივ ჰუნები, ჰუნ-თურქებად წოდებული ხალხებიც არ იყვნენ შემოსულნი, რის გამოც ვახტანგ მეფე მათ ჩრდილო კავკასიაში ვერ დაიქირავებდა⁴.

V საუკუნის დასასრულისას ჩრდილო კავკასიის მთისწინეთის ველებზე თუ ჰუნებისა და ჰუნ-თურქების გაერთიანებები არ არსებობდნენ, სამაგიეროდ დანადგვილებით ვიცით იმხანად ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილსა და ზემო ყუბანისპირეთში ოსთა წინაპრების – სირაქებისა და აორსების სარმატული გაერთიანებები რომ ყალიბდებოდა, და V ს-ის 80-იანი წლების დამდეგს, როგორც ლ. ჯანაშია წერს, დარიალის კარი თუ მართლაც ვახტანგ გორგასლის

2 ატილას გარდაცვალების (453 წ.) შემდეგ მის შვილებს შორის მემკვიდრეობის გაყოფისათვის დანებდებოდა დეამ ისე გაანაწყნა მათი ქვეშევრდომი გეპიდები და სხვა გერმანული ტომები, რომ ისინი აჯანყდნენ. პანონიაში მდ. ნედაოსთან ბრძოლაში ჰუნები დამარცხდნენ. ჰუნების მხრიდან თითქმის 30000 მებრძოლი დაიღუპა – მ. შ. ატილას უფროსი ძე – ელაკი. ელაკის ძმები ჰუნებით შავი ზღვისპირეთისაკენ განდევნეს, მაგრამ უგოროული ტომების დანოლით ჰუნები იძულებულნი გახდნენ ისევ დასავლეთში გადასულიყვნენ. 469 წელს ისინი თრაკიაში ბიზანტიელებმა გაანადგურეს. ჩქარა ჰუნები ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ [30:119; 25:891].

3 ლ. გუმლიოვის თანახმად, ისტორიის ასპარეზიდან ჰუნების გადაგების შემდეგ არაერთი მომთაბარე ხალხი ჰუნებად იწოდებოდა [25:891]. ასეთად მიიჩნევენ V ს. სომეხი ავტორის ელიმეს მიერ V ს. შუახანებისათვის დერბენდის ჩრდილოეთით დასახლებულ ხაილანდურებას, რომელთა სამეფო სახლის წევრი ბელი ფარულად ქრისტიანობისაკენ იხრებოდა [28:31, 127, 109]. სწორედ ეს „ჰუნები“ უნდა ვიგულისხმოთ იმ ხალხში, რომლებიც ლ. ჯანაშიას თანახმად 450/451 წლების სომეხთა ანტიირანული აჯანყებისას სომეხებმა დარუბანდის გზით გადმოიყვანეს [21:144, შენ. 177; 18:88-89], მაგრამ მათი ცენტრალური ან შუა აზიიდან მოსვლის შესახებ წყაროებში ცნობები არაა. ამიტომ მათი ჰუნ-თურქული მოდგმის ხალხად მიჩნევა საეჭვოა. რაც შეეხება ზაქარია რიტორის მიერ 555 წლის ქვეშ ჩრდ. კავკასიაში დასახლებულ ჰეფთალიტებს (იგივე თეთრი ჰუნები) [35:165], ზაქარია ცდებდა. ჰეფთალიტებს ჩრდილო კავკასიაში არასოდეს არ უცხოვრიათ [27:33:137]. ჰეფთალიტების განსახლების შესახებ იხ. აგრეთვე [34:137].

4 ბიზანტიელი ქრონიკტის თოფანე უამთაალმწერლის (გარდ. 812 წ.) ცნობით, ბოლგარები აღმოსავლეთ აზოვისპირეთში VI ს-ის დამდეგს გამოჩნდნენ [9:75], ზოლო კასპიის ზღვის დასავლეთით საბირები 516 წელს [9:176, შენ. 17]. რაც შეეხება იაკობ ურტაველის ცნობას ვარსქენ პიტიახში რომ „ბრძოლად პონთა ზედა“ წარემართა, ამ ცნობაში ვარსქენის დერბენდის, იგივე „ჩორდ“, „ჩოლის“ ჩასაკეტად წასვლა იგულისხმება, თვით ჩოლები კი საიდანაც პროკოპიოს კესარიელის თანახმად დერბენდის კარმა ახალი სახელი მიიღო, ახლა ჰუნებად წოდებული მასაგეტების სახელი იყო [9:45].

ხელში იყო, მაშინ მას მოკავშირეებად სირაქები ან აორსები მაინც უნდა მოენეცა, მაგრამ ეს არ მოხდა, ვახტანგ მეფემ მხოლოდ 300 ჰუნი მოიყვანა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ისმის კითხვა – 482 წლისათვის ჰუნთა იმპერია რადგან კარგა ხნის დანგრეული იყო და ჩრდილო კავკასიის მთისწინეთის მიმდებარე ველები სარმატი სირაქებისა და აორსების გაერთიანებებს ეჭირათ, მაშინ მაინცდამაინც 300 ჰუნი ვახტანგ მეფემ საიდან გამოიხატა?

საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გადამავალი „არაგვის კარისათვის“ („კავკასიის კარი“) ალანთა სახელის მიკუთვნება, IV ს-ის 70-იანი წლებიდან სარმატული სამყაროს „ალანეთად“ წოდებასთან იყო დაკავშირებული [6;7:42-49] და არა ჩრდილო კავკასიაში – არაგვის კარის მახლობლად ალანთა ცხოვრებასთან. V ს-ის 80-იანი წლებისათვის როგორც აორსები, ისე სირაქები არაგვის კარიდან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს მომთაბარებოდნენ [X ს-ის არაბი ავტორის იბნ-რუსთას მითითებით დარიალის კარიდან ოსთა ქვეყნამდე 10 დღის სავალი იყო. 29:51;11:47] და, ცხადია, IV ს-ის 70-იანი წლებიდან ჰუნთა იმპერიის⁵ დანგრევამდე ისინიც ატილას ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ [6:თავი V;7:42-49]. შესაბამისად, დარიალის კარი და იქ მდებარე ციხე ატილას მოხელის კონტროლქვეშ იყო, და ის 300 ჰუნი, რომელნიც 482 წლის ბოლოს ვახტანგ გორგასალმა აჯანყებულ სომხებთან გააგზავნა, ხომ არ იყვნენ ჰუნთა იმპერიის არსებობის დროიდან შემორჩენილი ატილას მოხელის მიერ დარიალის კარის გასაკონტროლებლად ჩაყენებული ჰუნები და მათი შთამომავლები?

დარიალის კარის მიდამოებში უცხო ეთნიკური ჯგუფის არსებობა VI ს-ის ცნობილი ბიზანტიელი ავტორის პროკოპიოს კესარიელის ცნობაში ივარაუდება. ვნახოთ ეს ცნობა.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ „აგებული კარები და აღმართული სიმაგრე“, – წერს პროკოპიოსი, – დროთა განმავლობაში ბევრს ეჭირა და ამბაზუკსაც, შთამომავლობით ჰუნს, რომაელებისა და ანასტასი მეფის მეგობარს. როდესაც ეს ამბაზუკი ღრმა სიბერეში შევიდა და სიკვდილს უახლოვდებოდა, შეუთვალა ანასტასის ფული მიეცა მისთვის და ის გადასცემდა რომაელებს სიმაგრესა და კასპიის კარებს. ხოლო ანასტასი მეფე... მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ჯარისკაცების შენახვა იქ, ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ ადგილას, სადაც მეზობლად არ მოიპოვებოდა რომაელთა ქვეშევრდომი ტომები და მადლობა უძღვნა იმ კაცს (ე. ი. ამბაზუკს) მისდამი უაღრესი კეთილგანწყობისათვის, ხოლო თვით საქმე უყურადღებოდ დატოვა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, – დასძინს პროკოპიოსი, – ამბაზუკი გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან, ხოლო კავადმა სძლია მის შვილებს და კარები დაიპყრო [13:20].

ამბაზუკის ვინაობასა და მისი სამფლობელო ადგილის ლოკალიზაციის საკითხს 1940 წელს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. გ. გოზალიძევილმა. მისი სიტყვით, დარიალის კარს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

5 ატილას იმპერიის საზღვარი აღმოსავლეთით კავკასიის მთებამდე აღწევდა[23:930]. იორდანეს სიტყვით, ატილა იყო „Повелитель всех гуннов и повелитель – единственный в мире – племен чуты ли не всей Скифии“ [30:101].

ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში, რომ იგი 502 წელს დანყებული ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთი საბაბი გახდა [3:473-474].

როგორც ცნობილია, ატილას იმპერიაში შემავალი ჰუნები მდ. ვოლგის დასავლეთით IV ს-ის 70-იან წლებში გადმოვიდნენ და მდ. ვოლგის გადაღმა მათ გამოჩენას უკავშირდება განადგურებას გადარჩენილი აორსთა და სირაქთა გაერთიანებების ერთი ნაწილის ჩრდილო კავკასიის მთისწინეთის მიმდებარე ველებზე გადმონაცვლება. IV ს-ის 70-იანი წლებიდან ისინიც ატილას ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ, „კასპიის კარის“ ჩაკეტვა, როგორც ჩანს, ატილამ მათ კი არა, ერთ-ერთ, წარმოშობით ჰუნ მოხელეს დაავალა. პროკოპიოსის სიტყვები: „ამბაზუკი შთამომავლობით ჰუნი იყო“ და კავადმა „მის შვილებს რომ სძლია და კარები დაიპყრო“, სწორედ ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა. როგორც პროკოპიოსის ცნობიდან ჩანს, ამბაზუკი, თავის სახელოსა და სამფლობელოს ატილას იმპერიის დანგრევის (454 წ.) შემდეგაც ინარჩუნებდა, მაგრამ ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთისწინეთს მომდგარი სარმატული მასის⁶ გააქტიურების პირობებში (სამხრეთით კი ირანის ხელისუფალთა მცდელობა კავკასიის ზეკარებზე თავიანთი კონტროლი დაემყარებინა), მას არა მარტო თავისი პატარა სამფლობელოს დაცვა უჭირდა, სახელოც აღარ სჭირდებოდა. ამიტომ შესთავაზა ბიზანტიის იმპერატორ ანასტასიოს I-ს (491-518) მისი სამფლობელო ეყიდა. მანამდე კი – კერძოდ, 482 წლის ზამთრის დამდეგს, როცა დარიალის ხეობაში შეიძლებოდა გზები ჩაკეტილიყო, ამბაზუკს, მართლაც შეეძლო ციხის გარნიზონიდან და იქვე მოსახლე ჰუნებიდან 300 ჰუნი ვახტანგ გორგასლისათვის გაეგზავნა, მაგრამ რამდენად სანდოა პროკოპიოს კესარიელის ცნობა დარიალის კართან ჰუნი ამბაზუკის სამფლობელოს არსებობის შესახებ?

დარიალის კარის მფლობელ, წარმოშობით ჰუნი ამბაზუკის სამფლობელოსთან დაკავშირებით, ჩემი ყურადღება მიიქცია სომხური ანონიმური გეოგრაფიის ერთმა ადგილმა. VII საუკუნისადმი მიკუთვნებული გეოგრაფიის ავტორი აზიის სარმატიის აღწერისას და სარმატიაში მცხოვრები (53 დასახლების) ხალხების ჩამოთვლისას დარიალის კარის მახლობლად, დაახლოებით იქ, სადაც ამბაზუკის სამფლობელო ლოკალიზდება, ჰუნებს ასახელებს.

ანონიმი გეოგრაფი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე⁷, აზიის სარმატიაში მცხოვრები ხალხების განლაგებას შემდეგნაირად გად-

6 V ს-თან შედარებით პროკოპიოსის თანადროულ (ე. ი. VI ს-ის შუახანების) ჩრდილო კავკასიაში ეთნიკური ვითარება არსებითად შეცვლილი იყო. ამიტომ, მისი ცნობები ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ტომების შესახებ წინააღმდეგობრივია. იგი ჯერ წერს: კასპიის კარს იქით, „თითქმის მთლიანად მხოლოდ ჰუნთა ტომები დაშკვიდრებულან ვიდრე მეოტის ტბამდე“ [13:19]. უფრო გვიანი ამბების აღწერისას აღნიშნავს: კავკასიის მთა რომ მთავრდება იქ „ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის, ალანებიც. . . მათ შემდეგ ჰუნებიც, რომელთაც სავირები ეწოდებათ“ [13:72]. „ქვეყანა, რომელიც კავკასიის მთიდან დანყებული კასპიის კარამდეა გადაჭიმული, ალანებს უჭირავთ. . . აქ ცხოვრობენ ჰუნები ე. წ. სავირები და ზოგიერთი სხვა ჰუნური ტომიც [13:100].

7 გეოგრაფის ავტორის თანახმად, აზიის სარმატიის საზღვარი — „простирается вдоль Кавказских гор у Грузии и Албании до Каспийского моря“ [24:35].

მოგვეცემს: დასახელებული 53 ხალხიდან 23-ე არიან დვალები [თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მათ საცხოვრის ადგილად მიჩნეულია კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი, დარიალის ხეობასა და მამისონის გადასავლელს შორის, მდ. ლიახვის ხეობის ზემო წელი. 2:491;6:5,შენ. 11]. დვალების შემდეგ, აღმოსავლეთით, 24-ედ პუნებია დასახელებული; შემდეგ, 25-ედ – ვოსფურები (ვარ. Αφυαυ), 26-ედ – ნანარები, რომელთაც ალანთა გასასვლელი ეკავათ (იქვეა ცეკანი), შემდეგ, 27-ედ– თუშები, 32-ედ– გუდამაყრელები [24:37].

ანონიმი ავტორი, როგორც ვნახეთ, დვალების შემდეგ პუნებს ასახელებს, რომელთა საცხოვრებელ ადგილად არაგვის ხეობა ივარაუდება. ანონიმი ავტორი ამავე ხეობაში ასახელებს ნანარებს, მათ საცხოვრებელ ადგილად უშუალოდ „ალანთა გასასვლელს“ მიუთითებს.

ანონიმი გეოგრაფის ცნობათა სანდოობის საკითხს, როცა სომეხი ისტორიკოსი ქ. პატკანოვი შეეხო, აღნიშნა: დროთა განმავლობაში გეოგრაფიაში მოხსენიებული ხალხების სახლები შეიძლებოდა დამახინჯებულიყო ან მასში გვიანდელი ხალხები იყოს ჩამატებული [24:36, შენ. 133]. ამიტომ მან, რათა სწორად აღედგინა გეოგრაფიაში დასახელებული ხალხების სახელები და დარწმუნებულიყო ტექსტში გვიანდელი ჩანარები ხომ არ იყო, ანონიმი გეოგრაფის ცნობები სარმატიაში მცხოვრები ხალხების შესახებ შეუდარა კლასიკურ და იმ სომეხ ავტორთა მონაცემებს, რომელნიც VII საუკუნემდე ცხოვრობდნენ, რის შემდეგაც მას გარკვეული გარანტია შეექმნა გეოგრაფიაში შეცდომებისა და გვიანდელი ჩანარების საწინააღმდეგოდ. ქ. პატკანოვს მოჰყავს ძველი ბერძენი გეოგრაფოსის პტოლემეიოსის ცნობები და ასკენის: მასთან, ზემოდასახელებული, ჩვენთვის საინტერესო ხალხებიდან 26-ს შეესაბამება ნანარები (Σαυαροι), ხოლო ანონიმი გეოგრაფის 27-ს– თუშები (Τουσκοι) [24:36, შენ. 133].

როგორც ვხედავთ, პტოლემეიოსი დარიალის კარის სიახლოვეს ნანარებთან ერთად პუნებს არ ასახელებს და არც შეიძლებოდა დაესახელებინა. პტოლემეიოსის მოღვაწეობის დროისათვის (ახ. წ. II ს.) აღმოსავლეთ ევროპაში პუნების დასახელება ანაქრონიზმი იქნებოდა [9:თავი IV]. რაც შეეხება ძველ რომაელ ავტორს არიანეს (ახ. წ. II ს.), მასთან დარიალის კართან ჩვენთვის საინტერესო ხალხებიდან თუ არც ერთი არაა დასახელებული, ქ. პატკანოვის დაკვირვებით V ს-ის სომეხ ავტორთან – ელიშესთან 24-ე ნომერს პუნები შეესაბამება. ამის შემდეგ ქ. პატკანოვი დასძენს: ანონიმთან დასახელებული 53 ხალხიდან, 40-მდე ხალხის სახელი არ არის დამახინჯებული და ისინი სხვა ავტორებთანაც გვხვდებიან⁸ [24:36-37, შენ. 133].

⁸ ელიშე V ს-ის შუახანებისათვის არაერთხელ ახსენებს „ჰონთა ქვეყანას“ და მასში დარუბანდის ჩრდილოეთით არსებული ხაილანდურების განსახლება იგულისხმება. იმედროულად იგი „ალანთა კართან“ [28:170] ერთად ასახელებს „ჰონთა ციხეს“ [28:53], და მასში თუ მართლაც, დარიალის ციხე (რომელიც იმხანად უკვე ატილას ქვეშევრდომის კონტროლქვეშ უნდა ყოფილიყო) იგულისხმება, მაშინ ამ კარის ახლოს უნდა ყოფილიყო პუნთა განსახლებაც.

ზემომოტანილი მასალიდან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ პროკოპიოს კესარიელის მითითება V ს-ში ერთხანს დარიალის კარი რომ შთამომავლობით პუნ ამბაზუკს ეჭირა და კართან, ნანარების ტერიტორიაზე, შეიძლება პუნ მეციხოვნეთა ოჯახების მცირე განსახლებაც ყოფილიყო, ანონიმი გეოგრაფისა და ელიმეს მონაცემებით დასტურდება. თანაც, პროკოპიოს კესარიელის ნიშანდობლივი მითითება ამბაზუკი შთამომავლობით რომ პუნი იყო და ანონიმი გეოგრაფიის ავტორისა და ელიმეს მიერ დარიალთან პუნების დასახლება იმას მონიშნავს, ისე როგორც თვით ამბაზუკი, მისი მეციხოვნეებიც წარმომავლობით პუნები იყვნენ. ამბაზუკს ეს სახელო (დარიალის კარის დაცვა-ჩაქეცვა) გარდა იმისა, რომ მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული, ციხე და ტერიტორია თავის ისეთ საკუთრებად მიაჩნდა, რომლის გაყიდვა შეეძლო (მისმა შვილებმა ეს სახელო მაინც ვერ შეინარჩუნეს). ატილას ან იმ პირს, რომელსაც პუნთა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მართვა ევალებოდა (ასეთ პირად ატილას უფროსი ძე ელაკი უნდა მივიჩნიოთ), დარიალის კარზე კონტროლი 447 წელს ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის (ფაქტობრივად ეს ხომ ირანელთა ლაშქრობა იყო) შემდგომ ახლო ხანაში უნდა დაემყარებინა (დარიალის ციხეში პუნთა გარნიზონი განეთავსებინა). პუნი მეციხოვნეების ოჯახებს, როგორც ჩანს, არაგვის ხეობის იალაღებზე ჰქონდათ სადგომები⁹. ამ კარს პუნები მანამდე აკონტროლებდნენ, სანამ ამბაზუკი არ გარდაიცვალა და კარზე კონტროლი ირანის შაჰის – კავად I-ის (488-496, 499-531) ძალისხმევით ირანმა არ დაამყარა. 482 წლის ანტიირანული აჯანყებისას, როცა ზამთარი დადგა, ვახტანგ გორგასალმა სომეხთა დასახმარებლად 300 პუნი, როგორც ჩანს, ამბაზუკისაგან დაიქირავა, მაგრამ ჯერ კიდევ გაზაფხულის დადგომამდე (შეიძლება უთოვლო ზამთრის გამო), ამბაზუკმა პუნები უკან გაიხმო [18:102].

ზემოთ, როცა ვახტანგ გორგასლის მიერ დამხმარე ლაშქრის დაქირავების საკითხს შევხვებით, აღვნიშნავ: V ს-ის 80-იანი წლების დამდეგისათვის ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე არა თუ საკუთრივ პუნები, პუნებად ნოდებული ხალხები ჯერ კიდევ არ იყვნენ შემოსულები, მაგრამ იქ სირაქებისა და აორსების გაერთიანებები ყალიბდებოდნენ და ვახტანგ მეფეს შეეძლო (ისე როგორც ახ. წ. 35 წელს ეს მითრიდატე მეფემ გააკეთა) რომელიმე მათგანისაგან დამხმარე ლაშქარი დაექირავებინა, თუმცა, ამ მხრივ, მან რა მოიმოქმედა არ ვიცით. ასევე არ დადასტურდა ლ. ჯანაშიას მტკიცება აჯანყების დაწყებისას დარიალის კარის ვახტანგ გორგასლის კონტროლქვეშ ყოფნის შესახებ, იმ დროისათვის დარიალის ხეობისა და ციხის პატრონი

⁹ აკად. ს. ერემიანის თანახმად, დარიალის კარის დასაცავად სასანიანებს შექმნილი ჰქონდათ სამხედრო გამაგრებათა მთელი სისტემა. მათი მთავარი ძალები ბოსტან-ქალაქის რაიონში იყო თავმოყრილი, იქიდან აკონტროლებდნენ დარიალის ციხეში მდგომ სამხედრო ძალებს [9:25], მაგრამ არაგვის ხეობაში არსებული ტომონიმი „კობი“ („კობე“, „კობუ“ თურქულად „მცირე ველს“ ნიშნავს. [33:173] და პ. იოსელიანის მიერ ქ. დუშეთის სახელის თურქულად ახსნა [31:2] რომ უფრო იქითკენ მიბიძგებს, პუნთა სადგომი არაგვის ხეობაში ვეგარაუდო. იბნ რუსთას ცნობით, დარიალის ციხეს დღე და ღამე ათასი კაცისაგან შემდგარი გარნიზონი იცავდა [29:51].

„შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკი“ აღმოჩნდა. ხანშიშესული ამბაზუკი კი რადგან მზად იყო ციხე და მისი კონტროლირებადი ტერიტორია იმპერატორ ანასტასიოსისათვის მიეყიდა, გარკვეული საფასურის ფასად, იგი ალბათ, ვახტანგ მეფეს გზასაც მისცემდა, რათა მას დასახმარებლად ოსთა ნინაპრები მოეხმო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაც ვახტანგ მეფესა და ქართლის სამეფოს ძვირად დაუჯდა. რომ არა 484 წელს შუა აზიაში ჰეფტალიტებთან ბრძოლაში ირანის შაჰის პეროზის დაღუპვა, მდგომარეობა ქართლში კიდევ უფრო გართულდებოდა.

ფაქტი ერთია, ის ძალა („კავკასიანები“ და ოსთა ნინაპრები), რომელიც ადრიდანვე ქართლის სახელმწიფოს ზურგს უმაგრებდა და მის სიძლიერეს განაპირობებდა, რაღაც მიზეზის გამო ანტიირანული აჯანყებისას ვახტანგ გორგასალმა ვერ გამოიყენა. ლ. ჯანაშიას მონოგრაფიის გამოსვლის (1962 წ.) შემდეგ ქართველ მეცნიერებს არ დაუსვამთ საკითხი – ვახტანგ გორგასალმა ჰუნების ნაცვლად რატომ ვერ მოახერხა ოსთა ნინაპრების დაქირავება. მ. სანაძემაც კი, 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში [სადაც ყველაფერს „ახლებურად“ წყვეტს, მ. შ. ანტიირანული აჯანყების თარიღად ქართულ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული 482-484 წლების ნაცვლად 487-489 წლები მიუთითა. 14:336], აღნიშნა: „ჰუნებისაგან შეპირებული დახმარება ქართველებს ვერ მიუღიათ და, საბოლოოდ, სპარსელებთან ბრძოლაში მოკავშირეები დამარცხებულანო“ [14:339].

ასე რომ, საკითხი, რატომ ვერ გადმოიყვანა ვახტანგ გორგასალმა ჩრდილო კავკასიიდან მოქირავნე ლაშქარი – ამ შემთხვევაში ოსთა ნინაპრები, რის გამოც ქართლის სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, კვლავ პასუხგაუცემელი დარჩა.

საკითხის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, იმ დროის ჩრდილო კავკასიაში არსებული ეთნიკური ვითარება და აჯანყების წინააღმდეგელი ისტორია უნდა გაკითვალისწინოთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: როგორც ზემოთ შევნიშნე V ს-ის შუახანებისათვის ელიშეს მიერ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებლებად დასახლებული ხაილანდურების ჰუნებად მიჩნევა ჭირს. არაა მართალი მ. სანაძე როცა მკითხველს არწმუნებს იმხანად ჩრდილო კავკასიაში „განლაგებული იყო ალან-ჰუნთა გაერთიანებებიო“ [14:330]. ატილას იმპერიის დანგრევის (454 წ.) შემდეგ დარიალის კარისა და ციხის პატრონად შემორჩენილი „შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკის“ სამფლობელოც კი ნყაროების მონაცემებით ამიერკავკასიაში – არაგვის ხეობაში, როგორც ითქვა, წანარების ტერიტორიაზე ივარაუდება. თვით ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე არავითარი „ალან-ჰუნთა გაერთიანებები“ არ იყო „განლაგებული“. ხალხი, რომელიც საკუთრივ ალანთა გაერთიანებას განეკუთვნებოდა, დიდი ხანი იყო, რაც დუნაისპირეთში იყო გადასული [5: თავი I-VI]. V ს-ის 80-იანი წლების დამდეგისათვის ჩრდილო კავკასიაში არც ჰუნი საბირები (კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ველების დაკავება მათ VI ს-ის დამდეგს დაიწყეს) და არც ბოლგარები (აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან) არ იყვნენ

შემოსულები, ხოლო დარიალის კარიდან ათი დღის სავალზე მცხოვრები და მომთაბარე ოსთა წინაპრები (აორსები და სირაქები), რომლებიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ყოველთვის მზად იყვნენ მოქირავნე ლაშქარში ყოფილიყვნენ, რალაც მიზეზით ვახტანგ მეფემ ვერ მოინწია.

ჩემი დაკვირვებით მიზეზი შემდეგი იყო: 447 წელს ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ მეფის ბიძის – ქართლ-ალბანეთის მარზპანის ვარაზ-ბაკურის 12000-იან კორპუსთან ერთად ვახტანგ გორგასლის დამანგრეველ ლაშქრობას თუ გავიხსენებთ, ოსთა წინაპრები, ალბათ, ვახტანგ მეფის დახმარებას არ ისურვებდნენ. ამიტომ აღმოჩნდა ძლიერი მტრის – ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის მეფე ამბაზუკის ჰუნების ამარა. დამხმარე ძალის გარეშე დარჩენილი ვახტანგ გორგასალი და მისი მოკავშირეები ჭარმანიანის ველზე გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდნენ (ქართველთა მოკავშირე სომეხთა ლაშქარში არ იყო ერთიანობა). ვახტანგ მეფე იძულებული გახდა ქართლი დაეტოვებინა.

ჰუნი ამბაზუკის პიროვნება რადგან ასე პრობლემატური აღმოჩნდა საქართველოს ისტორიისათვის, მის შესახებ ქვემოთ მ. სანაძის „მიკვლევა-საც“ წარმოვადგენ. პროკოპიოს კესარიელის ცნობით, ამბაზუკის გარდაცვალების შემდეგ მის სამფლობელოს ირანის შაჰი კავადი დაეპატრონა, მაგრამ როდის და როგორ, ეს საკითხი გ. გოზალიშვილის (1940 წ.) და ლ. ჯანაშიას (1962 წ.) გამოკვლევების შემდეგ ჩვენს მეცნიერებაში მსჯელობის საგანი არ ყოფილა. ეს ხარვეზი მ. სანაძემ შეავსო. მისი მტკიცებით, „ალან-ჰუნთა . . . წინააღმდეგ ლაშქრობა და დარიალის ხეობისა და კარების მათგან გამოხსნა კავადმა შეძლო“. სამხედრო ექსპედიციას ჩრდილო კავკასიაში 492/3 ან 491-502 წლებს შორის ალბანეთისა და ადარბადაგანის პიტიახში ვარაზ-ბაკური ხელმძღვანელობდა [ეს ლაშქრობა ჩემ მიერ 447 წლით არის დათარიღებული. 5:99], იმხანად ვახტანგი 21/22 წლისა იყო. ასე გამოიხსნა ტყვეობიდან 14/15 წლის მირანდუხტი [14:330-335]. მ. სანაძის თქმით, პროკოპიოსი ცდება, როცა ამბაზუკს „შთამომავლობით ჰუნად“ იხსენიებს. სინამდვილეში ამბაზუკი „ოსურ-ალანური წარმომავლობისა იყო“. პროკოპიოსი, – დასძენს მ. სანაძე, – არც იმაშია მართალი „ამბაზუკი“ ამ პირის საკუთარი სახელი რომ ჰგონია, „ამბაზუკი“ ტიტული იყო – „მეორე ხელი – მეფის ნაცვალი“. ჰუნური ტომების ბელადი ითვლებოდა მის ზემდგომად – პირველ პირად-ო“ [14:330].

ჰუნურ სამყაროში „ამბაზუკი“ რომ მეფის შემდგომ მეორე პირის აღმნიშნელი ტიტული ყოფილიყო, ატილას თანამედროვე რომაელი ავტორი პრისკოს პანიელი და გოთი ისტორიკოსი იორდანე (VI ს.) ამ ტიტულით, უპირველეს ყოვლისა, ატილას ძეგბსა და მის იმპერიაში შემავალ ცალკეულ გაერთიანებათა ბელადებსა თუ მეფეებს მოიხსენიებდნენ, მაგრამ მათ თხზულებებში მსგავსი მითითებები არაა. რაც შეეხება ამბაზუკის სახელს, ატილას უფროსი ძეგბის სახელები: „ხერნიკ“-ი და „ელაკ“-ი ალანურ წარმოშობისად არის მიჩნეული. ლ. გუმილიოვის სიტყვით, ჰუნების კულტურას ბევრი ჰქონდა საერთო სკვითურ-სარმატულ კულტურასთან [26:687]. გავიხსენოთ, სირაქთა წინამძღოლების სახელები: ბაზუკი და ამბაზუკი. ქართლის სამეფოს

ზედაფენებში სკვითურ-სარმატული (ირანული) სახელების სიუხვეზე მიუთითა აკად. გ. მელიქიშვილმა, მაგრამ ეს პირები სკვითებად ან სარმატებად არ მიუჩნევიან [15:658].

ახლა რაც შეეხება აჯანყების მსვლელობას: როგორც ლ. ჯანაშია წერს, ცნობამ ქართლში ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით აჯანყების დანებების შესახებ „დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სომეხ თავკაცებში“... განსაკუთრებით დიდ იმედს აძლევდა სომეხებს ვახტანგ მეფის დაპირება ჰუნებთან კავშირის შესახებ და თვით ვახტანგის პიროვნება, „რადგან ამ დროს ვახტანგი უკვე ცნობილი ყოფილა როგორც მამაცი და ჭკვიანი მეთმარი. სომეხებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქართველებისათვის“¹⁰ [18:105].

ლ. ჯანაშიას სიტყვით, აჯანყების პირველ წელს ვახტანგს, ეტყობა, მოუხერხებია ირანელთა ქართლიდან განდევნა. მაგრამ, იმხანად რადგან ბიზანტიელებისაგან დახმარებას არ ელოდნენ, რაც მთავარია, „ჰუთა მოუსვლელობა“ აჯანყებულთათვის „მძიმე მორალური მარცხი იყო“ [18:102]. აჯანყებული სომეხებისათვის შეპირებული ჰუნთა დიდი სამხედრო კონტიგენტის ნაცვლად, ზამთარში, როდესაც საომარი მოქმედება შეწყვეტილი იყო, მხოლოდ 300 ჰუნი გაგზავნა და შუა ზამთარში მათი ისევ უკან განწევვა არა მარტო სომეხებზე, აჯანყებულ ქართველებზეც ცუდ ზემოქმედებას იქონიებდა. თანაც 483 წლის გაზაფხულიდან ირანელებმა უფრო მტკიცედ მოჰკიდეს ხელი აჯანყებულებთან ბრძოლის საქმეს. ქართველთა წინააღმდეგ მიჰრანის სარდლობით¹¹ ლაშქარი გამოგზავნეს (იმავდროულად სომხეთში ატარნერსეჰის სარდლობით შევიდა ირანელთა ლაშქარი). როგორც ფარპეცი წერს, ასეთ ვითარებაში ვახტანგს ბრძოლისათვის თავი აურიდებია, ქართლის საზღვართან ახლოს სომხეთის მთებში გამაგრებულა. იქიდან უთხოვია სომეხებისათვის დახმარება. სომეხთა სარდალი ვაჰან მამიკონიანი, მართლაც, მისულა ვახტანგის დასახმარებლად და კანგარის მთებში დაბანაკებულა“ [18:102]. თუმცა, ვახტანგის თხოვნაზე ბარში ჩასულიყვნენ და ირანელებს შებრძოლებოდნენ, მას იმ მოტივით, რომ სომეხთა ჯარი სუსტი და დაუძღვრებული იყო, უარი უთქვამს. თათბირზე სომეხთა ჯარის სისუსტე ვაჰანს იმითაც დაუსაბუთებია, რომ სომეხთა შორის არ იყო ერთიანობა და მოსალოდნელი იყო ლალატი [18:103;6:84,შენ. 101].

10 სომეხი ავტორი პროფ. ტ. აყოფიანი ამ აჯანყებას „481-484 წლების განმანათავისუფლებელი ომის“ სახელით იხსენიებს. მისი თქმით, 482 წელის ზაფხულში ვაჰან მამიკონიანი და საპაკ ბაგრატიონი სომხური ჯარის ერთ ნაწილთან ერთად მოკავშირე ქართველების დასახმარებლად გაემგზავრნენ...ბრძოლა თბილისის შორიანხლოს... ჭარმანიანის ველზე მოხდა“. სომხურ-ქართული ჯარი დამარცხდა[16:96-97]. ამ ბრძოლაზე თხრობისას გარდა იმისა, რომ სომხების ლალატზე არაფერია ნათქვამი, არც ჰუნების დაქირავების საკითხია განხილული. მასზე მხოლოდ ამ წიგნის რედაქტორი დ. მერკვილაძე წერს შენიშვნაში [16:97, შენ. 113].

11 მიჰრანთა საგვარეულოს წევრები რადგან ქართლ-ალბანეთის მარზაპანების სახელის მემკვიდრეობით ფლობდნენ[4:121]. შეიძლება ქართლში დიდი ლაშქრით შემოსული „მიჰრანიც“ ქართლ-ალბანეთის მარზაპანი იყო. ქართლსა და ალბანეთში აჯანყების დანებებისას იგი, ისე როგორც სომხეთის მარზაპანი ატრემნასპ იოზმანდიანი, იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო.

ვახტანგმა ყოველი ღონე იხმარა, რათა სომეხები ბარში ჩასვლაზე დაეყოლიებინა (ამ მიზნით მას ერთ-ერთ ველზე მრავალ ადგილზე ცეცხლი დაუნთებინებია და იგი სომეხებისათვის პუნთა ბანაკებად წარუდგენია). ბოლოს ზოგი სომეხი ნახარარის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქარი მთებიდან მდ. მტკვრის ნაპირას ჭარმანინის ველზე ჩავიდა და ირანელთა ლაშქარს შეება. ერთხანს აჯანყებულებმა ბრძოლაში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ, მოლაღალტე სომეხმა ნახარარებმა ირანელებთან შეთანხმების გამო ბრძოლის ველი მიატოვეს, რამაც აჯანყებულებში არევე-დარევა შეიტანა. ირანელები დაედევნენ გაქცეულებს. მარცხის მიუხედავად, აჯანყებულები ბრძოლას აგრძელებდნენ. იმავე, 483 წლის სექტემბერში ირანელთა სარდალი მიჰრანი ირანში გაიწვიეს და აჯანყებულ ქართველებს შესვენების საშუალება მიეცათ.

პირველი გამარჯვების მიუხედავად, ირანის შაჰმა პეროზმა კარგად იცოდა, სანამ ქართლში ვახტანგი იქნებოდა, მას ქართლის დამორჩილება გაუჭირდებოდა. ამიტომ, ბასიანში მდგომი თავისი სარდლისათვის-ზარმიპრ ჰაზარაუხტისათვის უთქვამს, რომ იგი „არიელთა მთელი ძალით მიემართებოდა“ ჰეფტალიტების წინააღმდეგ საომრად. ის კი „ნასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა“ [18:103-104;21:250-263].

ბრძანების მიღებისთანავე ჰაზარაუხტი ქართლისაკენ გამოემართა. როგორც ფარპეცი წერს, ვახტანგი იძულებული გახდა, მტერს „ეგრისის ქვეყნის მხარეში“ გაცლოდა¹² [21:264]. მაგრამ 484 წელს, როგორც ითქვა, პეროზი ჰეფტალიტებთან ბრძოლაში დაიღუპა და ქართლში მყოფ სარდალს ირანიდან მოუწოდეს „ღონე ეპოვათ“, რათა თავიანთი თავისთვისაც ეშველათ და არიელთა (ე.ი. ირანელთა) ქვეყნისთვისაც. ჰაზარაუხტმა სასწრაფოდ დატოვა ქართლი [21:265]. 484 წელსვე ირანის დიდებულებმა მეფედ პეროზის ძმა ვალარში დასვეს.

ახალი შაჰი ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ მთელ რიგ დათმობებზე წავიდა. ასე მაგ., სომეხთა მოთხოვნით ირანელებმა პირობა დადეს, რომ ქრისტიანობის დევნას შეწყვეტდნენ, არ დასჯიდნენ აჯანყებულებს. 485 წელს ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს. ალბანეთის ტახტზე კვლავ აღადგინეს მეფე ვაჩაგანი. რაც შეეხება ქართლს, ვარაუდობენ, რომ ქართლშიც გაუმჯობესდა მდგომარეობა-გაყვანილი იქნა ირანელთა ჯარი [12:86]. 484 ან 485 წლის დამდეგს ვახტანგი ქართლში დაბრუნდა და ენერგიული აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადასატანად. იმავე დროს შეიქმნა ანტიოქიაში

12 ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით ვახტანგ მეფე ეგრისში გადავიდა [17:281; 18:104;1:55], მაგრამ, ვფიქრობ, „ეგრისის ქვეყნის მხარეში“ მაინცდამაინც ეგრისი არ უნდა იგულისხმებოდეს. უფრო რეალური ჩანს, ვახტანგს თავი კლარჯეთში, მის მიერვე აგებულ არტანუჯის ციხეში შეეფარებინა. 456 წელს ბიზანტიიდან მომავალმა ვახტანგ მეფემ არტავაზ ერისთავს როცა არტანუჯის ციხის აგება დააველა, უთხრა: „უკეთო განძლიერდნენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“-ო [22:178].

ხელსაყრელი პირობები ქართლის ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობელად პეტრე კაპადოკიელის ხელდასახმელად.

ამრიგად, ლაზარ ფარპეცის ცნობაზე დაყრდნობით ლ. ჯანაშიას მითითება იმის შესახებ, რომ აჯანყების დაწყებისას ვახტანგ გორგასალს „კავკასიონის გადასასვლელები“ ეჭირა, არ დასტურდება. როგორც ვნახეთ, მას „შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკი“ ფლობდა. ასევე ვერ გავიზიარებ ლ. ჯანაშიას მტკიცებას, თითქოს ლაზარ ფარპეცი როცა ვარსქენის მკვლელობის თარიღად „პეროზის მეფობის ოცდამეხუთე“ -484 წელს უთითებს, ცდება და სინამდვილეში ვახტანგ მეფემ ვარსქენ პიტიახში აჯანყების დაწყების წინ 482 წელს მოაკვლევინა.

482 წლისათვის აღმოსავლეთ ევროპაში არსებული საკუთრივ ჰუნთა გაერთიანება, რადგან კარგა ხნის გადასული იყო ისტორიის ასპარეზიდან, ხოლო შემდეგში ჰუნებად წოდებული საბირები და ბოლგარები ჯერ კიდევ არ იყვნენ შემოსული ჩრდილო კავკასიის ველებზე (იმხანად იქ ოსთა წინაპრების გაერთიანებები ყალიბდებოდა), ცხადი ხდება, ვახტანგ გორგასალმა „პირობა რატომღაც რომ არ შეასრულა“ (ლ. ჯანაშია) და ჰუნების დიდი დამხმარე ლაშქარი ვერ დაიქირავა.

რაც შეეხება 300 ჰუნის ვინაობას, თუ გავითვლისწინებთ VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის – პროკოპიოს კესარიელის იმ ცნობას, რომლის თანახმად V ს-ის დასასრულისათვის დარიალის კარსა და ციხეს „შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკი“ რომ ფლობდა. ეს კი ის ადგილია, სადაც VII ს-ის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში აზიის სარმატიის აღწერისას 24-ე ნომრად დასახელებული ჰუნები ცხოვრობდნენ (ქ. პატკანოვი), ნათელი გახდება, 482 წლის ზამთარში ვახტანგ გორგასალმა აჯანყებულებთან ამბაზუკის ჰუნები რომ გააგზავნა. ზამთარში, როცა დარიალის ხეობა თოვლით იკეტება, ამბაზუკს მართლაც, შეეძლო გარკვეული საფასურის ფასად თავისი ქვეშევრდომი ჰუნები აჯანყებულებისათვის მიეშველებინა.

დარიალის ციხე და მიმდებარე ტერიტორია მემკვიდრეობით სამფლობელოდ ამბაზუკმა, როგორც ჩანს, 447 წელს ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის შემდეგ მიიღო. სიცოცხლის ბოლოს მან ბიზანტიის იმპერატორს – ანასტასიოსს შესთავაზა მისი სამფლობელო ეყიდა, რაზეც უარი მიიღო. ამბაზუკის გარდაცვალების შემდეგ, მის სამფლობელოს ირანის შაჰი კავად I დაეუფლა, დარიალის კარსა და ციხეზე სასანიანთა კონტროლი დამყარდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
2. გვასალია ჯ., დვალეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978.
3. გოზალიშვილი გ., კასპის კარი. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., 1940.

4. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ სასიტორიო ტრადიციაში, მაცნე...ისტორიის სერია №4, 1982.
5. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ. 1991.
6. გოილაძე ვ., ოსთა წინაპრები ძვ წ. VII-ახ. წ. XV საუკუნეებში, თბ., 2018.
7. გოილაძე ვ., როდის იწოდა სარმატული სამყარო ალანთად? ალანთა შესახებ ჩინური ცნობის წარმომავლობა. „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XVII-XVIII, თბ., 2015-2016.
8. გოილაძე ვ., ქართლის სამეფო III ს. 50-იანი წლებიდან VI ს. 30-იანი წლების დასასრულამდე. თბ., 1998 (დისერტაციის ტექსტის ერთი ეგზემპლარი დაცულია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში).
9. გოილაძე ვ., შუნ-თურქები კავკასიაში, თბ, 2008.
10. გორგაძე ს., წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწ. II, ტფ, 1913.
11. თოფჩიშვილი რ., ოსთა წინაპარი ალანების განსახლების არეალი, თბ., 2008.
12. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
13. პროკოპი კესარიელი, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1934.
14. სანაძე მ., ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, თბ., 2016.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
16. სომეხი ხალხის ისტორია. უძველესი დროიდან 1921 წლამდე. დ. მერკვილაძის რედაქციით, თბ., 2016.
17. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზ. ტ. I, თბ., 1979.
18. ჯანაშია ლ., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973.
19. ჯანაშია ლ., ვარსკენ პიტიახში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979.
20. ჯანაშია ლ., ვახტანგ I გორგასალი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979.
21. ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
22. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 1, თბ., 1955.
23. Аттила. Советская историческая энциклопедия, т. 1, М., 1961.
24. Армянская география VII века по Р. Х. Издал К. Патканов, СПб., 1877.
25. Гумилев Л. Н., Гунны. Советская историческая энциклопедия, т. 4, М., 1963.
26. Гумилев Л. Н., Хунну. Советская историческая энциклопедия, т. 15, М., 19
27. Гумилев Л. Н., Эфталиты и их соседи в IV в. “Вестник древней истории”, 1959, №1.
28. Егишэ, О Вардане и войне армянской, Ереван, 1971.
29. Ибн-Рустэ, Алланы. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. вып. 32, Тб., 1903.
30. Иордан, О происхождении и деяниях гетов. Вступительная статья, перевод, комментарий Е. Ч. Скржинской, М., 1960.
31. Иоселиани П., Описание города Душета, Тифлис, 1860.
32. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.
33. Мурзаев Э. М., Очерки топонимики, М., 1974.
34. Тревер К. В., Кушаны, хиониты и эфталиты по армянским источникам IV-VII вв. Советская археология, XXI, 1954.
35. Хроника Захария Ритора, Н. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, М.-Л., 1941.

VAKHTANG GOILADZE

ANTI-IRANIAN REVOLT IN KARTLI IN 482-484. HUNS OF AMBAZUKI

Summary

The data about anti-Iranian revolt in Kartli in 482-482 during the last years of Vakhtang Gorgasali's reign are found in the composition of the late 5th-century Armenian historian Lazar Parpeci (There is no mentioning of this rebellion in the "life" of Vakhtang Gorgasali). Although many researchers have analyzed the issues related to the uprising that started with the Armenians, some issues still remain controversial even today: when did Vakhtang Gorgasali order to kill Varsken Pitiakhshi (the assassination of Varsken Pitiakhshi is dated 482 or 484).

There is still no answer to the questions why Vakhtang Gorgasali could not hire the promised numerous huns to help the rebels and from where he brought the three hundred huns who had been with the rebels for a while.

There should not be a correct point of view of those researchers who indicate that Vakhtang Gorgasali ordered to kill Varsken Pitiakhshi shortly after the start of the rebellion. According to Lazar Parpeci the date of the assassination of Varsken Pitiakhshi is the twenty-fifth year of Peros Shah's reign (484 year). Indeed, until Peros was alive, Varsken would have been an untouchable person. After the death of Peros in the battle against Hun Hefitalits in 484, it seems that Vakhtang Gorgasali ordered to kill Varsken Pitiakhshi.

Hun's union in Eastern Europe had been moved from the history scene by the year of 482 and Sabirs and Bolgars later called the Huns had not yet come to the valleys of the north Caucasus (At that time the ancestral unions of the Ossetians had been forming there), it is obvious, why Vakhtang Gorgasali did not fulfill the promise and did not hire a large army of the Huns.

As for the identity of three hundred Huns if we take into consideration the data of the 6th-century Byzantine author Prokopios Kesarieli according to which the gate of Dariali and the castle were owned by Ambazuki who was a descendant of the Huns.

According to the seventh century anonymous Armenian geographer this is the place where Huns named for the number twenty-four were living in the description of Asian Sarmati (K, Patkanov), it will become clear that in the winter of 482 Vakhtang Gorgasali sent to the rebels Huns of Ambazuki. In the winter when the Dariali gorge is closed with snow, Ambazuki really could send his subjugated Huns for giving assistance to the rebels at the price of a certain fee.

It appears that after the invasion of Vakhtang Gorgasali in the North Caucasus in 447, Ambazuki got the castle of Dariali and adjacent territory as a hereditary domain. At the end of his life he offered to the Byzantium Emperor to buy his domain, but this proposal was rejected. After the death of Ambazuki his domain was subordinated to Kavad the First Shah of Iran. The gate of Dariali and the castle were taken over by Sasanian.

ВАХТАНГ ГОПЛАДЗЕ

АНТИИРАНСКОЕ ВОССТАНИЕ 482-484 ГОДОВ В КАРТЛИ –
ГУНЫ АМБАЗУКА

Резюме

Об антииранском восстании 482-484 годов в Картли - в последние годы правления Вахтанга Горгасали - сведения имеются у Армянского автора V века Лазара Парпеци (в "жизниописании" Вахтанга Горгасали об этом ничего не говорится). Хотя многие исследователи проанализировали вопросы, связанные с этим восстанием начатым вместе с армянами, все еще противоречиво когда был убит Варскен питнахш царем Вахтангом (датируется 482 или 484 годами): не был дан ответ на вопрос – почему Вахтанг Горгасали не смог нанять обещанных многочисленных гунов на помощь восставшим? Откуда привез в зиму 482 года тех 300 гунов, которые были с мятежниками какое-то время.

1. Не должно быть верным мнение тех исследователей, которые указывают, что Варскен питнахш был убит сразу по началу восстания. Лазар Парпеци датой убийства Варскена питнахша указывает 25-й год правления шаха Пероза т. е. 484 год. И, действительно, пока был жив Пероз, Варскен был бы неприкосновенным. 484 году, после того как Пероз погиб сражаясь с гунами эфталлитами, как видно, и был убит Варскен.

2. Так как к 482 году само объединение гунов в восточной Европе давно уже не играло роль на историческом поприще а называемые позже гуннами савиры и болгары пока еще не появились на просторах Северного Кавказа (в то время там формировались объединения осетинских предков), становится ясно, "условие почему-то что не выполнил" (Л. Джанашия) Вахтанг Горгасали и не смог нанять большое войско гунов на подмогу.

3.4 то касается 300 гунов, принимая во внимание сведение византийского автора Прокопия Кесарийского, в соответствии с которым к концу V века крепостью и проходом Дариали владел "по происхождению гун Амбазук". [а это то место, где в VII веке, описывая азиатскую сарматию аноним в "армянской географии", жили названные 24 номером гуны (К. Патканов)], станет ясно, что в зиму 482 года Вахтанг Горгасали отправил к восставшим гунов Амбазука. В зимнюю пору, когда Дариальское ущелье закрыто, Амбазук и на самом деле мог послать своих подчинённых гунов за определенную плату на подмогу восставшим.

Как видно, крепость Дариали и прилегающие территории были унаследованы Амбазуком в 447 году после похода Вахтанга Горгасали на Северный Кавказ. К концу своей жизни Амбазук предложил Византийскому императору Анастасию купить свои владения, в чём ему было отказано. После смерти Амбазука его владениями овладел иранский шах Кавад I и над крепостью и проходом Дариали был установлен контроль Сасапидов.

მხედრის იკონოგრაფიული გამოსახულებაჰი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებზე

ანტიკურ ხანაში მხედრის გამოსახულება საკმაოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა რელიეფებზე (სურ.1), სასანთლებზე (სურ.2), სკულპტურების სახით (სურ.3)... რაც როგორც აღმოსავლურ ღვთაებებს (მენი, მითრა, მითრა-საბადიოსი...), ისე თრაკიელი მხედრის კულტს უკავშირდება. აღნიშნულ სიუჟეტს ვხვდებით საქართველოს ტერიტორიაზეც. კერძოდ, სოფელ გონიო-



სურ. 1.
თრაკიელი მხედარი.
ბულგარეთი, მესამბრია.
ახ.წ. II ს.



სურ. 2.
რომაული ჭრაქი.
ახ.წ. II-III სს.



სურ. 3.
ცხენოსანი მითრა, რომაული
სკულპტურა ახ.წ. I-II სს.

სთან 1974 წელს გზის გაყვანისას აღმოჩენილ განძში დაფიქსირებულ ოთხკუთხა ფორმის ბალთაზე №7. ოთხკუთხედის ცენტრში დარჩილია ფირფიტა მხედრის რელიეფური გამოსახულებით (ახ.წ. I-II სს.) (სურ.4). მსგავსი ბალტები მრავლადაა (10 მთელი და დანარჩენი ფრაგმენტი) აღმოჩენილი ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ სამაროვანზე სოფელ კლდეეთში (ზეხტაფონის რაიონი)[4.13-14,20].¹

გონიოს №7 ბალთაზე ცხენის გამოსახულება ცვარას ვარდულებითაა შემკული, რაც ზოგადად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ოქროსა და ვერცხლის სამკაულებისთვის [18.54,ტაბ.

1 გ. ლომთათიძე კლდეეთის ბალტების სწორკუთხოვანი ნაწილის ანალოგიურად მიიჩნევს არმაზისხევში ასპარუგ ერისთავის სარტყლის სწორკუთხოვან ბალტებს, რომელთაგანაც ერთ-ერთში ზევახისა და კარპაკის პორტრეტული გემაა [2.103-104].

I,4,II,1-3]. მკვლევართა ვარაუდით, სახეზეა გონიოს №7 და მსგავს ოქროს ბალთებზე (კლდეეთი, ლოი) ნარმოდგენილი მხატვრულ-სტილისტური ხერხებისა (ჩიტების სკულპტურული გამოსახულება) და გამოსახულებათა სიმბოლიკის (ცხენის გავაზე შვის სიმბოლო – ვარდულა) გენეტიკური კავშირი უფრო ადრეული ხანის კოლხურ მხატვრულ-კულტურულ სამყაროსთან... ნიშანდობლივია, რომ გონიოს განძის ოქროს ნივთები და არმაზისხევისა და კლდეეთის მდიდრული სამარხების ინვენტარი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების მიხედვით სრულიად ერთგვაროვანია [4. 22-23, 27].



სურ. 4.
გონიოს განძის
ბალთა №7

მხედრის გამოსახულებები გვხვდება, აგრეთვე, გლიბტიკის ნიმუშებზეც. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი გემების 11 ეგზემპლარია (4 მცხეთა, 5 ურბნისი, 1 ქუთაისი, 1 ყინვალი) ცნობილი. ჩვენთვის ცნობილია იკონოგრაფიულად მსგავსი გამოსახულებიანი გემები ბერლინისა და ბონის მუზეუმებიდან.

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი სარდიონის 4 გემიდან (სურ. 5,6,7,8) სამი დაცულია მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში (სურ. 6(ინვ. მმ№3711), II-III ს-ის მიჯნა), სურ. 7(ინვ. მმ№6725), III-IV სს.) 8(ინვ. მმ№5240), II-III ს-ის მიჯნა), ხოლო ერთი (სურ.5 (ინვ. №587), III-IV სს.) — საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მათგან ერთი გემა ნაკლებად იკითხება დაზიანების გამო (სურ.8). ერთ გემაზე ცხენზე ამხედრებულ მხედარს დაბალი სხივებიანი თავსაბურავი ახურავს (სურ.6), ცხენი მოძრაობაშია, რომელსაც წინა ფეხი აწეული აქვს. მესამეზე ზემოაღნიშნულ სიუჟეტს ემატება მხედრის წინ საკურთხეველი, ხოლო უკან - სიცოცხლის ხე (სურ. 5). მეოთხე გემაზე საკურთხეველისა და სიცოცხლის ხის გარდა, მხედრის ზემოთ ვარსკვლავი და ნახევარმთვარეა (სურ.7).


ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი ხუთი გემიდან (სურ. 9,10,11,12,13) ოთხი (სურ.9(ინვ. №1040), 10(ინვ. №1010), 11(ინვ.№1074), 12(ინვ. №1009)) მომწვანო-თეთრი გამჭვივრვალე მინისგან არის დამზადებული (I-II სს.). მათზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული



სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.



სურ. 8.

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი გემები



სურ. 9.



სურ. 10.



სურ. 11.



სურ. 12.

ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი მინის გემების ასლები მხედარი (ცხენი მოძრაობაშია, რომელსაც წინა ფეხი აწეული აქვს). გამოსახულებები ერთმანეთისაგან მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდება. რაც შეეხება მეტწილად ინტალიოს (სურ.13(ინვ. №1107) ახ.წ. III ს.), იგი სარდიონზე ამოკვეთილი და საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენებისაგან. გემის ზედაპირზე გამოსახულია მხედარი სხივებიანი ფრიგიული ქუდით² (მითრა – მ. ლორთქიფანიძე [3.145, №138]) მხედრის წინ ბომონი დგას, რომლის წინაშეც ცხენს წინა ფეხი აწეულია. მხედრის უკან სიცოცხლის ხეა, რომელზეც გველი (?) შემოხვეული [7.12, 81-83 (№№131-135)].

ქუთაისის გემა (სურ.14)(ინვ. №267) [20] ახ.წ. II ს-ის ბოლო - III-ის დასაწყისი) მოპოვებულია ქუთაისის მიდამოებში, ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში და წარმოადგენს მონითალო ფერის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოს, რომელზეც გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მხედარი სხივებიანი ფრიგიული ქუდით (მითრა – მ. ლორთქიფანიძე [3. 144, №136]) პროფილში მარჯვნივ ანთებული სამსხვერპლოს წინ (ცხენი მოძრაობაშია, რომელსაც წინა ფეხი აწეული აქვს). მხედრის უკან სიცოცხლის ხეა წარმოდგენილი.³

2 ფრიგიული ქუდი – პილუს – ძველი ფრიგიელების თავსაბურავი – ჯერ კიდევ ადრე-ანტიკური ხანიდან მოყოლებული ძალზედ იყო გარცელებული: თრაკიაში, დაკიაში, დალმაციაში, ძველ რომში, როგორც თავისუფლების გამოხატულების სიმბოლო. ფრიგიული ქუდით გამოსახავდნენ სხვადასხვა ღვთაებებს: მითრას, საბადიოსს, იუპიტერ დოლიხენუსს, ატისს... ფრიგიულ ქუდს ატარებდნენ: ორფეოსი, ადონისი, განიმედე. ერთადერთი ქალი ღვთაება, რომელიც ფრიგიული ქუდით გამოისახებოდა, იყო ნადირობის თრაკიული ღვთაება ბენდისი (ბერძნ. Βενδίσ), რომელსაც არტემიდასთან, დიანასთან, ატიკაში კი დიდ დედასთან აიგივებდნენ. ძველი ბერძნები ფრიგიული ქუდით ბარბაროსებს (არაბერძნებს) გამოსახავდნენ. ფრიგიული ქუდით არიან წარმოდგენილი ახალი აღთქმისეული მაცხოვრის სანახავად მისული მოციქულები.

3 მ. პენიგს თავის წიგნში მოცემული აქვს ცხენზე ამხედრებული მხედრის გამოსახულებიანი ქრიზოპრავისაგან დამზადებული ინტალიო ჰერცოგ ველინქტონის კოლექციიდან (Silchester, Hampshire. Duke of Wellington's Collection in Reading Museum)). მხედარს სხივებიანი თავსაბურავი ახურავს, ხოლო ხელში მათრახი უჭირავს. გემა ახ.წ. III ს-ით თარიღდება. მასზე გამოსახულ მხედარს იგი თრაკიულ მხედარს უნაფერებს. ხოლო მსგავს გამოსახულებიან გემებად დასახლებული აქვს ქუთაისისა და ა. ფურტვანგლერის მიერ მოყვანილი ბერლინის მუზეუმის გემა №2935 [12. №33, ტაბ. II]. ჩვენი აზრით, ინტალიოზე თრაკიული მხედარი პურიტანული გაგებით არ უნდა იყოს წარმოდგენილი: 1. თრაკიული მხედარი სხივანა ქუდით არ გამოისახებოდა; 2. ქუთაისისა და ბერლინის გემები ბრიტანეთის გემისაგან იკონოგრაფიულადაც განსხვავდება. კერძოდ, ქუთაისისა და ბერლინის გემებზე წარმოდგენილ მხედარს ბერლინის გემის მხედრისაგან განსხვავებით, ხელთ არაფერი უჭირავთ... ჩვენი აზრით, ბრიტანეთის ინტალიოს შემთხვევაში სინკრეტულ ღვთაებასთან



სურ. 13.
ურბნისის სარდლიონის გემა



სურ. 14.
ქუთაისის გემის ასლი



სურ. 15.
უინვალის სარდლიონის გემა

უინვალის სარდლიონის გემაზე (სურ.15) (ინვ.№1854) ახ.წ.III ს.) ცხენზე ამხედრებული მხედარია გამოსახული (ცხენი მოძრაობაშია, რომელსაც წინა ფეხი აწეული აქვს)⁴.

ბერლინისა (როზენის კოლექციიდან) [11. IX, ტაბ. 25, №2935.] და ბონის (კერძო კოლექციიდან) [17. 88-89, Kat. 89, Abb. 82] მუზეუმებში დაცულ გემებზე წარმოდგენილია ცხენზე ამხედრებული მხედარი სხივებიანი ფრიგიული ქუდით სამსხვერპლოს წინ (ცხენი მოძრაობაშია, რომელსაც წინა ფეხი აწეული აქვს). მხედრის უკან სიცოცხლის ხე დგას, ზევით ვარსკვლავი და ნახევარმთვარეა გამოსახული, ხის გარშემო ქვევით კი გველი (სურ. 16,17). ბერლინის მუზეუმში დაცული გემაზე გამოსახული მხედარი ფრიგიულ ღვთაებად ჰყავს მოხსენიებული ა. ფურტვანგლერს. ნიშანდობლივია, რომ როზენმა,



სურ. 16.
ბერლინის მუზეუმის გემის ასლი



სურ. 17.
ბონის მუზეუმის გემა

რომელსაც ეს გემა ეკუთვნოდა, თავისი კოლექციის დიდი ნაწილი კონსტანტინოპოლში შეიძინა. გ. დუნდუას აზრით, გემა მცირეაზიული წარმოშობისაა [1. 237]. ბონის მუზეუმში დაცულ კარნეოლის ინტალიოზე გამოსახული მხედარი კი მიჩნეულია ჰელიოს-დიოსკურის ფორმით გამოსახულ მითრად.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევისას მეცნიერთა მხრიდან იმთავითვე იქნა გავლებული

გვაქვს საქმე. ურბნისის გემები აქვს მითითებული, აგრეთვე ა. დიმიტროვა-მილჩევას სოფის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული კორნეოლისაგან დამზადებული მხედრის გამოსახულებიანი გემას მსგავს გამოსახულებიან გემებად (აღმოჩენის ადგილი უცნობია). სოფის მუზეუმის გემაზე მხედარს ხელში შუბი უჭირავს. გამოსახულება სქემატურია [19.163, №134]. აღნიშნული გემა ურბნისის გემებიდან ასევე განსხვავდება და ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სწორედ თრაკიელი მხედარის გამოსახვასთან გვაქვს საქმე.

⁴ მაღლობას მოვასხსენებთ ქალბატონ ქეთევან რამიშვილს მონოდებული მასალისათვის. იგი აღნიშნულ გემას ახ.წ. II საუკუნით ათარილებს.

პარალელი ბიჭვინთასა და სოხუმში დიდი რაოდენობით აღმოჩენილ ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტებთან (სურ.18,19,20,21), როგორც ერთიდაიგივე ღვთაების გამომხატველ ნივთებთან [8.82-83]. მეცნიერთა ნაწილის აზრით, გემებისა და მონეტების გამოსახულებებზე იდენტურია როგორც ცხენის დგომის პოზა, ისე მასზე ამხედრებული ჭაბუკის ჩაცმულობა, ზოგ შემთხვევაში კი თანმდევი ატრიბუტები. ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტების გამოსახულება მ. მაქსიმოვამ მითრად მიიჩნია [21.399-400]. ფ. კიუმონის აზრით, კი მხედარი სინკრეტული ღვთაებაა, რომელიც აერთიანებს მითრასა (მზე, სინათლე) და კაპადოკიური მთვარის ღვთაება მენის⁵ ფუნქციებს, რადგან მითრა ძალზედ იშვიათად გამოისახებოდა ხოლმე ცხენზე ამხედრებული, ხოლო მენისათვის ეს ჩვეულებრივი პოზაა [6.362].

გ. დუნდუას აზრით, ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტებზე გამოსახული ღვთაება არ არის მითრა პურიტანული გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა – მთვარის, მზიასა და ვარსკვლავთ ფუნქციების გამაერთიანებელი, მათი უნიფიცირებული სახე, რაც ხსნიდა კიდევ მითრას გამოსახულების თავთან ხშირად მნათობთა (ნახევარმთვარე და ვარსკვლავი) გამოჩენას. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ აღნიშნული სინკრეტული ღვთაება არაბერძნული წარმოშობისაა და არ ჩანს გავრცელებული სხვა მცირეაზიულ ბერძნულ ქალაქებში. ამდენად, ტრაპეზუნტის მონეტები ამ ქალაქის მოსახლეობის ადგილობრივ ე.ი. „ბარბაროსულ“ წარმოშობაზე მიუთითებდა და ამ ეთნიკური ჯგუფის რწმენა-წარმოდგენების გამოხატულებას წარმოადგენდა. გ. დუნდუას მოსაზრებით, მონეტებზე ამოკვეთილი გამოსახულებანი შინაარსობრივად მჭიდროდ არის დაკავშირებული უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებთან [1.235-239].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი გემები ახ.წ. I-IV სს-ით თარიღდება. შესაბამისად, მათზე გამოსახული იკონოგრაფიული სიუჟეტის დასადგენად გასათვალისწინებელია გვიან ანტიკურ პერიოდში რომის იმპერიასა და საერთოდ რეგიონში არსებული პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია. გვიანანტიკურ ხანაში იბერია ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც ანგარიშგასანევი ძალა იყო მეზობელი ქვეყნებისა თუ იმპერიებისათვის. ამ დროს ქართლში არაერთი მნიშვნელოვანი ქალაქი არსებობდა. მათ შორის იყო მცხეთა – ქვეყნის დედაქალაქი, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ოძრხე, ნეკრესი... იბერია იყო საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი, რომელზეც გადიოდა მეზობელი ქვეყნებიდან – სომხეთიდან, კოლხეთიდან, ჩრდილოეთიდან მომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. იბერია და კოლხეთი, ზემოაღნიშნული გეოპოლიტიკური მიზეზების გამო დიდი იმპერიების ინტერესის სფეროს წარმოადგენდნენ, სადაც გაბატონებისათვის ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ერთი მხრივ პართია (მოგვიანებით

5 მენი მთვარის ფრიგიული ღვთაებაა და მინის ნაყოფიერებისა და ადამიანთა ჯამრთელობის ღმერთს წარმოადგენდა. გვეკლინებოდა საფლავების მცველად. რომაულ ეპოქაში, ის ხშირად სინკრეტიზაციას განიცდიდა (ატიხსთან, საბაძიოსთან). ერთ-ერთი ასეთი იყო შერწყმა მითრასთან [5.68-69].



სურ. 18.



სურ. 19.



სურ. 20.



სურ. 21.



ტრაპეზუნტის მონეტები

სასანიანთა ირანი), ხოლო მეორე მხრივ, რომის იმპერია.

ახ.წ. I-IV ს-ის შუა ხანებამდე ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისკენ (რომი) იყო მიმართული. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ახ.წ. III ს-ის შუა ხანები, როდესაც ქართლის მეფე ამაზასპი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, რაც სასანიანთა ირანის გაძლიერებასა და ამ სახელმწიფოს ქართლში საკუთარ პოლიტიკურ ზრახვებში გამოიხატებოდა, იძულებულია სახელმწიფო ორიენტაცია შეცვალოს და თავი ირანის შაჰის – შაბურ I ვასალად აღიაროს. 298 წლის ნიზიბინის ზავის შემდეგ ქართლი სომხეთთან ერთად ისევ რომის გავლენის სფეროში მოექცა. ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო (Petros Patrikius, Hist., 14). მიუხედავად ამისა, ქართლი ფაქტობრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა (ზავი არ დარღვეულა ორმოცი წლის მანძილზე). რომი კმაყოფილდებოდა ქართლის ფორმალური მორჩილებით და არ ერეოდა მის შინაურ საქმეებში.

საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდება ბერძნულ-რომაული ღვთაებების შემოსვლა. დასავლეთიდან – რომის იმპერიიდან შემოდის, აგრეთვე, ინდოევროპული წარმოშობის სინათლისა და მზის ღმერთი მითრა (უკვე მეორედ ანტიკურ პერიოდში), რომელსაც მეცნიერთა ნაწილი ჩვენ საკვლევი ინტალიოებზე გამოსახულ მხედართან აკავშირებს.

ჩვენთვის საინტერესო გვიან ანტიკურ ხანაში, ახ.წ. I-IV ს-ში მითრას ძირითადად ვხვდებით ახალგაზრდა ფრიგიელის სახით, ნაციონალურ ტანსაცმელში, ქუდით, მოკლე ტუნიკით და ლაბადით, რომელსაც ქარი აფრიალებს. როგორც ადამიანს, რომელიც თამამად მიდის დასახული მიზნისკენ. მუხლებით ეყრდნობა უკანა ფეხებზე დამხობილ ხარის კისერს. სწორედ ხარის მკვლელი მითრა წარმოადგენს ღვთაების ყველაზე გავრცელებულ სიუჟეტს



სურ. 22.

მარინოს (იგალია) მითრეუმში დაცული
კედლის მხატვრობის ნიმუში. ხარისმკვლელი
მითრა (ახ.წ. III ს.).



სურ. 23.

სან სტეფანო როტონდოს (რომი)
მითრეუმის ქანდაკება

[15.292] (სურ. №22). გარდა ამისა, გვხვდება მითრას სხვადასხვა გამოსახულებები. მაგალითად, მხედრის ფორმით როგორც მონეტებზე, ისე სკულპტურის სახით (სურ.3). სან სტეფანო როტონდოს (რომი) მითრეუმის ერთი ქანდაკება კი გვიჩვენებს გამარჯვებულ მითრას ჩირაღდნითა და მახვილით ხელში (სურ. 23)... მითრა ითვლებოდა ასტრალურ კულტადაც. მის წმინდა ცხოველებს წარმოადგენდნენ ხარი, ლომი, გველი, ყორანი და მამალი [9].

მითრას როგორც მზის ღვთაებას, აქემენიანთა სპარსეთის ბატონობის პერიოდიდან სცემდა თაყვანს მცირეაზიის – ფრიგიისა და სირიის მოსახლეობა. მოგვიანებით ხდება სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის ფრიგიული ღვთაებების – საბადიოსის, მენის, ატისის შერწყმა მითრასთან. ნიშანდობლივია, რომ თვით მაზდეანობაშიც კი ეს არიული კულტი წარმმართველ ადგილს იკავებს.

რიგ შემთხვევებში მითრა გაიგივებული იყო ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან. მაგალითად, ოსტისში მითრას 17 იდენტიფიკაცია გააჩნდა [16.33]. ლევანტის ქვეყნებში – ეგვიპტეში, ახლო აღმოსავლეთში მითრა უფრო ახლოს სერაპისთან იდგა [13.200]. მითრას ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც ზევს-მითრას, რომლის სახელზეც იგებოდა ტაძრები, იდგებოდა საკურთხევლები. ხშირია მითრას შერწყმა მზის ბერძნულ-რომაულ ღვთაებებთან სოლთან და ჰელიოსთან, რის შედეგადაც მიღებულ იქნა სინკრეტული ღვთაება – მითრა-სოლი, მითრა-ჰელიოსი. გვიან ანტიკურ ხანაში მითრა იკონოგრაფიულად მზის სხივებით ძირითადად სოლთან ან ჰელიოსთან შერწყმის შემთხვევაში გამოისახებოდა. ნიშანდობლივია, რომ იგი რომის იმპერიის დასავლეთ ტერიტორიაზე უფრო მეტად ვრცელდება ვიდრე აღმოსავლეთ ტერიტორიაზე [14.63-68].

ნიშანდობლივია, რომ რომის პერიოდში მითრა უკვე აღარ ექვემდებარება აპურა მაზდას. მაზდეანობის უმაღლესი ღვთაება პირვანდელი სახით გაქრა დასავლეთში [22.97]. ცხადია მითრა ჩვენში ახ.წ. I-IV სს-ში პირვენდელი სახით ვერ გავრცელდებოდა. მითრას ამ დროისათვის უკვე გამოვლილი ჰქონდა ელინისტური პერიოდი. ჩვენი აზრით, გვიან ანტიკურ ხანაში საქართველს

ველოს ტერიტორიაზე მითრა შემოვიდა რომის იმპერიიდან როგორც ელინიზებული სინკრეტული ღვთაება (მითრა-ჰელიოსი, მითრა-სოლი...).

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გემების შესწავლის პროცესში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ერთ გარემოებას, რომ სამ ინტალიოზე (ერთზე მხედარი ინტალიოს დაზიანების გამო ნაკლებად იკითხება) გამოსახული მხედარი ტრაპეზუნტის მონეტებთან იკონოგრაფიული მსგავსების მიუხედავად, მათგან მაინც განსხვავდება: 1. მცხეთის გემებიდან არცერთზე მითრას დამახასიათებელი ატრიბუტები (ხარი, ლომი, გველი, ყორანი და მამალი) არ არის წარმოდგენილი; 2. არც ერთ მათგანს ამ ღვთაებისათვის დამახასიათებელი ფრიგიული ქუდი არ ახურავს. მცხეთის ინტალიოებიდან ერთზე მხედარი დაბალი (საშუალო. აეტორი) ნახევრადსხივანა თავსაბურავით არის გადმოცემული (სურ.5), ორზე დაბალი (საშუალო. აეტორი) სხივანა თავსაბურავით (სურ. 6,7). იმ დროს, როდესაც ტრაპეზუნტის მონეტებზე ღვთაება გამოკვეთილად ფრიგიული ქუდით არის წარმოდგენილი; 3. გემებზე გამოსახული მხედრის ტანსაცმელიც სტილისტურად საკმაოდ განსხვავდება ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახული ღვთაების ტანსაცმლისაგან, რომელიც უფრო ახლო მსგავსებას პოულობს ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებზე წარმოდგენილ მხედრის გამოსახულებებთან. მცხეთის გემებზე წარმოდგენილ მხედარს ძალზედ მოკლე ტუნიკა (?) აცვია, მხედრის მოკლე ქლამიდა კი ჰაერში ფრიალებს. ტანსაცმელს ადგილობრივი იერი დაკრავს. ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახულ ღვთაებას მოსასხამი მხოლოდ მოხურული აქვს, რომელიც დაბლაა დაშვებული; 4. მცხეთის გემებზე თავდაპირველად გვხვდება მხოლოდ ცხენზე ამხედებული ღვთაების გამოსახულება (II-III ს-ის მიჯნა, (სურ.6 (ინვ. მმ№3711), სურ. 8 (ინვ. მმ№5240)), შემდეგ კი გამოსახულებას ემატება საკურთხეველი, ხე, ნახევარმთვარე და ვარსკვლავები (III-IV სს. სურ.5 (ინვ. №587), სურ.7 (ინვ. მმ№6725)), რაც დროთა განმავლობაში აღნიშნული ღვთაების სხვა ღვთაებასთან სინკრეტიზაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს; 5. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, მცხეთის გემები ქალის კუთვნილებას წარმოდგენს, რაც ასევე ძნელი წარმოსადგენია გვიან ანტიკური ხანის მითრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მინის გემებს – (სამი მათგანი ბეჭედში იყო ჩასმული სურ.9 (ინვ. №1010 (რკინის ბეჭედი), სურ.10, (ინვ.№1074 (ბრინჯაოს ბეჭედი), სურ.11 (ინვ. №1009 (რკინის ბეჭედი)), ერთის სურ.12 (ინვ. №1040) ბეჭდის რკალი არ გააჩნდა)) ისინი ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება. მათზე გვხვდება მხოლოდ ცხენზე ამხედებული მხედრის გამოსახულება, რომელზეც იკონოგრაფიულად ახლო მსგავსებას პოულობს მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებზე წარმოდგენილ მხედრის გამოსახულებებთან.

აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მხედრის ადგილობრივ ნიდაგზე წარმომობილი კულტის გამოსახვასთან გვაქვს საქმე. რისი მტკიცების საფუძველსაც გვაძლევს შემდეგი გარემოებები: 1. ოთხივე ინტალიოზე არსებული გამოსახულება იკონოგრაფიულად ერთმანეთის იდენტურია და

მათზე რომელიმე ღვთაებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები არ არის წარმოდგენილი; 2. ურბნისის გემებზე გამოსახული მხედრის ტანსაცმელი სტილისტურად ახლო მსგავსებას პოულობს სწორედ მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებზე წარმოდგენილი მხედრის გამოსახულებებთან; 3. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული კულტის ფიქსაცია ახ.წ. I ს-იდან ხდება, როდესაც ქართლი ანტიკურ პერიოდში უკვე მეორედ ძლიერ, ერთიან ქვეყნად ყალიბდება.

ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ მეხუთე – სარდიონის გემაზე მხედარი უკვე წარმოდგენილია სხივებიანი ფრიგიული ქუდით, რომელსაც ემატება საკურთხეველი, ხე და გველი (ინვ.№1107, სურ.13), რაც გვიან ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად, მისი სხვა ღვთაებებთან შერწყმის მაჩვენებლად მიგვაჩნია. ნიშანდობლივია, რომ სარდიონის გემაზე გამოსახული მხედრის ტანსაცმელი, ისევე როგორც ურბნისის მინის ინტალიოებზე გამოსახული მხედარი ახლო მსგავსებას პოულობს მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებზე წარმოდგენილ მხედრის გამოსახულებებთან...

ქუთაისის გემა (სურ. 14) ახ.წ. II-III ს-ის დასაწყისით თარიღდება. სტილისტურად ისიც სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებთან პოულობს სიახლოვეს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებთან სტილისტური თვალსაზრისით ახლო დგას, აგრეთვე, ახ.წ. II ს-ით დათარიღებული ჟინვალის გემა (სურ.15). იგივე შეიძლება ითქვას ბერლინისა (სურ.16) და ბონის (სურ.17) მუზეუმში დაცული გემების შესახებაც, რომლებზეც ზემოაღნიშნულ სიუჟეტს ემატება გველის მოსახულება.

რა თქმა უნდა, ქართული წარმართული ღვთაებათა პანთეონი თავს ვერ დააღწევდა იმ რელიგიურ სინკრეტიზმს, რომელიც ელინისტური ხანიდან მოყოლებული არსებობდა ანტიკურ სამყაროში. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებზე არსებული სიუჟეტების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველად გავრცელებას იწყებს ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი მხედრის კულტი – ცხენზე ამხედრებული მხედრის გამოსახულება (ახ.წ. I-II სს.), რომელიც დროთა განმავლობაში სინკრეტიზაციას განიცდის ასტრალურ ღვთაებებთან და იქმნება ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილი სინკრეტული ღვთაება, რომელიც შესაძლოა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ერთ-ერთ წარმართველ ადგილს იკაავებს ქვეყნის რელიგიურ პანთეონში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ გემები, რომლებზეც აღნიშნული ღვთაებაა გამოსახული, ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდეს.

საკითხის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მნათობთა თაყვანისცემა უცხო არ იყო ქართული წარმართობისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი პერიოდიდან სცემდნენ თაყვანს მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს. ქართლის ცხოვრებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი ახლადმექმნილ სახელმწიფოში – ქართლში დატოვებს რა მმართველად აზოს უბრძანებს: „რათა პატივი სცენ მზესა და მთოვარესა და

ვარსკვლავთა ხუთთა, და კმსახურებდნენ ღმერთსა უხილავს, დამბადებელსა ყოვლისასა..." [6.18]. გამოდის რომ მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა თავ-ვანისცემა ქართული წარმართული პანთეონისათვის ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ყოფილა ცნობილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II-ახ. წ. IV სს., დიდი პიტეონტი, I, თბ., 1975, გვ. 280-429.
2. ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.
3. ლორთქიფანიძე მ., ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, თბ., 1969.
4. ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი, თბ., 1980.
5. მშვილდაძე მ., რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს., თბ., 2005.
6. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955.
7. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972.
8. ჭილაშვილი ლ., ურბნისის ნაქალაქარი, თბ., 1964.
9. Ackermann Ph., Sasanian Seals, SPA, I, 1938b.
10. Cumont F., Textes et Monuments relatif aux Mistères de Mithra (Abrégé: TMMM) I-II, Bruxelles, 1896-1899, I.
11. Furtwängler A., Beschreibung der geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896.
12. Henig M.. A Corpus of Roman Engraved Gemstones from British Sites (*British Archaeological Reports*, 8 (1)), 1974.
13. MacMullen R., Le paganisme dans l'Empire Romain, les chemines de l'histoire. Traduit de L'american par L. Spiquel, A. Roussel. Presses Universitaires de France, Paris, 1987.
14. Noll I., The mysteries of Mithras in the Roman Orient: the problem of oriens, in *Journal of Mithraic Studies*, t.2, 1977.
15. Tautil J.C., Sectes religieuses en Grèce et à Rome dans l'Antiquité païene, Des sectes bien installées a l'époque impériale: Le Isiaques et les Mithriastes, Paris, 1986.
16. Turcan R., Mithra et le Mithriacisme, Paris, 1993.
17. Zwierlein-Dichl Erika., Siegel und Abdruck: antike Gemmen in Bonn, Bonn, 2002.
18. Амиранашвили А.И., Новая находка в низовьях реки Ингура. Тбилиси, 1935.
19. Димитрова-Милчева А., Античные геммы и камни, София, 1980.
20. Кибальнич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910.
21. Максимова М., Античные города юго-восточного причерноморья, М-Л., 1956.
22. Ранович Б., Первоисточники по истории раннего христианства, Москва, 1933.

MARIKA MSHVILDADZE

ICONOGRAPHICAL REPRESENTATION OF RIDERS ON GLYPTIC ARTIFACTS DISCOVERED IN GEORGIA**Summary**

There are 11 examples of horse rider representations on gems known in Georgia (4 from Mtskheta, 5 from Urbnisi, 1 from Kutaisi, 1 from Zhinvali). Images of horse riders were widespread in Antique period. Discussed theme appears as part of several reliefs and lamps decoration, which is thought to be connected with Thracian rider's cult of eastern Gods Men, Mitra, Mitra-Sabazios.

Studying late antique religions and rider's images discovered in Georgia, clear conclusion appears. Despite the iconographical similarities, the above mentioned images on gems differ from each other.

Author concludes, that representations of the rider on cornelian intaglios discovered in Mtskheta (phot.5,7) are a syncretic deity, which we regard as the indicator of confluence with other deities as a result of religious syncretism, characteristic for late antique era. This is not a Mitra. There some reasons for similar assumptions: 1. The gems discovered in Mtskheta do not have any attributes characterizing Mitra (ox, lion, snake, raven and a rooster); 2. Moreover, none of portrayed figurines are wearing Phrygian hat, typical for these deities. On three intaglios, riders are represented with low head cover – depicted in one case by two rays, in another - half ray hat...; 3. According to grave inventory, gems belong to women, which is unusual for mainly masculine cult of Mitra...

On glass intaglios found in Urbnisi (phot.9,10,11,12) and cornelian intaglio discovered in Zhinvali (phot.15) similarly, local cult of the horse rider is presented. The rider depicted on Urbnisi glass intaglios In this case, representation of the riders has different iconological details that makes it hard to find any similarities to deities on coins discovered in Trabzon. The rider depicted on Urbnisi (pic. 13) and Kutaisi (pic. 14) cornelian intaglios, similar to the rider on Mtskheta cornelian gema is a syncretic deity, which we regard as the indicator of confluence with other deities as a result of religious syncretism, characteristic for late antique era. The rider on gemas of Urbnisi, Kutaisi and Zhinvaliis are stylistically similar to rider images on gemas found on the territory of Mtskheta....

On the basis of the study of the themes of the gemas found on Georgian territory we may assume that the pantheon of Georgian pagan deities could not have escaped the religious syncretism, having existed in antique world since Hellenic era. The rider's cult having originated on the local basis starts to spread initially on the territory of Georgia – the image of the horse rider (I-IIcc, A.D.), undergoing gradual syncretization with the astral deities and a syncretic deity of local origin, occupies one of the leading places in the religious pantheon of the country, possibly due to the political circumstances. The abovesaidit allows us to assume that the gemas with the image of the given deity may be produced locally.

МАРШКА МШВИЛДАДЗЕ

ИКОНОГРАФИЧЕСКОЕ ИЗОБРАЖЕНИЕ ВСАДНИКА НА
ПАМЯТНИКАХ ГЛИПТИКИ НАЙДЁННОМ НА ТЕРРИТОРИИ
ГРУЗИИ

Резюме

На территории Грузии были найдены 11 экземпляров гемм с изображением всадника (4 в Мцхета, 5 в Урбниси, 1 в Кутаиси, 1 в Жинвали). В позднеантичном периоде изображение всадника было довольно распространено. Этот сюжет мы встречаем на разных рельефах, светильниках... Которого связывают как с восточными божествами (Мен, Митра, Митра-Сабазий...), так и с Фракийским всадником.

На основе изучения глиптического материала с изображением всадника и религиозной ситуации в Грузии позднеантичного периода мы пришли к выводу, что несмотря на иконографическое сходство изучаемых гемм, существует и различие.

По нашему мнению, изображённый всадник на сердоликовых инталиях из Мцхета (фот. 5,7) является синкретным божеством, которое представляет собой результатом религиозного синкретизма позднеантичного периода, слиянием местного божества всадника с разными богами, а не Митру. Есть несколько причин, по которым мы можем это доказать: 1. Не на одном изображении всадника Мцхетских гемм не представлены атрибуты Митры (Бык, лев, змея, ворон, пестух); 2. Не на одном у всадника нет на голове характерной для этих божеств фригийской шапки. На всех трёх инталиях всадник представлен в низкой шапке – два в лучеобразной, одна полулучеобразной короне...; 3. По данным погребального инвентаря геммы представляют женскую собственность, чего трудно представить в отношении Митры.

На стеклянных инталиях из Урбниси (фот.9,10,11,12) и на инталии из сердолика из Жинвали (фот. 15) представлен культ местного всадника. Всадника изображённом на стеклянных инталиях из Урбниси из за различия иконографических деталей, мы не можем связать с божеством изображённом на тралезунгских монетах. Всадники изображённые на сердоликовых инталиях из Урбниси (фот.13) и Кутаиси (фот.14), также как и всадник изображённый на сердоликовой гемме из Мцхета, представляют собой результат религиозного синкретизма позднеантичного периода – слияние местного божества всадника с разными богами. Всадники изображённые на инталиях из Урбниси, Кутаиси и Жинвали стилистически близко стоят со всадниками представленными на геммах найденными в Мцхета.

Изучая сюжеты изображённые на геммах найденных на территории Грузии можно заключить, что грузинские языческие божества не могли избежать религиозный синкретизм, который существовал в античном мире начиная с эллинистического периода. На территории Грузии сначала начинает распространяться появившийся на местной почве культ всадника (I-II вв. н. э.), который со временем сливается – происходит синкретизация с астральными богами и создаётся новое божество, которое исходя из политической ситуации не исключено занимает одну из главных мест в религиозном пантеоне страны. Не исключено, что геммы на которых изображено упомянутое божество местного производства.

ივანე ათაბაგის ლაშქრობა უსკოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ*

აჯანყების გამომწვევი მიზეზი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მთიელთა აჯანყების გამომწვევ მიზეზთა თაობაზე არაერთ მეცნიერს აქვს გამოთქმული ლირებული მოსაზრება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა შეხედულება ორ მთავარ პოსტულატამდე დადის - გამოსვლა განაპირობა ფხოვისა და დიდოეთის ფეოდალიზაციისა და ქრისტიანიზაციის პროცესმა. დამეთანხმებით ორივე ამ ცნებაში საკმაოდ რთული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები მოიაზრება. ვერცერთი ვერ დაინყებოდა, თუნდაც თამარის გამეფებისას და ვერ დასრულდებოდა თამარის გარდაცვალებამდე. ზოგადად ფეოდალიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ევოლუციას. საქართველოს მთიან ზოლში მან თავისი დასრულებული (ეს ცნება პირობითია. ჩვენი აზრით, „კლასიკურ“ ფეოდალიზმზე საქართველოს მთიან ზოლში საერთოდ საუბარი გადაჭარბებულია) სახე საბოლოოდ ვერ მიიღო, მამ რა უნდა ვიგულისხმოთ მთის „ფეოდალიზმში“, რომელმაც ასეთი მასშტაბური აჯანყება გამოიწვია? იგივე ითქმის მთის ქრისტიანიზაციის საკითხზეც. ეს პროცესიც რამდენიმე საუკუნე ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ფხოვში ადრე შუა საუკუნეების ძეგლები უხვადაა შემონახული. ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაში ქართულ მართლმადიდებლური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა X-XI სს. აქტიურდება და ეს ვითარება შენარჩუნებულია შემდეგაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ XII-XIII სს. მიჯნას ვერ მივიჩნევთ მთის ქრისტიანიზაციის ახალი ეტაპის დაწყების თარიღად. ამის არაერთი ცნობა არ გაგვაჩნია. მართალია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს სურს მკითხველს აჩვენოს, რომ ფხოვში და დიდოეთში ქრისტიანობა სუსტადაა ფეხმოკიდებული, მაგრამ ამ კონტექსტის მიხედვით აჯანყების მიზეზის ძიება არ იქნება მართებული. დიდოელები კი „ეშმაკსა თაყუანისცემენ“, მაგრამ აჯანყებული ფხოველები „ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“.¹ თითქოს აქ სიტყვა „იჩემებენ“ კინობითი ტონითაა ნათქვამი, მაგრამ ყველაფერი ამის აღნიშვნა ავტორს მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რათა თავისი მთავარი სათქმელი ახსნას. ფხოველები და დიდოელები საბოლოოდ ჯერ კიდევ

* გაგრძელება, დასაწიხი იხ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების სერია. №2, 2017.

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ.478

არ არიან ნაზიარები ქრისტიანულ ცივილიზაციას და ამიტომ „ინყეს რბევად და ოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით“.² ვფიქრობთ ქრისტიანობის გავრცელება მთაში არც აჯანყების მიზეზი და არც აჯანყების ჩახშობის შემდეგ მისალნევი მიზანი ყოფილა. რა თქმა უნდა, ფხოვისა და დიდოეთის მტკიცედ დამორჩილების შემდეგ არ გამოვრიცხავთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გააქტიურებას ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ეს უფრო აჯანყების ჩახშობის შედეგად შექმნილი რეალობიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო. უშუალოდ ფხოველთა და დიდოელთა გამოსვლის ყამს მთავარი მამოძრავებელი აჯანყებულთათვის მთის ქრისტიანიზაციის საკითხი არ უნდა ყოფილიყო. მთისა და ბარის ურთიერთობა საინტერესო პროცესებით ხასიათდება. მთა ყოველთვის მიისწრაფის ნამატი მოსახლეობა ბარში ჩამოანაცვლოს, თავის მხრივ ბარი ცდილობს მთას მაქსიმალურად შეუზღუდოს „ავტონომიურობა“. სწორედ ეს საკითხები, განსაკუთრებით უკანასკნელი, იწვევდა მთისა და ბარის კონფლიქტს.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მთიელთა გამოსვლის მიზეზებზე, ამოსავალი უნდა იყოს ერთი ფაქტორი - რისი მიღწევა სურდა საქართველოს სამეფო კარს ფხოველებთან და დიდოელებთან ბრძოლისას? ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა შედეგს მიაღწია ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამარჯვების შემდეგ? ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ რისთვისაც, რის მისალნევადაც გამარჯვებული ივანე მხარგრძელი იბრძოდა, ამას ეწინააღმდეგებოდნენ დამარცხებული მთიელები. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს ასეთ პრობლემურ საკითხად დასახელებული აქვს სამი მიზეზი:

1. აჯანყების დაწყების აღწერისას ის მიუთითებს, რომ ფხოველებმა და დიდოელებმა „ინყეს რბევად და ჳოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით“ ანუ მემატთანე მთიელთა მეკობრეობაზე გვესაუბრება. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის უპირველესი მიზანი, რის გამოც გამარჯვების შემდეგ ივანე მხარგრძელმა ფხოველებისა და დიდოელებისაგან მძევლები აიყვანა და მათ „პირი სიმტკიცისა აღუთქვეს“.

2. მემატთანე ჩამოთვლის იმ პირობებს, რაც ფხოველებმა და დიდოელებმა „აღუთქვეს“ ივანე ათაბაგს. პირველად მითითებულია „მსახურება“ - „აღუთქვეს მსახურება.“

რას უნდა გულისხმობდეს ეს „მსახურება“?

ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ტერმინის ქვეშ იგულისხმება არა ყველა სახის „მსახურება“, არამედ გამოკვეთილად სამხედრო სამსახური, რომელიც მთას ვალდებულებად ედო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ კახეთის მეფის კონსტანტინე II-ს და თეიმურაზ II-ს სიგელები, სადაც ნათლად ჩანს თუ რას ითვალისწინებდა ეს „მსახურება“.

ა) სიგელი კონსტანტინე მეფის მიერ ლაშარის ჯვარისა და ფშაველთათვის. სოფ. მარილისის ნახევრის ბოძების შესახებ.

„...კურთხეულისა და სანატრელისა და ყოველთა მეფეთა უმჯობესისა პაპის ჩვენისა ბატონის თეიმურაზისათვის თავი არ დაგეზოგათ სამსახურზედ და მრავალი გემსახურათ. კიდევ ნამეტნავი სამსახური ჩვენს ძმასთან მეფე იმაყულისხანთან დაგედვათ და გეჩვენებინათ, მრავალჯერ მის წინ ომში ყოფილიყავით, და გაგემარჯვებინათ... ოდეს მოვიდნენ ურუმნი საქართველოდ, ვილაშქრეთ მათ ზედან, თქვენ მოძმისა ჩვენისა ლაშქარნი და დროჲა სრულ ფშაველნი თან გვახლდით. ოდეს ერთმანეთს შევებენით, მრავალნი მოკვდით ჩვენ წინა ურუმთაგან; ხოლო ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი საქართველოში არცა ერისთავების ალაგებში ეგებოდა ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დიჭირეს იგი ადგილები, ხოლო ინება მოძმემან ჩვენმან და არა განგვწირა; არამედ წარმოგვიძრევა ადგილად თვისად და მოგვაგება ლაშქარნი და მოყმენი თვისი ფშაველნი წინაშე ჩვენსა, რომელთა იტკრთენით ბარგნი ჩვენი ზურგითა და მკრითა თქვენითა და მოგვიძელით ადგილად თქვენდა სამყოფსა მოძმისა ჩვენისასა ფშავს და გ(ე)მსახურეთ მსახურებითა დიდითა, ვითარცა მსახურებთ მოძმესა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთად ჩვენ მისსა მოძმესა; არამედ არა ეგებოდა ვითარცა ესეოდენთა ამათ მსახურებათა თქვენთა არა გავრჯილ ვიყავით შესანიშნავითა და მსახურებითა მოძმისა ჩვენისა...“³

ბ). მეორე სიგელი თეიმურაზ II ფშაველებისა და ერწო-თიანელების „პირობისა და ფიცის წიგნია“. მასში ვკითხულობთ: „...ჩვენის კელმნიფის მეფის თეიმურაზის და მისის სახლის კაცის, მათ შვილთა და შვილის შვილთა დიდი ერთგულნი ვიყვენეთ... როგორც რომ ჩვენის ლაშარის წმინდის გიორგის ერთგულნი ვართ, ისრე მეფის თეიმურაზის მტრისა მტერნი ვიყვენეთ, მოყვრისა მოსამსახურენი. როდესაც გაუჭირდეს იმასთან დავიხოცნეთ... მისის ბრძანებით მტერს უმტეროთ, მოყვარეს ვემსახუროთ. მოხდეს, ავიყაროთ, ლაშქარი სადმე ბძანოს, - ულაშქროთ... მისი ბრძანების მორჩილნი ვიყვენეთ.“⁴ „ისტორიანი და აზმანი შარაევანდედთანში“ მოხსენიებული „მსახურება“ სწორედ ასეთი სახის ვალდებულებებს უნდა გულისხმობდეს. გვიან შუა საუკუნეებში ფშავ-ხევსურეთს უწინდებულად ედო ასეთი სამხედრო ვალდებულება, მაგრამ დიდოეთი მისგან უკვე თავისუფალია. არ გამოვირიცხავთ, რომ დიდოელებთან მიმართებაში ვითარება XV-XVI საუკუნეში შეცვლილიყო და ახალი პოლიტიკური რეალობით ყოფილიყო ნაკარნახევი. ამდენად, ჩვენი აზრით, ის ვალდებულება, რაც XIII საუკუნეში ფხოვესა და დიდოეთს სამეფო კარმა განუწესა, მოგვიანებით ნაწილობრივ შეიცვალა.

3. თამარის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ივანე ათაბაგმა ფხოველებს და დიდოელებს „ხარაჯა“ განუწესაო. აქ უნდა იგულისხმებოდეს მთისადმი შეწერილი სხვადასხვა სახის გამოსაღები. მაგალითად, გვიან შუა საუკუნეებში კახეთის სამეფოში დიდოელებს ეკისრებოდათ სამეფო კარის

3 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფ. შდ 2940/5160. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადობრივ-საკულტურ ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ. 1974, გვ. 42.

4 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფ. 221. იხ. ასევე დ. გოგოლაძე, ქართული სოფლის ფეოდალიზმის ხანაში, (VI-XVIII სს), ნ. I. თბ. 1992, გვ. 216.

ყინულით მომარაგება. ზაფხულობით დიდოეთიდან ჩამოჰქონდათ ყინული და ეს ვალდებულება დიდოელებს დაკისრებული ჰქონდათ ლევან და ალექსანდრე II კახთა მეფეების დროიდან და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ასრულებდნენ მას. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ფშავ-ხევსურებსაც ლაშქრობასთან ერთად ეკისრებოდათ „ბეგარა.“ XVI საუკუნეში კახეთის მეფეებს „არლარა მორჩილებდნენ ფშავ-ქვესურნი.“⁵ ლევან კახთა მეფემურიჩი მთა დაიმორჩილა არა ძალით „არამედ ალუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შენირულობა ლაშას ჯვარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდენ ლაშკარსა და ბეგარასა.“⁶ რა სახის იყო ფშავ-ხევსურთა ბეგარა ჩვენთვის უცნობის, თუმცა მას მძიმე გადასახადის სახე არ უნდა ჰქონოდა. ფშავ-ხევსურებთან კახეთის მეფეები, ძირითადად, მანც სამხედრო ვალდებულებით იფარგლებოდნენ.

ამდენად, ჩვენ გვაქვს სამი საკითხი, რომლის მიღწევას ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლება ფხოველებთან და დიდოელებთან ბრძოლისას. აქ უნდა დაისვას ერთი საკითხი, ნუთუ სამივე ეს პრობლემა - მთიელთა მეკობრეობა, „მსახურებაზე“ და „ხარაჯის“ ვალდებულებებზე უარის თქმა ერთმნიშვნელოვნად უნდა მივიღოთ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად?

რა თქმა უნდა არა. განსაკუთრებით ეს შეეხება სამხედრო ვალდებულებებს. მთა (ჩვენ ყველგან ვსაუბრობთ ფხოვზე და დიდოეთზე), სადაც ამ პერიოდში გაბატონებული იყო „სამხედრო დემოკრატიის“ საწყისები, ყოველთვის მონოდებულია სამხედრო აქციების წყალობით დამატებითი შემოსავალი გაიჩინოს. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხედრო ძალები უცხო ქვეყნებში ლაშქრობებითა დაკავებული (ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, ყარსი/კარის ციხის შემოერთება, ირანში ლაშქრობა და სხვა). ასეთი სახის სამხედრო მოქმედებები ალაფის ალების იდეალურ საშუალებას წარმოადგენდა. პირიქით სამხედრო არისტოკრატია საქართველოს სამეფო კარს აძულებდა მსგავსი მარბიელი ლაშქრობების მონაწილად. გიორგი III მეფობის უამს, როდესაც „მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად,⁷ მისმა მხედართმთავარებმა გადაწყვიტეს მეფისთვის შეეხსენებინათ, რომ ლაშქრისთვის მთავარი იყო „ლაშქრობა და რბევა“: „ვინათგან ულონო იქმნნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელნი ეტყდეს ესრეთ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თუნეიერ ლაშქრობისა და რბევისა“. და მომსმენელმან მეფემან წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა და ესრე სახედ ილაშქრა: ღიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა პაემანშემქმნელმან: უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა – კარისა და აშორნისა, და ამირსპასალარსა და სომხითართა – მტკუარს აქათ ვიდრე განძამდის. თვთ ხასაგიანთა ღიხთ-იმერთა და ქართველთა – განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხლათამდის, ჰერთა და კახთა – ალაზნის შესართა-

5 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 573.

6 იქვე

7 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 391.

ვით ვიდრე შარვანამდის..⁸ თამარის დროსაც საქართველოს სამხედრო ძალებს არაერთი ასეთი მარბიელი ლაშქრობა მოუწყვია ქვეყნის საზღვრისპირა სამეფო-საამიროების წინააღმდეგ. ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ფაშს კი ქართველთა სამხედრო მოქმედებების არიალი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ქვეყანა ამ ლაშქრობებით დიდძალ შემოსავალს იღებდა. მაგალითად ირანში ლაშქრობისას ქართველებმა გურგანამდე მიაღწიეს და ბრძოლის გაგრძელება ალაფის სიდიდის გამო ვერ შეძლეს: „ვერ ძალებდა წინაღმისლვად ალაფისაგან.“⁹ ასეთი ლაშქრობები მთიელებს დამატებით შემოსავალს უჩენდა. სამხედრო ვალდებულება ფხოველებისა და დიდოელებისათვის ტვირთი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გამდიდრების წყარო. ამიტომაც ეს „სამსახური“ აჯანყების მიზეზად ვერ იქცეოდა.

რაც შეეხება მეკობრეობას და სამეფო გამოსაღების განწესებას, ეს არის ის ორი მიზეზი, რომელსაც უნდა გამოენვია მთასა და ბარს შორის წინააღმდეგობა. დავიწყოთ მეკობრეობით.

დამნაშავეობის წინააღმდეგ გიორგი III მიერ განხორციელებულმა მკაცრმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეამცირა კრიმინალი. მეკობრეობა-აჯანყობა სასტიკად ისჯებოდა. მიუხედავად ამისა, თამარის ეპოქაში ცალკეული გამოვლენა ამ სახის დანაშაულის, შიგადაშიგ იჩენდა თავს. მეკობრეობით იყო დაკავებული ცნობილი ფეოდალი გუზან ტაოსკარელი, რომელიც კოლას მთებში „აჯანყობდა მალვით“. მეკობრეობა, რომ ქართული სახელმწიფოს ყოველდღიურობის ნაწილი იყო ჩანს „ამირანდარეჯანიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც გვაქვს მეკობრეებთან ბრძოლის პასაჟები. მეკობრეობის ქვეშ ჩვენ არ უნდა ვიგულისხმოთ მაინც და მაინც მთიდან განხორციელებული ხალხმრავალი თავდასხმები, შესაძლებელია ეს ყაჩაღობა პატარ-პატარა ჯგუფებს განეხორციელებინათ. ზოგადად თამარის ეპოქაში არსებულ კრიმინოლოგიურ სიტუაციაზე ლაკონურად მოგვითხრობს „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე:“ „საყდართა და მონასტერთა დალენასა ვერვინ იკადრებდა, ქარავანსა ვერვინ ძარცვდა. ამერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დანყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა. მპარავი, ავის მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის, დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმა[ნ] და ყიფჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა.“¹⁰ ამ ფონზე ფხოველთა და დიდოელთა მეკობრეობა სამეფო კარისთვის სერიოზულ პრობლემად უნდა ქცეულიყო. მთიელთა ეს პერმანენტული ყაჩაღური თავდასხმები, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს დანარჩენ ნაწილში ქურდობა თითქმის ამოკვეთილი იყო, უფრო დიდ რეზონანს მიიღებდა და სამეფო კარმაც გადაწყვიტა შესაბამისი პასუხი გაეცა ამ გამოწვევისთვის.

რა შეიძლება ყოფილიყო ფხოველთა და დიდოელთა მეკობრეობის მიზეზი?

8 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 391-392.

9 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 475.

10 ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 354.

გარდა იმისა, რომ ყოველ ასეთ ყაჩაღურ ბანდას თავისი კრიმინალური მიზნები ჰქონდა (ძარცვა, საქონლის მითვისება, შესაძლებელია ადამიანთა მოტაცებაც და სხვა), ზოგადად ამ პროცესის ნამახალისებელი უნდა ყოფილიყო ფხოვსა და დიდოეთში სამეფო კარის დასაყრდენის - ადგილობრივი ადმინისტრაციის სუსტი სისტემა ან საერთოდ არარსებობა. სხვათაშორის ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია საქართველოს მთიანეთის ფეოდალიზაციის პროცესთან.

ფეოდალური საზოგადოების ფორმირება ურთულესი ევოლუციური პროცესია, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებას წინ უძღოდა მთელი ეტაპები, რომელიც ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში თანდათან ცვლიდა სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობების წესებს.

ზოგადად ფეოდალიზაციისათვის ამოსავალია, ერთის მხრივ ახალი ფორმა მიწის სარგებლობისა და რენტის და მეორე მხრივ, სამართლებრივ-პოლიტიკური სენიორია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ცენტრალური ელემენტი. მაგრამ ყველა ეს მახასიათებელი დასრულებული ფორმით სახეზე მხოლოდ ფეოდალიზმის განვითარების ბოლო ეტაპზე, მაშინ როცა, მედიევისტიკაში ესოდენ გავრცელებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ფეოდალურმა რეოლუციამ“ გაიმარჯვა. ეს საკმაოდ საინტერესო თემა, სამწუხაროდ, ჩვენს საკვლევ პრობლემას ცდება და ამიტომაც მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საზოგადოების ფეოდალიზაციის ევოლუცია - გარდაქმნების ამ გრძელ გზაზე, გარკვეული კანონზომიერებები შეიმჩნეოდა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ამ პროცესში ზონალობის გამოკვეთა, კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და საქართველოში თანაბრად არ მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი ბარში, მთისწინეთში და მთაში. მაშინ როცა, ბარში „ფეოდალური რეოლუცია“ უკვე დასრულებულია, მთისწინეთში შედარებით განსხვავებულ სურათს ვხედავთ, სადაც ჯერ კიდევ გარდამავალი ეტაპია. ამ დროს მთიან ზონაში, ძირითადად, ისევ ძველი სამეურნეო ურთიერთობის ფორმა მეთემეთა კერძო ალოდური სისტემა ბატონობს. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს. ფეოდალიზმი ნელ-ნელა მიცოცავს მთაში და უპირველესად სამართლებრივ-პოლიტიკურ სენიორიის სახით მკვიდრდება, ისე რომ ადგილობრივ დონეზე ძველი სასოფლო თემის ინსტიტუტებსა და ტრადიციებში, მიწის ნაწილზე საერთო საკუთრების ფორმით ურთიერთობაში, არ იჭრება. ამან განაპირობა, რომ მთიანეთის უმეტეს კუთხეებში არ წარმოქმნილა ადგილობრივი აზნაურთა ფენა - ბარის საზოგადოებრივი წყობის აგენტთა, მაგრამ იქ სადაც იცვლებოდა მთიანეთის საზოგადოებრივი წყობა, ირღვეოდა მთიელთა „ძმობა“. მთა თანდათან ბარს ემსგავსებოდა.¹¹ სრულიად სამართლიანად მიუთითებს ქ. ჩხატარაიშვილი: „მთის რეგიონების ფეოდალიზაციის პროცესს, მთის თემების ცენტრალური ხელისუფლებისადმი ბარის გლებთა მსგავსად დამორჩილებას ხელს უშლიდა მაღალმთიან რეგიონებში კომუნიკაციების სიმცირე და სირ-

11 ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), ნიგ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ. 1964, გვ. 242.

თულე, უგზობა“.¹² ამას უნდა დაეუმაცოთ მინის ფონდის სიმცირე, რის გამოც მთაში სახნავი მინის, საძოვრების საზოგადო საკუთრების სხვადასხვა ფორმა არსებობდა. ფეოდალურ საქართველოში სოციალური სურათი, რა თქმა უნდა, ყველა რეგიონში არ იყო ერთგვაროვანი. მაშინ, როცა ბარში ფეოდალური ურთიერთობები მყარად იყო ფეხმოკიდებული, განსხვავებული რეალობა სუფევდა მთისწინეთსა და მთის ზონის საქართველოში. ეს არ იყო მხოლოდ საქართველოსთვის, ან არადა კავკასიისთვის დამახასიათებელი. იგივეს ვხედავთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ალპებისა და პირენეების კალთებზე მცხოვრები მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა არქაულ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს და „გლეხურ რესპუბლიკებს“ ქმნიდა. ისტორიოგრაფიაში არსებობს შედარებაც, რომ ეს გარემო წარმოადგენდა „ეკონომიკურ და სოციალურ ფორმების ნაკრძალს“.¹³ შესაბამისი მასალის შესწავლის შედეგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა სოციალურად გაუდიფერენცირებულ ან სუსტად დიფერენცირებულ მასას წარმოადგენდა, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით თავისუფალი იყო და ბატონყმური ურთიერთობის გარეთ იდგა¹⁴. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მთის რეგიონშიც არ არის ერთიანი სურათი. სრულიად სამართლიანადაა შენიშნული, რომ მთიანეთის ის ნაწილი, რომელიც ადვილად მისაწვდომი იყო და მალაღმთიანობის მიუხედავად კომუნიკაციებით დასერილი გახლდათ, თავისებურად ფეოდალიზირებულ რეგიონებს წარმოადგენდნენ. ძირითადად ეს შეეხება მთისწინეთს, ერთგვარ გარდამავალ ზონას. რაც შეეხება იმ რეგიონებს, რომელთანაც ბარს საკმაოდ სუსტი კომუნიკაცია ჰქონდა და, იმავდროულად, მინის ფონდიც მცირე იყო, შენარჩუნებული ჰქონდათ სასოფლო ან საგვარეულო თემი. არსებული სოციალ-ეკონომიკური ვითარება მტკიცე საფუძველს ქმნიდა არქაული სასოფლო თემის არსებობისთვის, რომლისთვის ასევე დამახასიათებელი იყო არქაული ტიპის მმართველობის სისტემა თავისი ტრადიციული ადათ-წესებით.¹⁵ ასევე აღსანიშნავია, რომ X-XV სს-ში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას კონკრეტულად თუშ-ფშავ-ხევსურეთისათვის ოფიციალური კოდიფიცირებული სამართალი არ შეუდგენია, რაც თავისთავად ცენტრალური ხელისუფლების მხრივ სანქცია იყო აღნიშნულ რეგიონს საკუთარი ადათობრივი სამართლით ეხელმძღვანელა.¹⁶ ეს ფაქტობრივად სამართლებრივ ჭრილში „რეგიონის ავტონომიურობას“

12 ქ. ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, თბ. 1991, გვ. 130.

13 ამ საკითხზე ვრცლად იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, გვ. 120-133. იქვე იხ. შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა.

14 Г. А. Меликшвили, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, ВДИ, №1. М. 1984, ст. 42; ქ. ჩხატარაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 129.

15 ამ საკითხზე ვრცლად იხ. დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV სს. კრ. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ. 1983, გვ. 53-71.

16 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV სს. გვ. 69.

ნიშნავდა. მთლიანობაში თუშ-ფშავ-ხეცსურეთს XII-XIII სს-ში მხოლოდ ხარკის გადახდა და სალაშქრო ვალდებულება ეკისრებოდა, თუმცა რა მოცულობის იყო როგორც ერთი, ასევე მეორე ეს ვალდებულება ამაზე ჭირს რაიმეს თქმა.¹⁷

გარემო-პირობები არ იძლეოდა საშუალებას მთის საქართველოში მსხვილი ფეოდალური მამულები ჩამოყალიბებულიყო. ამის კარგი მაგალითია სვანეთი, სადაც მართალია სახეზეა საზოგადოების დიფერენციაცია და ფეოდალთა საზოგადოების ნიაღში „დიდი და მცირე“ აზნაურების წარმოქმნა, მაგრამ სოციალურ ურთიერთობებში კვლავ ძლიერი პოზიციები ჰქონდა სასოფლო ერთობას, სასოფლო თემს, რომელიც ცდილობდა ვარგი-აზნაურების სასოფლო ერთობის (კომუნის) სტატუსის სალტემო მოქცევას. სასოფლო კრებების გადანყვეტილება მათთვის სავალდებულო იყო.¹⁸ დ. გოგოლაძის მითითებით: „ვარგ-აზნაურთა ფეოდალური წოდების არსებობა, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სასოფლო თემების (ხევეების) ძლიერი ორგანიზაციები სამხედრო დემოკრატიის დროინდელი რიგი სერვიტუტებით, - ეს სოციალური სიმბიოზი აშკარად არსებობდა სვანეთში X-XVIII საუკუნეებში, რამაც ადრეფეოდალური ურთიერთობის გახანგრძლივება გამოიწვია და ძველი სათემო ერთობების ძლიერმა ორგანიზაციამ მოცემულ ხანაში სვან აზნაურ-ფეოდალების კლასობრივი ფრთის გაშლის შესაძლებლობა არ მისცა - ადრე-ფეოდალური ურთიერთობა მათ ბატონყმობად ვერ გადააქციეს“.¹⁹ ანალოგიურ სურათს ვხედავთ ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ XIII-XIV სს-ში მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში საზოგადოება დიფერენცირებულია და ჩვენ სახეზე გვაქვს ადგილობრივი დიდგვაროვანთა წრე, „ფეოდალურ რეგოლუციას“ აქ გამარჯვებულად ვერ ჩავთვლით, რამეთუ ფეოდალური ზედაფენა საკმაოდ სუსტია. ყოველ შემთხვევაში გიორგი V ბრწყინვალის მიერ შექმნილ „ძეგლის დადების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ არაგვის ხეობაში შემდეგი სოციალური კატეგორია: დიდებული, აზნაური, მეთემე, ლომისის გლეხი, ჰეროვანი. ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელია ერისთავი - გამგებელი - ხვეისბერი, ციხისთავი. თითქოს სახეზეა ფეოდალური საზოგადოების მეტ-ნაკლებად სრული სტრუქტურა, მაგრამ როგორც კი მოვახდენთ თითოეული ამ კატეგორიის გადაჯგუფებას, აღმოჩნდება, რომ ფეოდალური არისტოკრატია მთიანეთის ამ ნაწილში იმდენად სუსტი ყოფილა, რომ სამეფო კარის მიერ გამწესებულ მოხელეებად - გამგებელი, ციხისთავი რიგითი მეთემეთაგან დანიშნურებულ პირებს ნიშნავდნენ. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ფეოდალური სახელმწიფოს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან, სადაც ის თანამდებობები, რომელიც ბარის პირობებში ფეოდალთა წრიდან გამოსულთ უკავიათ, აქ უმეტესად თავისუფალ მეთემეთა ხელშია. ფაქტობრივად ბარი თავადად

17 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის ოჯრიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV სს. გვ. 69-70.

18 დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს), ნ. 1, სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია, თბ. 1992, გვ. 212.

19 დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს), ნ. 1, გვ.213.

მაპროვოცირებელი მთაში სოციალური დიფერენციაცია მოახდინოს, ვინაიდან მას ჭირდება თავისი მძლავრი საყრდენი წარჩინებულთა სახით. ამასაც თავისი ახსნა აქვს. ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატის მეშვეობით შედარებით ადვილი იყო საყოველთაო სამხედრო მობილიზაციისა და ფისკალური პოლიტიკის გატარება. ამიტომაც ბარი მცოცავ ფეოდალიზაციას ეწევა. იგი მონოდებულია აზნაურთა მფლობელობა შექმნას, რამეთუ ამ წოდებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ისინი ახდენდნენ მიწების ექსპლუატაციას და იცავდნენ ერისთავის სასარგებლოდ შექმნილ სიმდიდრეს. მათზე იყო დაყრდნობილი საერისთაოს სამხედრო ძალა, რადგან მათი სამსახურის ძირითად არსს სიუზერენისთვის და მისი შუამავლობით კი - მეფისთვის მეომართა გამოყვანა წარმოადგენდა.²⁰ მიუხედავად იმისა, რომ XIV საუკუნისთვის (ალბათ წინა საუკუნეშიც) სამეფო კარისთვის სრულიად გასაგები იყო აზნაურის, როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, რომ „ძეგლის დადების“ მიხედვით სუფთა სააზნაურო ფუნქციას - გამგებლობას ხშირ შემთხვევაში ასრულებდა მსახურეული. ძეგლის II და IV მუხლების მიხედვით განმგებლად შეიძლება ყოფილიყო როგორც მსახური, ისე აზნაური: „განმგებელი თუ ქვეყანამ მოკლას, ერთმან სოფელმან, გინდა ერთმან პირმან, ჳევმან, მსახურ იყოს განმგებელად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასით (მუხ. II).“ „და თუ აზნაურმეილი იყოს განმგებელად, მოკლან, მის გუარსა ზედან დაიურვონ სისხლი.“²¹ ასევე საინტერესოა „ძეგლის დადების“ ის მუხლები, რომელიც ეხება ხევისბერსა და ციხისთავს. ორივე ეს სახელო საპატიოა და მათ ადმინისტრაციული ფუნქცია აკისრიათ. ძეგლის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ „ჳევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებიაო“.²² როგორც ვხედავთ აქ პირდაპირაა ხევისბერის, როგორც სამხედრო მოხელის - მთიელთა ლაშქრის ერთ-ერთ მეთაურის მოვალეობებზე საუბარი. სამართლის ძეგლის მიხედვით, ხევისბერი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი არ ჩანს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც დარბაზი რომელიმე გამორჩეულ მეთემეს „ლაშქართ თავადობას“ (ლაშქრის მეთაურობას) უბოძებდა, მისი ოჯახი და ახლობლებიც თემში გარკვეულ პრივილეგიას აღწევდნენ. ამაზე მეტყველებს როგორც ხევისბერის ოჯახის წევრების, ისე მისი განაყოფების სისხლის ფასი, რაც ბევრად აღემატებოდა მოსახლეობის ძირითადი მასის წარმომადგენელთა სისხლის ფასს.²³ ასევე არააზნაურული წარმომობისაა ციხისთავი. მისი სისხლის დაურევებისას კანონმდებლის ყურადღება მთლიანად აქცენტირებულია აღნიშნული მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მაშინ როდესაც მისი სოციალური კუთვნილება არსებითად გათვალისწინებული არ არის.²⁴

20 გ. შარაშიძე, შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში, თბ. 2011, გვ. 147.

21 ს. კაკაბაძე, „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, თბ., 1913, გვ. 5-6.

22 იქვე, გვ. 7.

23 ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში, თბ. 2001, გვ. 39.

24 ვ. ითონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43-44.

„ძეგლის დადებიდან“ კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური ტიპოლოგია - ჩვენს წინაშეა საზოგადოება, რომელიც სისხლხორცეული ნაწილია სახელმწიფო ფეოდალიზმის, თუმცა ეს სისტემა არ არის გამყარებული ადგილობრივი, კერძო საბატონო-მემამულური ფეოდალიზმით²⁵ და ამიტომაცაა, რომ დიდებულთა ფენა იმდენად სუსტია, რომ ვერ ახერხებს ყველა დონეზე ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებას.

„ძეგლის დადების“ მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ საკვლევ რეგიონში ერისთავის, როგორც საქვეყნოდ გამრიგე უმაღლესი მოხელის შემდეგ, ყველაზე უფრო გავლენიანი პირი იყო, განმგებლად მყოფი აზნაური ან მსახური, მაგრამ სჯულმდებელმა რაკი დაუშვა, რომ განმგებლად ყოფილიყო მსახურიც, ეს ძალაუნებურად გვაფიქრებინებს ჩვენთვის საინტერესო მთის კუთხეებში აზნაურთა სიმცირეს, ან არარსებობას. რაც შეეხება დანარჩენ მოხელეებს (ხევისბერი, ციხისთავი), აგრეთვე მთის თემების თავკაცებს - პეროვანებს, ისინი სოციალურად (იურიდიულად) აღზევებულ და წარჩინებულთა წოდებაში გაფორმებულ პირებს არ წარმოადგენდნენ, სოფლიონთა (რიგით მეთემთა) წრიდან ახერხებდნენ დანიშნულებას და სისხლის საურავის გადიებას პირადი დამსახურებით აღწევდნენ.²⁶ მოგვიანებით არაგვის ხეობის ამ ნაწილში სოციალური დიფერენციაცია, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაღრმავდა. გვიან შუა საუკუნეებში შედარებით სხვა სურათს ვხედავთ. ფეოდალიზაციის პროცესი შორს არის წასული სათემო და ინდივიდუალურ-შრომით საკუთრებაში მყოფი მიწების ფონდის ხარჯზე. ეს პროცესი მიმდინარეობდა, როგორც „მშვიდი“ სოციალურ-ეკონომიური განვითარების, ასევე ფეოდალების მიერ მიწების იძულებითი ექსპროპრიაციის გზით.²⁷

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველგან ერთნაირი საზოგადოება არ გვაქვს. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ფეოდალურ პერიოდში თუშ-ფშავ-ხევსურეთის საზოგადოება კლასობრივად გაუდიფერენცირებულია, წინაფეოდალური (რესპ. პროტოფეოდალური).²⁸ ასეთ პირობებში ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს ინსპირირება გაუკეთოს ისეთ პროცესებს, როგორც მთიანეთის ნაწილშია - შექმნას თავისი დასაყრდენი სოციალური წრე - განმგებლის, ხევისბერის, ციხისთავის ფორმით. ფხოველთათვის და დიდოელთათვის ეს რეალობა აბსოლიტურად მიუღებელი აღმოჩნდა. ბარი ცდილობდა თავისი აგენტები გაეჩინა მთაში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვთვლით, რომ საქმე გვაქვს ზუსტ ანალოგიასთან, მაგრამ ევროპაში მიმდინარე „ნცვასტელამენტო“ ანუ „გაციზოვნების“ პროცესი რალაცით ეხმიანება საქართველოს მთაში ფეოდალიზმის შეღწევის ფორმებს.²⁹ განმგებელი (რა თქმა უნდა, იმავდროულად,

25 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 71

26 ვ. ითონიშვილი, გვ. 59.

27 ზ. ანაბაძე, აღ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, თბ. 1973, გვ. 114.

28 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 70.

29 აღნიშნულ საკითხზე იხ. აკ. ჩიქობავა, ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-

ციხე-კოშკის მფლობელი) და ციხისთავი თანდათან გამოეყოფან თავისუფალ მეთემეებს და ქონებრივად თუ სოციალური სტატუსით განსხვავებულ წრეს ქმნიან, რომლის წიაღიდანაც გამოდის აზნაურთა ფენა. სწორედ ამ პროცესს აღუდგა წინ მთა XIII საუკუნის დასაწყისში. არაგვის ხეობის ნაწილში „ძეგლის დადების“ მიხედვით, როგორც დავინახეთ, არსებობს რთული ადმინისტრაციული სისტემა, რასაც ვერ ვიტყვი ფხოვსა და დიდოეთზე. თავისთავად ეს ორი პროვინცია ადმინისტრაციულად რომელიმე საერისთაოს ნაწილი იქნებოდა, მაგრამ უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ამ კუთხეებში თავიანთი განმგებლები და ციხისთავები არ ჰყავს და ამ ფუნქციას ფხოვისა და დიდოეთის თემების ერთობა ასრულებს. ჩვენ არ გამოვირიცხავთ, რომ მთიელთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მთაში სამეფო ადმინისტრაციის შექმნის მცდელობა ყოფილიყო. რა ფორმით აპირებდა ამის განხორციელებას ცენტრალური ხელისუფლება ამის თქმა ძნელია, თუმცა, უდავოდ უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო კარი შეეცდებოდა მთიელთა მეკობრეობის აღსაკვეთად ფხოვსა და დიდოეთში პლაცდარმების შექმნას, რომელიც მიმართული იქნებოდა, ერთის მხრივ, ადგილობრივი კრიმინალის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთიდან პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად. რა თქმა უნდა, თუნდაც ერთი ასეთი მცდელობა ადგილობრივების მხრიდან აღქმული იქნებოდა როგორც მათი თავისუფლების შეზღუდვა. სამეფო კარის მოხელეებისა თუ სამხედრო პუნქტების გაჩენა ფხოველთა და დიდოელთა ცხოვრების რეგლამენტაციისაკენ იქნებოდა მიმართული. სხვათაშორის, შემთხვევითი არ არის, რომ პირიქითა ხეესურეთში ამავე პერიოდში იქმნებოდა ლიმიტოპული ზონები — შატლისა და ანატორის ციხე-ქალაქების სახით, რომლის შენახვა სწორედ ადგილობრივ მოსახლეობას ევალებოდა.³⁰ ფხოვსა და დიდოეთში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ასეთი სახის დასახლებების გაჩენა და მასზე მიბმული ადმინისტრაციის შექმნა უნდა ქვეუღიყო აჯანყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. მოგვიანებით, მთიელთა გამოსვლის დამარცხების შემდეგ, როგორც ჩანს, სამეფო კარმა სანადელს მიაღწია და საზღვრის პირა გამაგრებულ დასახლებებზე თავისი კონტროლი დაანესა. რაც შეეხება ადმინისტრაციის შექმნას, ამ კუთხით ფხოვსა და დიდოეთში განსხვავებული მოდელი იქნა შე-

X საუკუნეებში, თბ. 2015, გვ. 66-77.

30 გ. ჩიტაიას აზრით, შატლი XI-XII სს-სი უნდა აეგოთ. მეცნიერი ეფუძნება შატლიში მცხოვრები ჭინჭარაულების „მამების“ და „თაობების“ გამოანგარიშებას. გ. ჩიტაია, შატლის წარმოშობის შესახებ, პროშენი, ტ. II, თბ. 2000, გვ. 306. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს, XII-XIII საუკუნეების მიჯნა. ფხოვის შემომტკიცება დავით IV აღმაშენებლის დროს უნდა მომხდარიყო, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლება სამეფო კარი აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა პირიქითა ხეესურეთის მიმართულებით. ალბათ ეს დავით IV მეშვეოდრების მეფობის ფასსა საგულეებელი. რაც შეეხება ლიმიტოპული ზონების შექმნას, არ გამოვირიცხავთ ეს სწორედ თამარის ეპოქას ემთხვეოდეს. ყოველ შემთხვევაში ეს არის პროცესი, რომელიც XII საუკუნეში გაგრძელდა. წინა საუკუნეებში განსაკუთრებით X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ამიტომაც უპირანია ეს პროცესის გაგრძელებად მივიჩნიოთ და საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის პიკში, თამარის მეფობაში, თავის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ფხოველები და დიდოელები სწორედ ამან შეამფოთა.

მუშავებული - აქ მოხდა მეფის ხელისუფლების საკრალიზაცია და გაღმერთება. ფაქტობრივად, სახელმწიფო ფეოდალიზმმა თავისებური სახე მიიღო. ამიერიდან, ფხოვი და დიდოეთი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს „სამეფო საქონებელია“, სამეფო ყმა-მამულა, ფისკალური და მოლაშქრეთა რეგიონია, თუმცა რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულები - ძველი სასოფლო-ტერიტორიული თემები და ხევები უნინდებულად დამოუკიდებელ შინაგან ორგანიზაცია-სა და ოურიდოულ სტატუსს ინარჩუნებდნენ.³¹

XIII ს. დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა და შემოსევების ზრდა შეუძლებელია არ დატყობოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. ფხოვი და დიდოეთი ჩართული უნდა ყოფილიყო რეგიონალურ თუ საერთაშორისო ვაჭრობაში. არაგვისა და ივრის ხეობიდან გზები მიემართებოდა ფხოვისაკენ, აქედან კი ის გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში - დურძუკეთში. თავის მხრივ, კახეთიდან დაღესტნის სხვადასხვა რაიონებისაკენ მიმავალი გზა დიდოეთზე გადიოდა. ეს სავაჭრო მაგისტრალები მოითხოვდა სტაბილურობას და, რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივთათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ერთი მხრივ ასეთი ეკონომიკური გარემო და, მეორე მხრივ, მარბიელ ლაშქრობებში მონაწილეობა მთას სერიოზულ შემოსავალს უზენდა. ამიტომაც არ გამოვიციხვით ცენტრალურ ხელისუფლებას ეფიქრა, ყოველთვის შეღავათიანი ფისკალურ პირობებში მყოფი მთისთვის „ხარაჯის“ გაზრდა. ყოველ შემთხვევაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორთან არ ჩანს, აჯანყებამდე ფხოველებსა და დიდოელებს ეკისრებოდათ თუ არა „ხარაჯა“. შესაძლებელია მთა მხოლოდ სამხედრო ვალდებულებით შემოიფარგლებოდა. ზოგადად ამ კონტექსტში „ხარაჯას“ - სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის ხსენება პირდაპირ მიუთითებს, რომ სამეფო კარმა გარკვეული საგადასახადო შეღავათები მოუხსნა მთას. ამჟამად ძნელია იმის თქმა, „ხარაჯას“ განწესება აჯანყებამდე იყო ჩაფიქრებული სახელმწიფოს მხრიდან და ყველაფერთან ერთად ამან გარკვეული სოციალური ფონი მისცა მთიელთა გამოსვლას, თუ ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ ფხოველთა და დიდოელთა დამარცხების შემდეგ განხორციელებული ღონისძიება გახლდათ. ჩვენ უფრო პირველი მოსაზრებისკენ ვიხრებით. იქნებ ამიტომაც მიიღო ამ გამოსვლამ ასეთი საყოველთაო ხასიათი. სოციალურ და ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული მოძრაობები ყოველთვის მასშტაბურია. მთლიანობაში, საინტერესო სურათს ვიღებთ - გამოსვლის პოლიტიკურ მოტივებთან ერთად (მთის ფეოდალიზაცია - თავს მოხვეული ადგილობრივი ადმინისტრაციის ფორმირება), აშკარად ჩანს საგადასახადო შეღავათების გაუქმებით გამოწვეული უკმაყოფილება. რომ არა პრობლემების ასეთი ერთობლიობა, საეჭვოა ფხოველებსა და დიდოელებს გაეებდათ აჯანყებულებს მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი ხელისუფლების წინააღმდეგ*.

31 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის ოურიდოული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 70.

* (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**მურმან აააპვილი, ელდარ მაისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი,
ხათუნა ჩაუჩიაძე**

ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტი HE17-21]

ცნობილია, რომ 1722 წლის სექტემბრის დასაწყისში იმპერატორ პეტრე I-ის კასპიისპირეთის ლაშქრობიდან უკან დაბრუნებით, ჩაიშალა ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთთან სიტყვიერად მიღწეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გეგმა. მომდევნო წლისათვის რუსეთის ჯარის საორჭოფო ლაშქრობის მომლოდინე ვახტანგ VI დილეშის წინაშე აღმოჩნდა. ახლა მას არც ძალანართმეული ირანის შაჰი ენდობოდა და არც თბილისის დასაკავებლად მზადყოფი სულთანი. ამასთანავე ქართლის მეფეს ერთდროულად უნდა მოეხდინა კახეთის რენეგატი მეფის კონსტანტინე II-ის პოზიციის პარალიზება, სულთანის დაჟინებითი მფარველობის უარყოფა და შაჰსა და პეტრე I-ს შორის შუამავლობის განევა. რა თქმა უნდა, ეს ვახტანგის ძალებს ალემატებოდა.

პეტრე I-ის დარუბანდიდან უკან ასტრახანში დაბრუნება სტამბულში დიდ სიხარულს იწვევდა. მიუხედავად ამისა, თურქეთის ცენტრალური მთავრობა საქართველოს წინააღმდეგ აშკარა სამხედრო მოქმედების დაწყებას ორი მიზეზით არ ჩქარობდა: პირველი, საჭირო იყო თურქეთის ჯარის სათანადო მომზადება და მეორე, რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო ომში გაერკვია დასავლეთის და, განსაკუთრებით ინგლისის, დიპლომატიის პოზიციები¹.

ასეთ ვითარებაში 1722 წლის 29 ნოემბერს ვახტანგ VI-მ წერილობით მიმართა რომის პაპ ინოკენტი XIII-ს (1721-1724)² და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს კარლ VI-ს (1711-1740), რათა თურქეთიდან მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ დახმარება მიეღო³.

1 პაპამვილი მ. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1992, გვ.95-131.ბ

2 პროფ. ი. ტაბალუაშვილმა სამართლიანად შენიშნა, რომ ვახტანგ VI-მ წერილობით მიმართა პაპ ინოკენტი XIII-ს (ი. ტაბალუა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XგVII, №1, თბ., 1967, გვ.243) და არა პაპ ინოკენტი XII-ს, როგორც ეს მიაჩნდა დიდად პატივცემულ მ. თამარაშვილს (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ.340)

3 თამარაშვილი მ. ისტორის კათოლიკობისა..., გვ.340-341; ტაბალუა ი. ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის..., გვ. 243; ტაბალუა ი. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII

ქართლის მეფე რომის პაპს წერდა: „უნეტარესო მამაო, ვინაიდგან დავითის მიერ დადგენილი ხართ ყველა ქრისტიანების წინამძღვრად და თავად. თქვენს მამობრივის სიყვარულით აღვსილ გულს მეტად სამწუხაროდ დაურჩება მოსმენა ეგოდენი შეწუხებისა და ტანჯვისა, რის გამო თქვენი შვილები კვნესიან. ოსმალების მთავარი (სულთანი-ავტ.) ან ამზადებს ჯარს ჩვენი საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო (სამეფო-ავტ.) ერთიან მოაოხრონ და ეგრეთვე აქაურობაში ერთიან მოსპონ ქრისტიანობის სახელიც. ასეთ მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, მის მეტი რომ მოვმართოთ თქვენს მამობრივს ნიაღს და მზრუნველობას. მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანე მთავრების (ევროპის ქრისტიანი ხელმწიფეების-ავტ.) ძალით, ან მათის მუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობას თავის მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ ააოხრებინოს. თუმცა ეს ერი უღირსია თქვენის უწმიდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმიდა საყდარსა. გარნა მე გპირდებით ვცხოვრობდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმიდა კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელი. როგორც ჩემი წინაპარნი: სამწუხაროდ, აქაური უბედურება და ხალხის ლალატი ნებას არ მაძლევს ცხადად ვაღიარო კათოლიკობა. ვინაიდგან მამის სიკეთე დიდად შეენევა ჭეშმარიტების ერთობაში განყრილ შვილთ შემოყვანასა, კვალად ჰყავთ იმ კათოლიკეთათვისაც, რომლებიც ბლომად არიან ამ ჩვენს სამთავროში. ჩემ მოვალეობად ჩავრაცხე, რომ გაცნობოთ ეს გარემოება და ამნაირი გაჭირვებაში ვედრებით ვითხოვო თქვენი მფარველობა და კურთხევა.

ამ მხარეს მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამის გამო ვერ შევიძელი, რომ თქვენთვის გვეახლებინა ხარისხოვანი ვინმე პირი“⁴.

ჩვენ სრულად მოვიტანეთ ვახტანგ მეფის წერილი რომის პაპისადმი. მასში ლაკონურადაა წარმოდგენილი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მეფის გამოუვალი პოლიტიკური მდგომარეობა და ძირითადი აქცენტი კეთდება პაპის მეთაურობით ევროპის ქრისტიანი ხელმწიფეების დიპლომატიურ ჩარევაზე, რათა ოსმალეთის სულთანს ხელი ააღებინონ ქართლის სამეფოს დაპყრობაზე. რეალური მოვლენების კონტექსტში ვახტანგი პაპს დაუფარავად მიანიშნებდა, რომ აღმოსავლეთში, როგორც წმ. ტახტის, ასევე დასავლეთის კათოლიკე მესვეურთა დასაყრდენი ქრისტიანი ქართველები ერთიანი გაქრობის წინაშე დგანან და ამ კონტექსტში ქრისტიანობა უზენაესი კატეგორიითა წარმოდგენილი, ვიდრე კათოლიკობა ან მართლმადიდებლობა. ამ განსაცდელის ჟამს საქართველოს სახით ქრისტიანობა იყო გადასარჩენი, თუმცა ვახტანგ VI პაპის შვილად და კათოლიკედ მიიჩნევს თავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, როგორც ამას მ. თამარაშვილი ფიქრობს, რომ „... ვახტანგმა კათოლიკე სარწმუნოება მტკიცედ დაიცვა და რუსეთს წასული კათოლიკედ მიიცვალა“⁵. ეს ამ საკითხის პრიმიტიული ახსნა იქნებოდა. წერილი უდავოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და საქართველოში მცხოვრები

საუქუნის მეორე ნახევარი, თბ., 1979, გვ.79.

4 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 340.

5 იქვე, გვ.341.

კათოლიკეთა დაცვის მოტივითა და შესაფერისი გარემოების დადგომის შემთხვევაში ვახტანგის მიერ კათოლიკური სარწმუნოების საჯაროდ აღიარების დაპირება ერთ-ერთი დიპლომატიური ხერხია იმ ამოცანის მისაღწევად, რასაც ქართლის მეფე ისახავდა მიზნად. "თუმცა ეს ერი (ქართველები-ავტ.) უღირსია თქვენის უნმიდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს ნმიდა საყდარსა", უთუოდ დიპლომატიური ხერხია იმის სათქმელად, რომ ახლა პაპმა კონფესიურ განსხვავებას არ უნდა მისცეს მნიშვნელობა და შეენიოს საკუთარ სულიერ შვილს, რათა მან შეძლოს ეკლესიათა გაერთიანება, რასაც საფრთხე თურქებისაგან ემუქრებოდა. ეს დიპლომატია ძველ გამოცდილებას ემყარებოდა და აქ გასაკვირი არაფერი იყო, რადგან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობა რელიგიურ ფაქტორს ემყარებოდა. ეკლესიათა უნიის დაპირება და პაპის პროიმატობის აღიარება იყო ის პერსპექტიული ალტერნატივა, რითაც აინტერესებდა საქართველო ენერგიულ დასავლეთს. საკუთრივ კი ვახტანგ VI-მ, როგორც უნინ, 1719 წლის აგვისტოდან, როცა ირანიდან საქართველოში დაბრუნდა, განაგრძო კათოლიკეთა დაცვა, "... რისთვისაც რომმა დიდი მადლობა შესწირა"⁶.

როგორც ვხედავთ, წერილში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი კათოლიკე სუვერენის წინაშე სთხოვდა ვახტანგ მეფე პაპს შუამდგომლობას, რათა საქართველოს წინააღმდეგ "...ოსმალეთის მთავრობას თავისი მუქარა არ აასრულებინოს...". ამის გამო პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ ის პაპს რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ კარლ VI-ის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობას. როგორც ითქვა, წერილში ადრესატი დასახელებული არ არის. აქ ზოგადად, მრავლობით რიცხვშია დასმული დასავლეთ ევროპის „ქრისტიანე მთავრები“ ანუ კათოლიკე ხელმწიფეები, რომელთა წინაშე პაპს უნდა ეშუამდგომლა. თუ ამ აზრს სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ ქართლის მეფე პაპ ინოკენტი XIII-ს დასავლეთ ევროპის ნებისმიერ კათოლიკე ხელმწიფის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობის განევას. სწორედ ამის გამო პირდაპირ არაა დასახელებული ავსტრიის სამეფო კარი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგ მეფე რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს კარლ VI მიმართავდა დახმარებისათვის ოსმალეთის აგრესიის თავიდან ასაცილებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ის პირველ რიგში პაპს იმპერატორ კარლ VI-ის წინაშე სთხოვდა შუამდგომლობას. თუმცა, ვიმეორებთ, ეს არ გამოირიცხავდა დასავლეთ ევროპის სხვა რომელიმე ქვეყნის მეთაურის წინაშე შუამდგომლობასაც, რომელთანაც საქართველოში კათოლიკეთა დაცვისა და საერთოდ ქრისტიანობის გადარჩენის საბაბით რომის პაპს, ალბათ, საკუთარი შეხედულებით უნდა ემოქმედა.

ერთი სიტყვით, ვახტანგ VI-ის მიმართვას რომის პაპ ინოკენტი XIII-სადმი რაციონალური შინაარსი უდაოდ ჰქონდა, მაგრამ ზუსტად ამ დროისათვის

6 Michel Tamarati. L'Église géorgienne des origines jusqu'à nos jours. Rome, 1910. p.613; მ.თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ.671.

„წმინდა ტახტის პოლიტიკური და დიპლომატიური პრესტიჟი მნიშვნელოვნად დაქვეითებული იყო“⁷. უფრო მეტიც, მძიმედ ავადმყოფი ინოკენტი XIII არ სარგებლობდა განსაკუთრებული გავლენით, როგორც რომში, ასევე დასავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებში⁸, თუმცა პაპი ვენეციელებსა და განსაკუთრებით მალტელებს თურქებთან ბრძოლაში ეხმარებოდა⁹. ასევე ამ პაპმა 1722 წლის 9 ივნისს, ე.ი. ვახტანგ მეფის მისადმი მიწერილი წერილიდან 4 თვით ადრე, ნეაპოლისა და სიცილიის ტახტზე აკურთხა კარლ VI და იმპერატორს გაუგზავნა ერთგულებასა და კავშირზე ფიცი¹⁰, რაზეც ყოველთვის უარს ამბობდნენ წინამორბედი პაპები¹¹.

ვახტანგ VI-მ პაპთან ერთად 1722 წლის 29 ნოემბრის თარიღით წერილები მისწერა ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლში იოზეფ ფონ დირლინგსა¹² და იმპერატორ კარლ VI. ოსმალთა საფრთხის წინაშე პირისპირ დარჩენილი პეტრე I-ის მოკავშირე ვახტანგ VI ავსტრიის ელჩს კონსტანტინოპოლში წერდა:

„მონყალეო ხელმწიფე,

გაცნობებთ თქვენ, როგორც მისი უდიდებულესობა იმპერატორის სრულუფლებიან წარმომადგენელს პორტაში, რომ ამჟამად იქაური მაჰმადიანი მმართველი თავს უყრის ჩვენს საზღვრებთან ახლო მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს, რათა ჩვენზე მოულოდნელი თავდასხმით გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო და ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

გვნამს რომ განსაცდელი და ტანჯვა აქაური უბედური ქრისტიანებისა, რომელთა შორის არის ბევრი ადამიანი, რომელიც კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებს, გამოიწვევენ თქვენს გულში სინანულის გრძობას, და...ვევედრები თქვენს გულმოდგინებას ქრისტიანობისათვის, რათა თქვენ პირადად აილოთ თქვენ თავზე პორტაში ყველაზე ქმედითი შუამდგომლობა, რაზედაც გვედრებით და ვლოცულობ თქვენზე სავსებით დარწმუნებული, რომ ღმერთი ერთი ასად მიგიზღავთ თქვენ და თავისი სურვილისამებრ წარმართავს იმპერატორის იარაღს.

წერილი, რომელიც თან ერთვის, გთხოვთ კეთილი ინებოთ, გადაუგზავნოთ იმპერატორს. ამჟამად ჩვენ საზღვრებთან გზებს მაჰმადიანები (ე.ი. თურქები-ავტ.) სდარაჯობენ, რაც არ მაძლევს საშუალებას ეს წერილი ერთი ჩემი შიკრიკის ხელით გამოგიგზავნოთ.

თქვენო უმაღლესობაე,

თქვენი უმორჩილესი მსახური

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, საქართველოს მეფე.

7 Джон Норвич. История папства/Пер. с англ. А. В. Короленкова и Е.А. Семеновой. М., 2014. с. 448.

8 იქვე, გვ.452-455.

9 იქვე, გვ.456; Claudio Rendina. I papi. Roma. Ed. Newton Compton. 1990, p.200.

10 Claudio Rendina. Op. cit., pp. 201-204.

11 Джон Норвич, დასახ. ნაშრ., გვ.456

12 იოზეფ ფონ დირლინგი ავსტრიის ელჩი კონსტანტინოპოლში 1720-1728 წლებში.

თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი¹³

ღირღინგთან გაგზავნილ წერილს თან ერთვოდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისათვის გადასაგზავნი წერილი. ვახტანგი კარლ V-ს წერდა:

„საღვთო და საიმპერატორო უდიდებულესობაე,

ოჰ, ხელმწიფეე, ლეთისაგან ამაღლებულ საიმპერატორო ტახტზე, რათა თქვენი უმაღლესი ხელისუფლებით მფარველობა გაუწიოთ ყველა ქრისტიან ხალხს და დაიცვათ ყველა კანონი, რათა თქვენი გულმონყალებით გამოეხმაუროთ იმ წვალებას და სიმძიმეს, რომელსაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის ეს ხალხი.

ამჟამად, მაჰმადიანი მბრძანებელი აგროვებს ჯარებს ჩვენ საზღვრებთან ახლოს, რათა გაანადგუროს ჩვენი სამფლობელო, ძირფესვიანად აღმოფხვრას აქ ქრისტიანული სახელის ყოველგვარი ხსენება.

ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი, მივმართოთ თქვენს გულმონყალებას, მოგმართავთ რა თქვენ თხოვნით, აიძულოთ მაჰმადიანები (თურქები-ავტ.), ძალით (იგულისხმება ძალის დემონსტრირებით-ავტ.) ან პორტაში თქვენი ელჩის საშუალებით, შეაჩერონ ჩვენზე გამანადგურებელი ლაშქრობა, რომლითაც ისინი ჩვენ გვემუქრებიან. და, თუ აქაური ხალხის, რომლებიც იმყოფებიან თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ, უმრავლესობა არ იმსახურებს ამ პატივს - რადგანაც გაეყარნენ ჭეშმარიტ რომაულ ეკლესიას, მაინც მეტად მრავლად არიან ჩვენს სამფლობელოებში კათოლიკეები, და მათ რიცხვში მეც, ჩემი რწმენით, თუმცა ამ ადგილებში არეულობა ჯერ კიდევ საშუალებას არ მძლევს გავამხილო ეს. ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, მაინც ვაცნობო თქვენს უდიდებულესობას, ვინაიდან თქვენი გულმონყალე მფარველობა აქ მცხოვრებ კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი შვილებისადმი იქნება მეტად ნაყოფიერი საშუალება, რათა კვლავ გაერთიანდნენ გათიშულნი და მოექცნენ ისინი ჭეშმარიტ, ნამდვილ სარწმუნოებაში. ამიტომ უმორჩილესად გვეედრებით თქვენ კეთილ დაცვაზე.

მაჰმადიანების მიერ გზები დაკავებულია, რაც ჩვენ საშუალებას არ გვძლევს გამოვიგზავნოთ თქვენ ეს მიმართვა ჩვენი შიკრიკის ხელთ.

თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობაე,

თქვენი უმორჩილესი მსახური

ვ ა ხ ტ ა ნ გ, საქართველოს მეფე.

თბილისი, 1722 წლის 29 ნოემბერი¹⁴.

13 ამ წერილს ავსტრიის სახელმწიფო არქივში (Osterreichisches Staatsarchiv. Wien. Turkei. I. Kart. 190). პირველად მიაკვლია პროფ. ილია ტაბალუამ და სრულად გამოაქვეყნა. იხ: ი. ტაბალუა, საქართველო საერთაშორისო..., გვ.77-78; მ ი ს ი ე ვ, ვახტანგ VI-ის...გვ.244.

14 ტაბალუა ი. საქართველო საერთაშორისო..., გვ.78-79; ტაბალუა ი. ვახტანგ VI-ის..., გვ.244-245; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 341. ჩვენ ვარჩიეთ ვახტანგ მეფის ამ წერილის თარგმანი აგველო პროფ. ი. ტაბალუასაგან, რადგან იგი სრულად გადმოსცემს იტალიური დედნის შინაარსს, ვიდრე მ. თამარაშვილთან, რაც დაზღვეული არ არის რიგი უზუსტობებისაგან.

იტალიურ ენაზე დაწერილ ამ წერილს ვახტანგ VI-ის ქართულად შესრულებული ხელმოწერა ერთვის¹⁵. ძნელი მისახვედრი არაა, რომ წერილი ვახტანგ VI-ის კარნახით თბილისში, ალბათ, იტალიურ ენაზე რომელიმე იტალიელმა მისიონერმა, სავარაუდოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ „...1716 წლის მაისის შუა რიცხვებში...“ საქართველოში ჩამოყვანილ 12 კაპუჩინთაგან¹⁶ ერთ-ერთმა, დაწერა. თუ ვახტანგ VI-ის ამ და პაპისადმი მიწერილ წერილებს ერთმანეთს შევადარებთ, ადვილად ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსობრივად არ განსხვავდებიან, თუმცა არის რიგი ნიუანსები, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება.

ჩვენ ვახტანგ VI-ის სამივე წერილი სრულად მოვიტანეთ. მათში მარტივი დიპლომატიური ენით, ისე რომ აზრი არ მოითხოვს დამატებით განმარტებას, გადმოცემულია ქართლის მეფის სათხოვარი და მიზანი. ცნობილია, რომ კარლ VI-სადმი წერილის მიწერის დროს ვახტანგ VI-ის რუსული პოლიტიკის შედეგად საქართველო თავის დასასრულთან ახლოს იმყოფებოდა. მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ვახტანგ VI-მ, როგორც რომის პაპს, ასევე რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, ქრისტიანობის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში მცხოვრები კათოლიკეების დაცვის საბაბით, „გულმონყაღე მფარველობას“ თხოვდა, რათა ოსმალებს ხელი აეღოთ საქართველოს დაპყრობაზე. თუ იმპერატორის კარი ამ უბედურ შემთხვევას საქართველოს თავიდან აარიდებდა, მაშინ ქართლის მეფე რომაულ-კათოლიკური და ქართულ-მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანებას პრაქტიკულად განახორციელებდა. ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად გულწრფელი იყო ვახტანგი ამაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რელიგიური ფაქტორი იყო ის მნიერი დიპლომატიური საშუალება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში პეტრე I-თან მოკავშირეობის გამო დილემის წინაშე მდგარი ვახტანგ VI-ის ხელში მოქმედების იარაღად რჩებოდა. ძნელია ითქვას, თუ რამდენად ერკვეოდა ვახტანგ VI იმაში, რომ XVIII საუკუნის დასაწყისიდან რელიგიურმა ფაქტორმა საერთაშორისო ურთიერთობებში სრულად დაკარგა არსებითი როლი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვახტანგ მეფემ კარგად იცის, რომ რელიგიურ მოტივების გამოყენება არაა გამორიცხული საერთაშორისო ურთიერთობებში. ყოველ შემთხვევაში, თუ განზრახულია ირანისა და ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების, უპირატესად კათოლიკეების, დაცვა. ამ პრაქტიკას თავად ადევნებდა თვალს ვახტანგ VI საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის შაპის კართან რელიგიური პოლიტიკის მაგალითზე 1708-1715 წლებში¹⁷. რაც შეეხება ამ თვალსაზრისით რომის საღვთო იმპერიის პოლიტიკას ირანის მიმართ, უშუალო საბუთები არ გავაჩნია, მაგრამ ირიბი წყაროების მოშველიებით შეიძლება შემდეგი სურათის წარმოდგენა:

15 ტაბაღა ი. საქართველო საერთაშორისო..., გვ.79. | სქოლიო.

16 პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ.258; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ.334.

17 დანერ. იხ: ტაბაღა ი. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეთოთხედი), თბ., 1972, გვ.60-78; 235-281; პაპაშვილი მ. საქართველოს საგარეო..., 27-38.

ერთი სანდო წყაროს მიხედვით, რომელიც წინარე საუკუნის მიწურულის (1683 წლის) მოვლენებს ასახავს, ირანის იმპერიაში სომეხ გრიგორიანელთა მიერ დაწყებულ კათოლიკეთა დევნის შესაწყვეტად კაპუჩინთა მისიონის პრეფექტი თბილისში სილვესტრო და პანიკალე დახმარებას პაპთან ერთად რომის საღვთო იმპერიის იმპერატორსაც თხოვდა. „ღმერთი თუ არ შეგვეწევა, - ვკითხულობთ პრეფექტის რელაციონებში, - და პაპი არ გამოგზავნის კიდევ ერთ ელჩს პაპისა და იმპერატორის (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის-ავტ.) ენერგიული პროტესტის წერილით, არ ვიცი გადარჩებიან თუ არა ეს უბედური მისიონერები...“¹⁸. მეორე წყაროს თანახმად, 1717 წლის სექტემბერში¹⁹ ენჩიადინის პატრიარქისა და მისი ვიკარიუსის მიწას ვართაპეტის ხელმძღვანელობით თბილისში განახლდა კათოლიკე მისიონერთა მანამდე გაუგონარი დევნა²⁰. ამ ფაქტმა დიდად შეაშფოთა წმ. ტახტი და „რომიდან მაშინვე მისწერეს ევროპის ყველა მთავარს (ე.ი. მეფეებს-ავტ.), რათა სპარსეთის ყვენისათვის ნიგნი მიენერათ სომხების დასასჯელად და კათოლიკეების დასაფარავად“²¹. წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ძალისხმევის შედეგად საქმეში, გარდა ვენეციის, ტოსკანის მმართველებისა და საფრანგეთის მეფისა, ჩაერია „ავსტრიის იმპერატორი“²² კარლ VI. ამ უკანასკნელს საფრანგეთის მეფესთან ერთად 1719 წლის 18 თებერვლამდე წერილი მიუწერია ირანის შაჰისათვის, რათა კათოლიკე მისიონერთა დევნა შეენწყვიტათ და დამნაშავეები დაესაჯათ²³. მართალია, თბილისში ატეხილი ანტიკათოლიკური შფოთი სულხან-საბა ორბელიანმა მეფე ბაქარ ვახტანგის ძის დახმარებით დააშოშმინა²⁴, მაგრამ იგი ძირითადად შეწყდა 1719 წლის აგვისტოში, ვახტანგ VI-ის ირანის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ²⁵.

ყოველივე ეს იმისთვის მოვიხმეთ, რომ გვეთქვა: შეუძლებელია ვახტანგ VI-ს, მით უმეტეს იმჟამად ირანში ტყვედ მყოფს, არ შეეცყო და არ გარკვეულიყო, თუ როგორ ჩაერია იმპერატორი კარლ VI ირანის ქვეშევრდომ ტერიტორიებზე კათოლიკე მისიონერებისა და აქ მცხოვრები კათოლიკეების დაცვის საქმეში. ვფიქრობთ, ამ პრაქტიკას ეყრდნობოდა ვახტანგ VI-ის თხოვნა იმპერატორ კარლ VI-სადმი, რომ მას, ვითარცა კათოლიკური სამყაროს საერო ხელისუფალს, ამ კრიტიკულ სიტუაციაში ზრუნვის საგნად ექცია ქრისტიანების დაცვის უზრუნველყოფა აღმოსავლეთში და

18 Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia. vol.31. f.475 r. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და პნიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისძვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018, გვ.127.
19 ადრე შეცდომით იყო მიჩნეული 1718 წელი (პაპაშვილი მ. საქართველო-რომის..., გვ. 258.

20 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა...გვ. 335-337; Michel Tamarati. Op.cit. p. 610-613; თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია...გვ. 670-671.

21 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ.337.

22 იქვე, გვ.338.

23 იქვე, გვ.337-338.

24 იქვე, გვ.337.

25 პაპაშვილი მ. საქართველო-რომის..., გვ. 258.

ეკრძოდ, საქართველოში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვახტანგ მეფეს ვენის საიმპერატორო კარის მიერ ირანსა და საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა დაცვა კარლ VI-ზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად მიაჩნდა.

აქვე აუცილებელია შევეხოთ ერთ საკითხსაც. პროფ. ი. ტაბალუამ ავსტრიის სახელმწიფო არქივში მიაკვლია იტალიურ ენაზე ხელით შედგენილ საქართველოს რუკას, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ იმპერატორ კარლ VI-სადმი გადასაგზავნ ნერილს ახლდა. მევლევრის აზრით, იგი ან კონსტანტინოპოლში შეადგინეს, ან ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში²⁶. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს რუკა კონსტანტინოპოლში გაამზადეს, რათა ავსტრიის ელჩს ჟოზეფ ფონ დირლინგს წარმოდგენა შეექმნა თავისი მთავრობისათვის საქართველოზე. გამორიცხული არაა, რომ ეს რუკა რომელიმე იტალიელმა მისიონერმა გაამზადა საქართველოში, რათა ხსენებული ნერილისათვის მეტი დამაჯერებლობა შეეძინა. ასევე ვენის საიმპერატორო კარზე შეექმნათ წარმოდგენა, თუ ფიზიკურად რომელი ქვეყნის დაცვას ეხებოდა საქმე და რამდენად შეიძლებოდა მომავალში იგი ეხილათ რომის საღვთო იმპერიის მოკავშირედ აღმოსავლეთში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გამოუკვლეველია ვახტანგ VI-ის დიპლომატიის ავსტრიული ასპექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰქონდა თუ არა ვახტანგის მიერ ავსტრიასთან დიპლომატიური კავშირის დამყარებას რეალური საფუძველი. ამ პრობლემის გასარკვევად ჩვენ პირდაპირი წყაროები არ გავაჩნია. ამიტომ, ცხადია, უტყუარი დასკვნების გაკეთება გაჭირდება, მაგრამ ირიბი მასალების საფუძველზე შევეცდებით იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში რეალობასთან მიახლოებული ვარაუდებისა თუ დასკვნების გაკეთებას.

სპეციალურ ლიტერატურაში²⁷ კარგადაა გარკვეული, თუ როგორ ცდილობდა ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში ა. სტანიანი, დაემიწებინა თურქეთის ცენტრალური მთავრობა რუსეთ-ავსტრიის კავშირის დადების შესაძლებლობით; თუ როგორი იყო საფრანგეთის კონსტანტინოპოლელი ელჩის მარკიზ დე ბონაკის მიზანი, რომ ხელი შეეშალა რუსეთ-ავსტრიის დაახლოებისათვის.

თურქეთის დიპლომატია კარგად ხედავდა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ამოცანებს. ამიტომ სულთან აჰმედ III ცდილობდა, ამიერკავკასიის მიმართ თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში რუსეთთან ომის გარდუვალობის შემთხვევაში ავსტრიის მხრიდან უშიშროების გარანტია მიეღო²⁸.

ინგლისელ ისტორიკოსს მ. შეის, ვენეციის ელჩების წერილების საფუძველზე, თავის ნაშრომში, არაერთხელ აქვს ნაჩვენები თურქეთის ცენტრალური მთავრობის მცდელობა-გაერკვია, თუ რა პოზიციას დაიჭერდა იმპერატორი კარლ VI რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომში²⁹. ირანელი

26 ტაბალუა ი. საქართველო საერთაშორისო..., გვ.79.

27 პაპაშვილი მ. საქართველოს საგარეო..., გვ.126-133.

28 ივეი, გვ.134.

29 Shay M.L. The Ottoman Empire from 1720-1734 as revealed in dispatches of the Venetian baili.

ისტორიკოსი მ. ჰექმატი წერს: „პორტა ცდილობდა, არ ჩაბმულიყო ომში ავსტრიის წინააღმდეგ..., რადგან ანგარიშს უწევდა მისგან მოსალოდნელ სამიშროებას“³⁰.

ავსტრიის საელჩოს თანამშრომელი ნიკოლო თეილსი³¹ 1722 წლის 26 სექტემბრის რელაციაში იუწყებოდა: „პორტა დიდი საიდუმლოებით იცავდა მეფის (პეტრე I-ის-ავტ.) მნიშვნელოვან უწყებებს. მე ვცდილობდი, გამეგო პორტას საიდუმლო მიზანი, თუ რატომ სთხოვდა დიდვაზირი ბატონ დირლინგს უავგუსტესი ბატონის (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი კარლ VI-ავტ.) გადაწყვეტილებების გაგებას“³². აქვე ავტორი მოკლედ აღნიშნავდა: „... პორტა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა უავგუსტეს ბატონთან (კარლ VI-სთან-ავტ.) მეგობრობას“³³. ამ ვრცელ რელაციაში, რომელშიც მოცემულია დანვრილებითი ინფორმაცია კასპიისპირეთში პეტრე I-ის ლაშქრობისა და მასთან დაკავშირებული წარმატებების შესახებ, ვკითხულობთ: „მე, როგორც ერთგული ვასალი უავგუსტესი მონარქისა (იმპერატორ კარლ VI-ისა-ავტ.) დიდი გულმოდგინებით ვცდილობდი პორტას საიდუმლოებებს ჩვენდომოდი...ორმაგი შრომის ფასად გავიგე, რომ აქაურმა ქრისტიანმა მინისტრებმა (ქრისტიანი ქვეყნის ელჩებმა-ავტ.) არაფერი იციან, თუ რა გადაწყვიტა პორტამ ამ დღიანზე (საბჭოზე-ავტ.)...ინგლისისა და ვენეციის ელჩები სთხოვდნენ ბატონ დირლინგს, შეეჩერებინა მეფეს (პეტრე I-ს-ავტ.) ახლანდელი ექსპედიცია...“³⁴.

სანამ გავაგრძელებთ ჩვენი არგუმენტების გამამყარებელი სხვა წყაროების მოხმობას, გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს. ჩვენს ხელთ არსებული ავსტრიის სახელმწიფო არქივის მასალები ეკუთვნის კონსტანტინოპოლში ავსტრიის საელჩოს თანამშრომელს ნიკოლო თეილსს. მისი ერთ-ერთი რელაციიდან ირკვევა, რომ მას მოსკოვიდან ინფორმაციას აწვდიდა საკუთარი ძმა. ნ. თეილსი წერს: „ჩემი ძმა, რომელიც დგას მეფის (პეტრე I-ის-ავტ.) სამსახურში ჩემს პატრონს (დირლინგს-ავტ.) მოსკოვიდან 3 სექტემბრის წერილში წერდა, რომ...მეფე (პეტრე I-ავტ.) წარმატებებს აღწევს კასპიის ზღვაზე (კასპიისპირეთში-ავტ.) და მჯერა, რომ მას ზურგი გამაგრებული ექნება ზემოხსენებული სამეფოდან (ქართლის სამეფოდან-ავტ.)...“³⁵. ნ. თეილსს ეჭვი არ ეეჭვებოდა, რომ პეტრე I კასპიისპირეთში ლაშქრობით ეცდებოდა, თურქებზე „...პრუტზე მიყენებული წყნის გამო“ შური ეძია³⁶. ეს ფაქტი იმიტომ მოვიხმეთ, რომ გვეთქვა ნიკოლო თეილსი კარგად ინფორმირებული პირი გახლდათ. ის თავის რელაციებში, ყოველ შემთხვევაში რაც ხელთ გავაჩნია, ვენას

Urbana, 1944. pp.95-124.

30 Heckmat M.A. Essai sur l'Histoire de relation politiques Irano-Ottomanes de 1722 a 1747. Paris, 1937, p.133.

31 ეს საარქივო მასალები აღებულია ავსტრიის სახელმწიფო არქივიდან.

32 Osterreichisches Staatsarchives, "Turcica", t.90, ff. 104; 108.

33 Ibid, f.78.

34 Ibid, ff.104-105.

35 Ibid, f.107-108.

36 Ibid, f.77.

ანვდიდა ვრცელ ინფორმაციას პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის დიპლომატიურ-პოლიტიკური და სამხედრო კავშირის შესახებ,³⁷ ცხადია, კასპიისპირეთში რუსეთის მეფის ლაშქრობის მიზნებთან და ამოცანებთან კავშირში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნიკოლო თეილსი ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობაში რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა. 1722 წლის 12 ოქტომბრის რელაციით ის ვენას ატყობინებდა: „...თბილისის ხანმა, სპარსეთის ქვეშევრდომი საქართველოს მმართველმა (ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ-ავტ.) მეფესთან (პეტრე I-თან-ავტ.) შესახვედრად საქართველოს პატრიარქი გაგზავნა, რათა მიესალმოს და მფარველობა სთხოვოს. მეფემ (პეტრე I-მ-ავტ.) დიდი პატივისცემით მიიღო პატრიარქი და მათი საჩუქარი გვირგვინი, რომელიც არა ნაკლებ 20 ათასი პიასტრი ღირს“.³⁸ ასევე საინტერესოა შემდეგი ფაქტიც. ამავე რელაციაში ნ. თეილსი წერს: „ამჟამად მეფე (პეტრე I-ავტ.) საქართველოში აგროვებს ახალ ჯარს, მათ ამარაგებს კარგი იარაღითა და მოსავს ქრისტიანული ტანსაცმლით, რომელთა რიცხვი დღითოდლე იზრდება“.³⁹ ამ ცნობებს ჯერჯერობით პარალელურ წყაროებს ვერ ვუძებნით და ამიტომ მათ უტყუარობასა და ნატყუარობაზე მსჯელობისაგან აქ თავს შევიკავებთ. მთავარი იყო გვეთქვა, რომ ავსტრიის საიმპერატორო კარი წერილმანებამდეც კი იყო ინფორმირებული ვახტანგ მეფისა და პეტრე დიდის სამოკავშირეო ურთიერთობების შესახებ და მოცემულ შემთხვევაში ხაზი ესმებოდა ერთმორწმუნეობის მნიშვნელობას ამ კავშირში.

როგორც ერთ-ერთი წყაროდან ირკვევა, ოსმალეთის ცენტრალური მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვენის საიმპერატორო კარის პოზიციას რუსეთთან ომის შემთხვევაში. ნიკოლო თეილსის უთარილო რელაციაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...უავგუსტესი ბატონის (კარლ VI-ის-ავტ.) გადაწყვეტილება მეფისადმი (პეტრე I-სადმი-ავტ.) მუდმივ მეგობრობაზე (უნდა ნაუკითხოთ მოკავშირეობაზე-ავტ.) პორტაში ეჭვებს აძლიერებდა...ვაზირმა გადაწყვიტა ვენაში გაეგზავნა ვინმე ოსმან ალა კონსულის თანადეობაზე... და ამ გზით ვენაში გაიჩინონ ჯაშუში უავგუსტესი ბატონის (იმპერატორ კარლ VI-ის-ავტ.) გეგმების გასაგებად“⁴⁰.

ასევე ნიკოლო თეილსის ერთ-ერთი რელაციადან ჩანს, თუ როგორ შიშობდა სულთანი, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში, ავსტრიას არ შეეცა თურქეთისათვის ევროპიდან. სულთანის აზრით, ასეთ „...შემთხვევაში მეფეს (პეტრე I-ს-ავტ.) ომის წარმოება წარმატებით შეეძლო....გარდა ამისა, მის უბრწინვალესობას (კარლ VI-ს-ავტ.) სურს, რომ მეფემ (პეტრე I-მ-ავტ.) პირველ და მეორე კამპანიაში ევროპის ამ მხარეში თურქები გაანადგუროს. ამით ოტომანის პორტას დიდ საფრთხეში ჩააგდებდნენ, რადგან თურქების მიერ დამორჩილებულ ევროპაში არიან დამარცხებული ბერძნები, რომლებიც მოსკოველების (რუსების-ავტ.) წეს-ჩვეულებისანი (იგულისხმება მარ-

37 Ibid. ff. 1722. 70-80v; 93-117; 1723, 78-97 v.

38 Osterreichisches Staatsarchives, "Turcica", t.90, ff. 71-71 v.

39 Ibid. f.71 v.

40 Ibid. f.97.

თლმადიდებლები-ავტ.) არიან და მსგავს შემთხვევაში თურქების წინააღმდეგ იარღს მოკიდებდნენ ხელს". „ეს აშინებდა ვაზირ ალი ფაშას,-წერს ნ. თეილსი, რომ ოტომანის პორტას ქვეშევრდომ ბერძნებს თურქების წინააღმდეგ იარაღი არ აელოთ და აგზავნიდა ბრძანებებს ევროპის ფაშებთან, რათა ბერძნები განეიარაღებინათ". „ამრიგად, - დაასკენიდა ნ. თეილსი-, მეფე (პეტრე I-ავტ.) ამ უპირატესობის წყალობით შეძლებდა წარმატებით შეეცა თურქებისათვის ევროპული ნაწილიდან და გაგზავნოს ერთი რეგულარული ჯარის ნაწილი შირვანის პროვინციების დასაკავებლად...და ქართველებთან გასაერთიანებლად“⁴¹. „პორტა ეჭვობდა რუსეთ-ავსტრიის სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობის შესახებ და შიშობდა კონფლიქტის შემთხვევაში არ ჩაბმულიყო ომში, რადგან მხედველობაში იღებდა თავისი ჯარისა და ფინანსების ცუდ მდგომარეობას“⁴². ავსტრიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის განეიტრალების შემთხვევაში „...პორტას შეეძლო ეფექტიანად მოეხდინა რუსეთზე ზეწოლა და უფრო მეტის მიღწევა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო“⁴³. თურქებს ისიც აშინებდათ, თუ ისინი მთელ ძალებს ირანის მიმართულებით წარმართავდნენ, „...მაშინ ავსტრიის იმპერატორი არად ჩააგდებდა მის (სულთნის-ავტ.) გეგმებს და მას (კარლ V-ს-ავტ.) შეეძლო ევროპაში მშვიდობის საზიანოდ მოქმედება“⁴⁴. სწორედ ამიტომ მიმართავდა მთელ ძალისხმევას საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ბონაკი, რომ „...სულთანს არ მიელო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შემდეგ ავსტრიის სამეფო კარს თურქეთისაგან თავდასხმის საშიშროება მოეხსნებოდა ანდა, ყოველ შემთხვევაში, მისთვის (თურქეთისათვის-ავტ.) ანგარიშის განევისა“⁴⁵.

საგულისხმო ფაქტს ვაწყდებით ნ. თეილსის 1722 წლის ნოემბრის თვის რელაციაში იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნით სურდა დიდვაზირს ვენაში თურქეთის საკონსულოს დაარსება. „წინა დღეებში დიდვაზირმა მოიფიქრა ვენაში გაგზავნოს ოსმან ალა, როგორც კონსული,-წერს ნ. თეილსი,-მაგრამ ის უარს ამბობს ამ თანამდებობაზე. პორტას ამ მიზეზით ბატონ დირლინგისათვის არაფერი შეუტყობინებია, რადგან უნდათ სხვა პიროვნების შერჩევა“⁴⁶. „ამასობაში,-განაგრძობს ნ. თეილსი,- ბატონ რეზიდენტს (დირლინგს-ავტ.) შევატყობინე და ვურჩიე, ეს ამბავი შეეჩერებინა, რადგან შესაძლებელი იყო თურქებს ამ ხერხით უნდოდათ ვენაში ჯამუში გაეჩინათ და არა ვაჭრობის ინტერესებისათვის დაეჭირათ მხარი“⁴⁷. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის, რომ თურქეთში, რომელსაც XVIII საუკუნის ბოლომდე არ ჰყავდა მუღ-

41 Ibid, ff.92-92 v.

42 Hekmat M.A. Op. cit. p.133.

43 Hekmat M.A. Op. cit. p.133.

44 Ibid.

45 Schefer Ch. Mémoire historique sur l'Ambassade de France à Constantinople per le Marquis de Bonac publié avec un précis de ses négociations à la Porte Ottomane par M.Charles Schefer Membre de l'instiu, Paris. 1894. p.56.

46 Osterreichisches Staatarchives, "Turcica", t.90. f.98.

47 Ibid, f.97-97 v.

მივი დიპლომატიური წარმომადგენლები საზღვარგარეთ⁴⁸, როგორც ეხედათ იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვენის საიმპერატორო კართან სამშვიდობო ურთიერთობის შენარჩუნებას პეტრე I-თან შესაძლო ომში, რომ აუცილებლად ჩათვალეს საკონსულოს გახსნა. ამას დირლინგი შეენინააღმდეგა იმ არგუმენტით, რომ კონსულის შენახვა ვენაში წელიწადში 12 ათასი ფლორინი დაუჯდებოდათ თურქებს, რადგან „...აქ (ვენაში-ავტ.) ყველაფერი ძვირი იყო..., ხოლო პორტას 2 ათასი პიასტრის გადახდა შეეძლო მხოლოდ“⁴⁹.

ნიშანდობლივია ვენეციის ბაილოს ჯოვანი ემოს ცნობები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ თურქეთის ოფიციალური მთავრობა სანამ საქართველოს დასაპყრობად ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილებას მიიღებდა, მანამ ცდილობდა გამოერკვია, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ავსტრია. მ. შეის მიერ მოტანილ ემოს რელაციებში ვკითხულობთ: „დირლინგს აცნობეს, რომ თურქეთის ჯარები მზად იყვნენ ერევის დასაკავებლად და ქართველების დასამორჩილებლად. ვილაც სანდო პირმა ემოს შეატყობინა, რომ ეს ბრძანებები გააუქმეს...“⁵⁰. ასევე: „საქართველო რუსეთთან კავშირს არჩევდა და თურქები შიშობდნენ, რუსეთს კავშირი არ შეეკრა ავსტრიასთან“⁵¹. ან „თურქებმა გადაწყვიტეს, ებრძანათ იბრაჰიმ ფაშასთვის, გაელაშქრა საქართველოში..., რათა თბილისის ხანი (ქართლის მეფე ვახტანგ VI-ავტ.) თურქების ქვეშევრდომი გაეხადათ..., მაგრამ აბრკოლებდათ ის, რომ საჭირო იყო წმინდა რომის იმპერატორისაგან (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისაგან-ავტ.) უშიშროების გარანტია“⁵². ასეთია ძირითადად წყაროთა ის წრე, რომელიც აღნიშნული საკითხის გარშემო ამჟამად გაგვანჩნია.

ფეიქრობთ, მოხმობილი წყაროები საკმაო წარმოდგენას გვაძლევს პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის, რუსეთ-საქართველოს სამოკავშირეო ურთიერთობისა და ამის ფონზე რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის ჩარჩოებში ავსტრიის პოზიციის მნიშვნელობაზე. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თურქეთის ცენტრალური მთავრობა, რომელიც 1716-1718 წლებში ავსტრიასთან ომში დამარცხდა და პოუარევაცის ხელშეკრულებით ევროპაში თავდაცვაზე გადავიდა⁵³, სანამ ირანის მიმართულეობით და აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად ჯარს გააგზავნიდა, მანამდე ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ავსტრიის მხრიდან საფრთხე არ ემუქრებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა თურქეთის დიპლომატიური მცდელობა, რომ ავსტრიისაგან უსაფრთხოების გარანტიისათვის მიეღწია. ასევე სულთანი ითვალისწინებდა რუსეთ-ავსტრიის კავშირის დადების შესაძლებლობას პორტას წინააღმდეგ. მოხმობილი წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ მო-

48 www.istoria.com/karpovsp-istoriya-srednix-vekov-tom-2/183/-evropa-i-osmanskaya-imperiya-v-xvi-pervoij.html

49 Osterreichisches Staatarchives, "Turcica", t.90, f.97 v.

50 Shay M.L., Op. cit. p.101.

51 Ibid. p.123.

52 Ibid. p.95.

53 Kinross Patric. The Ottoman Centuries: The Rise and Fall of the Turkish Empire. William Morrow, 1979, p.376.

ცემულ მომენტში თურქეთის იმპერიის ექსპანსიონისტური მიზნების ძირითადი მონინაალმდგენი ავსტრია და რუსეთი იყვნენ. ამ გარემოებას თურქეთის ცენტრალური მთავრობა, კერძოდ, დიდვაზირი ნევშეპირლი დამად იბრაჰიმ ფაშა (1718-1730) ანგარიშს უწევდა.⁵⁴ თავის მხრივ კი რუსეთის დიპლომატია ვენაში ნიადაგს ეძებდა თურქეთთან შესაძლო ომში კავშირისათვის. ეს კი თურქეთში დიდ შიშს იწვევდა, რადგან მის ექსპანსიონისტურ გეგმებს ირანისა და ამიერკავკასიის მიმართ პარალიზებით ემუქრებოდა⁵⁵. საბოლოოდ კი რუსეთ-ავსტრიის „დაახლოებამ აიძულა ნევშეპირლი იბრაჰიმ ფაშა პეტერბურგთან დაედო ხელშეკრულება (იგულისხმება 17124 წლის-ავტ.) ამიერკავკასიაში რუსეთისა და ოსმალეთის სამფლობელოების გამოიჯენის შესახებ და ვენის სამეფო კართან პირდაპირ კონფრონტაციაზე უარი ეთქვა“⁵⁶.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: ჩვენი აზრით, ვახტანგ VI დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ერთი მხრივ, თურქეთ-ავსტრიის ურთიერთობების, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთ-ავსტრიის კავშირების განვითარებას. დიდი ალბათობით ამაში მას ეხმარებოდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რომელთა მეშვეობით, ალბათ, დაამყარა მან კავშირი ავსტრიის საელჩოსთან კონსტანტინოპოლში. უფრო სწორად რომელიმე კათოლიკე მისიონერმა ნაილო ვახტანგის წერილები კონსტანტინოპოლში და გადასცა ავსტრიის ელჩს იოზეფ ფონ დირლინგს ადრესატებისათვის გასაგზავნად. ვახტანგი, ჩანს, სათანადოდ გაერკვა და მიიჩნია, რომ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომის გადაწყვეტისას ანგარიში უნდა გაენია ავსტრიის სამეფო კარისაგან მოსალოდნელი საშიშროებისათვის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ VI-ის მიერ იმპერატორ კარლ VI-სადმი მიმართვა დახმარებაზე უკავშირდება რუსეთ-ავსტრიის დაახლოების აღნიშნულ ტენდენციას და ასევე თურქეთის მიერ ანგარიშის განვივის პოლიტიკას ავსტრიისადმი, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამ რთულ დიპლომატიურ ანგარიშიანობასა და კომბინაციებში საქართველო, როგორც იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი, რუსეთთან კავშირს შეენირა და ინგლის-საფრანგეთისაგან ზურგმომავრებულ⁵⁷ თურქეთი უშიშრად შეუდგა საქართველოს დაპყრობას. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ხუთი სუბიექტიდან (საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, პრუსია) სამმა-საფრანგეთმა, რუსეთმა და ავსტრიამ, რომლებთანაც დააკავშირა ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ინტერესები, მათ თავიანთ მიზნებს დაუქვემდებარეს და აქედან გამომდინარე ტრაგიკულმა შედეგებმა ბევრად განაპირობა საუკუნის ბოლოს ჩვენი ქვეყნის დაცემა.

54 Osterreichisches Staatarchives, "Turcica", t.90, ff. 89-92 v.

55 Ibid, ff.93-105.

56 Всемирная история. Т. 4. Мир в XVIII веке. М., 2013, с.200.

57 დანერ. იხ: პაპაშვილი მ. საქართველოს საგარეო..., გვ.126-138.

MURMAN PAPASHVILI, ELDAR MAMISTVALISHVILI,
ZURAB GAMEZARDASHVILI, KHATUNA CHAPICHADZE

AUSTRIAN ASPECT OF VAKHTANG VI'S DIPLOMACY

This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant HF17_21]

Summary

At the beginning of September, 1722 Peter the Great's coming back from the Caspian Sea campaign disrupted the military-political agreement, which had been verbally reached with Russia by the king of Kartli Vakhtang VI against Iran. The following year Vakhtang VI who waited for the dubious campaign of the Russian army faced the following dilemma: now neither devoid of power Iranian Shah, nor Sultan of the Ottoman Empire trusted him. At the same time, he simultaneously had to paralyze the position of the renegade of Kakheti King Constantine II, to deny Sultan's insistent patronage, and to mediate between the Shah and Peter I. This certainly exceeded Vakhtang's strength. In such circumstances on the 29th of November, 1722 Vakhtang VI wrote to the Pope Innocent XIII (1721-1724) and to the Emperor of the Roman Holy Empire Carl VI in order to get help against a possible threat from Turkey.

The research based on the archival materials of the Ministry of Foreign Affairs of Austria, which for the first time are coming into scientific circulation, confirmed that Vakhtang VI attentively observed the development of Turkish-Austrian relations, on the one hand, and of Russian-Austrian ties, on the other. Most likely in this matter he was assisted by the Catholic missionaries working in Georgia, through whom he established his union with the Austrian Embassy in Constantinople. More precisely some Catholic missionaries took Vakhtang's letters to Constantinople and handed them over to Austrian Ambassador Joseph von Dirling for transmission to their addresses. Vakhtang VI apparently understood that when declaring war against Russia, Turkey had to take into account a possible danger on the part of the Austrian royal court. This circumstance makes us think that Vakhtang VI's appeal for help to the Emperor Karl VI was connected with the tendency towards Russian-Austrian rapprochement as well as with Turkey's policy that took into consideration Austria's interests, though Vakhtang VI's efforts were of no effect. In these difficult diplomatic combinations, Georgia, as the object of international relations, became the victim of its union with Russia, and Turkey backed by England and France fearlessly began to conquer Georgia. This, once again showed that from the five international relations subjects of the first quarter of the XVIII century (France, England, Austria, Russia, Prussia), King of Kartli Vakhtang VI connected the interests of Georgia's independence with the three countries - France, Russia and Austria - which subordinated the interests of Georgia to their own goals. Thus, these tragic results determined the fall of Georgia at the end of the century.

МУРМАИ ПАПАШВИЛИ, ЭЛЬДАР МАМИСТВАЛИШВИЛИ, ЗУРАБ
ГАМЕЗАРДАШВИЛИ, ХАТУНА ЧАПИЧАДЗЕ

АВСТРИЙСКИЙ АСПЕКТ ДИПЛОМАТИИ ВАХТАНГА VI

Данное исследование было проведено при финансовой поддержке Национального научного фонда Шота Руставели [грант HE17_21]

Резюме

В начале сентября 1722 года, Петр Великий, вернувшийся с каспийской кампании, нарушил воснно-политическое соглашение, которое было устно достигнуто с Россией царем Картли Вахтангом VI, против Ирана. В следующем году, Вахтанг VI, который ждал сомнительной кампании российской армии, столкнулся со следующей дилеммой: теперь ни лишенный власти иранским шахом, ни султан Османской империи не доверяли ему. В то же время он одновременно должен был парализовать позицию ренегата Кахетинского короля Константина II, отрицать настойчивое покровительство султана и посредничать между шахом и Петром I. Это, безусловно, превысило силу Вахтанга. В таких обстоятельствах, 29 ноября 1722 года Вахтанг VI написал Папе Иннокентию XIII (1721-1724) и императору Священной Римской империи Карлу VI и попросил помощи против возможной угрозы со стороны Турции.

Исследование, основанное на архивных материалах Министерства иностранных дел Австрии, которые впервые вступают в научный оборот, подтвердили, что Вахтанг VI внимательно наблюдал за развитием турецко-австрийских отношений, с одной стороны, и российско-австрийской связи, с другой. Скорее всего, в этом вопросе ему помогали католические миссионеры, в Грузии, через которых он основал союз с посольством Австрии в Константинополе. Точнее, некоторые католические миссионеры доставили письма Вахтанга в Константинополь и передали их австрийскому послу Джозефу фон Дирлингу для передачи их адресатам. Вахтанг VI, по-видимому, понимал, что при объявлении войны против России, Турции необходимо учитывать возможную опасность со стороны австрийского королевского суда. Это обстоятельство заставляет нас думать, что обращение Вахтанга VI к помощи императору Карлу VI было связано с тенденцией к российско-австрийскому сближению, а также с политикой Турции, которая учитывала интересы Австрии, хотя усилия Вахтанга VI не имели никакого результата. В этих сложных дипломатических сочетаниях Грузия, как объект международных отношений, стала жертвой своего союза с Россией, а Турция, поддерживаемая Англией и Францией, бесстрашно начала завоевывать Грузию. Это еще раз показало, что из пяти субъектов международных отношений первой четверти XVIII века (Франция, Англия, Австрия, Россия, Пруссия), картлийский царь Вахтанг VI связывал интересы независимости Грузии с тремя странами - Францией, Россией и Австрией, которые подчинили эти интересы своим целям. Таким образом, данные трагические результаты определили падение Грузии в конце века.

რონ მატრაველი

ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი

კრნანისის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელია. 1795 წელს ირანის მბრძანებელმა ალა-მაჰმად-ხანმა გაერთიანებული ძალების გამოყენებით ქართველების დამარცხება შესძლო. ეს იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის კვლავ გაბატონების ცდა. თბილისთან ქართველების თავგანწირული ბრძოლისა და საბოლოო მარცხის შესახებ არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელმაც იმთავითვე მიიქცია დაინტერესებულ მეცნიერთა (მათ შორის რუსი) ყურადღება.

გვინდა შევეხოთ ერთ დოკუმენტს, რომელიც ირანის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის ხელიდანაა გამოსული და რეალურად წარმოადგენს მტრის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, მის მუხანათურ ზრახვებს. ესაა „ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს მეფე ერეკლე II-დმი“. ირანის შაჰის ეს გზავნილი 1901 წელს, რამდენიმე სხვა მასალასთან ერთად, გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა [1:146-148]. იქვე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი მასალა ირაკლი II-დმი მიწერილი შაჰის ფირმანის ქართული თარგმანი იყო. ულტიმატუმი, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, ლამაზი მხედრულით იყო შესრულებული. იგი მეცნიერისათვის გადაუცია ა.დ. ერისტოვს (ე. თაყაიშვილი მას „დიდადპატივცემულად“ მოიხსენიებს). ამ უკანასკნელს ეს დოკუმენტი სხვა ქართულ აქტებთან და საქმიან ქალაქებთან ერთად ა. თუმანოვისგან მიუღია. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ძალზედ მწიერ (სულ რამდენიმე სტრიქონი რუსულ ენაზე) კომენტარში მიიჩნევს, რომ ეს უთარილო დოკუმენტი 1795 წლის სექტემბრამდე (კრნანისის ბრძოლამდე) უნდა იყოს მეფე ერეკლესადმი გამოგზავნილი. ულტიმატუმის სპარსული დედანი შემორჩენილი არ არის. ამდენად ტექსტის ქართულად (ქართული ვარიანტი) გამოქვეყნება, თანაც რუსული თარგმანითურთ, მეცნიერის მიერ გაკეთებულ სხვა მრავალ საქმესთან ერთად, მეტად საჭირო და მეცნიერებისათვის სასარგებლო იყო.

დღესდღეობით ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტის ტექსტს ქართულად და რუსულად ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვით: „გმადლობ ლ'თსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება.

ბეჭედი

ერანის ჯელმნიფის

ალა-მაჰმად-შაჰისა

ბრძანებასა ამას ჩუწნსა გამოუცხადეთ მისს სიმალლეს საქართუწლოს მეფეს.

მომლოდნესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრეთ გეუნყოს: სამეოცდაათისა წლისა უწინარეს რომელიცა საქმე ყანდაარს ქართუწლთა დაიჭირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულთა, რომელ შაჰ-სულთან უსეინც მომკუდარი არის და აღარაც არის. ახლა თქვენმა უმაღლესობამაც იცის, რომ ეს ასი თაობა არის, რომე ერანისანი ჰყოფილ-ხართ. ახლა განკვრევით ვპბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებხართ, რომელთაცა ამის გარდა სხუა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის. ოთხმოცდაათის წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს ჰშურები, რომ ურჯულონი მოგიყუანია და მათთან შეერთებულხართ, ნება მიგიცია, თუმცა თქუწნი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვა და სხვა არის და განთვსება აქვს, მაგრამ ყოველთვს ერანთან შეერთება გქონიათ. ერანში თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავლის ჰსჯულის სხვანიცა არიან, ამისთვს ჰჰამს, რომ ყოველისავე სირცხვლი შეწ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა. შარშანდელს დროსა რამდენიმე ქართუწლნი მე გამაფუჭებინე, მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის ჰელით წამანდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის, ჩვენ ლთის მოწყალებით, რომლისაც ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჰკვიანი კაცი ხართ, ამგუარი საქმეები განიშორით, რომ ჰვეყნის თასლიბიც არის, და რუსების შეერთებულება დაჰჰსწნა. თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებთა, ამ ცოტას ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართვეთ სისხლს ერთად დაეაქვეეთ და მტკვრის მჰსგავასად მდინარედ გავაკეთებთ. რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთვს ეს ფარმანი მოგწერეთ, ჩვენ ბრძანებას არ გარდახვდე შენი მდგომარეობა იცნა.

Благодарю Бога, ибо велика есть слава Его.

Печать

царя Ирана

Ага-Магомсть-Шаха.

Приказъ сей объявляемъ Его Высочеству царю грузинскому.

Ожидающему нашу милость да будетъ вѣдомо: дѣло, которое грузины учинили семьдесятъ лѣтъ тому назадъ въ Кандагарѣ и какъ они уронили честь Ирана, - это нынѣ уже извѣстно, ибо Шахъ-Султанъ-Гусейнъ умеръ и его уже нѣтъ болѣе въ живыхъ. Нынѣ и ваше Высочество знаетъ, что въ продолженіе этихъ ста поколѣній Вы были подвластны Ирану; теперъ же съ удивленіемъ изволить мы сказать, что Вы примкнули къ русскимъ, у которыхъ нѣтъ другихъ задачъ, какъ торгшвать въ Иранѣ и дѣло которыхъ только торговля. Ты человекъ девяносты лѣтъ и такія вещи допускаешь: привелъ невѣрныхъ, соединилъ съ ними и даешь имъ волю! Хотя ваша вѣра и наша неодинаковы и разліяны, но Вы всегда имѣли связь съ Ираномъ. Въ Иранѣ много татаръ, грузинъ, армянъ,

невѣрныхъ и другихъ религій; поэтому слѣдуетъ, чтобы Вы постыдились предъ всѣми и не допустили этого дѣла. Въ прошломъ году ты заставилъ меня погубить нѣсколькихъ грузинъ, хотя мы совершенно не желали, чтобы наши подданные погибли нашею же рукою. Теперь по милости Бога, силой Котораго мы достигли столь большого величія, вѣрность заключается въ слѣдующемъ: нынѣ великая наша воля, чтобы Вы, какъ умный человѣкъ, бросили такого рода дѣло, такъ какъ въ этомъ и говоръ (желаніе) страны, и порвали бы связь съ русскими. Если приказанное не исполнишь, то въ это короткое время совершимъ походъ на Грузію, прольемъ вмѣстѣ русскую и грузинскую кровь и изъ нея создадимъ рѣки наподобіе Куры. Такъ какъ слѣдовало извѣстить тебя объ этомъ, для этого мы Вамъ написали сей фирманъ, чтобы ты не ослушался нашего приказанія и позналъ свое положеніе.“

ვიდრე „ულტიმატუმის“ ტექსტს განვიხილავდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის თაობაზე არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. ერთ-ერთი პირველი გახლავთ აკადემიკოსი პ.მ. ბუტკოვი [2:334-347, რომელიც უაპელაციოდ აცხადებს, რომ რუსეთიდან დახმარების იმედით ერეკლე მეორემ ვერ მოახერხა ადგილობრივი ძალების შეკრება, თავი ვერ მოაბა მას. იგი ხაზს უსვამს ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ წინააღმდეგობებს, მიუთითებს, რომ შეცდომა იყო 1794 წლის 6 მარტს ერეკლე მეფის გადაწყვეტილება (დარეჯან დედოფლის მოთხოვნით) სამეფოს საუფლისწულო მამულებად დაყოფისა და ბატონიშვილებზე დანაწილების შესახებ.

საერთოდ XVIII საუკუნის მიწურულის რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში პ. ბუტკოვმა ისე წარმოადგინა, რომ ქვეყანა კრწანისის ბრძოლის წინაც კი განწირული იყო და ბრძოლაში მარცხი სამეფოში არსებული ვითარების ლოგიკურ შედეგად მიაჩნდა.

ერთი რამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რუს მოღვაწეებს (პ. ბუტკოვი სენატორიც იყო) ალბათ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აეინყებდა, რომ არსებობდა 1783 წელს დადებული ტრაქტატი, რომელიც ავალდებულებდა რუსეთის ხელისუფლებას საჭირო შემთხვევაში იარაღითაც დაეცვა საქართველო. სამწუხაროდ, ტრაქტატის მოთხოვნები გაუმართლებლად დაარღვია რუსეთმა და საქართველო მტრის საჯიჯგნად გაიმეტა. ნიშანდობლივია, ირანის სახელმწიფო საქართველოს მესვეურებს საყვედურობდა რუსეთთან დამოკიდებულებას. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს მიერ რუსეთისკენ აღებული გეზი იყო. პ.ბუტკოვმა ყალბად წარმოადგინა კრწანისის ბრძოლა თავისი პერსონაჟებით¹. ამ ავტორისგან შორს არ წასულა სომეხი არტემ არარატელი. მის ყალბ ცნობებს ერეკლესა და კრწანისის ბრძოლის შესახებ დაეყრდნო ბუტკოვიც და შედეგად შესაბამისი მიიღო. 1813 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი „Жизнь

¹ ვფიქრობთ, პ. ბუტკოვსა და სხვებს დასაბუთებული პასუხი გასცა პროფესორმა იანე ცინცაძემ. იხ. მისი „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1956 წ.

Артемия Араратского...” [3:24]. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ამ ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალა, ამბები, თარიღები ფაქტობრივად, სიყალბედ იქნა მიჩნეული². 1894 წელს ბაქოში დაიბეჭდა ეპისკოპოს არისტაკეს სედრაკიანის წიგნი „სიყალბე არტემ არარატელისა ამხილა ა.ე.ს-მან“. არტემ არარატიანის წიგნის უსუსურობის ჩვენების მიზნით აღვნიშნავთ, რომ მის „თხზულებაში“ მოქმედი პირები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ბოროტთა ჯგუფში შედიან ლეკები, ერეკლე მეორე, საფარბეგი, ვალარშაპეტელები და მისი მღვდელი, თბილისელი სომეხი ვაჭარი და რუსეთის სამსახურში მყოფი სომეხი მაიორი. კეთილებს შორის არიან: არტემ არარატიანის ბებია, დედა, ოჯახის სახედარი, თვით არტემი.

1844 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა გამოაქვეყნა წიგნი „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა თბილისში“, სადაც პირდაპირ წერს: „...არაჩურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო შემოჩენილი არტემ არარაცკი მეფის ირაკლისა და საქართველოს დასალუპად...ბევრი ჩვენი დასამზობი ამბებია ამ არტემისგან...“[4:33] აღ. ორბელიანი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სომეხი არუთინ არარაციანი, რუსეთში თავს არტემ არარაცკიდ ასალებდა, კავკასიაში ხაჩიკიანცის გვარით იყო, ასტრახანში ივანოვის გვარს ატარებდა, მოსკოვში ბოგდანოვ-არარატსკიდ იწოდებოდა [5:15]. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ა. არარატიანი ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა და მისი ნარკვევიც ტენდენციურია, იგი ობიექტურ წყაროდ არ გამოდგება.

ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონს. თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომი დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“(1850 წ; NN51-56). აქ დაწვრილებითი ცნობებია კრწანისის ბრძოლისა და ავტორის ძმის დავით ბატონიშვილის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ. ამ ნაშრომში არაფერია ნათქვამი კრწანისის ბრძოლისას დაბნეულობის, ლელვისა და პანიკის შესახებ, რომელსაც აგვიწერენ პ. ბუტკოვი, არ. არარატელი და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი (იგი მიუთითებდა, რომ ქართველთა(თავადაზნაურობის) კინკლაობამ სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას შეუწყო ხელი და შესაძლოა მოხდა უნებურად, ქართლ-კახეთის სამეფოს გამასხრებულად წარმოადგენდა).³

შეიძლება არც ყოფილიყო საჭირო ზემოხსენებულ ავტორთა მონაცემების მოტანა, მაგრამ ჭორის დონეზე მოტანილმა მასალებმა შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი ბაზის ფუნქცია შეიძინა. 1939 წელს ისტორიკოსმა ა.არაქელიანმა გამოაქვეყნა ნარკვევი ალა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ, მან გაიმეორა ზემოხსენებულ ავტორთა მოსაზრებანი, ერეკლე მეორე მხდალ მეფედ წარმოადგინა, ლაშქარი მორალუ-

2 იხ.Н.Я.Марр.Подлог Артемия Араратского,Записки Восточного отделения императ.русск. археологического общества. ПИХ, вып. I-IV. СПб 1890. ამგვარი მასალა ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა.

3 ს. კაკაბაძემ 1914 წელს გამოსცა აღ. ორბელიანის მოგონება სათაურით „მამაჩემისგან ლალატი მეფის ირაკლისა“. ამის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, ერთგულება და ლალატი, თბ: 2011 წ.

რად გახრწნილად. ა. არაქელიანის უფიცობას და დაუსაბუთებელ დებულებებს მწვავე კრიტიკა დაუპირისპირა პროფესორმა იასე ცინცაძემ. კრწანისის ბრძოლის ბედი ცნობილია, თუმცა არ შეიძლება არ დავინახოთ ამ ბრძოლაში ერეკლე მეორის შემართება. მოხუცი მეფე თავისი ამალით მთელი დღის განმავლობაში იბრძოდა კრწანისის ველზე. იგი წინა რიგებში იყო. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარში მებრძოლი, ცხენოსანთა რაზმის ქვედანაყოფის ოფიცერი, სომეხი იაკობ ბებუთოვი. იგი თვითმხილველი იყო, როცა გააფთრებულ ბრძოლაში ქართველი მეფე და მისი ვაჟიშვილი – ვახტანგ ბატონიშვილი ხელჩართული მონაწილეობდნენ. თბილისთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველებთან ერთად მათ გვერდში მყოფი არა ერთი სომეხი შეაკვდა მტერს. საგანგებოდ ვუსვამ ხაზს ბებუთოვის სომხობას და მის ცნობებს. არაქელიანს შეეძლო გაცნობოდა მის ნაშრომს და გარკვეული კორექტივი შეეტანა თავის ცილისმწამებლურ ნარკვევში⁴.

იყო თუ არა მოულოდნელი ერეკლე II-დმი ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა 1795 წლის სექტემბერში?

ირანის შაჰის ალა-მაჰმად-ჰანის მიზანი ნათელია – 1795 წელს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს (კერძოდ ქართლ-კახეთის) დაპყრობა. შაჰი სიფრთხილით მოქმედებდა. რუსეთში მზვერავეები გაგზავნეს, რათა გაეგო – დაეხმარებოდა თუ არა რუსეთის სამხედრო ძალა საქართველოს. ცნობებს აგროვებდნენ ოსმალეთსა და ახლო აღმოსავლეთში მოვლენილი საგანგებო აგენტები. მზვერავეებმა დააზუსტეს, რომ რუსეთის მოლაშქრეები 1795 წლის აგვისტო-სექტემბერში ქართლ-კახეთის მეფეს დახმარებას ვერ აღმოუჩენდნენ (ინფორმაცია გენერალი გუდოვიჩის დოკუმენტების შედეგად გახდა ცნობილი მზვერავეებისათვის).

ეს ალა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გალაშქრებისათვის ხელის გახსნას ნიშნავდა. ჯერ კიდევ 1793 წლის 30 მაისს საქართველოს საკითხი რუსეთის სამხედრო საბჭოს სხდომაზე განუხილავთ. მიუღიათ დადგენილება, საიდანაც ჩანდა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსა და ალა-მაჰმად-ხანს შორის არსებულ კონფლიქტში არ ჩაერეოდა. მოერიდნენ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას. გენერალმა გუდოვიჩმა, რომელიც ე.წ. „კავკასიის ხაზს“ ხელმძღვანელობდა, რუსეთის მთავრობის დავალებით განცხადება გააკეთა: რუსეთი ქართლ-კახეთის უზენაესი მფარველი იქნება. ალა-მაჰმად-ხანის აგრესიის შეჩერება გენერალ გუდოვიჩს უნდა უზრუნველევყო. ეს განცხადება ქართველთა დეზორიენტაციას ემსახურებოდა.

ამგვარად, ქართლ-კახეთის დიპლომატიამ, დროულად მიანვდინა ხმა რუსეთის ხელისუფლებას შაჰის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. სამხედრო საბჭომ კი მიიღო გარკვეული დადგენილება საქართველოს დახმარების

4 А.Аракелян. Присоединение Карабаха к царской России, „исторический журнал“, 1939 г. N 10(октябрь), მნიშვნელოვანია, რომ პროფესორი იასე ცინცაძის მონოგრაფიამ „ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, ასევე სხვა ავტორების (განსაკუთრებით პროფესორების ვალერიან მაჭარაძის, გიორგი პაიჭაძის და სხვა). შრომებმა ობიექტურად შეაფასა კრწანისის ბრძოლა და პასუხი გასცა ისტორიის გამყალბებულებს.

განევის შესახებ, მაგრამ ამას ეკატერინე II-ის განკარგულება სჭირდებოდა. იმპერატორი კი, როგორც ჩანს, თავს იკავებდა. ერეკლე მეორემ, გაანალიზა რა შექმნილი ვითარება, შეეცადა თურქეთი გამოეყენებინა ირანის წინააღმდეგ (ამ ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო). ქართლ-კახეთის დიპლომატიის ეს ცდა – ირან-თურქეთის წინააღმდეგობით სარგებლობა და ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის ასაცილებლად თურქეთის გამოყენება, მარცხით დამთავრდა. მოხდა ისე, რომ ირანი და თურქეთი ფარულად რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მათთვის მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა. როგორც ჩანს, ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიაც ახალისებდა ირან-თურქეთის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. მათ ინტერესებში იყო ამიერკავკასიიდან ფეხის ამოკვეთა [5:119-120].

1795 წლის ივნისში ირანმა რუსეთში ელჩები გაგზავნა. ისინი გამოცხადდნენ გენერალ გუდოვიჩთან და პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა უთხოვიათ, თითქოსდა რუსეთში ემიგრირებული ალა-მაჰმად-ხანის ურჩი ძმის მურთაზ-ყული-ხანის მიერ გატაცებული პირების გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების საკითხის დასაყენებლად. გენერალმა გუდოვიჩმა არ ცნო ელჩების უფლებამოსილება სათანადო საბუთების უქონლობის გამო და არ მისცა პეტერბურგში გამგზავრების უფლება, პ. ბუტკოვი გადმოგვცემს, რომ გუდოვიჩს ირანელი მოციქულები გაუფრთხილებია: „Чтoб Ага-Магомед-Хан не касался владения его (царя Ираклия) на ошнх нападение будет оскарблением против России“ [2:330]. ამგვარი გზავნილი შაჰისთვის მიუღებელი იყო და იგი უფრო მეტად განაწყობრილი ბრძოლისათვის. მით უმეტეს, რომ იგი ამისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა.

შაჰი ინტენსიურად ენეოდა დაზვერვით საქმიანობას. იგი ელჩების სტატუსით აგზავნიდა მზვერავებს რუსეთში. როცა 1787 წელს მირზა-მაჰმად-ალი ირანის ელჩის უფლებით ჩავიდა რუსეთში და კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის საქმეების გამგებელთან გრიგორი პოტიომკინთან მეგობრული ურთიერთობის გაბმა მოინდომა, გრ. პოტიომკინმა კმაყოფილება გამოხატა ამგვარი ნაბიჯის გამო. როგორც ჩანს, „ელჩმა“ არ გაამართლა და გაძევებული იქნა ქვეყნიდან: „За его беспорядочные поступки“.

როგორც ირკვევა, საქართველოზე თავდასასხმელად ჯარის შეგროვება ალა-მაჰმად-ხანმა 1795 წლის აპრილ-მაისში დაიწყო. ჯარი თავს იყრიდა არდებილში ნურ-ალი-ხანის ხელმძღვანელობით. ზოგი ცნობით, სპარსელებმა 50 ათას კაცს მოუყარეს თავი, თეიმურაზ ბატონიშვილის ინფორმაციით, მათ 70 ათასი მოლაშქრე ჰყავდათ. სხვა ცნობით ჯარი 100 ათას კაცს მოითვლიდა. სპარსეთის ჯარის არდებილში კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია ერეკლე II-მაც მიიღო. ქართლ-კახეთის მეფეს მოციქული გაუგზავნია გუდოვიჩისათვის და წერილობით უცნობებია მისთვის ვითარება (1795 წლის მაისი). ეს უკანასკნელი ოპერატიულად ახსენებს ზემდგომ ინსტანციას: „С уведомлением об успехах Аги-Магомед-Хана... по известиям до него дошедшим, что Ага-Магомед-Хан хочет напасть на Грузию, и имея в том опасение ожидает Моей помощи“ [6:87]. 1795 წლის 6 ივნისს დარეჯან დედოფლის სა-

განგებო წერილით მიუმართავს რუსეთის იმპერატორის ეკატერინესათვის და უთხოვია: „...ცრემლით გვევდრები, უდიდებულესო ხელმწიფო... რათა მოგვეცეს შენენა უძლეველითა მხედრობითა“ [6:119].

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეორე აღშფოთებით წერდა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ ალა-მაჰმად-ხანი „ბილწ საქმიანობას“ ეწევა - ერევნისა და განჯის ოლქები წაართვა საქართველოს. „უკვე ორმოცდახუთი წელი გადის, რაც ერევნის ოლქი მთელი იქაური ხალხებით და მათი ხანებით, მათივე საკუთარი ხელწერილით ჩვენ გამგებლობაში იმყოფება და ყველას, ვინც სპარსეთში გახელმწიფებულა, დაუდასტურებია, რომ ერევნის ოლქი ყოველთვის ჩვენი იყო“ - აღშფოთებით წერდა ქართლ-კახეთის მეფე. ამასთან აღნიშნავდა, რომ 1783 წელს რუსეთის მფარველობაში საქართველო ერევნისა და განჯის ოლქებთან ერთად შევიდა. ერეკლე მეორე წუხს, რომ არდებილის შემდეგ შაჰმა შუშის ციხე გარემოიკცვა.

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეფემ (ერევნისკენ სალაშქროდ მიმავალმა) დეტალურად შეიტყო საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ სპარსელების სამზადისის შესახებ. მისმა ერთგულმა მოკავშირემ შუშის ხანმა იბრეიმმა შეატყობინა, რომ ალა-მაჰმად-ხანი სალაშქროდ საქართველოსკენ მიემგზავრებოდა. საქართველოს სამეფო კარი თავდაცვის თადარიგს შეუდგა. მეფე თანმხლებლებთან ერთად სოლანლულში დაბანაკდა.

ალა-მაჰმად-ხანმა, როგორც ჩანს, შუშის მიდამოებიდან საგანგებო ელჩი გამოგზავნა, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფეს აცნობა, რომ სპარსელები მოდიოდნენ სალაშქროდ საქართველოზე. თანაც განუცხადებია შაჰის მოთხოვნა, რომ ქართლ-კახეთს ეცნო შაჰის უზენაესობა და დაბრუნდეს მის მფლობელობაში. ეს ცნობა პ. ბუტკოვსა აქვს მოტანილი, თუმცა დოკუმენტი არ არის მითითებული. ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ალა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმთან, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ულტიმატუმი პათეტიკურად ტრადიციული ფორმულით იწყება: „გმადლობ ღმერთსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება“. შემდეგ ფირმანს ირანის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის ბეჭედი აზის. შაჰი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს მისი ბრძანებაა: „ბრძანებას ამას ჩუენსა გამოუცხადებთ მის სიმაღლეს საქართველოს მეფეს“.

შაჰი ერეკლე II-ს მისი წყალობის მომლოდინედ მიიჩნევს და მკაცრად შეახსენებს, რომ ჯერ კიდევ 70 წლის წინ ქართველებმა ყანდაარი „დაიჭირეს“ და „ირანის ნამუსი წაახდინეს“. ულტიმატუმი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ქართლ-კახეთი ირანის გავლენის ქვეშ იყო: „...ეს ასი თაობა არის(?-რ.მ.), რომ ერანისანი ყოფილხართ“. ალა-მაჰმად-ხანი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოს რუსეთის ორიენტაცია აურჩევია: „ახლა განკვირვებით ვბრძანებთ, ვითომ რუსეთს მოჰკიდებოხართ“. შაჰი რუსეთს დამცირებულად მოიხსენიებს („რომელთაცა ამის გარდა სხვა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ“). შემდეგ ულტიმატუმი მკაცრად შეაგონებს ქართველ მეფეს: „სამოცდათხუთმეტი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს შერები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულხარ“. შაჰი ხაზს

უსვამს, რომ ქართველთა და სპარსთა რჯული (რწმენა) სხვადასხვაა, თუმცა ქართველები ირანთან იყვნენ („ყოველთვის ირანთან შეერთება გქონიათ“); ხაზს უსვამს, რომ ირანში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი („თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავალი რჯულის სხვანიც არიან“) თანაცხოვრობს; ქართველი მეფის საქციელი სირცხვილად მიაჩნია და ამიტომ რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწუნებს და მოუწოდებს „ეს საქმე არა ჰქმნაო“. შაჰი ქართველ მეფეს შეახსენებს მისდამი კეთილ დამოკიდებულებაზე, აყვედრის კიდევ, რომ შენი მითითებით რამდენიმე ქართველი „გამაფუჭებინეო“ („ჩვენი ყმანი ჩვენივე ხელით ნამახდენინე“). ალა-მაჰმად-ხანი შეფარული ლიქნით მიმართავს ერეკლე II-ს: „თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ“ და კეთილი ინებეთ და ჩვენი მოთხოვნა შეასრულეთ – რუსეთს დაშორდითო. თანაც ხაზს უსვამს, რომ ეს ბრძანება იყო („ჩვენი დიდებული ნება ეს არის“), „ამგვარი საქმეები განიშორეთ“ და „რუსების შეერთებულება დაჰსხნათ“ - ესაა „ულტიმატუმის“ დედააზრი. ალა-მაჰმად-ხანი, ცხადია, არ იყო დარწმუნებული, რომ ეს საკითხი მისი სურვილისამებრ გადაწყდებოდა, ამიტომაც, რომ „ულტიმატუმის“ დასკვნით ნაწილში მუქარაა – თუ შაჰის მოთხოვნა არ შესრულდება, ქართველ ხალხს განადგურებით ემუქრება: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მივალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ“.

ალა-მაჰმად-ხანი მიმართავს ქართველ მეფეს, რომ ყოველივეს წინასწარ გატყობინებთ საგანგებო ფირმანით. ამასთან, საბოლოოდ აფრთხილებს გაითვალისწინე შენი მდგომარეობა („შენი მდგომარეობა იცნა“) და „ჩვენ ბრძანებას არ გადახვიდეთ“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ულტიმატუმის წარმოდგენილ ტექსტში დასახელებული ელჩია, სრულიად გასაგებია, რომ ერეკლე II-მ მოციქულის იზოლირება გადაწყვიტა. ალ. ორბელიანი იუნყება, რომ „ერეკლე მეფემ ალა-მაჰმად-ხანის ელჩი მაშინვე დააჭერინა და თბილისში გამოისტუმრა“ [4:22] (თბილისის თავი ამ დროს დარჩია ბებუთაშვილი იყო). ვფიქრობთ, ქართული მხარე გაითვალისწინებდა საგანგებო ელჩის სტატუსს და მას ღირსებით მოექცეოდნენ. რაც შეეხება მის იზოლირებას, ეს გარკვეული დროით საჭირო იყო, რომ ამას რაიმე ამბავი არ გაეტანა საქართველოს მხედრობის თაობაზე (ქართული მხარე სწორად ვარაუდობდა, რომ ელჩი კარგად შეითავსებდა მზვერავის ფუნქციას).

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას ხაზგასმით - კრწანისის ბრძოლაში ქართველები თავგამოდებით, ვაჟკაცურად იბრძოდნენ. მებრძოლთა წინა რიგებში იყო თვით ერეკლე მეორე და გამირობის მაგალითს აჩვენებდა. ნიშანდობლივია ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანის განცხადება: „მე ვიდრე ორმოცდაათამდის გამიმარჯვია, მაგრამ ყველაზე დიდი ეს არისო“ [7:104].

1795 წლის 10 და 11 სექტემბერს კრწანისში ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. ამის შესახებ ბევრია დაწერილი და ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევიჩერდებით. მიზეზი, ცხადია, მრავალი იყო, რამაც ქართველი ლაშქრის სიმ-

ცირე განაპირობა. არსებითი მაინც სხვა იყო. მოვეუსმინოთ ერეკლე მეორეს. იგი საყვედურობდა გენერალ გუდოვიჩს და ამით რუსეთის ხელისუფლების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა: „ჩვენ რომ ყოვლად მონყალე დედოფლის (ეკატერინე II – რ.მ.) მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მონვეული ჯარებით მას (ალა-მაჰმად-ხანს) წინ აღვედგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“ [6:105].

მართლაც ფაქტია, რომ გენერალმა გუდოვიჩმა (მისი სახით რუსეთის ხელისუფლებამ) ვერ გაითვალისწინა სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა და ეგონა რუსეთის იმპერიის პრესტიჟის დაცვას ადგილობრივი ძალებით შესძლებდა (ამაში გუდოვიჩმა რუსეთის დედოფლის კარიც დაარწმუნა). როცა ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებმა რუსეთის იმპერიის დიდ მარცხად სცნეს, ეკატერინე II-ის მთავრობა სხვადასხვა გზით თავის მართლებას შეუდგა. ფაქტი ერთი იყო – კრწანისის ბრძოლაში რუსეთმაც დიდი მარცხი განიცადა.

ამრიგად, 1795 წლის კრწანისის ბრძოლა, რომელიც ალა-მაჰმად-ხანის მიერ იყო საგანგებოდ მომზადებული, კრიზისული აღმოჩნდა საქართველოსთვის. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება იყო მისაქცევი ზემომოტანილი შაჰის ულტიმატუმისათვის (მუქარა ფაქტობრივად არ დაიჯერეს), როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების ლალატის წინასწარ განჭვრეტაც შეიძლებოდა (ეს წინა პერიოდში რუსეთის მოქმედებებიდანაც ჩანდა). ასე, რომ კრწანისის ბრძოლაში ქართველთა მარცხის ბევრ მიზეზზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ძირითადია – ქართლ-კახეთის ლაშქრის სიმცირე და დაბალი ორგანიზაცია და რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფლების აშკარა ლალატი (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის უგულებელყოფა).

წყაროები და ლიტერატურა:

1. Е.С.Такашвили, Ультиматум персидского Шаха Ага-магомед-хана грузинскому царю Ираклию II, Сборник материалов племен Кавказа, выпуск двадцать девятый, Тифлис, 1901.
2. П.Г.Бутков, Материалы для новой истории Кавказа, II.
3. А.Аракатский, Жизнь Артемья Аракатского, СПб, 1813г, часть II.
4. ალ. ვახ-ძე ორბელიანი, ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. თბილისში, ჟურნ. „მოამბე“, 1895.
5. ი. ცინცაძე, ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბილისი, 1956.
6. А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы, 1891, М II, вып II.
7. ჟურნალი „ივერია“, 1885 წ; N9.

ROIN METREVELI

AGHA –MOHAMMAD- KHAN’S ULTIMATUM TO KING EREKLE II

Summary

The article at hand refers to one of the documents - a dispatch - written by the Shah of Iran to King Erekle II. The letter is not dated and was presumably written before the battle under Krtsanisi in the September of 1795. The Shah of Iran urged the King of Kartli and Kakheti to break up relations with Russia at the same time menacing the king to be ravaging Georgia in case the demand was not given heed to. Those who were in power in Russia failed to have envisaged the situation in the South of the Caucasus, considering that to protect Russia's prestige would be possible to ensure by local forces anyway and having left the king with no assistance rendered. Eventually, Agha Mohammad Khan assaulted Georgia to defeat her severely under Krtsanisi, 1795. The amount of warriors from Kartli and Kakheti being scares along with the ineffective management of the army determined the Georgians' defeat having added up to the negligence of the ultimatum and the treachery on the side of Russia.

P.V. МЕТРЕВЕЛИ

УЛЬТИМАТУМ АГА-МАХМАД-ХАНА ЭРЕКЛЕ II

Резюме

Настоящая статья касается одного документа хранящегося в Грузинском Национальном Центре рукописей - фирмана иранского шаха Эрекле II. Письмо не датировано, но оно должно быть написано до сентября 1795 года - до Крцанисской битвы. Иранский шах обращается к царю Картл-Кахети с ультиматумом - отделиться от России. При этом подчеркивает, что в том случае если его требование не будет выполнено, грузинскому народу угрожает уничтожение. Грузинское царство надеялось на помощь со стороны России. Но власти России не предусмотрели существующее в то время положение на южном Кавказе (надеялись на возможность защиты престижа Российской империи местными силами) и не оказали помощь Эрекле II. Ага-Махмад-Хан попал на Грузию и в Крцанисской битве Грузия потерпела поражение. Это поражение было вызвано с одной стороны, малочисленностью Картл-Кахетского войска и низким уровнем организованности, с другой - непредвиденностью ультиматума и предательством властей России.

ააატა გარბაია

რაციონალიზმი – განმანათლებლობის ფილოსოფია

რაციონალიზმი ერთობ საინტერესო, გნებავთ, მრავალმხრივი მოვლენაა, რომელიც ხასიათდება გამოცდილების, ტრადიციის, ისტორიის აბსოლუტური უარყოფით. მან შეძლო შეეღწია ადამიანური ყოფის, მისი შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ის განხილული იყოს, როგორც მსოფლმხედველობა, კულტურულ-ისტორიული მოვლენა, პოლიტიკური სისტემა.

რაციონალიზმი ღრმა სკეპტიკოსია. მისთვის რელიგიური სისტემები, მითები, კოლექტიური და სახალხო შემოქმედების მრავალგვარი ფორმები არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ყველაფერი ეს რაციონალიზმისთვის მხოლოდ მონური შიშის გამოხატულებაა, ინსტიქტთა თარეშია.

მაგრამ ასეთი სკეპტიციზმის, ანუ ცხოვრებითა და გამოცდილებით ყოველივე შექმნილის დაუნდობელი უარყოფის პარალელურად, რაციონალიზმში ცოცხლობს გონისადმი უსაზღვრო რწმენა.

რაციონალიზმი სწორედაც განყენებული, აბსტრაქტული გონის კულტია, რწმენა მისი უზენაესობისა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა გადაჭრის საქმეში. მისი ძირითადი პრინციპი ყოფიერებისა და აზროვნების სრული შესაბამისობის, მათი შინაგანი მსგავსების მტკიცებაა. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა გონის მოთხოვნის გამართლება, რათა საგანთა ქეშმარიტების შეცნობა მომხდარიყო მხოლოდ გონებაჭყრეტითი გზით და არა არსებული რეალობის გათვალისწინებით. სწორედ ამ მოთხოვნაშია რაციონალიზმის ნამდვილი არსი. მაგრამ, ვარაუდი ყოფიერებისა და აზროვნების სრული შესატყვისობისა, თავის თანმიმდევრულ განვითარებაში გარდაუვალად დაიყვანება მთელი მათი არსით ლოგიკური ალქმის აღიარებამდე. ამით რაციონალიზმი გადადის „პანგოლიზმში“, ანუ ისეთ აბსოლუტურ კატეგორიაში, რომელიც წინ უსწრებს ყველანაირ შემეცნებით პროცესს.

სკეპტიკოსი, ანტიისტორიული რაციონალიზმი „ბუნების კანონების“ თანახმად, რომლის ავტორიც ადამიანური გონია, „ხელოვნურს“ უპირისპირებს „მარადიულს“, „ბუნებრივს“. იგი საუბრობს აბსტრაქტულ რელიგიაზე, აბსტრაქტულ სამართალზე, ბოლოს და ბოლოს, ქმნის „აბსტრაქტულ“ ადამიანს, ადამიანს ფიქციას, რომელიც მოკლებულია ისტორიულ და ნაციონალურ შეფერილობას.

ამ თავისებურ ინდივიდუალიზმში, რომლის შემოქმედი რაციონალისტური სისტემაა, არ რჩება ცოცხალი, კონკრეტული, ორიგინალური პიროვნების ადგილი.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არ ყოფილა არც ერთი ისტორიული ეპოქა, რომელსაც რაციონალიზმი მეტ-ნაკლებად არ შეეხო, ანუ მისთვის ნაცნობი იყო ყველაზე ადრეული საკაცობრიო კულტურები, მათ შორის, ბერძნულ-რომაული. პლატონის „ბრძენთა სახელმწიფო“ ადამიანური გონის ნამდვილი ჰიმნია, რომელმაც კულტურამ კი რაციონალისტური აზროვნების ისეთი ძეგლი დატოვა, როგორცაა სამოქალაქო უფლებათა სისტემა, რომლის აბსტრაქტულ-უნივერსალური ფორმულები რომელიც ხალხისთვის სამართლებრივი ცხოვრების საფუძვლად იქცა.

ადრეული შუასაუკუნეები, რომელიც ხასიათდება სათემო მინათმფლობელობით და ფეოდალური ექსპლოატაციით, ასევე მსხვილი სამრეწველო ცენტრების არარსებობით, რაციონალური მისწრაფებებისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლის დროშა შუასაუკუნეობრივი ქალაქის ხელში აღმოჩნდა. პირველი რაციონალისტი კი სწორედაც შუასაუკუნეობრივი ქალაქის ვაჭარი იყო, ავენტურისტი, ბანდიტი, მაგრამ ევროპული ცივილიზაციის პიონერი. უშიშარი, ენერგიული, თავისუფლებისმოყვარე, პირველი მოგზაური, უცხო ქვეყანათა პირველი მკვლევარი - ასე ხასიათდება მისი ნატურა. მოგების სანახავად ის შემოივლის შორეულ მხარეებს და თავის მტაცებლურ გმირობათა არენად აქცევს ლამის მთელ დედამიწას, სწავლობს სხვადასხვა ხალხის ენას და ნეს-ჩვეულებას, ცდილობს საფუძველი ჩაუყაროს კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვას.

კაპიტალი, რომელიც თან „დაჰყვება“ ვაჭარ-ავანტიურისტებს, ახდენს შუასაუკუნეობრივი სისტემის დეზორგანიზებას, ათავისუფლებს შუასაუკუნეობრივ ადამიანს კორპორატიული კავშირებისგან, ხელს უწყობს ბატონყმურ ურთიერთობათა მოშლას. ეს ღრმა რევოლუციური პროცესები, რომლებიც გზას უხსნიდა პიროვნების თავისუფალ ინიციატივას, თავისთავად ზრდიდა მის მნიშვნელობას, ხოლო ამ ნიადაგზე შექმნილი იდეოლოგიური კონსტრუქციები – რელიგიური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, სულ უფრო რაციონალისტურ ხასიათს იძენდნენ.

რაციონალიზმის ნიშნით მიმდინარეობდა ეპოქის დიდი გამათავისუფლებელი მოძრაობებიც - რეფორმაცია და რენესანსი.

რენესანსის პირმშო – ჰუმანიზმი, ადამიანური სანყისის ნამდვილი ტრიუმფია. ის წყვეტს წარსულის ყველა საზოგადოებრივ ჯაჭვს, ამსხვრევს ძველ კავშირებს. შუასაუკუნეობრივი კომუნის ნანგრევებიდან აღიმართება ადამიანი. ინდივიდუალისტურ ექსტაზში შესული რენესანსი ძეგლს უდგამს ადამიანს. ადამიანის სილამაზე, მისი უფლებები და უსაზღვრო შესაძლებლობები – აი, რენესანსის თემები. ანტიკური სამყაროს მსგავსად, რენესანსიც ცნობს მხოლოდ ერთ არისტოკრატას - გონის, ტალანტის არისტოკრატას, „ღმერთები ქრებიან, რჩება ადამიანი!“ – ასეთია რენესანსის ფერმწერის ჟან კლოდ მონეს ინტელექტუალური ვერდიქტი.

იტალიური ქალაქი გახდა ძლიერი რაციონალისტური ქარიშხლის მომასწავებელი. სტიქიური სისწრაფით შევარდა ის ყველა ევროპულ ცენტრში და გზად დაუნდობლად ანადგურებდა ფეოდალურ პრინციპებს. რენესანსიდან წამოსული გრიგალი კიდევ უფრო ძლიერდება ევროპული ტექნიკის მიღწევებით. საეჭრო კაპიტალიზმის ტრიუმფი, პროლეტარიატის ჩამოყალიბება, მანუფაქტურების ზრდა, თავისუფალი კონკურენციის წინათგრძნობა, რომელშიც კაპიტალიზმის პირველი ნიშნები იკვეთებოდა, იმ სახის მოვლენებია, რომელიც მოაზროვნე, აქტიურ ადამიანში კიდევ უფრო ზრდიდა მისი შესაძლებლობების უსაზღვროობის რწმენას, აძლიერებდა ადამიანური გონის ყოვლისშემძლეობის განცდას.

რენე დეკარტის მეთოდოლოგიური სკეპტიციზმით დაიწყო ახალი დროის ანთროპოლოგიური მოდელის აგება. ამოსავლად, ანუ სინამდვილის პირველ მიზეზად აღიარებულ იქნა გონება. არსებობა უკვე გონიდან იწყება. დეკარტი ამბობს: „საკმარისი არ არის გქონდეს კარგი გონება, მთავარია იგი კარგად გამოიყენო“ [1 :260].

ფილოსოფიური აზრის სფეროში რენე დეკარტის (1596-1650) მოძღვრების კვალდაკვალ იქმნება რაციონალიზმის კიდევ ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – ბარუხ სპინოზას (1632-1677) სისტემა, რომლის მიხედვითაც გონითი შემეცნება არის უმაღლესი შეცნობადობა, რომლის შესაძლებლობებშია ჩანვდეს ზეგრძნობადს, ჩანვდეს იმას, რაც მიუწვდომელია გამოცდილებისთვის.

სპინოზა „ეთიკაში“, რომელიც ეძღვნება ადამიანის თავისუფლებას, ამბობს რომ „ჩვენს საერთო წარმოდგენებს საგნები შეესაბამება, ამიტომ მათ შორის კავშირის მიზეზის აღმოჩენა უნდა ხდებოდეს შემეცნების მეშვეობით“ [2:128].

სპინოზასთან გონი არის უმაღლესი მბრძანებელი, როგორც წმინდა შემეცნების სფეროში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში.

გონის ასეთივე უზენაესობა შეიმჩნევა სამართლებლივ და პოლიტიკურ სფეროშიც, რომლის ერთ-ერთი ნიმუშია სახელმწიფოს ხელშეკრულებითი თეორია.

თომას ჰობსმა და ჯონ ლოკმა, ჰუგო გროციუსმა და პუფენდორმა, რუსომ და მონტესკიემ და მათთან ერთად, პოლიტიკურ მოაზროვნეთა მთელმა პლეადამ, შექმნა იდეალური „რაციონალისტური სახელმწიფო“, რომლის საფუძველში ჩაიდო ხელშეკრულება.

სოციალური ხელშეკრულების იდეის თანამიმდევრულ გატარებას მიყვარათ სუვერენული ინდივიდის იდეამდე, რომელიც ყოველგვარი ორგანიზაციისა და ხელისუფლების წყაროა. აქედან მომდინარეობდა დებულება, რომ, თუ ყოველივე არსებულის შემქმნელი სუვერენული არაისტორიული პიროვნება იყო, მაშინ იგი გახდებოდა უმაღლესი მსაჯულიც ყველა იმ საკითხში, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეეხებოდა. ვინაიდან მოცემული ხელისუფლება მხოლოდ თავისუფალი ხელშეკრულების შედეგია. ხელშეკრულების მოშლა ასევე ხელისუფლების მოშლაა, რადგან ხელშეკრულების

თეორიის თანახმად, არც ერთ თავისუფალ ადამიანს არ შეეძლო ნებაყოფლობით უარი ეთქვა თავისუფალი თვითგამორკვევის უფებაზე.

ამ იდეებით გამოდიოდა მე-18 საუკუნეში ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში მთელი რევოლუციური პუბლიცისტიკა. აგრძელებდა რა რენესანსის ჰუმანისტურ ხაზს, ის ამტკიცებდა, რომ არ არის და არც შეიძლება არსებობდეს არანაირი დაბრკოლება განათლებული გონისთვის. ცენზურის მარწმუნებისგან თავისუფალი ქმნის იდეალურ პირობებს ადამიანთა თანაცხოვრებისთვის.

რაციონალურ ფუნდამენტზე შეიქმნა ასევე ადამიანური აზროვნების ისეთი დიდი ძეგლი, როგორცაა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, მე-18 საუკუნის რევოლუციის პოლიტიკური პრინციპი და მისი სოციალ-პოლიტიკური პროგრამა.

ფრანგული დეკლარაცია იყო უაღრესად რთული და მრავალი წინააღმდეგობრივი ისტორიული გავლენის შედეგი, რის გამოც ადანაშაულებდნენ მას 89 წლის პრინციპებისადმი კრიტიკულად განწყობილი მკვლევარები. თუმცა, თავისუფლების პრინციპები, რომლებიც ბევრად უფრო ადრე, რეფორმაციის ეპოქაში შეიქმნა, დეკლარაციის შემქმნელების ტემპერამენტისა და რევოლუციურობის წყალობით, ზოგადსაკაცობრიო იდეში გადაიზარდა. და არა მხოლოდ დეკლარაცია და სხვა რევოლუციური პოლიტიკური აქტები იყო სამართლებლივ შეხედულებათა პროდუქტი, არამედ თვითონ რევოლუცია ყველა მისი შედეგით გახდა რაციონალურ ოცნებათა რეალიზაციის გრანდიოზული მცდელობა.

რაციონალისტური ჰიპნოზის ქვეშ ცხოვრობდა ეკონომიკური აზრიც. ფიზიკოსების და „XVIII საუკუნის ეკონომისტების“ სახელთანაა დაკავშირებული არა მხოლოდ გარკვეული ეკონომიკური დოქტრინა, არამედ ახალი მსოფლმხედველობაც, რომელიც მზად იყო შეეცვალა ძველი წესრიგის იდეები.

მერკანტილისტთა მოძღვრებას, რომელიც გამოირჩეოდა კანონმდებლობისადმი განსაკუთრებული რწმენით, ერთგულებით, ფიზიკოსები უპირისპირებდნენ ბუნების მარადიულ კანონებს. კენეს – აღნიშნული დოქტრინის ფუძემდებლის სოციოლოგიური სისტემა, დაფუძნებულია ბუნებითი სამართლის იდეებზე. საზოგადოებრივ მოვლენათა ერთგვარ ქაოსში ის ხედავს მკაცრ კანონზომიერებას - „ბუნებით წესრიგს“. ამ წესრიგის კანონები ღმერთის მიერ არის შექმნილი. ისინი აბსოლუტური, მარადიული და შეუცვლელია. სწორედ ამ კანონების შეცნობის საფუძველზეა შესაძლებელი მინიერი თანაარსებობისთვის კეთილმონყობილი საცხოვრისის შექმნა. ასეთ წესრიგს, რომელიც კაცობრიობის მიერ მარადიულ პრინციპებთან ერთობლიობაშია შექმნილი, კენე და მისი სკოლა „დადებით წესრიგს“ უწოდებენ.

მაგრამ, თუ კენესა და მის თანამოაზრეთა გავლენა საზოგადოებრივი პრაქტიკის გზაზე განსაკუთრებული ვერ აღმოჩნდა, პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურმა სკოლამ - მალთუსის, სმიტის, რიკარდოს და მათი ეპიგონების სახით, ინგლისსა და კონტინენტზე შეძლო ბუნებით სამართლისგან გაეკეთებინა პრაქტიკული დასკვნები.

ეკონომიკური მეცნიერების გვერდებზე ჩნდება განყენებული „ეკონომიკური ადამიანი“, რომელიც მხოლოდ თავისი „საშუალო“ სამეურნეო ეგოიზმით ხელმძღვანელობს. მისი ცხოვრების სხვა სტიმულები უბრალოდ იგნორირებული იყო. ხოლო მისი სრული თავისუფლება გამოცხადდა საყოველთაო ჰარმონიის პირობად. მუშა და კაპიტალისტი, პროდუქტი და კაპიტალი, ფული და ხელფასი და ყველა სხვა ეკონომიურმა კატეგორიებმა, მათ კონსტრუქციებში შეიძინა აბსოლუტური თვითკმარი მნიშვნელობა. თავიანთი თეორიების ლოგიკურ გამართულობას გამოკიდებულმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა და მათთან ერთად მეთოდოლოგიურმა მემკვიდრეებმა, ძალადობრივად დაამახინჯეს ცხოვრება და დაასახლეს ის ზეორგანული არსებებით – აბსტრაქტული „ეგონისტებით“, აბსტრაქტული კაპიტალისტებით, აბსტრაქტული მუშებით. მათ ფანტასტიკურ სისტემებში ყველაფერი საათის მექანიზმის სიზუსტით მუშაობდა. უმაგალითო ოპტიმიზმმა მოიცვა მათი მსჯელობა. მხეცური ინსტიტუტების თარეშში მათ ეგონათ, რომ იპოვეს ადამიანური ჰარმონიის გასაღები.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ რაციონალიზმმა გამოავლინა საოცარი სიცოცხლისუნარიანობა, ანუ არ იყო არა ერთი ისტორიული ეპოქა, რომელმაც ის მეტ-ნაკლებად არ იცოდა.

თუმცა უთუოდ აღსანიშნავია ის გარემობაც, რომ მან, როგორც მსოფლმხედველობამ, საკუთარი პრინციპების სრულ მატერიალიზებას სწორედ მე-18 საუკუნეში მიაღწია. არასოდეს მანამდე მას არ ჰყოლია ასეთი მრავალმხრივი ნარმომადგენლობა. ეს საუკუნე სწორედაც რაციონალიზმის საუკუნეა, როცა ფილოსოფიური, ისტორიულ-პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური აზრი, ყველაფერი ყოვლისშემძლე გონის ჰიპნოზის ქვეშაა. ისაა სამყაროს უპირობო დემიურგი. ერთი სიტყვით კაცობრიობის, ისტორიის მართვა რაციონალიზმმა გონს ჩააბარა. იგი იქნა აღიარებული ერთადერთ ორგანოდ, რომლითაც ხდებოდა ადამიანის მიერ ჭეშმარიტების შეცნობა. ამით ისტორიული გამოცდილება ეჭვის ქვეშ დადგა, ხოლო მასების შემოქმედება დაცინვის ობიექტი გახდა. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოენეია გონისადმი კერპთაყვანისმცემლობის მიმართ პროტესტი.

უკვე მე-18 საუკუნეში, „ემპირისტებმა“ დევიდ იუმის (1711-1776) მეთაურობით რაციონალიზმს წაუყენეს რიგი სერიოზული ბრალდებები. მათ უნდობლობა გამოუცხადეს „გონს“ და მის ადგილზე დასვეს „გამოცდილება“.

თუ რაციონალისტები მათემატიკურ მეცნიერებებს მიიჩნევდნენ აბსოლუტურ უტყუარობად, იუმმა უარყო მათი შესაბამისობა სინამდვილესთან, რადგან მათემატიკური მეცნიერებები, მისი აზრით, სრულად ვერ ასახავდნენ სინამდვილეს, ანუ არ მიეკუთვნებოდნენ მეცნიერებებს რეალური ყოფის შესახებ.

იუმი გონში ვერ ხედავდა შეცნობის ერთიან წყაროს. ჭეშმარიტ შემეცნებად მან აღიარა ის, რაც მხოლოდ გრძნობის ორგანოების მეშვეობით მიიღწეოდა. იგი ამბობს: „თვით ყველაზე ცოცხალი აზრიც კი ჩამოუვარდება ყველაზე სუსტ შეგრძნებებს... გონის მთელი შემოქმედებითი ძალა დაიყვანე-

ბა მხოლოდ მის შესაძლებლობამდე შეაერთოს, გადაადგილოს, გაადიდოს ან შეამციროს საგნები, რომლებიც ჩვენ მოგვეცემა გრძნობებისა და გამოცდილების საშუალებით" [3:242].

რაციონალიზმის პოლიტიკურმა ტრიუმფმა იუმსში სკეპტიციზმი გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, პოლიტიკის სფეროში ღრმა კონსერვატიული შეფერილობა მიიღო.

კონსერვატიზმი XVIII საუკუნეში წარმოიქმნა ინგლისში ლიბერალური იდეოლოგიის პასუხად და ის თავდაპირველად ანტიბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა.

ზოგადად, კლასიკური კონსერვატიზმისთვის დამახასიათებელი იყო ფრანგული რევოლუციის კრიტიკა, მათ შორის, იმიტომაც, რომ რევოლუციის იდეოლოგიები ეტრფოდნენ აბსტრაქტულ პრინციპებს და იდეალებს, რომლებიც შორს იყვნენ რეალობისგან მათ, ისევე როგორც ლიბერალებს, კონსერვატორები უპირისპირებდნენ ტრადიციას, გამოცდილებას, ისტორიას.

ჯერ კიდევ 1790 წელს, სამეფო ოჯახის სიკვდილით დასჯამდე და იაკობინური ტერორის გაჩაღებამდე, ბერკმა დაწერა „ფიქრი საფრანგეთის რევოლუციამდე“, სადაც ჩამოაყალიბა კონსერვატიზმის ძირითადი პრინციპები.

ბერკი უფრთხობდა საყოველთაო რადიკალური განახლების სულისკვეთებას, წინააღმდეგი იყო საკუთრების კონფისკაციის, რელიგიის, თავადაზნაურობის, ოჯახის, ტრადიციის მოსპობის და ყველაფერი ეს მან ფრანგულ რევოლუციაში იპოვა – ბერკი გააოცა პარიზელების მძვინვარებამ, სიმშაგემ, რომელიც მისი აზრით თუ ხასიათის გამოვლენა იყო და არა უბრალოდ შემთხვევითობა, მაშინ უდავოდ იმსახურებდა ღმერთის ძლიერ ხელს და არა თავისუფლებას.

ბერკის თქმით: „ისინი, ვინც თავს ესხმიან რანგებს, ვერასოდეს ვერ მიაღწევენ თანასწორობას ყველა საზოგადოებაში, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებისგან შედგება, ერთი უნდა დომინირებდეს. ამიტომ გამთანაბრებლები ამახინჯებენ საგანთა ბუნებრივ ნესრიგს“ [4:97].

კონსერვატიზმის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ბერკთან ვპოულობთ, შემდეგია: ადამიანური გონის შეზღუდვა სამყაროს ფარგლებში, რომელიც ღმერთის ნებითაა შექმნილი და გულისხმობს უმაღლესი მორალური კანონის არსებობას, რომელსაც ადამიანი უნდა დაემორჩილოს; აქედან მომდინარეობს აუცილებლობა, რომლის თანახმადაც, ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფო ძალაუფლებას; ძალაუფლება, როგორც ბუნების სამართლიანობა; ადამიანთა ბუნებითი თანასწორობა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების არსებობა; ადამიანის ჩართვა კოლექტიურ სტრუქტურებში; მისი წინაპართა ტრადიციისადმი პატივისცემა და მორჩილება.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვთვალოთ კონსერვატიზმის ძირითადი ფასეულობები: ისტორია, ტრადიცია, ოჯახი, ნაცია, სახელმწიფო და საზოგადოება, ძალაუფლება, იერარქია, რელიგია.

მთლიანობაში, კონსერვატიზმის უმთავრესი მიზანია, შენარჩუნდეს საზოგადოების სტაბილურობა და სახელმწიფოს უშიშროება.

ასეთი იყო კონსერვატიზმის რეაქცია ლიბერალიზმის და, ზოგადად, რაციონალიზმის და მისი აბსტრაქტული კონცეფციების მიმართ.

თუ მე-19 საუკუნემდე რაციონალიზმი რჩებოდა ფილოსოფიურ-პოლიტიკური აზრის გაბატონებულ პრინციპად, მე-19 საუკუნიდან უკვე ჩნდება ეჭვი გონის ყოვლისშემძლეობის შესახებ და სამყარო უზარმაზარი გამოცდილების წყალობით, კვლავ უბრუნდება „რეალურ სინამდვილეს“, სამყაროს ძველ წესრიგს.

მე-19 საუკუნის ბოლოდან კი ჩნდება ახალი ინტუიციური ფილოსოფიის სისტემა, პრაგმატიკოსთა თეორია, რომელიც მკვეთრად გამოხატული ანტირაციონალიზმით, ანტიინტელექტუალიზმით ხასიათდებოდა. იგი განსაკუთრებული კატეგორიულობით უპირისპირდებოდა გონის აბსტრაქტულ პრეტენზიებს და აღიარებდა „ინსტიქტის“ პრიმატს გონზე.

დაახლოებით ასეთი იყო რაციონალიზმის ისტორია თავისი საინტერესო წარსულით. გონის კულტს ჰქონდა გამორჩეული ეპოქები. აქცია რა სამყარო ერთ დიდ ლაბორატორიად, მან დასაბამი მისცა მეცნიერულ მეთოდებს, საფუძველი დაუდო დიდ აღმოჩენებს, შექმნა თანამედროვე ცივილიზაცია. მიჩნეულია, რომ იგი თავისი დროისთვის იყო პროგრესის ერთადერთი და შესაძლო სასიცოცხლო თეორია. შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სამყაროს ცენტრში მოქცეულმა გონმა მისი სულიერი მამის – რენე დეკარტის მეთოდოლოგიური სკეპტიციზმით, ხოლო მოგვიანებით, განმანათლებელთა იდეებით – ჰუმანიზმი, პროგრესი, შეიარაღებულმა, სცადა საბოლოოდ მოელო ბოლო სამყაროს ძველი წესრიგისთვის (ისტორია, ტრადიცია, გამოცდილება), რომელიც ანტიგონით რელიქტად გამოცხადდა და პროგრესისთვის მსხვერპლად შეწირვის ობიექტად გამოხადდა.

პროგრესი, სწორედ პროგრესი, როგორც კაცობრიობის განვითარების აუცილებლობა, უნდა ქცეულიყო ცხოვრების კანონად, ასეთი იყო ეპოქის დიდ ინტელექტუალთა – განმანათლებელთა ინტელექტუალური ვერდიქტი. აგზნებული გონის ინტელექტუალურ-ეროტიკულ მისტიციზმმა თავისი გაიტანა და დაანგრია იმპერია, ძველი ადამიანური იმპერია, მოშალა მინიერი ცხოვრების ჰარმონია და შეუდგა ჩვენს გარემომცველ უზარმაზარ ცხოვრებაზე კონტროლს.

და შედგა ჯანყი, მატერიალისტური ჯანყი, მიმართული იმის წინააღმდეგ, რაც ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე ცხოვრებითა და გამოცდილებით შეიქმნა. მას ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლა უწოდეს და დასავლურ სამყაროს ახალი წესრიგისკენ – თავისუფლება, ცივილიზაცია მოუწოდეს. ევროპა „ნამოეგო“ „ახალი დროის“ ინტელექტუალურ ინტრიგას და სამყაროს ლოგიზაციის ვნებით შეპყრობილმა, მოგვიანებით, ფრანგული რევოლუციის სახით სამყაროზე ძალდატანების სერიოზული აქტი განახორციელა.

ეს მინიერი გეგმა, რომელმაც რაციონალიზმის ტოტალური იდეის რიტმში ჩაიარა, პოზიტიური ევროპული გონის პრიმატით ხასიათდებოდა, რომელიც მკაცრად ინტელექტუალური გახდა თავისი ლოგიკური იდეებითა და

აბსტრაქტული კონცეფციებით. ამ უტილიტალურ გარემოცვაში კი, ადამიანური ფიქრებისა და სწრაფვების, გრძნობებისა და მოღვაწეობის მთელი სიმდიდრე, ანუ კაცობრიობის წმინდა ტრადიცია და რელიგიური ჭეშმარიტება, გარდაუვალ ნეგაციად იქცა.

ღიად რჩება შეკითხვა იმის თაობაზე, ნავიდა თუ არა ევროპა სწორი გზით, თუ ეს იყო შეცდომა, გნებავთ, კარტიზიანული შეცდომა?

თუ ვიქნები პირუთენელი შემფასებელი, ვიტყვი, რომ მომხდარის გამო ევროპა იქცა მატერიალისტურ ცივილიზაციად; დაკარგა რა პარმონია ადამიანის შინაგან და გარე სამყაროს შორის. მან ახალი ღმერთები შეიძინა მატერიალისტური კომფორტის და მატერიალისტური პროგრესის სახით, ხოლო მისი ცხოვრება უპირატესად რაციონალისტურ იდეას და მატერიალისტურ საზრუნავს დაექვემდებარა.

არ შეეცდები თუ ვიტყვი იმასაც, რომ ევროპა ესაა გონის მიერ შექმნილი ინტელექტუალური საცხოვრისი, სადაც საბოლოოდ შედგა ინსტიქტური და სტატიკური საზოგადოების ტრიუმფი მოაზროვნე და პროგრესულ საზოგადოებაზე. გვაქვს უფლება ვიკითხოთ, ნარმოადგენს კი ჩვენი ყოფის მთელ ჭეშმარიტებას, ასევე ცივილიზაციის დამთავრებულ იდეალს პრაქტიკული გონი?

ჭეშმარიტებაა, რომ კაცობრიობის სიღიადე მის წარსულშია, თუმცა მომავლის სრულფასოვანი განვითარებისთვის მისი ფეტიშად ქცევა არ შეიძლება, ის უნდა პასუხობდეს ცხოვრების რეალიებს. სწორედ ამაშია და სხვა არაფერში საიდუმლო ჩვენი აუცილებელი პარმონიისა წარსულის კულტურის არსსა და მომავლის მოთხოვნას შორის.

ანუ კაცობრიობის სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელია ორივე ტენდენცია – მენტალური და ვიტალური, ფიზიკური "დანოლა" და სულიერი და ინტუიციური იმპულსი.

თუმცა, თანამედროვე სამყარო ჯერ კიდევ უპირატესად ევროპულია, ანუ რაციონალისტურია. ესაა სამყარო, სადაც დომინანტობს ევროპული იდეები და დასავლური ცივილიზაცია, ხოლო მის კულტურაში გონი და ინსტიქტი ჭარბობს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. P.Декарт.Метафизические размышление,М.,1950.
2. B.Spinoza,F,ethics,London,1996.
3. Д.Юм.Исследование о человеческом познании,М.,1965.
4. E.Burke,Betrachtungen Ueberdie franzusische revolution,Frankfurt,1949.

PAATA GERGAIA

RATIONALISM - THE PHILOSOPHY OF ENLIGHTENMENT**Resume**

In the XVII century rationalism was emerged as the contradictive philosophical course of theological religion worldview. It relies on real success of mathematical and natural sciences. The lineage of rationalism mainly was conditioned by crisis of scholastic logic that couldn't explain, how it was possible from the unit and private experience. in the term of importance, strictly. commonly, but in the moral signs - imminent, reception of truth.

Based on such a situation, it was necessary to find a more inexperienced source of cognition, from which it could be possible to obtain such truths that had logical characteristics of universality and necessity. The source of such truths is reason (mind).

It can be said that rationalism is exactly the cult of notional, abstract mind, belief in his sovereignty in resolution of theoretical and practical issues.

П.А. ГЕРГАИЯ

РАЦИОНАЛИЗМ – ФИЛОСОФИЯ ПРОСВЕТИТЕЛЬСТВА**Резюме**

Рационализм XVII в. возник как противопоставление теологическому религиозному мировоззрению с его приматом веры; Он опирался на реальные успехи математических и естественных наук. Возникновение рационализма как оформившегося философского направления во многом обуславливалось кризисом схоластической логики, которая не могла объяснить, каким образом из единичного и частного опыта могут выводиться истины, по значению строго всеобщие, а морально-безусловно необходимые. При таком положении дел оставалось искать другой, вне опытный источник познания, из которого можно получать истины обладающие логическими свойствами всеобщности и необходимости. В качестве источника таких истин и выступает разум. Таким образом, рационализм в гносеологическом смысле - это определённый подход к решению вопроса о происхождении и возможности безусловно достоверного знания в той ситуации, когда успехи теоретического естествознания и математических изысканий сделали само наличие такого знания реальным фактом.

ლ. შ. ტაბიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისის ინტერიერის ერთი კომპონენტის კვლევისათვის: შიდა ქართლისა და სირია-პალესტინის მასალათა შედარებითი ლახასიათება

სანამ კონკრეტულად საკვლევ მასალაზე გადავიდოდე, მნიშვნელოვანია საგანგებოდ აღვნიშნო იმ არტეფაქტის შესახებ, რომელსაც ეძღვნება შემოთავაზებული ნაშრომი. სადგრები, ძირითადად ჭურჭლის დასადგამად გამოიყენებოდა. მტკვარ-არაქსის პერიოდში ეს არტეფაქტები ნამოსახლარის ინტერიერში, ხშირად კერებთან ერთადაა წარმოდგენილი, თუმცა, შეიძლება იყოს დამოუკიდებლადაც. ფუნქციურად სადგარი, ძირითადად, უტილიტარული დანიშნულებისაა, თუმცა გვხვდება საკულტოც [2:49]. სადგარი უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია მტკვარ-არაქსელთა ცხოვრებაში. ის არის ჭურჭლის განსათავსებელი ძირითადი ნივთი და, ამავე დროს, მისი სხვადასხვა ადგილას გადასატანი საშუალება.


ყოველივე ამის გარდა საჭიროდ მიმაჩნია დავამატო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - ამჯერად საკვლევად შემოთავაზებული მასალა, რომელიც ინახება სიმონ ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის ფონდებში, ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა ბრინჯაოს ხანის ფონდში ჩემი მუშაობის პერიოდში. ამან საშუალება მომცა უშუალოდ გავცნობოდი იმ მასალებს, რომლებიც, ჯერ კიდევ მხოლოდ ნაწილობრივ ან სრულიად არ იყო შესული სამეცნიერო ლიტერატურაში. რასაკვირველია, მასალებზე მუშაობა ძალიან ეფექტური გამოდგა სადგრების ყველა ცალკეული შემთხვევის თავისებურებების კვლევისა და მათი შედარებითი ანალიზის გაღრმავების თვალსაზრისით. ამან, ცხადია, მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი შესაძლებლობები საკვლევ არტეფაქტის გააზრებასთან დაკავშირებით.

ამჯერად შესწავლის ობიექტად გავხადე მტკვარ-არაქსის კულტურის ერთი კონკრეტული რეგიონი - შიდა ქართლი, რომელიც წარმოადგენს მის ცენტრალურ და უმნიშვნელოვანეს არეალს. აქვე აღვნიშნავ, რომ ქვემოთ შევეცდები მოკლედ შევეხო ჩვენთვის საინტერესო არტეფაქტების ტიპოლოგიას და ამისათვის მხოლოდ საკვლევად მნიშვნელოვან ნიმუშებს დავეყრდნობი გასაანალიზებლად. შიდა ქართლის პრიორიტეტულობა კარგად ჩანს მტკვარ-არაქსის დანარჩენ რეგიონებთან მიმართებით არა მხოლოდ სადგრების, არამედ სხვა მასალებთან მიმართებითაც. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, ფაქტობრივად, სწორედ შიდა ქართლშია წარმოდგენილი სადგრების

ტიპოლოგიურად ყველაზე ფართო კოლექცია. შეძლებისდაგვარად თანმიმდევრულად წარმოვადგენ ყველა იმ ძეგლს, სადაც სადგრების ესა თუ ის ნაირსახეობა იქნა აღმოჩენილი.

პირველ რიგში განვიხილავ ქვაცხელების ნამოსახლარს. ადრე ბრინჯაოს ხანის ქართულ ძეგლებს შორის იგი ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ ნამოსახლარს წარმოადგენს. მდებარეობს სოფელი ურბნისიდან ორნახევარი კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. მისი გათხრის შემდგომ არქეოლოგებმა გამოქვლინეს B და C ფენებში არსებული ორი მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. საბოლოო ჯამში შესწავლილ იქნა 40 საცხოვრებელი ნაგებობა – 25 უფრო ადრეულ – C, ხოლო 15 – B ფენაში. რაც შეეხება სადგრებს – ძეგლზე ფიქსირდება თითქმის ყველა ის ტიპი, რომელიც ადრე ბრინჯაოს პერიოდს ახასიათებს. ნამოსახლარზე მიკვლეულია 23 სადგარი, მათ შორის რაოდენობრივი სიმრავლით აშკარად გამოირჩევა ოთხფეხა, ზომორფული ტიპის სადგრები – ისინი 11 ცალით არის წარმოდგენილი (სურ. 1.1). მათ შორისაა 1 სადგარი, რომელსაც სამი ფეხი აღენიშნება, მეოთხე ნანაზარდი კი შესაძლოა თავის გამოსახულებად მივიჩნიოთ (სურ. 1.2). აღსანიშნავია ორი ბრტყელი და განიერი ფეხით დაბოლოებული სადგრებიც (სურ. 1.3) – ასეთი 4 ცალია მიკვლეული ქვაცხელას ნამოსახლარზე. აღმოჩენილია 3 უზანგისებური ტიპის სადგარი (სურ. 2), მათ შორის ერთი, დანარჩენებთან შედარებით, მომრგვალებული ფორმის (სურ. 2.1), 1 ჭურჭლის პირყელის ფორმის (ბიკონუსური) (სურ. 3.1), 1 კოჭისებური (სურ. 3.2). საგანგებოდ მინდა აღვნიშნო უბანი 17C, სადაც მიკვლეულია ოთხკუთხა მოყვანილობის კერამიკული ნივთი, მიჩნეული სადგრად, სიგრძით 9.5სმ, ყავისფრად გამომწვარი, ბრტყელი ძირით (სურ. 3.3). მის შესახებ ბოლო თავში კიდევ მექნება საუბარი.


შემდეგი მნიშვნელოვანი ძეგლი, მტკვარ-არაქსის კულტურისა, გახლავთ ბერიკლდეების ნამოსახლარი. იგი მდებარეობს მტკვრისა და ფრონეს შესართავებზე, მტკვრის მარცხენა, მაღალ ნაპირას. აღნიშნული ძეგლიც ძალზე მრავალფეროვანი გახლავთ სადგრების მიხედვით და, ქვაცხელების ნამოსახლარის მსგავსად, მასაც აქვს საკუთარი განსაკუთრებული თავისებურება ტიპოლოგიის მიხედვით. ეს გახლავთ რქიანი სადგრები. ძეგლზე, საერთო ჯამში, გამოვლენილია 11 სადგარი. გარდა ნაშრომში წარმოდგენილისა, რამდენიმე უფორმო, უსახო ფრაგმენტიცაა დაცული ეროვნული მუზეუმის ფონდში – ისინი საკვლევ ობიექტებად არ გამომიყენებია. წარმოდგენილ ერთეულებში კი რამდენიმე ტიპი გამოიყოფა. მათ შორის 4 გახლავთ რქისებური (სურ. 4.1). მათი დახასიათება თითქმის ერთგვარია, ყოველ მათგანს ახასიათებს ორი ზეანეული რქის ფორმის გამოსახულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ მათგანზე ნახვერტია დატანილი, რომელიც ჰორიზონტალურად მიუყვება და ერთი გვერდიდან მეორესკენაა მიმართული (სურ. 4.2). საინტერესოა კიდევ ერთი ტიპის სადგარი – რქიანი, ნალისებური ტიპის, იგი 3 ცალითაა წარმოდგენილი. ორ ფრაგმენტს გვერდზე დაქვრნილი აქვს მრგვალნახვერტიანი, ნახვერადსფერული ყური (სურ. 4.3), ორი მათგანი კი




სურ. 1.



სურ. 2.




სურ. 3.




სურ. 4.

სხვადასხვა ზომისაა და, დიდი ალბათობით, ერთი ნაღისებური სადგარის დაბოლოებებს უნდა წარმოადგენდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმეორებს კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც აშკარად წარმოადგენს ორი განსხვავებული ტიპის სადგარის ერთიანობას – რქისებურისა და ნაღისებურის – აღენიშნება ერთი რქა (მეორე აკლია, მოტეხილია) და ბრტყელი ძირი (სურ. 4.4). ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ნაღისებური სადგარის ფრაგმენტი – კონკრეტულად კი „სახელურის მხარე“, ორი ნაწილის შემაკავშირებელი მონაკვეთი. ცალკე გამოვყავი იმის გამო, რომ სირიაში მისი ანალოგია მიკვლეული – ასეთივე გამჭოლი ნახვრეტის მქონე (სურ. 5.1). აღმოჩენილია კიდევ ერთი სადგარი, ოთხკუთხა მოყვანილობის, ზედა ნაწილი ოდნავ მომრგვალე-



სურ. 5.

სურ. 6.



სურ. 7.

სურ. 8.

ბული და ჩალარული, ძირი კი ბრტყელია. ნაწილი მოტეხილია და მოიაზრება, რომ ამ ადგილზე მას ნახვრეტი უნდა ჰქონოდა (სურ. 5.2). ასევე დაფიქსირებულია ერთი ბიკონუსური ფორმის სადგრის ფრაგმენტი (სურ. 5.3). ამასთან, ნახვრეტიანია კიდევ ერთი საინტერესო ტიპის ერთეული, გუმბათისებური ფორმის (სურ. 5.4). რაც შეეხება მდებარეობას, ყოველი ეს სადგარი აღმოჩენილია ჩ ფენაში. ცალკე მინდა გამოვყო კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ჩემი აზრით ნალისებური ტიპის სადგრის სახელურის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ამ კონკრეტულის შესახებ ბოლო თავში ვისაუბრებ (სურ. 6.1).

შემდეგ ძეგლად მინდა წარმოგიდგინოთ ციხიაგორა. ძეგლი მდებარეობს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით. კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს 500მ-ზე, აღნიშნული ძეგლიდან ერთ არტეფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება – ეს გახლავთ B1 ფენაში მიკვლეული სადგრის ფრაგმენტი. მას ჭურჭლის პირყელის (ბიკონუსური) ფორმა აქვს, არის სქელკედლიანი და ვარდისფრად



სურ. 9.

გამომწვარი, გაუპრიალებელი (სურ. 6.3).

კიდევ ერთი განსახილველი ნა-სახლარი გახლავთ ხიზანანთგორა. იგი ქარელის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ამაღლებული ტერასის კიდეზე მდებარეობს. მიკვლეულია ადრე ბრინჯაოს ხანის 4 ფენა, რომელთაგან უადრესს E ფენა წარმოადგენს [4]. ძეგლზე და-დასტურებულია სადგრების თითქმის ყველა მტკვარ-არაქსული ტიპი. რაც შეეხება მათ რაოდენობას - მათგან იდენტიფიცირებულია 7 ცალი. ზოგიერთი მათგანი ფრაგმენტული


სახითაა შემორჩენილი. რიცხვობრივად ყველაზე მეტია რქისებური სადგარი - მიკვლეულია 3 ცალი (სურ. 7.1-2). ერთ მათგანს ორი რქა აქვს დაძვნილი, ორს კი, ორ რქასთან ერთად, 4სმ. დიამეტრის მქონე ვერტიკალური ნახვრეტი აღენიშნება. 1 გახლავთ, ზემოთ უკვე აღნიშნული ზოომორფული ტიპის, ოთხფეხიანი და „კუზიანი“ ზურგით (სურ. 7.3) ასევე აღმოჩენილია 2 ბიკონუსური ტიპის სადგრის ფრაგმენტები, ერთ-ერთი მათგანი ძლიერ დაზიანებული და აღდგენილია (სურ. 8.1-2). რაც შეეხება დანარჩენ ორ არტიფაქტს, ორივე მათგანი ნალისებური ტიპის სადგრის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს - ერთი კონკრეტულად ზურგის, მიძვნილი ყურით, მეორე ფრაგმენტის იდენტიფიკაცია კი რომელიმე ტიპად რთულია (სურ. 8.3-4).

და ბოლოს, მინდა შევეხო გუდაბერტყას ნამოსახლარიდან მომდინარე რამდენიმე სადგარს. აქ, მტკვარ-არაქსის ფენაში მიკვლეული N4 ნაგებობის იატაკზე მიკვლეულ იქნა მოზრდილი ზომის ჭურჭლის პირყელის ფორმის (ბიკონუსური) სადგარი (სურ. 9.1). გარდა ამისა, მიკვლეულ იქნა ზოომორფული ტიპის სადგარი, ოთხი ფეხით (სურ. 9.2). მასთან ერთად ქვაცხელებისთვის დამახასიათებელი ორი ბრტყელი ფეხით დაბოლოებული (სურ. 9.3) და ბრტყელძირიანი, მომრგვალებული ზედა მხარის მქონე გახვრეტილი სადგარი [7] (სურ. 9.4).


ასეთი გახლდათ შიდა ქართლის მტკვარ-არაქსული მნიშვნელოვანი ძეგლების სადგართა იმ ერთეულების მიმოხილვა, რომელიც ყურადღებამისაქცევი იყო წარმოდგენილი კვლევისათვის.

სირია-პალესტინის მასალები

ახლა კი, მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ შიდა ქართლში მდებარე ყველა მნიშვნელოვანი ძეგლიდან მომდინარე სადგრები, საჭიროა განვიხილოთ სირია-პალესტინის მასალები. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში იყო ცნობილი დიდი კავშირები სამხრეთ კავკასიასა და სირია-პალესტინას შორის. ამ გეო-



სურ. 10.




სურ. 11.


გრაფიულ არეალში ეს კულტურა კირბეტ-კერაკის კულტურითაა ცნობილი [17]. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს გახლავთ ის უკიდურესი სამხრეთი არეალი, სადაც ფიქსირდება მტკვარ-არაქსის კულტურის დამადასტურებელი მრავალი ძეგლი. აქვე აღვნიშნავ, რომ ძირითადად საუბარი მექნება ტელ ბეტ ერავის შესახებ (Tel Bet Yerah). სწორედ ეს ნამოსახლარი გახლავთ მოცემულ ტერიტორიაზე შესანიშნავი მასალით წარმოდგენილი და, ამასთან, ყველაზე სამხრეთით მდებარე. აღნიშნული ძეგლი დათარიღებულია ადრე ბრინჯაოს პერიოდით. მდებარეობს ზუსტად იმ წერტილში, სადაც მდინარე იორდანე ტბა კინერეტიდან (იგივე იორდანისის ზღვიდან) გამოედინება. ძეგლი დასახლებული იყო ძვ.წ. 3500-2300 წლების განმავლობაში. ჩემს ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ კვლევისთვის საინტერესო პერიოდის – ადრე ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები, თუმცა, გარდა აღნიშნულისა, მიკვლეულია როგორც ელინისტური ხანის ვრცელი ნასახლარი, ასევე რომაული ხანის დამახასიათებელი მასალაც.

რაც შეეხება ძეგლზე გამოვლენილ ფენებს, სულ გამოყოფილ თერთმეტ ფენაში ცხრა სწორედ ამ პერიოდს – ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებოდა. ამ ფაზებში იქნა მიკვლეული ყოველი წარმოდგენილი სადგარი. მათ შორისაა – ორი ნალისებური ტიპის (სურ. 10) და ერთი ცილიდრული (ბიკონუსური) ფორმის (სურ. 11.1). გარდა ამისა, ექსპედიციის მიმდინარეობისას, ერთ-ერთ ლუმელში იქნა მიკვლეული სადგარი (სურ. 11.2). რაც შეეხება დანარჩენ მასალას, წარმოგიდგინთ ოთახებში მიკვლეულ სადგრებს. ესენი გახლავთ სამი ნალისებური ტიპის სადგარი (სურ. 12). ყოველი მათგანი ნაკლულია. სამივე მათგანზე ფიქსირდება შიდა, მცირე ზომის შვერილის არსებობა. ერთ-ერთზე კი – კონკრეტულად მასზე, რომელსაც სახელური აღვნიშნე, საკვლევ თავში კიდევ ვისაუბრებ (სურ. 12.3).


მნიშვნელოვანია აღვნიშნოს მოცემულ ძეგლზე მიკვლეული შვიდი ფრაგმენტი ნალისებური ტიპის სადგრებისა. შვიდივე მათგანი დეკორირე-



სურ. 12.



სურ. 13.




სურ. 14.

ბული გახლავთ და ხაზგასასმელია ფაქტიც, რომ შევიდევ მიკვლეულია ქვაცხელების პარალელურ D ფენაში. მოცემულ სადგრებში პირველი ოთხი სქემატურად უნდა გამოსახავდეს ადამიანის სახეს, მეოთხეს ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს და, დიდი ალბათობით, მეორე თვალიც უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე ფრაგმენტებს, აქ სხვადასხვა გეომეტრიულ მოტივებს ვხედავთ - მეხუთე ფრაგმენტზე ერთმანეთის

გადამკვეთი ხაზების ერთობლიობაა გამოსახული, მეექვსეზე კი რომბის გამოსახულება, გადაკვეთილი ვერტიკალური ხაზით. რადგან ორივე ფრაგმენტი მცირე ზომისაა, რთულია გარჩევა თუ ზუსტად რა არის ამოკვეთილი [12] (სურ. 13). აუცილებელია აღინიშნოს ორი ბიკონუსურისა და ერთი ნალისებური სადგრების შესახებაც. სამივე მათგანმა შესანიშნავ მდგომარეობაში მოაღწია არქეოლოგებამდე, რაც ძალზე საინტერესო ინფორმაციას იძლევა მათი ტიპოლოგიის შესახებ (სურ. 14). საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო კიდევ რამდენიმე არტეფაქტი, რომლებიც ბეტ ერაჰის ნამოსახლარზე მხოლოდ ორ - C და D ფენაში იჩენს თავს. ეს გახლავთ მართკუთხედის ფორმის მქონე კერამიკული ნაწარმი. მოცემულ ძეგლზე წარმოდგენილია ცხრა ცალით. მათზე ბოლო თავში კიდევ გავაკეთებ აქცენტს, მათ შორის ყველაზე დიდის ზომები გახლავთ: სიგრძე 10-11სმ, სიგანე 8სმ, სისქე კი 4-5 სმ. (სურ. 15).

როგორც აღვნიშნე, ძირითადად ვეხები ტელ ბეტ ერაჰის მასალებს, მაგრამ აღვნიშნულის გარდა კიდევ ერთ ძეგლზეა მიკვლეული საკმაოდ საინტერესო სადგარი. ეს გახლავთ ტაბარა ელ-აკრადი (Tabara el-Akrad). მოცემულ

ნამოსახლარზე მიკვლეულ იქნა ერთი ტიპური სადგარი სირიული ანთროპომორფული სადგრებისა. მასზე გამოსახულია ადამიანის გამოსახულება და იგი თითქმის იდეალურადაა შემონახული დღევანდელამდე, როგორც თავისი ფორმით, ასევე გამოსახულებით (სურ. 16.1). ასევე, ამის გარდა, მიკვლეულია ბეტ ერაჰის მსგავსი სადგარი ფორმით (სურ. 16.2), თუმცა მასზე გამოსახული გამოსახულება არც ისე ახლოა აღნიშნულთან. ეს სადგარიც ანთროპომორფული გამოსახულების მქონეა, ყურითა და ვიზუალთ კი ძალზე მსგავსია ბეტ ერაჰზე მიკვლეული ერთეულისა [10].




სურ. 15.

ასეთი გახლავთ ბეტ ერაჰზე მიკვლეული სადგრების მიმოხილვა.

აღმოსავლეთ საქართველოსა და სირია-პალესტინის მასალათა შედარებითი ანალიზი

ახლა კი, რაც შეეხება ჩემი კვლევისა და ანალიზების საფუძველზე მიღებულ შედეგებს. სადგრების შესწავლამ შიდა ქართლისა და სირია-პალესტინის ძეგლებიდან საშუალება მომცა მემსჯელა ამ ტიპის არტეფაქტების თავისებურებათა შესახებ ორივე ლოკალურ ვარიანტში. ზემოთ მოცემულ ტექსტში წარმოდგენილია მტკვარ-არაქსული კულტურის გავრცელების ორი უკიდურესი რეგიონიდან - ჩრდილოეთით შიდა ქართლი, სამხრეთით კი სირია - მიღებული კონკრეტული არქეოლოგიური მასალა. მათმა შედარებამ გვიჩვენა ის მსგავსებები თუ განსხვავებები, რომლებიც ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანთა კულტურას გააჩნია. პირველ რიგში მინდა წარმოგიდგინოთ მსგავსებები. საერთო ტიპად სადგრებში მივიჩნევ ჭურჭლის პირყელის ფორმის (ბიკონუსური) ტიპს - იქნება ეს დიდი (გუდაბერტყა) თუ მცირე (ციხიაგორა, ქვაცხელა)



სურ. 16.

ზომების. საინტერესო მსგავსება გამოჩნდა ე.წ. „აგურისებური“ სადგრის შემთხვევაშიც ორივე ტერიტორიაზე - ბეტ ერაჰზე მიკვლეული ცხრავე ერთეული ზუსტად იმ ფენებშია მიკვლეული (C და D), რომელშიც ქვაცხელების. ამ ფაქტისა და ვიზუალური მსგავსების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მასალა ერთი და იმავე დანიშნულების უნდა იყოს. ძალზე

| | ნალისებური (1) | ნალისებური (2) | ნალისებური (3) | ნალისებური (ყურანი 1) | ბიკონუსური (1) | ბიკონუსური (2) | ბიკონუსური (3) | ბიკონუსური (დაბალი ცელი) |
|-------------|----------------|----------------|----------------|-----------------------|----------------|----------------|----------------|--------------------------|
| სირია | | | | | | | | |
| შიდა ქართლი | X | | | | | | X | |

სირიისა და შიდა ქართლის ძეგარება (1)

| | „აგურისებური“ | „ზომორფული აუქებური“ | უზანეისებური | რქიანი | ნალისებური (ყურანი 2) | ნალისებური (ანთროპომორფული) | კოჭისებური |
|-------------|---------------|----------------------|--------------|--------|-----------------------|-----------------------------|------------|
| სირია | | X | X | X | | | X |
| შიდა ქართლი | | | | | | X | |

სირიისა და შიდა ქართლის შედარება (2)

მნიშვნელოვანი გახლავთ ნალისებური სადგრების შესახებ მიღებული შედეგებიც. აქ ვხედავთ როგორც მსგავსებებს, ასევე განსხვავებებსაც. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, როგორც ბეტ ერაჰზე, ასევე შიდა ქართლშიც, ფიქსირდება ორივე ტიპი (ბერიკლდეები, ხიზანანთგორა). ორივეგან გვხვდება სადგრის ზურგზე არსებული გამჭოლი ნახვრეტი. ასევე, ფიქსირდება ყურიანი ნალისებური სადგრებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს განსხვავებების შესახებაც. მაგალითად, თუ შიდა ქართლში გვაქვს სადა, გაუფორმებელი ერთეულები, სირიაში ისინი გაცილებით დატვირთულია ვიზუალური გაფორმებით – მასზე ამოკვეთილია როგორც გეომეტრიული ორნამენტები, ასევე, ხშირ შემთხვევაში, ანთროპომორფული გამოსახულებები. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - რიგ შემთხვევებში სირიულ ნალისებურ სადგრებს ახასიათებს მცირე ზომის შევრილების არსებობა შიდა მხარეს, რაც ქართულ არტეფაქტებში ნაკლებადაა დაფიქსირებული. ნალისებურ სადგრებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი, რომ სიმონ ჯანაშიას სახელობის

საქართველოს მუზეუმში არის სადგრის ფრაგმენტი, რომლის თავდაპირველი ფორმის შესახებ ინფორმაცია უცნობია – დავთრებში შეტანილია მხოლოდ მისი აღწერილობა (ბერიკლდეები, ინვენტარის ნომერი 11-2000:268) მისი ფრაგმენტულობის გამო რთული გახდა მისი დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ ტიპთან. თუმცა, სირიაში მიკვლეული ერთი ფრაგმენტის დახმარებით გამიჩნდა მოსაზრება ბერი კლდეების ამ სადგართან დაკავშირებით (სურ. 6.1-2). ორივე მათგანი, ჩემი აზრით ერთი ტიპის, ნალისებური სადგრის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის ნამდვილად არის განსხვავება, როგორცაა შიდა შვერილის არსებობა სირიულ სადგარზე, მაგრამ ტიპოლოგიურად ისინი ნამდვილად ერთნი უნდა იყვნენ.

ახლა კი კიდევ რამდენიმე სხვა ტიპს შორის სხვაობა მინდა წარმოგიდგინოთ. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ზოომორფული სადგრები (ოთხფეხა „კუსებური). მსგავსი ტიპები მხოლოდ შიდა ქართლშია მიკვლეული (ქვაცხელები, გუდაბერტყა. ხიზანანთგორა). რაც შეეხება სირიას, აქ აღნიშნული ტიპის არტეფაქტი ჯერ დადასტურებული არ არის. ასევე არ დასტურდება როგორც უზანგისებური ტიპი (რომელიც მხოლოდ ქვაცხელებისთვისაა სიმპტომატური), ისე რქიანი სადგრების არსებობა (რომელიც მიკვლეულია როგორც საქართველოში, ასევე სომხეთსა და თურქეთშიც). სირიაში არ გვხვდება არც კოჭისებური სადგარი, სპირალური გაფორმებით (ქვაცხელები). ბოლოს, უნდა ითქვას ჭურჭლის პირყელის ფორმის (ბიკონუსური) სადგრების შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლოკალურ არეალში გვხვდება აღნიშნული ტიპი, სირიაში, გარდა სადა ვარიანტისა, სახეზეა როგორც სპირალებით, ასევე წრიული ხაზებით გაფორმებაც, რაც სრულიად განასხვავებს მას ქართული მასალისგან.

რაც შეეხება დასკვნას, მინდა აღვნიშნო, თუ რა შედეგები მივიღე და რით არის მნიშვნელოვანი წარმოდგენილი კვლევა. მრავალ წიგნსა თუ სტატიაშია ნახსენები ის, რომ მტკვარ-არაქსული კულტურა ძლიერ მსგავსია კირბეთ-კერაის კულტურისა, რომ მათ შორის არსებობს რაღაც კავშირი. ზოგიერთი ამ მსგავსებას კერამიკულ ნაწარმში – ჭურჭელში ხედავს და მოკლედ საუბრობს ამის შესახებ. ჩემი კვლევის მიზანიც და შედეგიც კი გახლდათ ის, რომ შემერჩია ერთი კონკრეტული ასპექტი და მხოლოდ მისი განხილვით მეჩვენებინა ის მსგავსებები თუ განსხვავებები, რომლებიც ახასიათებს ორივე კულტურას. რასაკვირველია, ეს საკითხი მეტ შესწავლას, მეტი არტეფაქტის შედარებასა და მეტ სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს და, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ეს ნამუშევარი აღნიშნული საკითხის ამონურვისთვის საკმარისი არ არის, ამ კონკრეტული ასპექტის განხილვით ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ ორი პოლარულად დაშორებული ტერიტორიის ერთგვაროვნება-არაერთგვაროვნების შესწავლისთვის.

საბოლოოდ მინდა წარმოგიდგინოთ ორი ცხრილი, რომელიც შესანიშნავად წარმოაჩენს იმ მსგავსებებსა თუ განსხვავებებს, რომლებზეც ნაშრომში მქონდა ყურადღება გამახვილებული. ცხრილებში ყურადღება გავამახვილებ მხოლოდ შესადარებელ მასალაზე.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ლლონტი, მუზეუმი, მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1970.
2. ი. კიკვიძე, ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1972.
3. ზ. მახარაძე, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, მეცნიერება, 1994.
4. ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 2004.
5. ა. ორჯონიკიძე, მასალები საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 2005.
6. ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, პირველი ეპოქა, თბ., 2003.
7. გ. მინდიაშვილი, შ. ირემაშვილი, ზ. შერაზადიშვილი. გუდაბერტყას ნამოსახლარი. გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე. თბ., 2013.
8. ს. ნადიმაშვილი, გუდაბერტყა-ციხიაგორა. გორი: ჟურნალი „ლიახვი“. 1963.
9. ალ.ჯავახიშვილი, ლ.ლლონტი, ქვაცხელების (ტვლეპია - ქობის) ნამოსახლარზე 1954-1961 წწ-ში ჩატარებული გათხრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1962.
10. Ishoev, S. 2018. Andirons and Hearths in the Kura-Araxes Culture and its Derivatives: Definition, Distribution and Usage. Unpublished M.A. thesis. Tel Aviv University.
11. Bet Yerah, The Early Bronze Age Mound, Volume I: Excavation Reports, 1933-1986 Years, Israel Antiquities Authority Jerusalem 2014.
12. Bet Yerah, The Early Bronze Age Mound, Volume II: Urban Structure And Material Culture 1933-1986 Year Excavations, Raphael Greenberg, Israel Antiquities Authority Jerusalem 2014.
13. The Caucasian Region In The Early Bronze Age, A. G. Sagona, Vol. I, Oxford, year 1984.
14. Russell, H. 1980. Pre-Classical Pottery of Eastern Anatolia. (BAR International Series 85). Oxford.
15. Hearth structures in the religious pattern of Early Bronze Age northeast Anatolia, Turan Takaoglu, Anatolian Studies 50, year 2000.
16. Early Bronze Age migrants and ethnicity in the Middle Eastern mountain zone, Mitchell S. Rothman, PNAS (Proceedings of the National Academy of Science) 2015.
17. P.M.Мунчаев, Кавказ На Заре Бронзового Века, Издательства <<Наука>>. Москва 1975.
18. Smogorzewska, A. Andirons and their Role in Early Transcaucasian culture. Anatolica XXX, 2004, 151-177.

LASHA TABIDZE

**COMPARISON OF ONE COMPONENT OF THE
KURA-ARAX CULTURE HOUSING INTERIOR:
COMPARATIVE CHARACTERISTICS OF
SHIDA KARTLI AND SYRIAC-PALESTINE**

Summary

The work discusses the archaeological materials obtained from Shida Kartli and Syria-Palestine settlements of the Kura-Araxes culture – andirons. The artifacts from this period has been studied by many different archaeologists, but the concrete aspect has never been discussed separately, so I decided to focus on only this type of material. It's important to admit, why I choose exactly this type of artifacts. Reason is, that andirons are one of the most symptomatic materials of the Kura-Araxes – they are identified on every settlement of this culture. Also should be noted, that apart from this exact geographical areas the regions between them also was rich with the same items, but I believed, that the study of uttermost archaeological sites, assigned to same culture, would show many interesting similarities or differences. The proposed research will clearly demonstrate how the characteristics of these two extreme geographical areas are presented.

Л.Д. ТАБИДЗЕ

**СРАВНЕНИЕ ОДНОГО ИЗ КОМПОНЕНТОВ ИНТЕРЬЕРА
КУЛЬТУРЫ КУРА-АРАКС: СРАВНИТЕЛЬНЫЕ
ХАРАКТЕРИСТИКИ ШИДА КАРТЛИ И СИРИЯ-ПАЛЕСТИНИ**

Резюме

В исследование обсуждаются археологические материалы, андироны, полученные из Шиды Картли и Сирийско-Палестинских поселений культуры Кура-Аракса. Многие археологи изучали артефакты с этого периода, но они никогда не обсуждали этот конкретный аспект отдельно, поэтому я решил сосредоточиться только на этом типе материала.

Важно признать, почему я выбрал именно этот тип артефактов. Причина в том, что андироны являются одним из самых симптоматических материалов Кура-Аракса - они идентифицируются на каждом поселении этой культуры. Следует также отметить, что помимо этих точных географических районов, регионы между ними также были богаты одними и теми же предметами, но, я полагал, что изучение крайне южных археологических объектов, относящихся к одной и той же культуре, будет иметь много интересных сходств или различий. Предлагаемое исследование ясно продемонстрирует, как представлены характеристики этих двух крайних географических районов различий.

ლია ავლიჩივილი

ტრადიცია – მოდერნიზმის ოპოზიცია

როგორც ცნობილია კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოველი ერის განვითარებაში, მისი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ტრადიციული კულტურა საზოგადო ცხოვრების ყოველი ელემენტის განუყოფელი ნაწილია. ტრადიციის მრავალფეროვნება განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ცხოვრების პირობებით და სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებებით. ის, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე.

ტრადიციული კულტურის ბაზას ქმნის საზოგადოების მატერიალური გარემო და სოციალური ფსიქოლოგია. მთლიანობაში კულტურის პერსპექტივა მოიცავს ურთიერთობის ყველა ფორმას, მაგრამ განსაკუთრებით გამოიყოფა ოთხი სახე, რომელიც უშუალო კავშირშია ადამიანთა ცხოვრებასთან და მსოფლიოს მომავალთან. ესენია: ადამიანთა ურთიერთობა თავის თავთან, ერთმანეთთან, საკუთარი შრომის პროდუქტთან, ბუნებასთან. და ბოლოს, ყველა ეს ურთიერთობა აყალიბებს კულტურის რთულ, ტრანსფორმირებად და ცვალებად სისტემებს.

ახალ ეპოქაში ახალ სისტემაზე გადასვლა, რაც თავისთავად ურთულესი პროცესია, მოითხოვს კარდინალურ ცვლილებებს. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულმა სახელმწიფოების ნაწილმა, მათ შორის საქართველომაც, ვესტერნიზაციის მოთხოვნილებაზე ანუ მოდერნიზაციაზე განაცხადა პრეტენზია. მოდერნიზაციის განხორციელება (წარმატებული თუ წარუმატებელი) მიუხედავად მიღებული აზრისა, რომ ტრადიციებს დამაბრკოლებელ ფენომენად მიიჩნევენ, დიდად არის დამოკიდებული ეროვნულ კულტურაზე.

ჩვენი, ეთნოლოგების მიზანია ყოველივე შევისწავლოთ ტრადიციული კულტურის პრიზმით. ამ მიმართულებით ტრადიცია განიხილებოდა, მაქსიმუმ ბერძნული გაგებით, რომელიც დაიყვანება ტრადიციული და რაციონალური კატეგორიების დაპირისპირებაზე. ტრადიცია, ნეხი, ჩვეულება, განიხილებოდა, როგორც საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელი რამ. ტრადიცია განიხილებოდა როგორც მოდერნიზმის ოპოზიცია და უარყოფით რაკურსში იყო წარმოდგენილი. ტრადიცია განიხილებოდა მოვლენად, რომელსაც არ შეუძლია რეალურად წინააღმდეგობა გაუწიოს თანამედროვე ცხოვრების წესს, ან იარსებოს მასთან ერთად.

კულტურის ტრადიციულ მოვლენებს აფასებდნენ, როგორ რუდიმენტს, რომელიც უნდა გაქრეს მოდერნიზაციის პროცესში. მაგრამ ასეთი დამოკიდე-

ბულება შეიცვალა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში არა მეცნიერი თეორეტიკების მიერ, არამედ მეცნიერი პრაქტიკოსების (ეთნოგრაფების მიერ). მათი აზრით ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაცია ძალიან რთული და მტკიცეული პროცესია და იძულებითმა მოდერნიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს დამანგრეველი რეაქცია, რაც პიროვნულ იდენტურობაზე მოახდენს გავლენას. ამის შემდეგ დაიწყო სამართლიანი კრიტიკა იმისა, რომ ტრადიციული საზოგადოება არის სტატიკური, რაც მოდერნიზაციის თეორიის აქსიომად იქცა. დღეს ჩვენს საზოგადოებაში იგივე ხდება. უმეტესი ნაწილი არაპროფესიონალებისა ე. წ. "მოდერნიზაციით", ან უფრო სწორედ თანამედროვეობის მცდარი გაგებით უდგებოდნენ სახელმწიფოში გატარებულ რეფორმებს. მათი თვალთახედვა უფრო მე-20-ე საუკუნის 60-იანელებამდე შეხედულებას ეყრდნობოდა, სადაც ტრადიცია ვითომდაც ეწინააღმდეგება თანამედროვეობას და აქედან გამომდინარე მიმართავდნენ ძალისმიერ რეფორმებს, ტრადიციული აზროვნებისა და მენტალიტეტის გათვალისწინების გარეშე, რასაც ფაქტიურად დამანგრეველი და არა აღმშენებლობითი ძალა აქვს. ეს მომენტი არ უნდა აურიოთ საზოგადოების მიერ რეფორმების სირთულეების პროცესთან. ჩინელი, რომელიც წყევლას უგზავნის თავის მტერს ამბობს: "გეცხოვროს რეფორმების პერიოდში". ეს წყევლა კარგად გაითავისა საქართველოს ხალხმა და აი უკვე 30 წელია ამ წყევლასთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ ვერასდროს ვერ გაითავისებს იმ მცდარ შეხედულებას, რომ ჩვენ ოდესმე გავხდებით ტრადიციანაშლილი საზოგადოება.

ერისთვის მნიშვნელოვანია მოდერნიზაციის განხორციელების რა გზას აირჩევს სახელმწიფო: ლიბერალურ-დემოკრატიულს, რომლის საფუძველს წარმოადგენს უბრალოდ პიროვნების განვითარება, რომელსაც საყრდენად საზოგადოებრივი ძალა, გამოყოფილი მოდერნიზაციის სხვადასხვა მოდელიდან ემსახურება, თუ ავტორიტარულს, რაც აამოქმედებს ძლიერ ცენტრალიზებულ ძალაუფლებას, რომელიც სასტიკად ანადგურებს ყველაფერს რაც ხელს უშლის სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, რაც, როგორც წესი ხდება მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითების, პოლიტიკური ცხოვრების შეზღუდვის, კულტურული ცხოვრების რეგლამენტაციის ხარჯზე. მითუმეტეს როცა ქვეყანა ეკონომიკურად სუსტია და ამას თან ერთვის "იმპორტის შემცველი მოდელი" არსებობა და ამ ფონზე, "იმპერიულ მოდელის", რომელიც ორიენტირებულია სამხედრო შეიარაღებაზე განხორციელებას ცდილობს [1: 46-47].

სახელმწიფოს მოდერნიზაციის აჩქარებულმა ტემპმა, რეფორმების გაუაზრებლად დაწერგვამ შესაძლებელია სულ სხვა, უფრო მეტად, უარყოფითი გზით წაიყვანოს ქვეყანა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოდერნიზაცია გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, არამედ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზეც. მოდერნიზაცია აყალიბებს ახალ კულტურას, რომელიც რაციონალიზმზეა დამყარებული. ეს იმიტომ, რომ ტრადიცია და თანამედროვეობა არის არა საპირისპირო, ანტითეზა, არამედ ის დინამიურია და ირივე კულტურაში მეტ-ნაკლები სიდიდით არსე-

ბოხს. ტრადიცია და თანამედროვეობა ერთად თვითნარმოებისა (ანუ ახლის დაბადებისა) და სტაბილურობისა ძალიან საინტერესო მექანიზმია. ამიტომ რეფორმების გატარებისას ძალდატანება არ უნდა შეეხოს ტრადიციას. საზოგადოებად გატარებული რეფორმა კი არ გამოიწვევს წინააღმდეგობას, არამედ ტრადიციულ კულტურას უმტკივნეულოდ გადასხვაფერებს. ის გახდება მოქნილი, ფაქიზი, ვარიაციული, ტრადიციული შემცირდება, მას დაემატება ახალი და ის ისევე მთლიანობაში წარმოსდგება. ის მოქმედებს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რადგანაც მისი ცვლილებები ადამიანთა სურვილებზე და ნებაზეა დამყარებული. და ეს არ არის რომელიმე ფორმაციის, ან ეპოქის თვისება. ეს პროცესი მუდმივმოქმედი კაცობრიობის განვითარების მანძილზე, რადგანაც კულტურა ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია ადამიანისათვის, როგორც საარსებო საშუალებები. ტრადიცია მოდიფიცირდება და ამის უამრავი მაგალითები აქვს კაცობრიობას. შეიძლება გაქრეს კულტურის რაიმე მოვლენა და დარჩეს რიტუალის ერთი ნაწილი, მაგრამ მისი მატარებელი საზოგადოება არ იქნება უკულტურო. ის იქნება ტრადიციული, ანუ ადამიანურად კულტურული. უამრავი ჩვეულება და წესი, რომელიც არსებობდა საუკუნეებისა და ათასწლეულების წინ დღესაც გვხვდება ან სამუდამოდაა დაკარგული.

საოცარია და დაუჯერებელიც კი, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მოდერნიზაციის პირობებში შესაძლებელია გაჩნდეს ახალი წეს-ჩვეულება, რომელიც კაცმა არ იცის საიდან აღმოცენდება, მაგრამ მას თავისებური როლი აქვს მიკუთვნებული ამ საზოგადოებაში და გარკვეულ მოვლენებს პასუხობს. ასეთი უცნაური ჩვეულება გაჩნდა მაგალითად პოლონეთში, რომელსაც ცოტა ხნის წინ პოლონურ კულტურასთან არანაირი შეხება არა ჰქონდა, მაგრამ დღეს ძალიან პოპულარულია და გენდერულ ჩარჩოში მოიაზრება. ესაა "კუვადა". ეს წესი მთელს მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქებში უძველესი ხანიდან დღემდე არსებობდა. იგი მამაკაცის მიერ ცოლის მშობიარობის იმიტაციას წარმოადგენდა. მამაკაცისა და ქალის როლების გაზიარებამ მშობიარობისას თანამედროვე საზოგადოებაში კუვადის ასოცირება გამოიწვია და არა მარტო საფრანგეთში, ინგლისსა და სხვ. ქვეყნებში გაგრძელდა მისი ტრადიცია, არამედ პოლონეთმა რიტუალად აქცია და კულტურის ელემენტად წარმოადგინა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ წესს არც საფრანგეთში, ესპანეთში, არც, პოლონეთში მოდერნიზაციისთვის ხელი არ შეუშლია.

ხდება პირიქითაც გლობალიზაციამ ისეთი წეს-ჩვეულებები შემოიტანა საქართველოში, რომელიც არ იყო ტრადიციული. მაგ., წმინდა ვალენტინის დღე, პელოუინი და ა. შ., რაც საპატრიარქოს მიუღებლად მიაჩნია, რადგან პირველი კათოლიკობას და მეორე, კელტების უძველესი დღესასწაულს, ბოროტი სულების განდევნას, უკავშირდება. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ თვით დასაველეთმა და შედეგ, გლობალიზაციის გზით, საქართველომაც, საბაზრო ეკონომიკა დაუდო ამას საფუძვლად. ანუ სიმართლე ისაა, რომ ის ზევით, მთავრობის მიერ დადგენილი წესებით კი არა, ქვევით, ხალხის მასების მიერ რეალიზდება. ეს მაგალითები ცხადად ავლენენ კულტურის ელ-

ემენტების უნარს პრაქტიკულად მოერგონ სიტუაციას. მას ნამდვილად შესწევს ეს. ამიტომ ძალდატანებითი მისი დადგენილებებით, ან პროპაგანდით მართვა შეუძლებელია.

მოდერნიზაცია კი, როგორც მოვლენა სოციალურ-კულტურულ ნიშანთა, ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც თანამედროვე გლობალურმა პირობებმა არადასავლური ცივილიზაციების მახასიათებლად აქცია, რითიც ხდება პიროვნების თვითგამორკვევა და ინდივიდუალიზაცია, მოღვაწეობის პრაქტიკული და რაციონალური ფორმები კი ხელს უწყობს ეფექტურობას და პრაქტიკულ სარგებელს. ამას კი, დასავლეთის მსგავსად, აღმოსავლეთის ეროვნული სახელმწიფოები ვინრო ნაციონალური პოლიტიკიდან საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალურ ასპექტში გადაყავს. მაგრამ მოდერნიზმის დადებითი ღირებულებები შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთის მონაპოვარი არ იყოს. ის რაც დღეს ევროპულ კულტურას ახასიათებს შესაძლებელია საუკუნეების წინ სხვა კულტურის მონაპოვარიც იყო. ამის მაგალითია თუნდაც ქართული სამართალი, რომელსაც, როგორც ქართულ სახელმწიფოს, უძველესი ისტორია გააჩნია და ის, იმ პერიოდში, იყო გაცილებით უფრო ლიბერალური, ვიდრე ევროპული. მისთვის უცხო იყო დასჯის საშინელი მეთოდები ("ესპანური ჩექმა", "ეკლიანი ფეხსაცმელი", "ერეტიკოსის ჩანგალი", "კუდიანების განსაბანი სავარძელი", "კატის ბრჭყალები", "წყლით წამება", "ცხენით დანანევრება" და სხვ. "ბორბალზე გაკვრა" კი რაც არ უნდა უცნაური იყოს, ამერიკაში მე-18, ხოლო გერმანიაში 19 საუკუნის ჩათვლით გამოიყენებოდა). საქართველოში 1325-1335 წწ. გიორგი V ბრწყინვალემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის, რომელიც არ ემორჩილებოდა ფეოდალურ ურთიერთობებს, 46 მუხლისაგან შემდგარი "ძეგლის დადება" შეადგინა. ამისთვის თვით მოიარა მთიულეთი, მოიწვია იქაური წარმომადგენლები და ტრადიციული წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით, ჰუმანური დამოკიდებულებით, მრავალი რამ აკრძალა და ჯარიმით შეცვალა. ხოლო თამარ მეფის ეპოქაში სიკვდილით დასჯის სასჯელის ფორმა გაუქმდა და წამება აიკრძალა. ის კი არა იმ ეპოქაში "რჯულთმემწყალებლობა" არსებობდა და წმინდა დღევანდელი ევროპული ღირებულების სადარად ეროვნულ-ადმინისტრაციული თავისუფლება ენიჭებოდა თურქ-სელჩუკებისგან გათავისუფლებულ პატარა ხალხებსა და დამორჩილებულ ქვეყნებს. გაძლიერებულმა სახელმწიფომ უარი განაცხადა სხვა ქვეყნების დაპყრობაზე. იმდროინდელი პოლიტიკა ჰუმანიზმს ემყარებოდა.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქართული ტრადიციული კულტურა, რომლითაც ხშირად სახელისუფლებო პოლიტიკაც იკვებებოდა, მიუღებელ ტრადიციებთან ერთად, ბევრ ჰუმანურ ჩვეულებას ფლობდა, რაც თავისთავად მშვიდობიანი თანაცხოვრების დასაბალანსებლად იყო შექმნილი. გასული საუკუნის დასაწყისშიც კი მთაში დამნაშავეის თემიდან მოკვეთის ტრადიციის გვერდით არსებობდა "ამანათობის" წესი, ანუ გარიყული, სიკვდილზე განირული ადამიანი მფარველობას ჰპოვებდა სხვა თემში, სხვა ტრადიციული ჩვეულების საშუალებით. დასამალი არაა, მაგრამ დღესაც არსებობს

სხვადასხვა სიტუაციაში მოხვედრილი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის მიზნით საუკუნეების მანძილზე არსებული წეს-ჩვეულების დარღვევის უამრავი მაგალითი.

კულტურის კი ორი ტიპი – ღია და დახურული – არსებობს. ღია ტიპი დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის, დახურული კი, რაც ეთნიკურობას ეფუძნება, ტრადიციულისათვის. დახურული სისტემებისთვის დამახასიათებელია არსებული მდგომარეობის კონსერვაცია, წინააღმდეგობა ყოველგვარი ურთიერთქმედების მიმართ, რასაც შეუძლია შეცვალოს სისტემა (განვითარების რეგრესული ტიპი). ღია სისტემების არსებობის პრინციპს წარმოადგენს ახლისა და მისთვის უცხოს შეთვისების გზით, შიდა სამყაროს გართულებისა და გამრავალფეროვნების შედეგად განვითარება (განვითარების პროგრესული ტიპი) [2:199-206]. კაცობრიობის განვითარების წინსვლით მოძრაობას სწორედ ღია სისტემები უზრუნველყოფენ.

ღია და დახურული სისტემები, ისევე როგორც იერარქიული და ქმედითი ტიპი თავისთავად წარმოადგენენ მსგავს სტრუქტურას, რომელიც შეიძლება შეფასდეს ზოგ საზოგადოებაში ორმაგი სისტემის ან ტიპის თანაარსებობით და გამოიხატოს ბირთვისა და პერიფერიის სახით.

მიღებულია აზრი, რომ ღია სისტემა უფრო ევროპული, ხოლო დახურული კი აზიური ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა სუფთა სახით ისინი სამყაროში არ არსებობენ. ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება ქართული კულტურა, რომელიც შეიძლება ითქვას ორივეს მეტ-ნაკლები დოზით შეიცავს. მაგრამ მთლიანობაში ჩვენ მაინც უფრო მეტად დახურულ სისტემებს და იერარქიულ ტიპს მივეკუთვნებით. ამავე დროს, იმდენად ძლიერია ბირთვის პრინციპები ჩვენს კულტურაში, რომ პერიფერიული ტიპი ვერ ახერხებს მის დამუხრუჭებას. ბირთვი უფრო ქალაქური ცხოვრების წესისთვისაა დამახასიათებელია და ის ყოველთვის პროგრესისკენ მიიწვედა. მიღებულ ახალ ელემენტს თავის თავში გადახარშავდა, ახალ ეროვნულ ელფერს შეიძენდა, დახვენილს და გაფილტრულს დაიმკვიდრებდა, შემდგომ ხდებოდა მისი ქმედითობა. ქმედითობის ბოლო სტადიაზე ის პერიფერიაზე გადაინაცვლებდა და ასე უწყვეტ ტრიალში სახეს იცვლიდა საუკუნეების მანძილზე.

ეთნიკურ კულტურას უჭირს ადაპტირება თანამედროვე ინდუსტრიულ ცივილიზაციასთან, მაგრამ ბირთვი ძლიერია და მიილტვის ცვლილებებისკენ, ანუ მოდერნიზაციისკენ, რომელიც სახელმწიფოს იდენტურობას არა ეთნიკურობას, არამედ მოქალაქეობას დაუკავშირებს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Красильников В. А. Модернизация и Россия на пороге 21 века, Вопросы Философии, № 7, 46-47.
2. Шалаев В., Этпосы как открытые и закрытые системы, Этнологический вестник, 2(8), М., 1995 г. 199-206

LIA MELIKISHVILI

TRADITION AGAINST MODERNISM

Summary

Culture, as is known, has an important role in the development of every nation and their self-consciousness. It, in turn, affects certain events of social life.

Tradition is seen as an opposition to modernism and is represented in a negative sense. And indeed, from this point of view, modernization process always weakens and expels tradition. Tradition is seen as a dying event that can not actually resist modern lifestyle or exist along with it. Traditional cultural events were assessed as rudiments that should disappear in the process of modernization. But in the 1960s this attitude changed not by theoreticians, but by practitioners (ethnographers).

In their view, modernization of traditional society is a very complex and painful process. Forceful modernization can cause a devastating reaction that affects personal identity. The example of modernization in new countries has demonstrated that tradition has a significant role. It seems obvious that during modernization it not only remains but sometimes gets even stronger. This process is permanent during human development since culture is such an important attribute for a person as a means of subsistence. This is not the property of any formation or era. Tradition is being changed, and there are many examples of this.

Л. МЕЛИКИШВИЛИ

ТРАДИЦИЯ ПРОТИВ МОДЕРНИЗМА

Резюме

Культура, как известно, играет важную роль в развитии каждой нации и ее самосознания. Это, в свою очередь, влияет на определенные события общественной жизни.

Традиция рассматривается как оппозиция модернизму и представлена в отрицательном смысле. И действительно, с этой точки зрения процесс модернизации всегда ослабляет и изгоняет традицию. Традиция рассматривается как умирающее событие, которое не может фактически противостоять современному образу жизни или существовать вместе с ним. Традиционные культурные события оценивались как рудименты, которые должны исчезнуть в процессе модернизации. Но в 1960-х годах это отношение изменилось не теоретиками, а практиками (этнографами). По их мнению, модернизация традиционного общества - очень сложный и болезненный процесс. Мощная модернизация может привести к разрушительной реакции, которая влияет на личную идентичность. Пример модернизации в новых странах показал, что традиция играет значительную роль. Кажется очевидным, что во время модернизации он не только остается, но и иногда становится еще сильнее. Этот процесс является постоянным в процессе человеческого развития, поскольку культура является таким важным атрибутом для человека как средства существования. Это не свойство какого-либо формации или эпохи. Традиция модифицируется и на это указывают многие примеры в мире.

თორნიკა დინასამიკა

სიცოცხლის ხის დაკარგული არტაფაქტი ინგუშეთის ტყობა-იერდის ტაძრიდან და მისი კავშირი ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებასთან

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ დაღესტანში, ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში, ბალყარეთში და სხვაგან დაფიქსირებულია ქრისტიანული არქიტექტურის არაერთი ძეგლი, რომელთაც მჭდრო კავშირი აქვთ ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან. საუკუნეების განმავლობაში იკვეთებოდა და ვითარდებოდა კავკასიური ურთიერთობები. ეს ურთიერთობები სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა, მათ შორის არქიტექტურული, ლინგვისტური, ეთნოგრაფიული თუ ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც. ჩემი ნაშრომი შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ ინგუშეთსა და დაღესტანში აღმოჩენილ სიცოცხლის ხის კომპოზიციებს.

ქართული ხელოვნება კარგად იცნობს სიცოცხლის ხის ორნამენტებს, ეს ორნამენტები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მრავლად არის წარმოდგენილი. თრიალეთში, მესხეთში, აჭარაში მეჩეთებზე, იმერეთში საფლავის ქვებზე, ქართლში სასაფლაოზე, სვანეთში და სხვ. საქართველოს გარდა სიცოცხლის ხის ორნამენტი გვხვდება ინგუშეთის და დაღესტანის რეგიონებში, ინგუშეთში ეს სიუჟეტი არის გამოხატული თიხის ფილაზე, რომელიც დღეისთვის სამწუხაროდ დაკარგულია. საინტერესო სიუჟეტია წარმოდგენილი დაღესტანში აღმოჩენილ მასალებზე, სადაც სიცოცხლის ხის ერთ სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოსახული.

ინგუშეთში აღმოჩენილი თიხის ფილის შესახებ საუბრობს გიორგი ჩიტაია თავის სტატიაში „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში“ [10: 312-313], რომელიც დაიბეჭდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბეში 1941 წელს. ფილა აღმოჩენილი იქნა ტულჩინსკის [14: 9] მიერ 1901 წელს ინგუშეთში მდებარე ტყობა-იერდის ტაძრის სამეცნიერო შესწავლისას [13: 58].

თიხის ფილა ზომით 10X12 სმ-ია, ფილაზე გამოსახულია ტოტებგაშლილი ხე ნაყოფითურთ და მის გვერდებზე წერილფეხა ცხოველები, ერთი - ერთ მხარეს და მეორე - მეორე მხარეს. მათ ფეხებს შორის ასომთავრული ასოები - Ⴆჟ თუ Ⴆღ და Ⴆჟ-Ⴆჟ. ხის ქვემოთ გავლებულია ორი ჰორიზონტალური ხაზი მინის ზედაპირის აღსანიშნავად, ხოლო მათ ქვემოთ ციკიკავა ამოკვეთილი. რაც წყალს უნდა აღნიშნავდეს. [10: 313]

სამწუხაროდ, სიცოცხლის ხის ეს კომპოზიცია დღეისთვის დაკარგულად ითვლება, რადგან მის შესახებ აღარ გვხვდება არანაირი ინფორმაცია. შემდეგი დროის გამოკვლევებში მასზე არაფერს საუბრობს გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც აღწერა ტაძარი 1940-იან წლებში და არც შემდეგი დროის კვლევებში ვხვდებით მის შესახებ ინფორმაციას. ფილის შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი 70-იან წლებში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებისას.

ტყობა-ერდის რელიეფს ჩვენ წარმოგვიდგენთ როგორც ქრისტიანული ხელოვნების, ისე ქართული და ზოგადად კავკასიური ხელოვნების კონტექსტში, წარმოვაჩინეთ მის მხატვრულ თავისებურებებს და მნიშვნელობას.

ჩვენს სტატიაში თიხის ფილას განვიხილავთ რამოდენიმე კუთხით, პირველი - ფილაზე წარმოდგენილი სიცოცხლის ხის ორნამენტი და მისი მნიშვნელობა, მეორე - ცხოველები და მათი სიმბოლური მნიშვნელობა და მესამე ასომთავრული წარწერები.

ხე - უძველესი სიმბოლოა, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ცივილიზაციაში არსებობდა. ეს სიმბოლო სამყაროს, ცხოვრების კანონებსა და ადამიანს ამთლიანებს და კოსმოსს ცოცხალ ორგანიზმად წარმოგვისახავს („ასტრალური მსოფლიო ხე“). პლინიუს უფროსი თავის „ბუნების ისტორიაში“ ამტკიცებდა, რომ სწორედ ხეები იყვნენ ის პირველი ღვთაებანი, რომელთაც ადამიანი ეთაყვანებოდა. ბიბლიაში ეს ასტრალური ხე ორი ფორმითაა წარმოდგენილი: როგორც „ხე ცხოვრებისა“ და „ხე ცნობადისა“ (არ არის ცნობილი მათი ჯიშები).

სიცოცხლის ხე, მცენარეთა სიმბოლიკის კოლორიტული სახე, ცნობილია უძველესი დროიდან. შუმერების წარმოდგენით ამგვარი ხე მთაზეა, ქვეყნიერებას ფარავს, ღრმა ფესვები აქვს. სკანდინავიის ხალხებში ასეთი ხეა იფანი, შუმერებში - ფიჭვი, ინდოეთში - ლეღვის ხე, ასევე მუსლიმანებში, რასაც „ყურანში“ მისი სისტემური მოხსენიებაც ადასტურებს. მუსლიმანებს ჰყვარებიათ კვიპაროსიც. ბერძნები თაყვანს სცემდნენ ზეთისხილს, აკაციას, პალმას, საქართველოში - ალვას, ვაზს, მუხას, რცხილას, ბზას, კედარს.

VI საუკუნის ბიზანტიელი პროკოპი კესარიელის ცნობით, კავკასიაში ხეტყეები ღმერთებად ირაცხებოდნენ. ფრანგი დიუბუა დემონსპერე 1831 წელს წერდა: კავკასიის ტომნი მუდამ ეტანებოდნენ დრუიზმს, ანუ მცენარეთა და ტყის თაყვანისცემას.[3: 116-117]

ბიბლიაში ხე ორი ფორმითაა წარმოდგენილი: როგორც „ხე ცხოვრებისა“ და „ხე ცნობადისა“. ბიბლიური ცხოვრების ხე, როგორც სიმბოლო, გამოსახულია შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში. მას უკავშირდება იესიან-დავითიან ბაგრატიონების წარმოშობა. ამ დინასტიის მეფენი არიან „მორჩნი“, ანუ რტონი, ამ ცხოვრების ხისა. ქართველი მეფეების სიგელებზე გვხვდება წარწერა „დავითის მორჩნი“, ხოლო გერბებზე დავითის ქნარი და შურდული, ხე ცხოვრებისა, რომლის ძირი იესო ქრისტეს უჭირავს და რომლის შტოებიც იესიან-დავითიანი ბაგრატიონ მეფეებია გამოსახული.[1: 113-114].

ფოტოს მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია გ. ჩიტაიას სტატიაში, შესაძლებელია ხე გავაიგოვოთ ალვის ხესთან, რომლის კულტიც დასტურდე-

ბა საქართველოში. ფოტოზე გამოსახული ხე დგას ცენტრში, რომელსაც აქვს მაღალი ტანი, ხის ზედა ნაწილზე ჩანს დაშვებული ტოტები. თავად ხე უნდა წარმოადგენდეს სიმბოლურად ორი სამყაროს მიწიერი და ციური სამყაროს გაერთიანებას, ხის ქვედა ნაწილი უფრო განიერია, რაც მიუთითებს მის მტკიცედ დგომასა და მიწაში გადგმულ ფესვებს, ხოლო მისი ზე ატყორცნილი ფორმა კი გვიჩვენებს კავშირს მიწასა და ცას შორის.

საქართველოში და მის მეზობელ ხალხთა შორის მეტად გავრცელებული ყოფილა ხის კულტი. მის შესახებ არსებობს როგორც წერილობითი ცნობები ძველ საისტორიო მწერლობაში, ისე ზეპირი - ხალხურ გადმოცემებში. ანტიოქიის მსოფლიო კრების ძეგლის-წერის ქართული თარგმანის ბოლოში არის მინაწერი, რომელიც გადმოგვცემს, რომ სომხითსა და ქართლში მრავალ წარმართულ ღვთაებათა გარდა, ხეებსაც ემსახურებოდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მრავალი ხე, ხეწარი და ტყე წმინდად არის მიჩნეული და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს. მთებში სამლოცველო-ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი - იქედან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება [6: 167-168]. ამდენად, ხის თაყვანისცემა საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ ხის კულტი უფრო მეტად განმტკიცდა და გაძლიერდა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ორნამენტსა და ზეპირსიტყვიერებაში დაცული მასალის მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ხის კულტი, სიცოცხლის ხის მცნება-თაყვანისცემა ძლიერი იყო საქართველოში, როგორც ვთქვით სხვადასხვა ხეს სცემდნენ თაყვანს, მათ შორის კი გამორჩეულია ალვა და ვაზი. საინტერესოა ალვის ხის სიმბოლიკა ქართულ ხელოვნებაში. მკვლევართა დაკვირვებით, ალვისხე ადრე რქმეფია კვიპაროსს და არა იმ ხეს, რომელსაც ამჟამად უწოდებენ. გარეგანი ნიშნების (სიმაღლე, მაღალაყრილი ტოტები) და თვისებების (მისგან ღებულობენ ადვილად სანვავ სურნელოვან ზეთს) გამო - იგი, როგორც წმინდა ცეცხლის ემბლემა, საქართველოში ძველთაგანვე უნდა შემოეტანათ. კვიპაროსს - ალვის ხეს რგავენ საფლავზე და სამლოცველოებთან. ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძის გამოკვლევით დასტურდება საქართველოში ალვისხის კულტი [11: 145-146]. ამ კულტმა გამოხატულება ჰპოვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დროშის სახელწოდებაშიც - ალვა, ალვის ხე, ალვის ტანი. დროშის გადასვენებისას სრულდება საფერხულო, რომელშიც ალვის ხე იხსენიება[1: 115].

ალვისხის კულტი ჩანს „წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც“, სადაც მოთხრობილია - „ვითარცა ნათელ ილეს მეფემან, და დედოფალმან, და შვილთა მათთა, და ყოველმან ყრმამან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ზედა ბორცუსა შეუვალსა და იყო ხე იგი შუენიერი ფრიად და სულნელი და ესე საკვირველება იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარ-ცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკვდილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის“. და „წარვიდეს რევ, ძე მეფისა და ეპისკოპოსი, და სიმრავლე ერისა და მოჰკვეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოითურთ თვისით, და მოაქუნდა ათასა ათეულსა კაცსა ზე-



სიცოცხლის ხე - ტყობა ერდი

ზე რტოითურთ და ფურცლითურთ შემოუაქუნდა ქალაქად და შემოკრბა ერი ხილვად მწუანისა ფერობასა მას და ფურცლიანობასა, ჟამსა ზამთრისასა ოდეს სხუა ყოველი ხე ხმელ იყო, ხოლო ესე ფურცელდაუცვენელი, სულ ამო და სახილველად შუენიერი და ძირსა ზედა აღმართეს ხე იგი კარსა ზედა ეკლესიისასა, სამხრით, სადა ბერვიდა ნელი ნიავი და შლიდა ფურცელთა მის ხისათა და ძვრიდა რტოთა მისთა. და იყო ხილვა მის შუენიერ, ვითარცა სმენით, ხისა მის ალვისა“. [5: 119-120]

ქართულ სასულიერო მწერლობაში ალვა გულისხმობს ბიბლიურ ედემის ხეს. ხე, რომელიც ალვად მოიხსენიება მშვენიერი და სურნელოვანია და ასევე ისხამს ნაყოფს. „საკვირველება იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელი მოვიდოდის და ჭამის ფურცელი მისი და გინდა თესლი მისი, განერის სიკუდილისაგან“ [7: 141].

სიცოცხლის ხის ემბლემათა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მთიელთა დროშები, რომელთაც უაღრესად დიდი საკრალური მნიშვნელობა უკანასკნელ ხანამდე შემოინახეს.

მთიელთა სალოცავებში დროშა მთავარ საკულტო შენობაში, „დარბაზში“ ან „ბელელში“ იყო დასვენებული. ჯვართან სალაპარაკო სპეციალური ტერმინოლოგიით, დროშას „ალვის ტანი“ ეწოდებოდა, რაც მიუთითებს ამ საგნის კავშირზე ღვთაებათა კარზე ამოსულ, ღვთაებათა საბრძანის მითურ ხესთან, ხოლო მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით, დროშა სიმბოლოურად წარმოადგენს ხის, ცისა და ასტრალური სამყაროს ურთიერთობას [8: 157-158].

ამდენად, ალვის ხის სიმბოლო არ არის უცხო ქართული სინამდვილისთვის, ქრისტიანობამ ძველი რწმენა-წარმოდგენით ეს ხე ვაზთან ერთად აქცია საჯვარე ხედ. აგრეთვე საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს პარალელურად, ხის სიმბოლო გავრცელებული იყო მთელს კავკასიაში და მათ შორის ინგუშეთში არსებულ ქრისტიანულ ძეგლებზე, სადაც იგრძნობა ქართული, ქრისტიანული კულტურის გავლენა.

თიხის ფილის შემდეგი ეპიზოდი არის ცხოველების გამოსახულება, რომელიც ჩანს სიცოცხლის ხის ორივე მხარეს. ორივე ცხოველი მყარად დგას მიწაზე და ორივე მათგანს აქვს რქები, რომელთაც აგრეთვე საკრალური მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულ ხალხურ პოეზიაში, აგრეთვე ქრისტიანულ სამყაროში. ჩვენი აზრით, აღნიშნული ცხოველები უნდა იყოს ან ჯიხვის ან ირმის გამოსახულებები. ქართულ ფოლკლორში ირემი და ჯიხვი ხშირად გვევლინებიან ზებუნებრივი ძალის მატარებელ და ღვთაების სამყაროსთან დაკავშირებულ არსებებად.

ირემი საქართველოს უძველესი მოსახლეობის რწმენებსა და რიტუალებში უკვე ენეოლითის ხანიდან ჩანს. ირმისა და ჯიხვის გამოსახულებანი განსაკუთრებით ბევრია კავკასიის ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, სადაც ეს ცხოველები წარმოდგენილი არიან რაიმე კომპოზიციაში ან ინდივიდუალური ფიგურის სახით [8: 90].

ჩვენთვის საინტერესოა ფოლკლორში ირემთან და ირმის რქასთან დაკავშირებული შეხედულებები. აქ იგი ენაცვლება სიცოცხლის ხეს, მისი საშუალებით ცაზე შეიძლება ასვლა. რქა საგანგებოდ შესაწირავ, ღვთაებისათვის განსაკუთრებით სასურველ საგნად ითვლებოდა. ქართველთა სალოცავში ირმისა და ჯიხვის უამრავი რქა იყო დაცული. რქას ამაგრებდნენ დედაბოძზე [8: 108]. ამრიგად, ტყობა-იერდის ტაძართან აღმოჩენილ თიხის ფილაზე ჩვენ გვაქვს ორი სიმბოლო, ერთი სიცოცხლის ხე და მეორე, ირემი ან ჯიხვი. ამჯერად, ორივე სიმბოლო ერთდროულად არის გამოსახული.

სიცოცხლის ხის და ირმის ერთდროული გამოსახვა გვხვდება სვანეთში, ლიფანალის მხატვრობაში, სადაც წარმოდგენილია სიუჟეტი „თხები ჭამენ ფიჭვს“. მცენარის ორივე მხარეს გამოსახულია უკანა ფეხებზე შემართული ცხოველები, რომლებიც ტოტებს ეტანებიან [2: 45].

საქართველოში „ხისკენ მიმართული ცხოველები“ ორ ეპიზოდში გვხვდება, ერთი ოშკის რელიეფზე, ხოლო მეორე თიანეთის სიონზე. თიანეთის სიონის ზოომორფული რელიეფის კომპოზიცია, დაზიანების მიუხედავად, საკმაოდ კარგად იკითხება, ნათელია. იგი შედგება ერთი – მთავარი ფრიზისაგან, რომელიც ზემოდან განიერ ნაწილში ორნამენტული თაროთია დასრულებული. ფრიზის ცენტრი უჭირავს ხშირტოტებდაშვებულ დიდ ხეს, რომელსაც აქეთ-იქით ორი ცხოველია მიმართული. ამათგან მარცხენა, რქების მოყვანილობით ჯიხვს ან არჩვს მოგვაგონებს, მარჯვენა - შველს. ორივე ცხოველი მოძრაობს, დრუნჩი მიტანილი აქვთ ხესთან და მის ტოტებს კვნიტენ. სიბრტყის მარცხენა კუთხეში მოზრდილი ფრინველია გამოსახული, შესაძლოა ფარშევანგი, თითქოს ხისკენ მიემართება. სიბრტყის თავისუფალი არეები - ფრინველის ქვემოთ, შველის ზურგთან და ფეხებთან შევსებულია მცირე ფოთლოვანი მცენარეებით [4: 35].

ქართულ ხალხურ წარმოდგენებში ხესთან და ცხოველის რქებთან მჭიდრო კავშირში არიან ქრისტიანული წმინდანებიც. ასეთია, მაგალითად, ლეგენდა




ოშკისა და სიონის რელიეფები



სიცოცხლის ხე თევზის სიმბოლიკით - დაღესტანი

მდგომ ხარს რქებზე დაესვენა. შეშინებულმა ლეკებმა ხატი ხარის რქებზე დაამაგრეს და ხარი გაუშვეს. იგი, დიდი ხნის სიარულის შემდეგ, რკონის ნმ. გიორგის ცაცხვის მიადგა, ხატი გადმოეშვა ხარის რქებიდან და ცაცხვის ტოტებზე დაესვენა [15: 63].

აღნიშნული ლეგენდის მიხედვით ხარის რქები და სიცოცხლის ხე იდენტური მნიშვნელობის მქონე საკრალური ობიექტებია, რადგანაც ერთიცა და მეორეც ქრისტიანულ წმინდანათვის სასურველი საბრძანისია [8: 161-162]. ნათელია, რომ ლეგენდების მინიერი ადგილი არის საკულტო ხე, რომელიც



თხები ჭამენ ფიჭვს

თავისთავად კულტის ობიექტია ან საკულტო ნაგებობებთან - ტაძრებთან დგას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიცოცხლის ხესთან მდგომი ცხოველები, ქრისტიანული ხელოვნების სიმბოლური კომპოზიციაა ადრექრისტიანული ხანიდან და ის გვხვდება, როგორც საქართველოში, ასევე, საქრისტიანოს არაერთ რეგიონში. მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული ნიმუშები

მოიპოვება დაღესტნის ძეგლებზე, ეგრეთწოდებულ დაღესტნურ-ალბანურ ობიექტებზე. ერთ-ერთ ასეთი ძეგლის სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოსახული [12: 41]. ეს ძეგლი ყუბაჩშია აღმოჩენილი და ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტის მეტად ორიგინალურ სახეს შეიცავს [10: 314].

სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმბოლოა მოცემული. [10: 314] ართველ ტომებში თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა, მრავალი წესჩვეულებით დასტურდება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში თევზი სიცოცხლის ხის ანალოგია და წარმოადგენს ქრისტიანულ სიმბოლოს. საქართველოში

სხვადასხვა ორნამენტში თევზს ხშირად გამოსახავდნენ. თევზის გამოსახულება გვხვდება კატაკომბებში, ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ძველად, ახლადგაქრისტიანებული ადამიანი, თევზის სიმბოლოთი ანიშნებდა ქრისტიანებს, რომ ისიც მათი რელიგიის მიმდევარი იყო.

საინტერესოა აგრეთვე ფილის კიდევ ერთი ნაწილი, სადაც ქართული ასომთავრული ასოებია ამოტვიფრული **ႏႏ** თუ **ႏႏ** და **ႏႏ** - ფ ან ეო და ორენ. ნარწერის წაკითხვა დღევანდელი მდგომარეობით თითქმის შეუძლებელია, რამოდენიმე მიზეზის გამო - 1. არტეფაქტი დაკარგულია და ჩვენ მსჯელობა მხოლოდ ფოტოს მიხედვით შეგვიძლია და 2. ნარწერა, როგორც ჩანს, არასრული სახით არის წარმოდგენილი, რაც დასკვნების გაკეთებას შესაძლებლობას გვირთულებს. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა არ დასრულებულა და სამომავლოდ ისევ გაგრძელდება.

პალეოგრაფიაში, დანიშნულებისდა მიხედვით, გამოყოფილია სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დამწერლობიდან ერთ-ერთი, ეპიგრაფიკული, იხმარებოდა ქვაზე, ლითონზე და სხვა მასალაზე, ასოთა ამოჭრა-ამოკვეთის, გამოქანდაკებისა თუ ქედვის დროს. როგორც ბატონი გივი ლამბაშიძე აღნიშნავს, თავის გამოკვლევაში „კერამიკაზე არსებული ნარწერები ეპიგრაფიკის ერთ-ერთ სახეობად - კერამიკულ დამწერლობად შეიძლება გამოიყოს“ [9: 89].

კერამიკული დამწერლობისთვის დამახასიათებელია ნედლ თიხაზე ამოღარვით ნარწერის შესრულება და იშვიათად, გამონვის შემდეგ, თიხაზე ასოთა ამოკანვრა. სამშენებლო კერამიკული დამწერლობის ძეგლები, ეკლესიათა სამშენებლო ლაპიდარული ნარწერების მსგავსად, ნაგებობათა ორგანული კომპონენტებია, მათი აშენებისა თუ აღდგენა-განახლების დროინდელია და, შესაბამისად, საკუთრივ დამწერლობითი ძეგლის მნიშვნელობასთან ერთად, საყურადღებოა იმ ძეგლთა ისტორიის გასაშუქებლად, საიდანაც მომდინარეობენ [9: 90].

რაც შეეხება ჩვენს მიერ განხილული თიხის ფილის დათარიღებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გვაქვს ჩვენი ვარაუდები, გამომდინარე იქედან, რომ ფილა აღმოჩენილია ტყობა-ერდის ტაძრის ეზოში ეს საკითხი ერთგვარად ამცირებს დათარიღების არეალს. ჩვენ გვაქვს რიგი მასალები ტყობა-ერდის ტაძრის დათარიღებებთან დაკავშირებით, მათ შორის ყველაზე საფუძვლიანი დათარიღება მოგვცა ბატონმა გივი ლამბაშიძემ [9: 91], რომელიც საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ ტყობა-ერდის ტაძრის მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი განახლება მოხდა X საუკუნის ბოლოს და ამას ამყარებს მის მიერ აღმოჩენილი თიხის ფილები ქართული ასომთავრული ნარწერებით, სადაც მოხსენიებული არიან ქართველი სასულიერო პირები. აგრეთვე ტყობა-ერდის ტაძარზე გვაქვს XI საუკუნის ასომთავრული ნარწერა, სადაც მოხსენიებული საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მელქისედეკი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია თიხის ფილა პირობითად დავათარილოთ X-XI საუკუნეებით, თუმცა უფრო X საუკუნის ბოლო პერიოდით, რადგანაც აღმოჩენილი ასომთავრულ ნარწერიანი თიხის ფილების უმრავლესობა სწორედ X საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

ამრიგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატია ტყობა-ერდის ტაძრის სი-
ცოცხლის ხის არტიფაქტის შესახებ წარმოადგენს სიახლეს ტაძრის შესწავ-
ლის ისტორიასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, სხვადასხვა დროს ტყობა-
ერდის ქრისტიანული ტაძრის შესახებ არაერთი სტატია გამოქვეყნებულა.
ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ ქრისტიანული ტაძრის კიდევ ერთი
საინტერესო დეტალი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დასტურ-
დება - რამდენად დიდი იყო საქართველოს გავლენა ტაძრის მშენებლობასთან
დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის გარშემო კვლევა ისევ გრძელდება და
სამომავლოდ ქართულ საზოგადოებას კიდევ უფრო საინტერესო სიახლეები
გველოდება ნინ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი გ., ცხოვრების ხის სიმბოლური სახეები ქართულ ფოლკლორსა და
ძველ მწერლობაში, რელიგია N10-11-12, თბილისი, 1995.
2. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშე-
ბი, თბ., 1953.
3. ბეჭირიშვილი ი., ნიაღვრეები აჭარის წარსულში, ბათუმი, 2003.
4. გოდერძიშვილი ნ., ნადირობის სცენა ოშკის ტაძრის რელიეფზე - მნიშვნელობა
და სიმბოლიკა, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი, 2012.
5. ლეონტი მროველი, „ნინოს ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხიშვილის
რედაქციით, თბილისი, 1965.
6. ლომია ვ., ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე,
ტ. III, თბილისი, 1926.
7. მოსია ბ., სიციცხლის ხეთა სიმბოლიკისათვის (ალვა და ვაზი), კრებული - ლიტ-
ერატურული მედიტაციების სამყაროში, თბილისი, 2001.
8. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986.
9. ლამბაშიძე გ., „არსენი მ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობა-მერდას
(ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგი-
ური ძეგლები, VI, თბილისი, 1998.
10. ჩიტაია გ., სიციცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, აკად. ნ. მარის სახ-
ელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე,
ტ. X, თბილისი, 1941.
11. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое
искусство грузинских племен, 1957.
12. Башкиров А. С. Искусство Дагестана, М. 1931.
13. Семенов Л., Археологические и этнографические разыскания в ингушии в 1928-
1929 г.г. Известия Ингушского Научно-Исследовательского Института Краеведения,
II-III, 1930.
14. Терския Ведомости, 1901, N18.
15. Шатберов М., Несколько грузинских легенд и сказаний, СМОМПК, вип XXIV.

TORNIKE DIASAMIDZE

THE LOST ARTIFACT OF “THE TREE OF LIFE” FROM THE TEMPLE OF TKHABA-YERDY IN INGUSHETIA AND ITS CONNECTION WITH GEORGIAN MIDDLE-AGES ART

Summary

On the territory of North Caucasus, in particular, Dagestan, Ingushetia, North Ossetia, Balkaria and elsewhere, there are many monuments of Christian architecture, that are strongly connected with Georgian Christian architecture. Caucasian relations have been crossing and developing for centuries, these relationships were expressed in different ways, including architectural, linguistic, ethnographic or ethnological point of view. The work presented by us is about compositions of “tree of life” that are discovered on the territory of North Caucasus, in particular, Ingushetia and Dagestan.

The temple of Tkhaba-Yerdy, that is located in Ingushetia, gives us opportunity to talk about the existence of a Georgian trace in the North Caucasus. Russian researcher Tulcinsky found a small clay tile (size 10x12 cm) during the scientific study of the Tkhaba-Yerdy temple, in 1901.

There is a bunch-expanded tree with fruit on the tile and deer that is on one side and the other one on the other side of the tree. It's important that there are Georgian Asomtavruli letters between animals' feet - ႦႦ or ႦႦ and ႦႦႦႦ.

It is known that the “image”, animals standing near “the tree of life”, is the symbolic composition of Christian art that is from early Christian times and it is discovered in a number of Christian regions. It is important that individual specimens are available on Dagestan monuments, so called Dagestan-Albanian objects, there is depicted fish instead of tree on one of these Dagestan-Albanian monuments. We talk about Tkhaba-Yerdy relief as Christian as well as Georgian and generally Caucasian art. we reflect its artistic peculiarities and significance.

Unfortunately, this composition “the tree of life” is considered to be missing for now, as there is no information about it in the new period of investigation, Giorgi Chubinashvili, who has described the temple in the 1940s and in the subsequent surveys, does not mention anything about “tree of life”. There is nothing mentioned about relief, in the restoration work of the temple, in the 70s. as well.

In conclusion, the composition is quite interesting and we can only speak about it according to the 1902 year catalog.

Т. Р. ДИАСАМИДЗЕ

**ПОТЕРЯННАЯ АРТЕФАКТ ДРЕВА ЖИЗНИ ИЗ
ИНГУШЕТСКОГО ХРАМА - ТХАБА-ЕРДЫ И ЕГО СВЯЗЬ С
СРЕДНЕВЕКОВЫМ ГРУЗИНСКИМ ИСКУССТВОМ**

Резюме

На территории северного Кавказа, в частности в Дагестане, в Ингушетии, в Северной Осетии, в Балкарии и так далее зафиксированы несколько памятников христианской архитектуры, у которых есть связь с Грузинской христианской архитектурой. Эти связи были выражены по-разному, включая архитектурные, лингвистические, этнографические или этнологические точки зрения. Представленная нами работа касается композиций древа жизни, которые были обнаружены на территории Северного Кавказа, в частности Дагестана и Ингушетии.

Храм Тхаба-Ерды, который расположен в Ингушетии, дает нам возможность предполагать о существовании грузинского следа на северном Кавказе. В 1901 году во время научного исследования Храма Тхаба-Ерды Тульчинский нашел небольшую глиняную черепицу (размер 10X12 см). На черепице изображено развесистое дерево с плодами, у которого по бокам мелкий скот, один с одной стороны и второй со второй. Между их ногами старое грузинские буквы.

Известно, что указанный сюжет - животные, стоящие возле древа жизни, символическая композиция христианского искусства с ранних христианских времен и ее встречаем в разных регионах христианского мира. Среди них также характерно и для грузинского искусства. Важно, что отдельные образцы найдены на памятниках Дагестана, на так называемых дагестанско-албанских объектах. На одном из таких сюжетов вместо дерева изображена рыба. Рельеф Тхаба-Ерды мы обсуждаем как в контексте христианского искусства, а также грузинского и вообще кавказского. Показываем его художественные особенности и значимость.

К сожалению, эта композиция древа на сегодня считается потерянным. Потому что в исследованиях следующего времени мы не встречаем никакой информации, о нем ничего не говорит акад. Георгий Чубинашвили, который описал храм в 1940-их годах, информации нет и в следующих исследованиях. Также ничего не говорится о рельефе, в реставрационных исследованиях 70-их годов. Таким образом, указанная композиция очень интересна и разговор о ней можно вести только с помощью каталога 1902 года.

რუსუდან ლაბაძე

შუა საუკუნეების დროის კონცეფტი ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ისტორიოგრაფიაში (IV-XI სს.)

შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევას ისტორიული დროის ორიგინალური კონცეფცია წარმოადგენს. თხრობის ქრონოლოგიური ორგანიზაციის პრინციპი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფაქტების თანამიმდევრული განთავსება დროში, წყალგამყოფად იქცა შუა საუკუნეებისა და ანტიკურ ისტორიოგრაფიებს შორის. ქრისტიანული ისტორიული შემეცნების პარადიგმა, რომელიც საეკლესიო კულტურის ნიაღში შეიქმნა, ორ ძირითად იდეას ემყარებოდა – ღვთიურ განგებას და ისტორიული დროის ხაზოვან განვითარებას. ანტიკური ისტორიოგრაფია კონკრეტული პოლიტიკური საზოგადოების ისტორიას გეთავაზობდა, რომლის არსებობის დრო ისტორიის დროსაც წარმოადგენდა. ეს იყო წყვეტილი, ავტონომიური პერიოდები, რადგან ერთი პოლიტიკური საზოგადოების დრო კორელაციაში არ მოდიოდა მეორის დროსთან.

შუა საუკუნეებში დროის აღქმის პრობლემას დიდი ხანია სწავლობენ. ვერცერთი თანამედროვე სრულყოფილი გამოკვლევა გვერდს ვერ აუვლის ამ საკითხს. ამ გამოკვლევათა უმრავლესობა ფრანგული "ანალების" სკოლის ისტორიკოსთა შრომებით არის შთაგონებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. ბროდელის [1: 725-753], ჟ. ლე გოფის და სხვათა ნაშრომები ისტორიული დროის პრობლემატიკის შესახებ.

ისტორიული დროის ახალი კონცეფციები ჟ. ლე გოფმა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებს მიუსადაგა, რომელიც, მისი თქმით, ამ ახალი ცნებების გამოსაყენებლად ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი. ამ შემთხვევაში მეცნიერი შუა საუკუნეების ტრადიციული, ჰუმანისტების მიერ დამკვიდრებული განსაზღვრით (V-XV სს.) შემოიფარგლა, მიუხედავად ადრე შემოთავაზებული თამამი ინტერპრეტაციისა ხანგრძლივი შუა საუკუნეების შესახებ, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ისტორიის ეს პერიოდი რომაული სამყაროს კრიზისიდან (II-III სს.) XIX ს-ის სამრეწველო რევოლუციამდე გრძელდებოდა [2 : 433].

ჩვენს კვლევასთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ დროის ახალი კონცეფციები, რომლებიც უკ ლე გოფმა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებს მიუსადაგა. დასავლეთის ტრადიციულ შუა საუკუნეებში მან ოთხი დრო გამოყო, რომელიც ცვლილებათა ოთხ ჯგუფს შეესაბამება [3: 407]. ლე გო-

ფისიკული პერიოდიზაციის პირველი დრო – ქრისტიანული, იგივე ეკლესიის დრო IV-VIII საუკუნეებს მოიცავს, რომელიც ახალი რელიგიის დამკვიდრებით აღინიშნა. ქრისტიანობამ ყველაფერი დაიპყრო: კულტურისა და იდეოლოგიის ყველა სფერო, სოციო-ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური ინსტიტუტები, ფასეულობები [3: 408]. ეკლესიის უპირატესობა დროზეც გავრცელდა. ეს არის პირველი დამახასიათებელი ნიშანი შუა საუკუნეების დროისა – ის დაქვემდებარებულია ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიისადმი.

ჩვენი კვლევის ჩარჩოებში ლე გოფისეული მეორე, ფეოდალური დროც (VII-XI სს.) ჯდება, რომელიც კიდევ უფრო მეტად არის ეკლესიის დრო [3: 411]. ეკლესიის მონოპოლია დროზე, ზოგადად, შუა საუკუნეების უნივერსალური მოვლენაა და ისევე ვრცელდება დასავლურ ქრისტიანობაზე, როგორც აღმოსავლურზე. ამდენად, ვერც ქართული საეკლესიო და ისტორიული მწერლობა იქნება გამონაკლისი.

მართლაც, ამ პერიოდის (IV-XI სს-ის) ქართული ჰაგიოგრაფია აღბეჭდილია ეკლესიის დროით, რომელიც მხოლოდ ერთ, საეკლესიო კალენდარს ცნობს და, რომელიც ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი. ჰაგიოგრაფიული ქმნილების ქარგა აგებულია წმინდანის ან მარტვილის ცხოვრების გარშემო, რომელიც საზოგადოების მაგალითია ან ასეთად უნდა იქცეს. ამ ცხოვრების თუ მარტვილობის ყოველი დღე, ნუთი თუ წამი ეკლესიის კუთვნილებაა და შესაბამისად დღე გამოიხატება დღესასწაულებით, რომელიმე წმინდანის ხსენების დღეებით. ამდენად, გვაქვს აღვსების დღე, მარტვილია, ივანობის დღე, ბზობის დღე, პირმარხვის შვიდეული (დიდმარხვის დასაწყისი) და სხვ. დროის გაზომვის უფრო მცირე ერთეულია საეკლესიო მსახურების მიხედვით დაყოფილი დროის აღმნიშვნელი "ჟამი", რომელიც უნივერსალური ტერმინია და თანაბრად გამოხატავს ჰაგიოგრაფიის საეკლესიო დროსა და ისტორიოგრაფიის დროს. ასე მაგალითად, "ჟამი მწუხრისაჲ", "ჟამი ცისკრისა", "მეექვსე ჟამი" დ. ა. შ. თუმცა, ლიტურგიკული განრიგის გარდა, ჰაგიოგრაფიაში საკვების მიღებასთან დაკავშირებული დროის მონაკვეთებიც გვხვდება, მაგალითად, "სერი" (ვახშამი), "სერობა", ან თუნდაც უფრო ზოგადი "ჟამი პურისაჲ".

რომაელებს, როგორც ცნობილია, ისტორიული, ხაზოვანი დრო ჰქონდათ, რომლის სათავე რომის დაარსების ლეგენდარული თარიღი იყო. ქრისტიანებმა, თავის მხრივ, დასაბამის ორგვარი დათარიღება მიიღეს: სამყაროს შექმნის თვითნებურად დადგენილი თარიღი და მიახლოებით გამოთვლილი ქრისტეს ინკარნაციის წელი. მაგრამ რომაელებისაგან განსხვავებით, ქრისტიანებმა დროს დასასრული დაუდეს, ანუ ღმერთმა თავის შექმნილ სამყაროს ზღვარი დაუდგინა, როცა ქრისტეს მსგავსად ყოველი კაცის სხეული მკვდრეთით აღსდგება და ადამიანები მარადისობაში შევლენ. ამ პერიოდთა ერთობლიობა, რომელიც სამყაროს დასასრულს წინ უძღვის, განსაკუთრებულ დროს, "ბოლო ჟამს", ანუ ესქატოლოგიურ დროს ქმნის, რომელიც საეკლესიო

სიო დროის განუყოფელი ნაწილია და მას კარგად იცნობს, როგორც საისტორიო მწერლობა, ისე ჰაგიოგრაფია¹.

შუა საუკუნეებში ესქატოლოგიურმა თემატიკამ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. ყოველივე ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ისტორიული კატაკლიზმებით, ეპიდემიებით, სტიქიური უბედურებებით და სხვა მოვლენებით გამონეული უიმედო განწყობილებები შუა საუკუნეების საზოგადოების ემოციურ დაძაბულობას განსაზღვრავდა. ბოლო ჟამისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინი იმდენად ხელშესახები იყო, რომ საეკლესიო პასქალიები აღდგომასა და სხვა მოძრავ საუფლო დღესასწაულებს სამყაროს შექმნიდან 7 ათასი წლის შემდეგ აღარ ანგარიშობდნენ. ამ დრომდე მიჰყავდა ჟამთა აღრიცხვა ყველაზე ვრცელ ბერძნულ პასქალიას, რომელიც X-XV სს-ის პერიოდზე იყო გათვლილი [5: 31]. საეკლესიო ლიტურატურაში ფეხმოკიდებული და გაჯერებული აზრების გავლენით, ერთნი, შვიდი ათასი წლის შესრულებითანავე მოელოდნენ ქვეყნის აღსასრულს, მეორენი კი, ამ კატაკლიზმასა და კონსტანტინოპოლის დაცემას შორის ლოგიკურ კავშირს ჭვრეტდნენ. მართლაც, კონსტანტინოპოლის დაცემა სწორედ იმავე ათასწლეულში მოხდა, როცა ქვეყნის აღსასრულს ელოდნენ. მაგრამ ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის მამამდიანთაგან აღებამ ბოლო ჟამის თარიღს რამდენიმე წლით დაასწრო. როგორც ცნობილია, ბერძნები ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5508 ითვლიდნენ. ასე რომ, მათი გამოანგარიშებით ქვეყნის დასასრული 1492 წელს იყო მოსალოდნელი, 39 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის დაცემიდან.

ბიზანტიის მსგავსად რუსეთშიც 1492 წელს სრულდებოდა 7 ათასი წელი სამყაროს გაჩენიდან. ბიზანტიური საეკლესიო ლიტურატურით ნასაზრდოები საზოგადოება ძრწოლით ელოდა ესქატოლოგიური დრამის გათამაშებას, რუსული პასქალიონიც მეშვიდე ათასწლეულის ზღვარს აღარ სცილდებოდა. სამყაროს დასასრულის მოახლოების რწმენა რუსულ სიტყვიერებაშიც განმტკიცდა. აბრაამ სმოლენსკელის „სიტყვა ზეციურ ძალთა შესახებ“ კაცობრიობის ამქვეყნიურ ცხოვრებას 7 ათასი წლით განსაზღვრავს². ყველაზე მძაფრად ეს იდეა რუსეთის მიტროპოლიტის, ფოტიუსის (1410-1431) შემოქმედებაში გამჟღავნდა. ფოტიუსი თავის ქადაგებებში ქვეყნის აღსასრულისა და მეორედ მოსვლის ამბებს შთამბეჭქდავად ხატავდა. იგი მე-15 საუკუნეს ბოლო ჟამს უწოდებდა და მომრავლებულ ჯადოქრებზე, მისნებზე, მოგვებზე,

1 „ესქატოლოგიური დრო“ ყველაზე მისაღები ტერმინია რუსული ტექსტების ანალიზის დროსაც. მაგრამ რუსულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში დროის კატეგორიის კვლევასა და ზოგიერთი მეცნიერი „ესქატოლოგიურ დროს“ მხოლოდ წმინდანის გარდაცვალების შემდეგ გამოყოფს, რადგან წმინდანის ცხოვრება სიკვდილის მოლოდინია, მანამდე კი იგი „ფიზიოლოგიურ დროს“ გადის. რაკი წმინდანი სიკვდილით მოპოოებს მარადიულ ცხოვრებას, ე.ი. უკვდავებას, ფიზიოლოგიური დრო სიკვდილის მომენტში დასრულდება და მას ესქატოლოგიური დრო გააგრძელებს ან ჩაანაცვლებს (Ю.А. Остальчук. Категория времени в агиографических текстах (на материале житийной литературы) // Наука и Версия ИДУ им. Гоголя. Филологический науки, 2010, с. 44-47). [4].

2 სერგი რადონეველის ცხოვრების (1319-1397) ავტორი, ეპიფანე ვენიშნაევა, რომ რუსული ეკლესიის ისეთი მნათობი, როგორც წმინდა სერგი იყო, ამაოდ არ გაბრწყინებულა სწორედ მე-7 ათასწლეულის მიწურულს.

ავაზაკებსა და მევახშეებზე მიუთითებდა. ხშირი გვაღვებები და ეპიდემიები კიდევ უფრო განამტკიცებდა აზრს მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ. ფოტიუსის მეხუთე ქადაგება მთლიანად განკითხვის დღეს ეთმობოდა, სადაც სახარებისეული სამსჯავროს მოხმობით მიტროპოლიტი ტაძარში შეკრებილი თანამედროვეების სულსა და გონს იპყრობდა [6: 177].

ფინალური კატაკლიზმისა და მისი შემდგომი განკითხვის რწმენა, კ. კეკელიძის ვარაუდით, ჩვენში ლიტერატურული გზით უნდა გავრცელებულიყო. ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა გარდა, ეს მოტივები ძირითადად თეოლოგიური ხასიათის თხზულებათა თარგმანების საშუალებით ხდებოდა მისაწვდომი. სამყაროს გაჩენიდან მეშვიდე ათასწლეულში ქვეყნის აღსასრულის შესახებ რწმენის განმტკიცებას კი მეცნიერი შემდეგ საღვთისმეტყველო ნაწარმოებებთან აკავშირებდა: გრიგოლ ნაზიანზელის (IV ს.) „თქმული დღისა მის-თჳს მერგასისა, რომელ არს მარტულია“, თარგმნილი XI საუკუნეში ჯერ ექვთიმე ათონელის, მეორედ კი ეფრემ მცირის მიერ; იოანე დამასკელის (VIII ს.) „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ (თავი მე-15 „საუკუნეთა-თჳს“), ასევე ეფრემ მცირის და არსენ ვაჩხისძის მიერ თარგმნილი; მიტროფანე სმირნელის (IX ს.) „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“, რომელიც იოანე ჭიჭიშქმელმა XII საუკუნეში თარგმნა; დაბოლოს, იმავე იოანე ჭიჭიშქმელის მიერ ნათარგმნი თეოფილაქტე ბულღარელის (XI ს.) „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ [7: 60].

ქართული ნელთალრიცხვა, როგორც ცნობილია, ბიზანტიისა და რუსეთისგან განსხვავებით დასაბამითგან 5604 წელს ითვლიდა. საქართველოში შესაბამისად 1396 წელს ($7000-5604=1396$) ელოდნენ ქვეყნის აღსასრულს. კ. კეკელიძე ამ თარიღზე მინიშნებას აბუსერიძე ტბელის ერთ ნაშრომში აფიქსირებს. ეს არის ვრცელი ასტრონომიული ტრაქტატი (სახელწოდებით „ქორონიკონი სრული მისითა საუნყებელითა და განგებითა“), სადაც ავტორი „ასურულ კენკლოს“, ანუ 532 წლიან „დიდ ინდიქტიონს“ განმარტავს. გარდა ამისა, ტრაქტატი ქართული და ბერძნული ნელთალრიცხვის და პასქალისტური სისტემის შეჯერება-შეთანხმების ცდას ნარმოადგენს [7: 61]. ტრაქტატში ვკითხულობთ: „წელთა დასაბამითგანთა შუდათასთა იტყჳან წმიდანი წერილნი ვიდრე აღსასრულადმდე ...და აწ ამას მეთაცამეტესა შინა [ქორონიკონსა, რ.ლ.] ვართ, და ამისი ოთხას ორმოცდა ათცამეტი წელიწადი გარდახდა წელს ...და შუკდათას წლად დააკლდებიან ოთხმოცდა ოთხნი მეთათოხმეტისა ქორონიკონისანი“ [7: 61]. მაშასადამე, აბუსერიძე ტბელს შრომა 1233 წელს დაუნერია ($780+453=1233$), რომლის მიხედვით მეშვიდე ათასწლეულის დადგომა მეთოთხმეტე მოქცევის 84-ე ქორონიკონს, ე.ი. 1396 წელს ($1312+84=1396$) არის მოსალოდნელი³.

3 კ. კეკელიძე ესქატოლოგიური შინაარსის ერთ იამბიკოზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც წყაროსთავის ოთხთავს აქვს დართული. იამბიკოს ავტორის სიტყვით, მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე მაშინ იქნება, როდესაც ლმერთი შვიდასეულს „აარვნებს“, ანუ მერვე ათასწლეულის მიჯნას მიუახლოვდება. იხ.: კ. კეკელიძე, ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, უფრ. „ჩვენი მეცნიერება“, I, თბ., 1923, გვ. 60.

მეშვიდე ათასწლეულში სამყაროს აღსასრულის შესახებ რწმენის მიხედვით, საქართველოში ბოლო წამი 1396 წლით განისაზღვრა. „აბუსერიძე ტბელისა და საბას სიტყვებს (იგულისხმება იამბიკოს ავტორი) ჩვენ არ შეგვიძლია შევხედოთ ისე, როგორც ლიტერატურულ ხერხს, სხვისი სიტყვების შუგნებელად გამეორებას და გადმოქართულებას; აქ ჩვენ გვაქვს გამოძახილი მათი უშუალო რწმენისა და გულის სიღრმიდან ამონახეთქი გრძობისა“, – წერს კ. კეკელიძე [7: 62]. მან XIII ს-ში ესქატოლოგიური იდეების განსაკუთრებული მომძლავრება საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდს დაუკავშირა. ამგვარი აზრების გასაზიარებლად და ფეხმოსაკიდებლად, ჯალალედინისა და მონღოლთა ამოხრებელი შემოსევების შემდეგ, ქვეყანაში შესაფერისი ნიადაგი შეიქმნა, რადგან XI-XII სს-ში მათი გავრცელება სრულიად წარმოდგენილი იყო. ღმერთმა საქართველოს ხვარაზმელთა სახით სასჯელი მოუვლინა, – ასე ხსნის აბუსერიძე ტბელი თავის მეორე თხზულებაში („ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინანე“) ქართველთა განსაცდელს XIII ს-ის 20-იან წლებში: „ოდეს, მოგებისათვის ცოდვათა ჩუნთაისა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველომსა ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაისა“. მაგრამ ღმრთისაგან გამდგარ ქართველობას ისევ უფალი დაეხმარა. ქვეყნის საზღვრებიდან ხვარაზმელთა განდევნას ავტორი წმინდა გიორგის მფარველობას მიაწერს [8: 64-66].

აბუსერიძე ტბელამდე ხუთი საუკუნით ადრე ესქატოლოგიურმა იდეამ იოვანე საბანისძის თხზულებაში იჩინა თავი [9: 119]. „აბო თბილელის მარტვილობის“ ავტორი პირველივე თავის დასაწყისში მეტად საყურადღებო განცხადებას აკეთებს: „არა თუ ხოლო ჩემდა მარტომსა საძიებელ არს სმენად სანადელი ესე მარტულობაი წმიდისა ამის მონამისაი, არამედ ყოველთაი ჯერ არს თქუენდაცა დაკურებად ჩემ თანა, რომელნი-ესე შემოკრებულსა ამას ფამსა მეშუდესა დარსა ზედა ვდგათ“ [10: 19-22]. ეს ფრაზა, „მეშვიდე დარი“ თავისი დროისათვის ზედმიწევნით განათლებულ და მრავალმხრივ იოვანე საბანისძეს ალებული აქვს ეზრა სუთიელის აპოკრიფული აპოკალიფსიდან, სადაც განკითხვის დღის აღწერისას ნათქვამია, რომ „განიგრძის მოსლვაი ვიდრე შუდად წლად ოდენ, რომელ არს შუდი დარი“ [11: 364]. „დარი“ სემიტური სიტყვაა, უფრო ზუსტად კი სირიული ლექსიკური ერთეულია, რომელიც საუკუნეს, ათასწლეულს, ეპოქას და წელსაც აღნიშნავს.⁴ სანტიერესოა, რომ ეზრას აპოკალიფსის ქართული ტექსტი (აქ საუბარი გვაქვს მოკლე რედაქციაზე, რომელიც პირვანდელად ითვლება. მეორე, ვრცელი, ლათინური ვულგატის რედაქცია) არ უნდა იყოს თარგმნილი არც სომხური და არც ბერძნული ენებიდან. ც. ქურციკიძის აზრით, ქართულ ტექსტში მრავლად შეინიშნება გრამატიკული და ლექსიკური სემიტოზმები და იგი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ეთიოპურთან. თუმცა კი, შესაძლებელია, ქართული ტე-

4 ქ. ჯერვალისძის მიხედვით, ამ სიტყვას იცნობს ძველი ბერძნული ენის ლექსიკონიც. იგი დადასტურებულია პომპროსთან, პესიოდესა და პინდარუსთან (ქ. ჯერვალისძე. „ურესა ამას ქუეყანისასა“ იოვანე საბანისძის „ჰაბო ტფილელის წამების“ მიხედვით // სამეცნიერო პარადიგმები, გვ. 691.

ქსტი უშუალოდ არც იცნობდა ეთიოპურს, მაგრამ ორივე (ქართულიც და ეთიოპურიც) ერთი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს [12: 291-301].

ამრიგად, იოვანე საბანისძე კარგად იცნობდა სოფლის აღსასრულის იდეას ძველი და ახალი აღთქმის ნიგნებიდან. ეზრა სუთიელის გარდა, მისთვის ნაცნობია: იპოლიტე რომაელის, ეფრემ ასურის, ანდრია კესარიელის, მეთოდის პატარელის ნიგნები, მათ შორის ამ უკანასკნელის "სიტყუაჲ მეორედ მოსლვისათჳს და აღსასრულისა" [13: 688]. ნიშანდობლივია, რომ ეს ფრაზა იოვანე საბანისძის შემდეგ აღარ გვხვდება არც ჰაგიოგრაფიულ და არც საისტორიო მწერლობაში [13: 691].

მამასადამე, VIII საუკუნეში, იოვანე საბანისძის სიტყვით, მეშვიდე ათასწლეულის „შემოკლებული ჟამი“ დგას (მდრ. მათე 24, 22). საბანისძისეული „შემოკლებული ჟამი“⁵ [14], ესქატოლოგიური ბოლო ჟამია, როდესაც მათეს საბარების მიხედვით: „აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება შიმშილი, და მიწისძვრანი ადგილადგილ“ (მათე 24, 7). ან კიდევ: „მაშინ ცდუნდებიან ბევრნი; ერთმანეთს გასცემენ და შეიძლებენ ერთი-მეორეს. მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს“ (მათე 24, 10-11). ქვეყნის აღსასრულის მოახლოების შესხენება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს იმ ავტორთან, რომელმაც არაბთა ბატონობის ეპოქაში, გაქრისტიანებული არაბის მარტვილობის აღწერა განიზრახა თანამედროვეთა გამოსაფხიზლებლად [9: 119-120]. იმ ქართველთა სულიერად გადასარჩენად, რომლებიც „მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯინილი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი, შიშითა განილევინ და ირყვიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ [10: 50^{9,11}], არაბებმა მძლავრებით, ტყუილით, მზაკერობითა თუ ვერაგობით მრავალი ქართველი „გარდაგულარძნეს“ და ეს მაშინ, როდესაც, იოვანე საბანისძის თქმით, ქართველთა ქრისტიანობას ხუთასწლოვანი ისტორია ჰქონდა. როგორც ვხედავთ, ესქატოლოგიური იდეა VIII ს-ის ავტორის თხზულებაში არანაკლები სიცხოვლით გამოიმყლავნდა, რაც იმის დასტურია, რომ მსგავსი განწყობილებები ყოველი ძნელბედობის ჟამს ლიტერატურაში ჰპოვებდა გამოძახილს. ქართველი ჰაგიოგრაფისთვის უკვე ბოლო, მეშვიდე ჟამია მოსული და იგი, ფაქტობრივად, არაბობასთან არის გაიგივებული, განსხვავებით აბუსერიძე ტბელისგან, რომელიც კონკრეტული ქრონიკულ-პასქალისტური გამოთვლების საფუძველზე ამ კატაკლიზმს მომავალ ათასწლეულში გადადებს.

ესქატოლოგიური მოტივების ჩასახვა დაკავშირებული იყო ძნელბედობის პერიოდებთან საქართველოს ისტორიაში. არაბების, სელჩუკების, მონღოლების შემოსევები საზოგადოებაში ბოლო ჟამად იყო აღქმული. ჰაგიოგრაფები და მემპტიანეები ძველი და ახალი აღთქმის წინასწარმეტყველებას

5 იხ. გ. შურაია. ესქატოლოგიური შეხედულებები ძველი ქართული და ბიზანტიური წყაროების მიხედვით („მეშუდე დარი“ — დაუსრულებელი განსუენება, თუ „მძაფრი განსაცდელი“?) // მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2005. გვ 176.

ბოლო უამის შესახებ მათ თანადროულ ეპოქაში ეძებდნენ. ამ თვალსაზრისით, იოანე საბანისძის ესქატოლოგიური თეორია მეშვიდე დარის შესახებ, რომელსაც იგი შემოკლებულ უამს უწოდებს ყველაზე ზუსტად შეესაბამება ესქატოლოგიური დროის გაგებას შუა საუკუნეების სააზროვნო სისტემაში.

როგორც აღვნიშნეთ, აზრი განკითხვის დღის შესახებ უკვე ძველ აღთქმაში, დანიელის წინასწარმეტყველებაში, ხოლო შემდეგ მათეს სახარებასა და იოანეს გამოცხადებაში იღებს დასრულებულ სახეს, მოგვიანებით კი ერთ-ერთ ძირითად თემად იქცევა საეკლესიო მწერლობაში [9: 121]. ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურა თითქმის არ იცნობს სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღწერას. ე. ი. ფინალური კატაკლიზმის შემდეგ არც მართალთა სამოთხეში ყოფნის ჭვრეტა შეგვიძლია და არც ცოდვილთა ჯოჯოხეთში ტანჯვისა. „მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუაივლსა მას ძოვდიან, და მონლედ ჩემდამო ლალადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხჲ იგი“, – ვკითხულობთ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ [15: 123²²⁻²⁸]. ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ბალია, რომელიც სამოთხესთან ასოცირდება, თუმცა მხოლოდ ამით ამოიწურება ამ თემის ტრადიციული აღწერა.

რამდენიმე ძეგლში და ისიც ძუნნად გვხვდება ჯოჯოხეთის მოხსენიებაც. წარმართული კერპების ხილვისას ნინო ატირდა ხალხის ცოდვების გამო: „ეხედვედი მეფეთა მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა“ [15:120⁸⁻¹¹]. „მოქცევაჲს“ ჯოჯოხეთი მიცვალებულთა დასანთქმელი ადგილია. ჯოჯოხეთის ბინადარია ეშმაკიც „ევსტათი მცხეთელის მარტილობაში“: „ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთაქდა ჯოჯოხეთა ქუესკენლად“ [16: 40¹⁴⁻¹⁵]. ამასვე შეახსენებს ასურელი მამა, იოანე ზედაზნელი ეშმაკთა მთავარს, კაცთა მოდგმის დაუძინებელ მტერს: „თქუენთჳს განუმზადებია [ღმერთს, რ.ლ.] ბნელი გარესკნელი და ცეცხლი უბრეტი, რომელსა შინა დასჯად ხართ საუკუნოდ შენ და ყოველნი შემენი შენნი და ყოველნი, რომელნი ნებასა შენსა ჰყვებიან“ [17: 210³]. ამქვეყნიური ჭირი მცირე და წარმავალია, სამაგიეროდ „ფრიად უმწარეს არიან სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი“, ამიტომაც საუკუნო დიდების მოსაპოვებლად დათმენა სჯობს, რათა „უკუნისამდე არღარა იჭირვოდი სიმწარესა მას შინა ჯოჯოხეთისასა“, – ვკითხულობთ „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ [18: 239²²⁻²⁴]. უფრო მრავლისმეტყველი და ტევადია მეორედ მოსვლის სცენა, რომელსაც „გობრონის მარტილობა“ ვთავაზობს. სახარებისა და იოანეს გამოცხადების გარდა, აქ აშკარად იგრძნობა ეფრემ ასურის „უფლის მეორედ მოსვლისთვის საკითხავის“ გავლენა: „სამინელ და შესაძრუნებელ არს დღჲ იგი სასჯელისაჲ, მეორედ მოსლვაჲ უფლისაჲ, ოდეს ცანი დაიქცენ და წესნი იცვალნენ, მნათობნი დაპრტენ ყოველნი და ქუეყანაჲ შეიძუსროს, ოხრაჲ იგი საყვირისაჲ ზარ-სცემდეს ყოველთა დაბადებულთა და ძრწოლით ხედვიდენ მეფესა ქრისტესა, მომავალსა ჯუარითა“ [19: 179³⁷, 180¹]. ეს საშინელი დღე, როგორც პაგიოგრაფი ბრძანებს, ჭეშმარიტებაა და სარწმუნოებითაც მოსალოდნელია.

ქართულ საისტორიო მწერლობაში კარგად იგრძნობა ღვთიური განგებაც და დროის ხაზოვანი განვითარებაც. "ქართლის ცხოვრების" პირველი თხზულებებისათვის (ლეონტი, ჯუანშერი), უცხოა დროის შკალაზე თარიღის, როგორც მიჯნის, გაგება. აქ დრო გააზრებული და განცდილია როგორც თაობათა ცვლა და ცალკეულ მეფეთა მმართველობის პერიოდი.

კონკრეტული დროის განცდა პირველივე თარიღთან ერთად ჩნდება. აშოტ კურაპალატის მკვლელობის თარიღი "ხოლო მოიკლა ესე აშოტ კურატპალატი დასაბამითგან წელთა ხელს, ქრონიკონსა მეთატცამეტ მოქცეულსა შინა მუ" [20: 46], 826 წელს უდრის, რომელიც პირველი თარიღია "ქართლის ცხოვრებაში". ქრონოლოგიით მდიდარი სუმბატ დავითის-ძის თხზულება დროის გაგებას ერთდროულად რამდენიმე ერთეულით ავსებს: ქართული ქორონიკონი, წელთაღრიცხვა ქვეყნის შექმნიდან, თვე, რიცხვი, დღე. მაგრამ ბაგრატიონთა სახლის ყველა წევრის გარდაცვალებას ქრონიკის ავტორი ასე არ აკონკრეტებს. აშოტ კურაპალატის გარდა, დროის გაზომვის ზუსტი ერთეულები კიდევ სამ მეფესთან დაკავშირებით გვხვდება. მათ შორის, ბაგრატ მამფალის შესახებ ვკითხულობთ: "და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქრონიკონსა რკთ, თუჴსა აპრილსა კ, დღესა აღესვებასა" [20: 49]. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღიც კვირის დღის სიზუსტით არის გადმოცემული: "და მო-რა-ინია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესამესა და მუნ გარდაიცვალა ესე ბაგრატ ქრონიკონსა სლდ, თუესა მანისსა ზ, დღესა პარასკევსა" [20: 53]. გიორგი I-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქრონიკის ავტორი დღეს აღარ აკონკრეტებს, მაგრამ სხვა ერთეულები აქაც ცნობილია: "...გარდაიცვალა გიორგი, მამაჲ ამის ბაგრატისი, თრიალეთს, ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მყინვარნი, ქრონიკონსა სმზ, თუესა აგუსტოსა ივ და დამარხეს იგი ქუთათისს" [20: 57-58]. სხვა შემთხვევებში მხოლოდ ქორონიკონით დათარიღება გვაქვს, ხოლო გურგენ დიდი ერისთავთერისთავის გარდაცვალების აღნიშვნიდან მოყოლებული თვის დასახელებაც ხშირი ხდება.

დრო "მატიანე ქართლისაში" უფრო ზოგადია, რაც შეესაბამება ამ თხზულების ნარატიულ სტილს. "მატიანე ქართლისაში" ლიტერატურული ნარატივის ელემენტები მეტად ჭარბობს, ვიდრე ისტორიულ-ქრონისტულია, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კონკრეტული მეფის ისტორიას არ წარმოადგენს და რამდენიმე საუკუნის (VIII-XI სს.) ამბების შესახებ მოგვითხრობს. მატიანეში ხშირია ამგვარი დათარიღება: "გარდახდა წელიწადი სამი", "ხოლო მეშვიდესა წელსა", "წელსა მესამესა"; უფრო ზოგადი: "გარდახდეს წელიწადნი რაოდენნიმე", "ჟამნი რაოდენნიმე" და სხვ. ჟამთასვლას წელიწადის დროთა დასახელებაც გამოხატავს: "ვითარ მოინია ჟამი ზამთრისა", "იყო ჟამი გაზაფხულისა", "არე ზამთრისა მონვენულ იყო", "და ვითარ ამას შინა გარდახდეს დღენი ზაფხულისანი" და სხვ.

წელთაღრიცხვის ძველი სისტემით, ქორონიკონით დათარიღებული მხოლოდ რამდენიმე მოვლენაა "მატიანე ქართლისაში" აღნიშნული. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ფანასკერტის ციხეში, ტაოში აღეს-

რულა: "მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი მკცითა შეენიერთა, ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შუდსა, დღესა პარასკევსა. და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს." (780+234=1014) [21: 283]. მის შემდგომად კი "ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თჳსსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა. ხოლო მემუდესა წელსა მეფობისა მისისა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა", - ვკითხულობთ "მატიანეში" [21: 284].

საგანგებოდ ათარილებს ისტორიკოსი უფლისწულ ბაგრატის ბიზანტი-იდან დაბრუნებას: "ვითარ უკუე მოინია წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა, სახლად მათდა ქუთათისს... იყო ქრონიკონი მას ჟამსა ორას ორმოცდახუთი." (780+245=1025) [21: 290]. ტახტის მემკვიდრის დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი I "ქრონიკონსა ორას ორმოცდაშვიდსა, თუესა აგუსტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მიყნვარნი გინა იწრონი" (1025+2=1027) [21: 290-291].

ცოდვების გამო მოსაგებელ რისხვად არის აღქმული მემატიანის მიერ თურქ-სელჩუკთა ლაშქრობა, რომელიც სისხლის წვიმად მოევლინა ქვეყანას. სულთან ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობამ "იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა" და "გაუშუეს მარბიელი ცისკრად, და სამწუხროდ აღივსო ყოველი ქართლი, თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრონიკონი იყო ორას ოთხმოცდარვა" (780+288=1068) [21: 309].

ერთსა და იმავე წელს აღესრულნენ ბაგრატ IV და ალფ-არსლანი, თუმცა კი, როგორც "მატიანის" ავტორი შენიშნავს "ვერლარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანერთისა სიკუდილი". მოკლული სულთანისაგან განსხვავებით, საქართველოს მეფე უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გარდაიცვალა: "და შემდგომად ამისსა მიიცვალა თუესა ნოემბერსა ოცდაოთხსა, ქრონიკონსა ორას ოთხმოცდათორმეტსა" (780+292=1072) [21: 314]. და კიდევ: "ესე მეფე ბაგრატ წელიწდისა ცხრისა მეფე იქმნა, და აღესრულა წლისა ორმოცდათექუსმეტისა" [21: 315].

არის კიდევ ერთი თარიღი მატიანის დასაწყისში, რომელსაც ისტორიკოსი მუსლიმური კალენდრით, ჰიჯრით 219 წლით ათარილებს, რაც ბულა თურქის შემოსევის შესახებ გვამცნობს: "აქა ჟამამდის გარდასულ იყვნეს წელიწადნი მოჰამედის გამოჩინებითგან, რომელმან სარკინოზთა სჯული დაუდვა, ორას ცხრამეტნი" [21: 255]. ატენის სიონის წარწერის მიხედვით, იგივე შემოსევა "ისმაიტელთა წელსა სლთ-სა" (239) მომხდარა, ამდენად ნათელია, რომ აქაც ჰიჯრით 239 წელი უნდა იყოს [22: 499]. "თ(თუე)სა აგუსტოსსა ე-სა დღ(ე)სა შ(ა)ბ(ა)თსა, /ქრონიკონსა ოგ-სა, ზ(ედ)ა წელსა სლთ-სა /ქალაქი ტფილისი დანუა ბულა და შეიპყრა /ამირაჲ საჰაკ და მოკლა"... - ვკითხულობთ ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში (780+73=853) [23: 132].

"ქართლის ცხოვრების" ტექსტებს შორის, დროის გააზრების თვალსაზრისით, გამორჩეულია "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". დავითის ისტორიკოსი, ერთი შეხედვით, საერო დროს იყენებს, რომელიც მისი ამოცანიდან გამომდინარე (აღწეროს ძღვევამოსილი მეფის ცხოვრება), ბუნებრივია, მა-

გრამ, მეორე მხრივ, თხზულების დრო საეკლესიოცაა. მეტიც, უნივერსალური "ჟამით" გადმოცემული დრო უფრო საეკლესიოა, ვიდრე საერო. ზოგადი დროისა ("მას ოდენ ჟამსა"; "ამას ჟამსა") და კონკრეტული თვისა და რიცხვის დასახელების გვერდით ("თუესა ნოენბერსა"; "აგესტოსა ათორმეტსა"), საეკლესიო კალენდრით განსაზღვრული დრო – დღე (დღესასწაული) დომინირებს: აღვსების დღე, ივანობის დღე, ბზობა, პირმარხვის შუკდული და სხვ. "ცხოვრებაში" თითქმის ყველგან გვხვდება ცალკეული გამოთქმები და სიტყვები ძველი და ახალი აღთქმიდან. უნდა ითქვას, რომ ბიბლიური ლექსიკა, ფრაზები, მხატვრული სახეები ხშირად უცვლელი სახით არის გადმოტანილი, ხშირადაც მემატთანე მათ პარაფრაზს გვთავაზობს. საღვთო წერილის გარდა, დავითის "ცხოვრება" ყველაზე ხშირად ფსალმუნს მიმართავს.

ერთადერთი მოვლენა, რომელსაც "ცხოვრების" ავტორი ზედმიწევნით დროის დაკონკრეტებით გადმოსცემს დავით აღმაშენებლის გარდაცვალებაა ("რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი კ'დ და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო ტმე, ხოლო ნელინადნი მისნი შობითგანნი ორმეოცდაათსამმეტნი, ხოლო მეფობდა ოცდაათექუსმეტ წელ" [24: 223], რომელიც, თავის მხრივ, "უხრ-ნელითა და ბრწყინვალითა გვრგვინითა და პორფირითა შემკული" მეფის მარადიული ცხოვრების დასაწყისია და "სადა იგი ან მკვდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა".

რაც შეეხება საკუთრივ სივრცის აღქმას, მისი გეოგრაფიული, სოციოლოგიური და კულტურული მნიშვნელობით, ამ თვალსაზრისით, დავითის ცხოვრების ერთ პასაჟს მოვიხმობ: "ნარმოვიდა ქართლს, სთუელთა გარდავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი და მარტსა გარდამოვიდა ქართლად და აღილო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა და მოსწყდნეს ქურდნი, ლეკნი და ყიფაყნი დარუბანდელისანი..." [24: 195-196]. ორადორ წინადადებაში აღწერილი მოქმედება სივრცესა და დროში ისეა განფენილი, რომ დრო დაახლოებით ერთ ნელინადს მოიცავს: ზაფხულიდან – მომავალი წლის გაზაფხულამდე, ხოლო სივრცე ლიხს აქეთა და ლიხს იქეთა საქართველოს და შაბურანს. მაშინ, როცა ამავე ისტორიკოსის თხზულებაში სხვა ლაშქრობას შეიძლება რამდენიმე გვერდიც დაეთმოს. სივრცე, როგორც კულტურის კატეგორია უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი საფუძვლად უდევს ადამიანის მსოფლალქმას. შესაბამისად შუა საუკუნეების ადამიანიც სივრცეში ორიენტაციისას ობიექტურ სამყაროს სივრცისა და დროის საშუალებით შეიმეცნებს, რომელიც იმავე შუა საუკუნეებისათვის არ არის ზედმიწევნით ზუსტი, უფრო სწორად კი აბსტრაქტულია.

მამასადამე, შავიგეოგრაფიული მწერლობისაგან განსხვავებით, სადაც ესქატოლოგიური დრო განმსაზღვრელია, IV-XI საუკუნეების ქართულ საისტორიო ნარატივში ეს მოტივი უფრო ზოგადი დისკურსით არის აღბეჭდილი. თუმცა კი, ისტორიოგრაფიაშიც ეკლესიის დრო პრევალირებს და მისი გადმოცემის სიმძაფრე მემატთანის განსწავლულობაზე და იმ მიზანზეა დამოკიდებული, რისი აღწერა სურს კონკრეტულ შემთხვევაში, მშრალი ქრონიკის თუ მეფის პანეგირიკის, რომელიც, პირველ რიგში, ფეოდალურ დროს განეკუთვნება.

ისტორიოგრაფიულ თხზულებებშიც წლიურ ციკლს ადგენს თორმეტი თვე და ოთხი დრო. დღის ქრონოლოგიური დაყოფა უფრო საეროა, ვიდრე საკლესიო, ხოლო, რაც შეეხება დროის ფატალისტურ კონცეფციას, იგი თითქმის უალტერნატივოა ადრე შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ნარატივში.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Braudel F. Histoire et sciences sociales. La longue durée, in Annales E. S. C. - 1958, 13, pp. 725-753.
2. Le Goff J. L'imaginaire médiéval. Essais, Préface à la première édition. 1985, Paris, Gallimard, 1999.
3. Le Goff J. L'Occident médiéval et le temps, in "Un autre moyen âge." Paris, Gallimard. 1999.
4. Остапчук Ю. А. Категория времени в агнографических текстах (на материале житийной литературы) // Наукові Записки НДУ ім. Гоголя. Філологічні науки. 2010.
5. Сахаров В. Эсхатологические сочинения и сказания в древнерусской письменности и влияние их на народные духовные стихи. Типография Н. И. Соколова, Тула. 1879.
6. Шевырёв С. История русской словесности. Лекции. Часть 3. Типография Императорской Академии наук. СПб. 1887.
7. კორნელი კეკელიძე. ესკატოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. – ყურნ.: „ჩვენი მეცნიერება“, 1923, №1.
8. აბუსერიძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიაზე. 1233 წლის ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1941.
9. რუსუდან ლაბაძე. ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი), თბ., 2006. 208 გვ.
10. ნამებაი წმიდისა და ნეტარისა მონაშისა ქრისტწისისა ჰაბოისი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჳელითა სარკინოზთათა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტწს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისათა. – ნიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯიაამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამიაამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
11. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დურთო ც. ქურციკიძემ, ნიგნი I, რედ. ი. აბულაძე, თბ. 1970.
12. ცილა ქურციკიძე. ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) ნიგნების ქართული ვერსიები, II, თბ. 1973.
13. ქეთევან ჯერვალიძე. "ყურესა ამას ქუეყანისასა" იოვანე საბანისძის "ჰაბო ტფილელის ნაშების" მიხედვით // "სამეცნიერო პარადიგმები", კრებული ეძღვნება პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს, თბ. 2009.

14. გაგა შურღაია. ესქატოლოგიური შეხედულებები ძველი ქართული და ბიზანტიური წყაროების მიხედვით ("მეშუდე დარი" - დაუსრულებელი განსუენება, თუ "მძაფრი განსაცდელი"?), // მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2005.
15. მოქცევაჲ ქართლისაჲ (მატბერდული და ჭელიშური რედაქციები). - ნიგნში; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჟურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
16. მარტვილობა და მოთმინება ნმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ. - ნიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჟურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
17. ცხოვრება ნმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედამწეისაჲ. რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა ნმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მონაფეთა მისთა ნმიდათა თანა. - ნიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჟურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
18. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ნმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ. - ნიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჟურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
19. ნამებაჲ ნმიდისა მონამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით. - ნიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ჟურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963.
20. სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბ. 1990.
21. მატინანე ქართლისა. - ნიგნში: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955.
22. მარიამ ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. თბილისის საამირო. ნგნ.: საქართველოს ისტორიის წარკვევები. ტ. II. თბ., 1973.
23. ქართული წარწერების კორპუსი. III. ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ. თბ., 1989.
24. ცხოვრებაჲ მეფეთა-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ. 1992.

RUSUDAN LABADZE

**THE MEDIEVAL CONCEPT OF TIME IN GEORGIAN
HAGIOGRAPHY AND HISTORIOGRAPHY OF THE 4TH-11TH
CENTURIES**

Summary

The topic of our paper is the concept of time in the medieval world view according Georgian historical and hagiographical sources of the fourth-eleventh centuries.

The hagiographical narrative is emphasized with church time, which recognize only one calendar – church year, annual cycle in commemoration of the life, death and Resurrection of Jesus Christ. Every minute and second of the astronomical day divided into 24 hours is the prerogative of church. The days are observed as the commemoration of saints and martyrs and are expressed by their feasts. In liturgy smaller unit of measuring the time is “zhami” (time, hour), universal unit expressing the church time of hagiography as well as historiography’s secular time.

Eschatological time appears to be a significant part of church time. According to the author of “Martyrdom of Abo of Tbilisi” – Ioane Sabanisdze: “We have reached the shortened time, the last hour of our being”. “Shortened time”, seventh period (მეშვიდე დარი) is the end of time (cf. Matthew 24.22) and this eschatological theory belongs to the eighth century author.

Unlike hagiographic literature in the historical narrative of the fourth-eleventh centuries and especially in Kartlis Tskhovreba (The Life of Kartli) the eschatological time is not dominated; Although we can say that in many cases the church time prevails in historiography too. The annual cycle in historiography is formed by twelve months and four seasons; the division of daytime is more secular than religious. As for providentialism, this belief have no alternative in Georgian historical writing of the Middle Ages.

Р.Н. ЛАБАДЗЕ

КОНЦЕПТ СРЕДНЕВЕКОВОГО ВРЕМЕНИ В ГРУЗИНСКОЙ АГИОГРАФИИ И ИСТОРИОГРАФИИ IV-XI ВЕКОВ**Резюме**

В статье изучен вопрос концепта времени в средневековом мировоззрении на основании грузинских исторических и агнографических источников IV-XI веков.

В агнографическом нарративе превалирует церковное время, которое вводит свой календарь - церковный год, посвященный циклу жизни, смерти и Воскресения Христа. Каждая минута и секунда деленного на 24 часа астрономического дня в распоряжении церкви. Дни рассматриваются как поминовение святых и мучеников воспроизведённые в церковных праздниках, которые повторяются с определенной периодичностью. Малая единица измерения времени в литургии в источниках называется «жами» (время, час), которая является универсальной, выразившей как Церковное время агнографии, так и мирское - историографии.

Значительной частью церковного времени представляется эсхатологическое время. В «Мученичестве Або Тбилели» агнограф пишет: «Мы переживаем сокращенное время, последний час нашего присутствия». «Сокращенное время» агнографического текста, седьмое тысячелетие (meSvide dari), конец времен (ср. Мф. 24:22) и эта эсхатологическая теория принадлежит автору VIII века, Иоанну Сабанидзе.

В историческом нарративе IV-XI веков, особенно в «Картлис Цховреба» (Житие Картли), в отличие от агнографической литературы, эсхатологическое время не доминирует. Хотя, можно сказать, что церковное время также возобладает во многих исторических текстах. В историографии годовой цикл состоит из двенадцати месяцев и четыре сезона; Деление дневного времени более мирское чем священное. Что касается провиденциализма, в средневековых грузинских исторических текстах этот метод безальтернативен.

ბონელი არახაშია

რევაზ კიკნაძე როგორც წყაროთმცოდნე

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თვალსაჩინო მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ კიკნაძის (1923-1989 წწ.) სამეცნიერო მემკვიდრეობა. სანამ წყაროთმცოდნეობა მისი სამეცნიერო ინტერესების მოღვაწეობის ძირითად სფეროდ გამოიკვეთებოდა, ის როგორც აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი ინტენსიურად იკვლევდა შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთისა და ირანის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ისტორიის, აგრეთვე, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობების პრობლემებს¹. ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა რ.კიკნაძის წყაროთმცოდნეობითი კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, სახელდობრ, საქართველოსა და კავკასიის შესახებ სპარსულენოვანი წყაროების მოძიება, თარგმნა, კომენტირება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. მხედველობაში გვაქვს, როგორც საქართველოს ისტორიის კონკრეტული პრობლემის ირგვლივ აღმოსავლელ ავტორებთან დაცული ინფორმაციის ანალიზი², ისე ცალკეული ამა თუ იმ ავტორის თხზულებაში, საქართველოს შესახებ, წარმოდგენილი ცნობების სრული ნაკრები. მან ვრცლად განიხილა არაბული და სპარსული წყაროების ცნობები XI-XIII სს. თბილისის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ,³ ჰამდალაჰ ყაზვინი (XIV ს.) მონაცემები საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის თაობაზე. მანვე სპარსული ენიდან ქართულად თარგმნა ირანული ისტორიული თხზულებების, ჯუვეინისა (XIII ს.)⁴ და ანონიმის „სამყაროს საკვირველებათა“ (XIII ს.)⁵ ცნობები საქართველოს შესახებ, გამოკვლევებითა და კომენტარებით, სადაც მკითხველს აცნობებს აღნიშნული წყაროების ტექსტებს და აჩვენებს მათში დაცული

1 იხ. რ.კიკნაძე, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხები.

2 არაბული და სპარსული წყაროები XI-XIII სს. თბილისის შესახებ - ჟურნ. „ცისკარი“, N 5, 1958.

3 ჰამდალაჰ ყაზვინის ერთი ცნობის განმარტებისთვის - ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სერიის თეზისები, 1970.

4 ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი ნაუძმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1974.

5 „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1978.

ცნობების მნიშვნელობას შესაბამისი პერიოდების საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესწავლაში და აწვდის განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს ტექსტის შინაარსის მეტი სისრულით გააზრებისათვის. მანვე ითავა XVII ს. ირანელი ავტორის, ჰასან რუმლუს ცნობების ვლ. ფუთურიძის მიერ შესრულებული თარგმანის გამოცემა მისი გარდაცვალების შემდეგ⁶.

რ. კიკნაძემ ნაშრომების ციკლი მიუძღვნა XIV-XVIII სს. ქართველი მემატინების, კერძოდ, ჟამთააღმწერლისა და „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების სპარსული წყაროების გამოვლენას⁷.

მკვლევარი საგანგებო ყურადღებას აქცევდა XIII- XVIII სს. ქართულ ისტორიულ თხზულებებში დროთა განმავლობაში დამახინჯებული თუ ფორმამეცვლილი ირანულიდან მომდინარე ტერმინებისა და ონომასტიკური სახელების გამართვასა და პირვანდელი სახით აღდგენას⁸. რ. კიკნაძე საგანგებოდ იკვლევდა ძველი ქართული მატინების კრებულის „ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის აქტუალურ საკითხებს. მან განიხილა კრებულის შედგენის დრო, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე პერიოდით განსაზღვრა. რ. კიკნაძის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა „ქართლის ცხოვრების“ ორი შემადგენელი მატინე, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ანონიმი ჟამთააღმწერლის თხზულებების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ასწლოვანი მატინე“, კერძოდ, მათი ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს შორის „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი ყველაზე მეტად დამახინჯებულია გადამწერთა მიერ. მისი ტექსტის გამართვაზე ქართველ მკვლევართა თაობებმა იღვანეს, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი შეაჯამა ს. ყაუხჩიშვილისიულმა გამოცემამ, რომელმაც თავის მხრივ, სათავე დაუდო კრებულის თხზულებების ტექსტოლოგიური შესწავლის მორიგ ეტაპს. რ. კიკნაძემ „ისტორიანი და აზმანისა“ და „ასწლოვანი მატინის“ ტექსტების დადგენის საქმეში წინა პლანზე წამოსწია XVII ს. მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“, სადაც XII-XIV სს. ისტორია, ძირითადად, სწორედ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებების მიხედვით არის გადმოცემული. რ. კიკნაძემ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებების შესაბამისი ნაწილის შედარებითი შესწავლით ცხადყო, რომ „ისტორიანი და აზმანისა“ და ჟამთააღმწერლის ნაწარმოების არაერთი დამ-

6 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.

7 რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები - კრებ. კავკასიურ-ასლოალმოსავლური კრებული, II, 1962; „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების წყაროების საკითხისათვის - ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968.

8 რ. კიკნაძე, ყორლოლანგი-სულ-სულთანიე, კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966; რ. კიკნაძე, ერთი გეოგრაფიული სახელწოდების განმარტება ჟამთააღმწერლის თხზულებაში - აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973; „ისტორიანი და აზმანის“ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის განმარტება, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N 4, 1976.

ახინჯებული ადგილი უკეთაა დაცული ფარსადან გორგიჯანიძესთან (resp. მის ხელთ არსებულ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში), რამაც მკვლევარს შესაძლებლობა მისცა ალედგინა და გაემართა აღნიშნული თხზულებების არაერთი შერყვნილი სიტყვა თუ ფრაზა, ამავე დროს, დოკუმენტურად დაედგინა მკვლევართა მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი კონიექტურა. ამ საკითხების ხანგრძლივი კვლევის შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიაში⁹, ხოლო ჟამთააღმწერის „ასნლოვანი მატიანის“ კრიტიკული ტექსტის დადგენის მიმართულებით ინტენსიური მუშაობა ამ თხზულების ტექსტის გამოცემით დაგვირგვინდა¹⁰.

რ. კიკნაძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული მატიანეების რუსულ ენაზე ამეტიყველების საქმეს. აღსანიშნავია, რომ მან შეიმუშავა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის ნესები (გამოქვეყნდა 1977 წ.), რომელსაც სახელმძღვანელო ინსტრუქციის ფუნქცია მიანიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ, სადაც შესაბამის სექციას და სერიას თვითონვე ხელმძღვანელობდა¹¹. რ. კიკნაძე თავის მასწავლებელთან, ცნობილ ირანისტ ვლ. ფუთურიძესთან ერთად დიდხანს მუშაობდა ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე.წ. მეორე ნაწილის რუსულად თარგმნაზე, ვლ. ფუთურიძის გარდაცვალების (1966 წ.) შემდეგ მან ბოლომდე მიიყვანა ერთობლივი ჩანაფიქრი, რომელმაც დღის სინათლე მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ იხილა¹².

რ. კიკნაძის ინტერესების არეალში მოქცეული იყო წყარომცოდნეობის თეორიული საკითხებიც, სახელდობრ, ისტორიული წყაროების რაობა, წყარომცოდნეობის საგანი და მისი სტრუქტურა, წყარომცოდნეობისა და სხვა სპეციალური ისტორიული დისციპლინების ურთიერთმიმართება და ა.შ.¹³ დიდ ყურადღებას აქცევდა წყარომცოდნეობითი კვლევის, მათ შორის, ისტორიული წყაროს კრიტიკული ტექსტის დადგენის მეთოდის საკითხებს¹⁴,

9 რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“, თბ., 1975.

10 ჟამთააღმწერელი, ასნლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოქვეყნა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

11 მისი რედაქტორობით გამოვიდა ამ სერიის შვიდი წიგნი, რომლებიც ეძღვნებოდა „მუჰანიის წამების“, „ძეგლი ერისთავთას“, სუმბატ დავითის-ძის თხზულების „მატიანე ქართლისას“, „თამარ მეფის ცხოვრების“, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ რუსულ თარგმანებს.

12 Парсадан Горгиджанидзе, История Грузии, Перевод Р.К.Кикнадзе и В.С.Путупдзе. Исследования и указатели Р.К.Кикнадзе. Тбилиси. 1990.

13 რ. კიკნაძე, გ.ალასანია, წყარომცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988.

14 Р.К.Кикнадзе, Вопросы методики издания текстов Грузинских исторических сочинений. Вопросы изучения и издания письменных источников по истории Грузии. Тбилиси. 1980. რ. კიკნაძე, წყარომცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - საქართველოს ისტორიისა და წყარომცოდნეობის საკითხები, II, თბ., 1992; რ. კიკნაძე, წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის მეთოდის ზოგიერთი საკითხი - ქართული წყარომცოდნეობა VI, 1995; რ. კიკნაძე, თანამედროვე წყარომცოდნეობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემები - ქართული წყარომცოდნეობა, VII, 1987.

რაც მისი მდიდარი კვლევითი პრაქტიკის განზოგადებას წარმოადგენდა.

რ. კიკნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი ეთმობა წყაროთმცოდნეობითი კვლევის ისტორიას საქართველოში. ამას ეძღვნება როგორც დარგის განვითარების ზოგადი მიმოხილვა გარკვეულ ქრონოლოგიურ ფარგლებში¹⁵, ისე გამოჩენილ მკვლევართა - ივ. ჯავახიშვილის, ვლ. ფუთურძის, ვ. დონდუას, ს. კაკაბაძის - ღვაწლის წარმოჩენას წყაროთმცოდნეობის განვითარებაში.

რ. კიკნაძე მეტად დიდ დროს უთმობდა სარედაქციო სამუშაოს. წლების მანძილზე იყო ჟურნალების „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მთავარი რედაქტორი და „მაცნეს, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის“ სერიის მთავარი რედაქტორის მოადგილე. საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიაში - ორი სერიის (ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები და ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლების რუსული თარგმანის) რედაქტორი - ეს, რაც, ასე ვთქვათ, მის „სამსახურებრივ“ ვალდებულებას შეადგენდა, ამის გარდა, მან რედაქტორობა გაუწია ორმოცამდე მონოგრაფიასა და კრებულს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უდიდესი პასუხისმგებლობითა და, როგორც მისი კოლეგა ზ.ალექსიძე შენიშნავს, იუველირის ხელოვნებით ასრულებდა ის რედაქტორის მოვალეობას - სხვისი ნააზრვის კვალში ჩამდგარს უმნიშვნელო დეტალიც კი არ რჩებოდა შეუმჩნეველი.

რ.კიკნაძე დაჯილდოებული იყო მეცნიერების ორგანიზატორის იშვიათი ნიჭითა და უნარით. ის სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განყოფილებას (1961-1963 წწ.), შემდგომ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებას (1969-1989 წწ.); იყო საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1974-1989) და იმავე კომისიის ორი სექტორის ხელმძღვანელი. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1979-1988 წლებში ჩატარდა შეიდი ეროვნული (რესპუბლიკური) და ოთხი საკავშირო სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის აქტუალური პრობლემებისადმი.

ასეთი სქემატური მიმოხილვაც კარგად წარმოაჩენს რ.კიკნაძის, როგორც მკვლევრისა და მეცნიერების ორგანიზატორის თვალსაჩინო წვლილს ქართული ისტორიული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში.

15 რ. კიკნაძე, მ. ჩხარტიშვილი, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები - ისტორიული მეცნიერება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1985; რ. კიკნაძე, წყაროთმცოდნეობითი კვლევა ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში - მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, N 2; წყაროთმცოდნეობა - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველო, 1981.

GONELI ARAKHAMIA

R. KIKNADZE AS A RESEARCHER

Summary

The famous Georgian scientist, Doctor of History Sciences R. Kiknadze (1923-1989) contributed greatly to the development of the research of Georgian History. The result of this contribution is as follows: translation of the notes into Georgian language by XIII and XVII century Iranian historians and their introduction with its comments into scientific circulation; arrangement of many distorted texts of the works given in "Kartlis Tskhovreba" (Life of Kartli) in the collection of medieval Georgian chronicles and the use of the data of a completely new, additional source for this as well as the preparation of the critical text of one of them, namely, "Chronograph of a hundred years" including its research and comments in order to be published; Russian translation of the work by XVII century Georgian historian Parsadan Gorgijanidze: development of the methodology for determining the text of historical sources, as well as research theoretical problems based on the experience of a long term research practice. Along with the researcher's talent R. Kiknadze was distinguished with the ability of an excellent organizer of science.

Г.М. АРАХАМИА

РЕВАЗ КИКНАДЗЕ КАК ИСТОЧНИКОВЕДЬ

Резюме

Известный грузинский ученый, доктор исторических наук Р. Кикнадзе (1923-1989 гг.) внес большой вклад в развитие источниковедения истории Грузии. Результатом этого вклада являются: перевод на грузинский язык и введение в научный оборот сведений иранских летописцев XIII и XVII в. вместе с исследованиями и комментариями; исправление многих искаженных мест в текстах двух анонимных сочинений в сборнике грузинских средневековых летописей «Житие Картли» («История и восхваление венценосцев» и «Столетняя летопись»), и использование для этого данных совершенно нового вспомогательного источника; подготовка критического текста одного из них («Столетняя летопись») к изданию с исследованием и комментариями; русский перевод сочинения грузинского историка XVII века Парсадана Горгиджанидзе; разработка теоретических проблем источниковедения, а также методики установления текстов исторических источников, основанная на многолетнем опыте исследовательской практики. Помимо таланта исследователя, Р. Кикнадзе был наделен способностями блестящего организатора науки.

ვლადიმერ კაკელია

შანში ათაბაბ-ამირსპასალარის 1251 წლის წარწერა ანისში

ნაქალაქარ ანისში მდებარე, ტიგრან ჰონენცის მიერ აგებული წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ტაძრის ისტორიის შესასწავლად ტაძრის ეპიგრაფიკა პირველხარისხოვანი წყაროს წარმოადგენს. იოსებ ორბელის ავტორობით 1966 წელს გამოცემულ სომხური წარწერების კორპუსის პირველ ტომში შესულია ტაძრის შიდა, ი. ორბელის ნუმერაციით – №188, 189, 190, 191, 192, 193 და 194 სომხური ლაპიდარული წარწერა [1: 62-64]. აღნიშნული წარწერები სამ ეტაპად შევისწავლეთ:

- №188 – საამშენებლო წარწერის მცირე ნაწილი და №189 – მნიგნობართუბუცეს მათეს წარწერა სრულად, 2012 წელს გამოვაქვეყნეთ [1: 101-107];

- №190 ე.წ. ჩორტვანეკის წარწერის შესახებ კვლევის შედეგები სამეცნიერო საზოგადოებას 2014 წელს ტაო-კლარჯეთის III საერთაშორისო კონფერენციაზე წარვუდგინეთ [2: 29-31, 175-176];

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ (HE 15-022) ფარგლებში გამართული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით შესრულებული კვლევა № 192 (ტერ ნერსისის), 193 (სპანდიარის) და 194 (ჩარუხის) მოსახსენებელი წარწერების შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას 2016 წელს ტაო-კლარჯეთს IV საერთაშორისო კონფერენციაზე გავაცანიეთ [3: 31-32, 165-166].

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ №190 წარწერაში არ იკითხება ჩორტვანეკის/ჩორდვანელის სახელი, ხოლო №192, 193 და 194 წარწერები წმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაზე არ ფიქსირდება. სამივე მათგანი ქალწულთა მონასტრის ეკლესიის კედლებზეა შესრულებული¹.

¹ აღნიშნული კვლევების ამსახველი ორენოვანი ქართულ-ინგლისური თეზისების გამოქვეყნების მიუხედავად თ. ჯოჯუა თავის ვრცელ სტატიაში „ნაქალაქარ ანისის ახლადგამოვლენილი ქართული და ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ნაკანრი წარწერები)“ [4: 266-339], მის მიერ გამოვლენილ სამ ქართულ სავედრებელ წარწერაზე საუბრისას იმეორებს სომხური წარწერების შესახებ არსებულ მცდარ ინფორმაციას [4: 329, იქვე სქოლიო 3]. სამწუხაროა, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევები მის თვალსაზრისით მიღმა დარჩა, რითაც სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ მცდარი ინფორმაციის ტირაჟირება მოხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჯოჯუა მის მიერ გამოვლენილი ორი ქართული ნაკანრი წარწერის ადგილმდებარეობის მითითებისას შეცდომას უშვებს; აღრეული აქვს №5 და №6 (თ. ჯოჯუასე ნუმერაციით მითითებული) წარწერების განთავსების ადგილი

ბროსეს მესამე ანგარიშში (გვ. 128). ამ თარგმანის მიხედვით მე დავადგინე სომხური ტექსტი. თარიღი 700 სომხური წელთაღრიცხვით შეესაბამება ჩვენი წელთაღრიცხვის 1251 წელს." [5: 332].

როგორც ვხედავთ, კ. ბასმაჯიანმა სომხური ტექსტი არა ორიგინალიდან, არამედ ნ. ხანიკოვის „Excursion a Ani, en 1848“-ში მოცემული წარწერის ფრანგული ტექსტის მიხედვით აღადგინა, რომელიც ნ. ხანიკოვმა მ. ბროსეს Rapport-ების 1849 წელს გამოცემულ ტომში დაბეჭდა [6: 128]³. ნ. ხანიკოვს თავის ნაშრომში მოაქვს ვრცელი ამონარიდი ა. მურავიოვის წიგნიდან „საქართველო და სომხეთი“ [8]. ნ. ხანიკოვის ტექსტში ჩვენთვის საინტერესო – ნმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაზე ინფორმაცია 127-128 გვერდებზეა მოცემული. ტექსტი ა. მურავიოვის დასახელებული ნაშრომის 276-278 გვერდებზე მოცემული ინფორმაციის ფრანგულ თარგმანს წარმოადგენს. ა. მურავიოვი ნმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის ფრესკულ წარწერებზე საუბრისას აღნიშნავს: „ყველა წარწერა ბერძნული ან ქართულია. სომხური საერთოდ არ არის. სომხეთის დედაქალაქში ეს უცნაური იქნებოდა, ამ გარემოებას საკურთხეველის კედელზე გარედან ამოკვეთილი წარწერა რომ არ გვიხსნიდეს: „ეკლესია აგებულია ათაბაგ სპასალარ შაჰინ-შაჰის დროს, სომხური წელთაღრიცხვით 700 წელს“ (ე. ი. 1251 წელს)“ [8: 277]. როგორც ვხედავთ ა. მურავიოვმა ყოველგვარი დედნის შრიფტისა და პალეოგრაფიული პირის გარეშე გადმოსცა წარწერის შინაარსი, სადაც პირდაპირ ისიც კი არ არის მითითებული თუ რა ენაზე იყო შესრულებული აღნიშნული წარწერა. ა. მურავიოვი არაფერს ამბობს ტაძრის სამხრეთ კედელზე არსებულ 1215 წლის ვრცელ, 25 სტრიქონიან სომხურ სამშენებლო წარწერაზე. ამის მიზეზსა და ახსნას თავად მურავიოვის მომდევნო მითითებაში ეპოულობთ: „დროის უქონლობა“ მე არ მაძლევდა საშუალებას ყველა წარწერა გადმომეღო, რომლებიც თავად სომხებისთვისაც რთულია; მე ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ ერთი სახელის და წლის [თარიღის] შემჩნევით, და ამგვარად ძეგლიდან ძეგლზე გადავდიოდი“ [8: 278]. როგორც ვხედავთ ა. მურავიოვის მიზანი იყო არა რომელიმე წარწერის ზუსტი გადმოცემა, არამედ წარწერის ძალიან ზოგადი შინაარსის დაფიქსირება, რომლის გადმოცემისასაც უმთავრეს ყურადღებას მხოლოდ წარწერაში მოხსენიებულ პირს და თარიღს აქცევდა.

მამასადამე ა. მურავიოვმა ნმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიაზე, საკურთხეველის კედელზე, გარეთა მხარეს ანუ აღმოსავლეთ ფასადზე ნახა წარწერა, რომელშიც მოხსენიებული იყო:

1. ათაბაგ-სპასალარი შაჰინშაჰი;
2. თარიღი – სომხური წელთაღრიცხვით 700 წელი.

დღეისათვის ანისში მდებარე ტიგრან ჰონენცის მიერ აგებულ ნმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მდებარეობს ერთადერთი

³ იგივე ტექსტი ნ. ხანიკოვმა მოგვიანებით ხელახლა გამოაქვეყნა სათაურით – „VOYAGE A ANI. CAPITALE DE L'ARMÉNIE. SOUS LES BAGRATIDES“ [7: 401-420]. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი გვ. 407.

— მნიგნობართუხუცეს მათეს 1310 წლით დათარიღებული წარწერა (იხ. დანართი). სხვა წარწერა ან წარწერის კვალი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არ არის. ჩვენ კიდევ ერთხელ შევადარეთ აღნიშნული ლაპიდარული წარწერის მონაცემები ა. მურავიოვის ნანახ წარწერის მონაცემებთან, რის შედეგადაც შემდეგი სურათი მივიღეთ:

1310 წლით დათარიღებულ მნიგნობართუხუცეს მათეს წარწერას თარიღი შემდეგი სახით უზის



ანუ ი-ქ (წელსა) 2(ჩ-700) თ (წ-50) ი(თ-9) – $759+551=1310$ წელს. ამასთან წლის აღმნიშვნელი ი-ქ და თარიღის აღმნიშვნელი პირველი გრაფემა 2 მოთავსებულია გვერდიგვერდ, ხოლო თარიღის აღმნიშვნელი დანარჩენი ორი გრაფემა თ-9 მოთავსებულია სარკმლის მარჯვნივ, 2 გრაფემისაგან მოშორებით. საკუთრივ წარწერის პირველივე სამ სიტყვაში ვკითხულობთ: **აძაჟაჟი ასიჩაჟასაღარ | ჯაჟაჯაჟი** – ათაბაგ-ამირსპასალარ შაჟინშაჟი [შანშე].

როგორც ჩანს ა. მურავიოვი, რომელიც, როგორც თავადაც აღნიშნავს, დროის სიმცირის გამო კმაყოფილდებოდა მხოლოდ სახელის და თარიღის აღნიშვნით სწორედ ამ წარწერას გადმოგვცემს. მან დაინახა რა ი-ქ 2 ყურადღება აღარ მიაქცია სარკმლის მარჯვნივ მდებარე თ-9-ს და წარწერის თარიღად ჩათვალა მხოლოდ 2, საიდანაც მივიღეთ სომხური წელთაღრიცხვის 700 წელი, რაც $1251(700+551)$ წელს გვაძლევს. მხოლოდ სახელის ამოკითხვისას კი პირვალსავე სამ სიტყვაში ათაბაგ-ამირსპასალარ შაჟინშაჟი ამოიკითხა. ყოველივე ამის ფონზე წარწერის მისმა ინტერპრეტაციამ სწორედ ის სახე მიიღო რაც თავის მოგზაურობაში გადმოგვცა – „ეკლესია აგებულია ათაბაგ სპასალარ შაჟინ-შაჟის დროს, სომხური წელთაღრიცხვით 700 წელს“ (ე. ი. 1251 წელს)“.

ამრიგად, 1966 წელს გამოცემულ სომხური წარწერების კორპუსის პირველ ტომში №191 ნომრით შესული ე. წ. ათაბაგ ამირსპასალარ შანშეს წარწერა სხვა არაფერია თუ არა ამავე კორპუსში №189 – მნიგნობართუხუცეს მათეს წარწერის მცდარი ინტერპრეტაცია.

შესაბამისად საისტორიო მეცნიერებაში ე. წ. ათაბაგ ამირსპასალარ შანშეს 1251 წლის წარწერაზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრებები: ანისში მდებარე ტიგრან ჰონენცის მიერ აგებულ წმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის კონფესიური კუთვნილების ცვლილების თარიღზე, ტაძრის მოხატვის დათარიღებაზე⁴, ასევე შანშე | მანდატურთუხუცესის მიერ ათაბაგისა და

⁴ წარწერაზე დაყრდნობით აღნიშნული მიმართულებით კვლევა ჩაატარეს პ. მურადიანმა [9: 174-190; 10: 36-66] და ა. ლიდოვმა [11: 75-87].

წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. კეკელია, ანისის ტიგრან ჰონენციის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V (თბილისი, 2012) გვ. 101-107.
2. ვ. კეკელია, ჩორდვანელთა ფეოდალური სახლის ისტორიის წყაროები და მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი, III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო - კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები (თბილისი 2014) გვ. 29-31 (ქართ), 175-176 (ინგლ.).
3. ვ. კეკელია, რამდენიმე შესწორება ანისის ეპიგრაფიკაში (ნმ. გრიგოლ განმანათლებლის ეკლესიის სომხური წარწერები), IV საერთაშორისო კონფერენცია „ტაო - კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები (თბილისი 2016), გვ. 31-32 (ქართ), 165-166 (ინგლ.).
4. თ. ჯოჯუა, „ნაქალაქარ ანისის ახლადგამოვლენილი ქართული და ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული და ნაკანრი წარწერები), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები XIV-XV, (თბილისი, 2016-2017), გვ. 266-339.
5. K. J. Basmadjian, "Les Inscriptions Armeniennes D'Ani. De Bagnair et de Marmashen", *Revue de l'Orient Chretien*, III (XXIII) (1922-1923), p. 313-344.
6. M. Brosset. *Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. executé en 1847-1848.* (St. Peterstbour. 1849), p. 121-152.
7. N. Khanykof, „VOYAGE A ANI, CAPITALE DE L'ARMÉNIE, SOUS LES BAGRA-TIDES“, *Revue Archéologique*, 15e Année. No. 2 (OCTOBRE 1858 A MARS 1859), pp. 401-420.
8. А. Муравьев, Грузия и Армения. II (Санкт-Петербург. 1848).
9. П. Мурадян, М. Строительство и конфессия церкви Тиграна Ошенца по памятникам эпиграфики. *Պատմա-րանსაիրական հանդես*, № 4 (1985), ст. 174-190:
10. П. Мурадян, Проблема конфессиональной ориентации церкви Ошенца (критический анализ источников и литературы). *Кавказ и Византия*. 5 (Ереван. 1987), ст. 36-66.
11. А. Лидов, (1990) Искусство армян-халкедонитов. *Պատմա-րանსაիրական հանդես*. № 1 (1990), ст. 75-87.
12. Հ. Օրբելի. Դիվան հայ վիմագրության. I. Անի քաղաք. կազմեց (Երևան. 1966).

VLADIMIR KEKELIA

INSCRIPTION OF SHANSHE ATABAG-AMIRSPASALARI OF 1251, IN THE CITY OF ANI

Summary

The article represents an analysis dedicated to the inscription of Shanshe Atabag-Amirspasalari, dated back to 1251 in the ruined city of Ani. Based on this inscription, the author formulates suppositions on confessional changes of the Church of Saint Gregory and the dating of church frescos (P. Muradjan, A. Lidov), as well as on taking of positions of Atabagi and Amirspasalari by Shanshe I Mandaturtukhutsesi (T. Jojua). The analysis proves that the so called Shanshe Atabag-Amirspasalari's inscription of 1251 is nothing else but the erroneous interpretation of Mate Mtsignobartukhutsesi's inscription dated back to 1310. This interpretation takes its origins from the incorrect interpretation by A. Muraviov. Conclusions made on the basis of the so-called inscription of 1251 are wrong and they have no scientific ground.

В. А. КЕКЕЛИА

ЭПИГРАФИЧЕСКАЯ НАДПИСЬ ШАНШЕ АТАБЕКА- АМИРСАСАЛАРА 1251 ГОДА В ГОРОДИЩЕ АНИ

Резюме

В публикации представлен анализ эпиграфической надписи Шанше Атабека-Амирспасалара из городища Ани датированная в исторнографии 1251 годом. Основываясь на этой надписи выдвинуто мнение об изменении конфессиональной принадлежности церкви Св. Григория Просветителя в городе Ани построенной Тиграмом Опенцом и о датировке росписи этой церкви (П. Мурадян, А. Лидов), также о принятии Шанше I Мандатуртухуцесом должностей Атабека и Амирспасалара (Т. Джоджуа). Анализ надписи поясняет, что т. н. надпись Шанше Атабека-Амирспасалара датированная 1251 годом нечто иное как ошибочная интерпретация эпиграфической надписи Мцигнобартухуцесса Мате датированная 1310 годом, которая берёт начало от ошибочного чтения А. Муравьева. Заключение опирающийся на т. н. надписи 1251 года неверны и научно не обоснованны.

ლელა ხაჩიძე

“ვეფანი გალობა” როგორც სასულიერო განათლების ნაწილი

(ადრებიზანტიური პერიოდიდან გიორგი მთაწმინდელის
მოღვაწეობის ჩათვლით)

არქაული ღვთისმსახურება შედგებოდა ორი ელემენტისაგან. ეს იყო “სახარება” და “ფსალმუნი” - კითხვა და გალობა. ორივე მათგანს დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ლიტურგიაში. შესაბამისად, პირველი წიგნები, რომლებიც ითარგმნა ამა თუ იმ ქრისტიანი ერის ენაზე არის “სახარება” და “ფსალმუნი”, რაც პირდაპირ მიანიშნებს ამ ქვეყნების ორიენტირებზე.

ცნობილი ლიტურგისტის - ა. ბაუმშტარკის დაკვირვებით, ბიზანტიური ლიტურგიის შემცველ უძველეს ძეგლებში, ბიბლიურ საკითხავებთან ერთად, აღესრულებოდა რეჩიტაციით შესასრულებელი 9 ბიბლიური გალობა, რომელსაც ის ბიზანტიური კანონის პირველსახეს უწოდებს [13: 27]. ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ უძველესი საგალობლები თავდაპირველად ბიბლიურ გალობათა “სამკაულად” იყო განკუთვნილი.

“ხმიერი მუსიკის” კვლევის დანყება, წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, უკავშირდება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელს, რომელმაც განიხილა ქართული მრავალხმიანობის განვითარების საფეხურები [12: 304-309].

“ვეფანი გალობის” განვითარების პროცესი უძველეს ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში საგანგებოდ შეისწავლა აკად. ელ. მეტრეველმა [4: 037-077]. მეცნიერი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ჰიმნოგრაფია ბიბლიიდან იღებს სათავეს.

“ვეფანი” ანუ 8 ხმაზე განწყობილი გალობა ქრისტიანულ ეკლესიაში ადრევე (V საუკუნიდან) გავრცელდა. ერთგროპარაიანი¹ საგალობლების არქაულ ნიმუშებს ვხვდებით, უძველესი იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველი კრებულის – “იერუსალიმის ლექციონარის” (VII ს.) ქართულ თარგმანში [14: 808-817].

ამრიგად, ამ უნიკალურ ლიტურგიულ კრებულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰიმნოგრაფიის და ზოგადად, გალობის შესწავლისთვისაც [15].

1 ჰიმნოგრაფიის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების შესახებ იხ. Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980, 29-45.

ლეთისმსახურების გაზრდა-განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა საგალობელთა რაოდენობა და მოცულობა, რის შედეგადაც შემუშავდა საგანგებო კრებული - "უძველესი იადგარი", რომელიც აღმოცენდა და განვითარდა "იერუსალიმის ლექციონარის" საფუძველზე და შეივსო საგალობელთა ახალი ნიმუშებით. დღეისათვის ეს კრებული აღდგენილი და გამოქვეყნებულია პალესტინური წარმოშობის შვიდი ქართული ხელნაწერის საფუძველზე [5].

ამრიგად, ქრისტიანული გალობის განვითარების პირველ პერიოდში, V-VII სს-ში, ქართულ ენაზე ითარგმნა საგალობლების შემცველი უმთავრესი ლიტურგიკული კრებულები. ამასთან ერთად, VI ს-ში იღებს სათავეს ორიგინალური, ქართული ჰიმნოგრაფიაც, რომლის უადრესი ნიმუშებია წმ. შიო მღვიმელის ორი მცირე ფორმის საგალობელი [2: 412-413]. ჩვენი დაკვირვებით, ეს საგალობლები ზუსტად ასახავს VI ს-ის ლიტურგიკულ ტრადიციებს [10: 11-17].

"კმეანი გალობის" შემდგომი განვითარება დაკავშირებულია VII-VIII სს-ების საბანშიდურ სკოლასთან, კერძოდ, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მოღვაწეობასთან, რომელთაც შექმნეს "კეთილად შეწყობილი გალობა". "კმეანი გალობა" ამ დროიდან ნიშნავს "რვახმიან", რვა ხმათა სისტემაზე განწყობილ საგალობლებს.

სწორედ მათ სახელებს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიული კრებულის - "ოქტოეხოსის" (იგივე "რვა-ხმათა" ან "პარაკლიტონი") რედაქტირება და შევსება. ამ კრებულში, რომელიც დღესაც გამოიყენება საღვთისმსახურო პრაქტიკაში, საგალობლები დაჯგუფებულია რვა ხმის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ "რვა-ხმათა" სისტემა გულისხმობს შვიდეულების მანძილზე მონაცვლე რვა განსხვავებულ მელოდიას.

ამავე პერიოდიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა საგალობელთა შექმნის ახალი წესი, საგალობლის ახლებური სტრუქტურა, რომელიც "ძლისპირ—დასდებლის" შესატყვისობაზეა დამყარებული. ამიერიდან საგალობლების უმეტესი ნაწილი იქმნებოდა ასიმეტრიული ტროპარების სახით, სადაც საგალობელთა ტაეპები მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობას შეიცავენ. I ტროპარის ("ძლისპირის" ანუ "იროსის") სტრუქტურა — ტაეპში მარცვალთა განაწილება და ამასთან ერთად, მელოდიაც მეორდება იმავე საგალობლის ყოველ მომდევნო ტროპარში. ამრიგად, საგალობლის პირველი ტროპარი — "ძლისპირი" წარმოადგენს რიტმულ-მელოდიურ მოდელს, რომლის მეშვეობით მყარდება მეტრულ-მელოდიური თანაფარდობა ძლისპირ-ტროპარებს შორის [4: 043].

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საგალობლის შექმნა ურთულესი პროცესია, რომელიც მოითხოვს მკაცრ რეგლამენტაციას, მათ შორის საგალობლის რიტმული და მელოდიური საზომების დაცვას. ასევე ურთულეს პროცესს წარმოადგენდა საგალობელთა სხვა ენაზე თარგმნაც. ამიტომაც უწოდებს საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი - გიორგი მთაწმინდელი საგალობელთა შექმნას და თარგმნას "დასდებლის მეცნიერებას".

"დასდებლის მეცნიერება" გულისხმობდა შემდეგს: საგალობლის მთარგმნელს უნდა მოეხდინა ბერძნული დედნის ისეთი ადეკვატური თარგმანის შე-

ქმნა, სადაც საგალობლის თითოეული ტაეპი არამხოლოდ შინაარსობრივად იქნებოდა გამართული, არამედ მასში დაცული იქნებოდა მარცვალთა ის რაოდენობა, რამდენსაც მისი ბერძნული მოდელი შეიცავდა. საგალობლის გადმოთარგმნა სრულიად განსხვავებულია თხრობითი შინაარსის თხზულებების თარგმნისაგან. ამრიგად, ნათელია, თუ რამხელა ცოდნასა და ნიჭიერებას მოითხოვდა ჰიმნოგრაფიული ტექტების გადმოღება ქართულ ენაზე. ამას ემატებოდა ორიგინალის შესატყვისად სტრიქონებზე მელოდიური ფორმულების განანილება, რაც “ნევმების” (მაშინდელი სანოტო ნიშნების) სწორად დასმას მოითხოვდა. ნევმების აღმნიშვნელს კი “მნიშნველი” ეწოდებოდა.

იოანე დამასკელი, როგორც მისი “ცხოვრება” გვამცნობს, “მარცვლედოვანი საზომით” გამოთქვამდა დასდებელს, ხოლო შემდეგ დებდა მას კილოზე [4: 044]. თავდაპირველად ამ საგალობელთა გავრცელება ხდებოდა ზეპირი გზით, ნევმების საშუალებით ძლისპირის კილოს საგალობლის ტექსტზე ფიქსაცია შედარებით გვიანდროინდელი მოვლენაა.

გიორგი მთაწმინდელი, თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებზე დართულ ანდერძებში, ხშირად საუბრობს საგალობელთა თარგმნასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ. მის მიერ დატოვებულ ერთ-ერთ ანდერძში ნათქვამია: “მეცნიერთა და მოძღუართა ყოველთა იცით, რომელ დასდებელისა თარგმნად აურაცხელად ძნელ არს და საჭირო. ყოველსა თუალვად (დათვლა ლ.ხ.) უნდა და ნონად და დიდი მოცალეზად” (Ath - 69, 4v) [1: 466].

ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის გამორჩეულია “მეხელთა” სახელით ცნობილი რამდენიმე თაობა, რომლებიც X საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ ის პროფესიონალი მოღვაწეები, რომლებიც საგალობელთა ტექსტებსაც თვითონ ქმნიდნენ ან თარგმნიდნენ და მათ მელოდივსაც. ასეთები იყვნენ: მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევაარი, სტეფანე სანანოისძე-ჭყონდიდელი, იოანე ქონქოზისძე, კურდანაძე, ეზრა, კაპრაში და სხვა უცნობი პოეტ-მელოდოსები. დღეისათვის გარკვეულია, რომ ტერმინი “მეხური” ნიშნავს “ნევმიერებულს” ე.ი. მაშინდელი სანოტო ნიშნებით შემკულ საგალობელს [4 :].

“მეხელთა” მიერ შექმნილი ან ნათარგმნი საგალობლების კრებულს “მეხური იადგარი” ეწოდებოდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო სასწავლო წიგნი, განკუთვნილი მგალობელთა განსწავლისათვის. “იადგარი” წარმოადგენდა დიდი ზომის ლიტურგიკულ კრებულს. იგი მთელი წლის: სათვეო, საკვირაო და სანელიწდო განგებებს აერთიანებდა და ძირითადად მეთაე საკუნის გასულის ჩათვლით გამოიყენებოდა, თუმცა მას, როგორც ჩანს, მეთერთმეტე საუკუნეშიც იყენებდნენ. ამაზე მეტყველებს მელქისედეკ კათოლიკოსის შეწირულობის სიგელი (1030/1031 წწ.): “...და ორად გაყოფილი იადგარი მეხური, რომელსა შინა განგებად სანელიწდომ სწერია” ამრიგად, ჩანს, რომ მელქისედეკ კათოლიკოსმა სვეტიცხოველს შესწირა არა უბრალოდ “იადგარი”, არამედ “მეხური იადგარი”, რაც გულისხმობს ნევმური სისტემით განყოფილ საგალობელთა უნიკალურ კრებულს [6 :25].

საქართველოს ეკლესიის დიდი მოძღვრის – გრიგოლ ხანძთელის “ცხოვრებაში” ვკითხულობთ, რომ მან სიყრმის ასაკშივე სწრაფად დაისწავლა “დავითნი” და “ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ” [8: 249-250]. როგორც გარკვეულია, “ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ” რვა ხმაზე განწყობილ გალობას უნდა აღნიშნავდეს და სიტყვა “ჴმა” სპეციალურ ტერმინს წარმოადგენს. გრიგოლ ხანძთელის მრავალმხრივი განათლება სწორედ “ფსალმუნითა” და “ჴმეანი გალობით” იწყება, რაც იმდროინდელ საგანმანათლებლო პრაქტიკას ასახავს.

დამონშებულ ცნობაზე დაყრდნობით, იმდროინდელ ქართლში არსებობდა სამგალობლო სკოლა, სადაც შეისწავლებოდა “ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ”.

სხვა ადგილას ძეგლში ნათქვამია, რომ გრიგოლ ხანძთელს გალობის განსაკუთრებული ნიჭი და ამასთან, იშვიათი მეხსიერება ჰქონდა. ამიტომ “დაუფინყებლად აქსოვდა ყოველივე”, რასაც შეისწავლიდა: „და ყოველთა დღესასწაულთა განგებამ კეთილად იცოდა, რამეთუ რომელიცა დაესწავა, დაუფინყებლად აქსოვდა, და აქუნდა ჴმისა ნებიერობამ და ტკბილობისა შუენიერებამ, ხოლო განსაკვრებელ იყო ჴსოვნებამ მისი“ [8: 281].

ყოველივე ეს გახდა წინაპირობა წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ “საწელიწდო იადგარის” შედგენისა, რომელსაც გიორგი მერჩულე ასეთ შეფასებას აძლევს: “ან არს ხანცთას ჴელითა მისითა დანერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდომ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან” [8: 282]. აქედან გამომდინარე, გრიგოლ ხანძთელმა დიდი წვლილი შეიტანა ტაოკლარჯეთის სამგალობლო სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ქართლში მიღებული ცოდნა ამიერიდან “მეორე ქართლად” ქცეულ მონასტრებს მოეფინა.

ტაოკლარჯეთში ჩამოყალიბებული სამგალობლო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მიქაელ მოდრეკილი. მან შეადგინა ვრცელი ნეემირებული ანუ “მეხური იადგარი” (978-988 წწ), რომელშიც თავი მოუყარა იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებულ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს – როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესაა “მეხელთა” მოღვანეობის ხანა. “მეხელნი”, ერთი მხრივ, თარგმნიდნენ საგალობელთა ტექსტებს და მეორე მხრივ, მუსიკალურად უსადაგებდნენ ბერძნულ ორიგინალებს – სამუსიკო ნიშნებით – ნეემებით კილოზე აწყობდნენ მათ. მიქაელ მოდრეკილის იადგარში დიდი სიზუსტითაა მოცემული მაშინელი სანოტო ნიშნები – “ნეემები”. მიქაელ მოდრეკილი თავადაც არის, ასევე, რამდენიმე საგალობლის ავტორი [13].

გალობის თეორიის თვალსაზრისით საინტერესოა კრებულში დაცული მიქაელ მოდრეკილის ანდერძები. მათგან ერთ-ერთში ვკითხულობთ: “შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა – მეხურნი – ბერძულნი და ქართულნი – სრულნი ყოვლითა განგებითა...სისწორითა კილომსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა... რომელნი იკითხვიდეთ, ისწავებდეთ, გინათუ ისმენდეთ სიტყუათა ამათ ღმრთივ – სულიერთა” [7: 566-567].

კილოს “სისწორის” დაცვა მხოლოდ პროფესიონალ მუსიკოსს (თანამედროვე გაგებით “კომპოზიტორს”) შეეძლო. “კილოს სისწორე” უპირატესად ნევმებით აისახებოდა. ამრიგად, მიქაელ მოდრეკილი არის პროფესიონალი, “გალობის მეცნიერების” მცოდნე. იგივე უნდა ითქვას ამ ვრცელ კრებულში დაცულ ბერძნულ საგალობელთა უცნობ ქართველ მთარგმნელებზე, აგრეთვე იმ პოეტ-მელოდოსებზე, რომლებიც ორიგინალური ქართულ საგალობლებს ქმნიდნენ. მათგან ყველაზე ვრცლად იოანე მტბევეარ ეპისკოპოსია წარმოდგენილი. მის დიდ აღიარებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ კრებულში დაცულ ერთ-ერთ მინიატურაზე იგი დიდი კაბადოკიელი მოძღვრის – ბასილი დიდის გვერდითაა გამოსახული.

ამ “იაღვარში” შესული ოთხი “მეხური” საგალობლის ავტორია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი - იოანე მინჩხი, რომელიც სინას მთაზე მოღვაწეობდა და ამით უნდა აიხსნას მისი საგალობლების სიმცირე მიქაელ მოდრეკილის მიერ ოშკში გადაწერილ ამ ხელნაწერში [3: 172]. ქართველ ავტორთაგან აქ გვხვდება იოანე ქონქოზისძის, ეზრას, კურდანანს საგალობლები და თვით მიქაელ მოდრეკილის ოთხი საგალობელი. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ კრებულში მრავალგზის გამეორებული ფორმულა - “ქრისტე, შეიწყალე სტეფანე”, როგორც დღეს უკვე გარკვეულია, გულისხმობს დიდ ქართველ მოღვაწეს, მთარგმნელსა და ჰიმნოგრაფს - სტეფანე სანანოისძე - ჭყონდიდელს, რომელიც მიქაელ მოდრეკილის მოძღვარი იყო [11: 19].

ამავე დროს, საინტერესოა ანდერძის ის მონაკვეთიც, რომლის თანახმად, მიქაელ მოდრეკილის “ნევმირებული იაღვარი” ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნიც ყოფილა, მასში დაცული მუსიკალური ნიშნების და ზოგადად, გალობის შესასწავლად: “რომელნი იკითხვიდეთ, ისწავებდეთ...”

საეკლესიო გალობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრებასა” და შემოქმედებაში, აგრეთვე მის მიერ დატოვებულ ანდერძებში. წმინდანის “ცხოვრებაში” ნათქვამია, რომ ხახულში ყოფნისას “საგალობელნი იგი სანელინდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა” [9: 116]. გიორგი მცირის ამ ცნობას საინტერესოდ ეხმიანება თავად გიორგი ათონელის ერთ-ერთი ანდერძი: “უკუეთუ კულა ესე სძლისპირნი სხუებრ ვინ იცოდით, ნუ გიკრს, მე ხახულს დამისწავლიან, განა ქართულად ყოველმან კაცმან კიდეს-კიდე იცის. თუენ კულა ჩუნესა ზედა მოაქციეთ” [1: 468]. ამ ორი უწყების თანახმად, ხახულში მონასტერში არსებობდა ძლიერი სამგალობლო სკოლა, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიდნენ “გალობის მეცნიერებას”.

წმინდანის „ცხოვრების“ ავტორი - გიორგი მცირე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გიორგი მთაწმინდელის ხახულში განსწავლას: “იგი [ხახული] ექმნა მიზეზ ყოვლისა კეთილისა, ვითარცა იტყვს გრიგოლ ღმრთისმეტყყული ათინისათვის, ვითარმედ: რომელი იგი მე ოქრომსა ქალაქ ექქმნაო” [9: 114].

შემდგომში, გიორგი მთაწმინდელი, თავის ბიძასთან - გიორგი მწერალთან ერთად ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახში აღმოჩნდა. გიორგი მწერალმა იგი

ნაიყვანა, რადგან “ფრიად ექმარებოდა ზეპირით კანანახობასა და ნიგნის კითხვასა და მისსა მსახურებასა” [9: 117]. აქვე აღვნიშნავთ, რომ “კანანახი” მომდინარეობს ბერძნული “კანონარქიდან”, რაც ნიშნავს - “საგალობელი კანონის დამწყებს”. ასე ეწოდებოდა მგალობელს, რომელიც წამოიწყო საგალობლის პირველ მუხლს (“ძლისპირს”), რომელიც შემდეგ დანარჩენ მგალობელთ უნდა გაეგრძელებინათ იმავე კილოზე” [14: 329].

“ცხოვრებაში” ნათქვამია ისიც, რომ წმინდა მამა მთანმინდაზე ყოფნისას, როგორც კი მიიღო მღვდლობის ხარისხი, ეკლესიის მთავრად ანუ მღვდელთა და მგალობელთა უფროსად იქნა განწესებული: “მიიღო რა პატრივი მღვდლობისა, შემდგომ მცირედისა მთავრად ეკლესიისა განინესა, უხუცესად მღვდელთა და მგალობელთა დაიდგინა” [14: 127].

აკად. ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გიორგი ათონელის შეხვედრას იმპერატორთან. წმინდა მამა ბიზანტიის იმპერატორთან წარდგა თავისი ოთხმოცი ყრმით, რითაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ “უბრძანა მეფემან, რადთა ჟამობად ათქუმიოს ობოლთა მათ თვსთა. ხოლო მან...წმიდისა სვემონ მოხუცებულისა გალობად გვბრძანა გალობად, რომელ არს ესე: “მჯდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე” და “ან განმიტყევე მე მშვდობით”...ხოლო ვითარცა ვთქუთ გალობად იგი, დიდი მადლი უბრძანა მეფემან ღმრთისმსახურმან ბერსა მას, ვითარმედ: “კეთილად განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შვილნი შენნი” და ბრძანა, ვითარმედ: ათასი აჟურად მიცემად მათდა...” [9: 184]. “ცხოვრების” ამ მონაკვეთის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: “ისტორიკოსის მთელი მოთხრობის სისწორის გასაგებად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გიორგი მთანმიდელს ბიზანტიის კეისართან სათხოვარი ჰქონია. თხოვნის ასრულების გასაადვილებლად და კეისრის გულის მოსაგებად მას თავისი ნორჩი მონაფეების გუნდი წინასწარ გაუწერთნია და რამდენიმე ბერძნული საეკლესიო საგალობელი დაუსწავლებია. კეისრის სიტყვიტგან ჩანს, რომ მას ბერძნული და ქართული საეკლესიო მუსიკის განსხვავებულობა კარგად სცოდნია, რომ ქართული გალობის გვარი და ბერძნული გალობის გვარი სხვადასხვა იყო...ესე ამბავი ქართული მუსიკის ისტორიისათვის იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ამით გალობის ქართული და ბერძნული განსხვავებული გვარის არსებობა XI ს-ში მაინც უცილობელად მტკიცდება” [12: 214].

ხახულში მიღებული „საგალობლის მეცნიერება“ არნახულ სიმაღლეზე ავიდა: „ჩუენთვს ლოცვა ყავთ, რომელთა შეწევნითა ღმრთისადათა ყოველი გულმოდგინებად ვაჩუენეთ, რადთა სრულ და უნაკლულო იყვენენ ეკლესიანი ჩუენნი და მისწორებულ საბედნეთისა ეკლესიათა საგალობელთა სიმრავლითა“ [1: 468].

გალობის განვითარების ისტორია არანაკლებ საინტერესოა შემდგომ პერიოდშიც, როცა მთავრდება „მეხელებისა“ და ათონელი მამების მოღვაწეობის ორი დიდი ეპოქა. ამის შემდეგ პროფესიონალი პოეტის შრომა ემიჯნება პროფესიონალი მელოდოსის საქმიანობას.

დამონმებული ლიტერატურა:

1. გიორგი მთაწმიდელის თენი (სექტემბერი), გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაია, თბ., 2007.
2. ინგოროყვა პ., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913.
3. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
4. მეტრეველი ელ., “ქმეანი გალობა” უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, ნიგნში „ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით“, თბ., 1971.
5. უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ, მეტრეველმა, ც. ჭანიკევა და ლ. ხვესურიანმა, თბ., 1980.
6. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქაძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 25.
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შ კოლექცია, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 566-567.
8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.
9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
10. ხაჩიძე ლ., ძველი ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 2012, გვ.11-17.
11. ხაჩიძე ლ., ნარკვევები ძველი ქართული და ბიზანტიური მწერლობის ისტორიიდან, თბ., 2018.
12. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.
13. ჯღამაია ლ., მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, მაცნე, N 2, 1972.
14. Baumstark A. Liturgie comparée. Principes et méthodes pour l'étude historique des liturgies chrétiennes. III édition, Chevetogne, 1953.
15. Кекелидзе К., Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912.
16. Leeb H, Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 8. Jahrhundert), Wien, 1970.
17. Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980.

LELA KHACHIDZE

"VOICE CHANTING" AS A PART OF THEOLOGICAL EDUCATION

(Including the activities of George the Athonite from the Early Byzantine period)

Summary

The present work deals with the introduction and establishment of chanting rules in Georgia. In the first period of the development of Christian chant (5th -7th cc), the main liturgical collections containing the hymns - "Jerusalemite Lectionary" and "The Oldest Tropologion" were translated into Georgian. Georgian original hymnography began in the 6th century.

Further development of chanting rule is related to St. Sabbas Monastery school of hymnography in the 7th-8th cc, namely, with the activities of John of Damascus and Cosmas of Jerusalem. From this time the hymns are arranged on the eight-tone system. From the same period, a new rule of creation the hymns based on the correspondence of "himos-troparion" has been finally formed. The creation and translation of the hymns was associated with many difficulties, so the term "science of chanting" was created.

According to the "Life" of the great Georgian ecclesiastical figure - Grigol of Khantsta, there existed a chanting school in Kartli of that time where he got his education (9th c). Later, Grigol of Khantsta himself contributed greatly to the establishment and development of the Tao-Klarjeti chanting school.

The famed representative of this school is Mikael Modrekili who compiled an extended "Mekhuri Iadgari" (Tropologion) in 978-988 bearing the neumes. The colophons preserved in it testify to the fact that Mikael Modrekili is a professional poet-melodist with thorough knowledge of the "science of chanting". The same can be said about the unknown Georgian translators of Greek hymns preserved in this extensive collection, as well as about those poet-melodists who created original Georgian hymns.

Special attitude towards ecclesiastical chanting can be seen in the "Life" and activity of George the Athonite, as well as in colophons left by him.

როზაბა ასათიანი

ეკონომიკური თეორია როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი და განმსაზღვრელი

(ისტორიულ-ეკონომიკური ანალიზი)

თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი და ისტორიულად განმტკიცებული ღრმა სისტემური ცვლილებები, თანხლები პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს მოიცავს, პირველ ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში აისახება და თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებში გაანალიზებას მოითხოვს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მის ნებისმიერ ეტაპზე უდიდეს როლს ეკონომიკური მიმდინარეობები და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი თეორიები ასრულებდა. ამის დასტურია XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, როდესაც ადამ სმიტის ცნობილი ნაშრომის („გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ – 1776) საფუძველზე ჩამოყალიბდა ეკონომიკური მეცნიერება მეცნიერების ცალკე დარგად და XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე, თითქმის 160 წლის მანძილზე მსოფლიოს ნამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობოდა სმიტისეულ ლიბერალურ ეკონომიკურ თეორიას, სადაც სახელმწიფო მხოლოდ „ღამის დარაჯის“ როლს ასრულებდა. უმართავმა ეკონომიკამ გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ისტორიაში შევიდა 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით. ამ მძიმე მდგომარეობიდან 40-იანი წლებიდან მსოფლიო გამოიყვანა ჯონ მейნარდ კეინზის ცნობილ ნაშრომში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგად თეორიაში“ (1936) ჩამოყალიბებულმა ეკონომიკურმა თეორიამ, რომლის ძირითადმა პოსტულატებმა უდიდესი გარდატეხა გამოიწვია ნამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკებში, რაც ისტორიაში ცნობილია „კეინზიანური რევოლუციის“ სახელწოდებით. ეკონომიკის სოციალიზაციაზე გამიზნულმა კეინზიანურმა თეორიამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, რასაც მოჰყვა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნა (1953), რომელიც ამოქმედდა 1958 წლიდან, ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, კაპიტალისტური ქვეყნების დაყოფა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად და სხვ.

კეინზის თეორია, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკაში მხოლოდ და მხოლოდ კრიზისულ სიტუაციებში იყო გასათვალისწინებელი, 60-იანი წლებიდანაც, აღმავლობის დანყების პერიოდიდან საფუძვლად ედო ეკონომიკურ პოლიტიკას და აქედან გამომდინარე, „მოთხოვნის თეორია“ არ შეიცვალა „მინოდების თეორიით“. ამან გამოიწვია 1975 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. 80-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო პოლ სამუელსონის ხელმძღვანელობით შექმნილი „ნეოკლასიკური სინთეზი“, რომელიც ერთი ათეული წელი წარმატებით გამოიყენებოდა აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. 90-იანი წლებიდან აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო ჩიკაგოს სკოლისა და მისი ხელმძღვანელის მილტონ ფრიდმენის „მონეტარისტული თეორია“, რომელიც ითვალისწინებდა არა მინოდების, ანუ წარმოების გაზრდას, არამედ სპეკულაციური ოპერაციებით ფულის კეთებას (ფულით ფულის კეთებას ჯერ კიდევ არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა). ამ პოლიტიკამ მსოფლიო ეკონომიკა მიიყვანა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. აქედან მოყოლებული ეკონომიკური პოლიტიკა (და არა ეკონომიკური მეცნიერება) მეტნაკლებად კრიზისულ სიტუაციაშია. დღეს ახალი კეინზიანელები ცდილობენ შეიმუშაონ „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“, რის გამოც ეკონომიკური პოლიტიკა არც ერთ ეკონომიკურ თეორიას არ ეყრდნობა და, შეიძლება ითქვას, ნეგატიურ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.^{1*}

ზოგადად, ეკონომიკური თეორიები დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ „თამაშის წესებზე“ მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, შეუქცევადი პროცესია და ნაკლებად არის დამოკიდებული მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე. პირიქით, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეკონომიკური თეორიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების საწყისისა და დედაბოძის, როლის უგულვებელყოფა კაცობრიობის პროგრესში და მისი იგნორირება განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასა და მათ საგანმანათლებლო სისტემაში, გარკვეული თვალსაზრისით, უმართავს ხდის გლობალიზაციის ეპოქალურ პროცესს და წინა პლანზე მის ნეგატიურ მხარეებს წამოსწევს. ამის ნათელი მაგალითია მესამე ათასწლეულის დასაწყისში აშშ-ში წარმოშობილი ფინანსური კრიზისი, რომელიც გადაიზარდა ჯერ მსოფლიო ფინანსურ, ხოლო შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში, მწვავედ აისახა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების (ასევე, ტრანზიტული ქვეყნების) პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ საერთაშორისო რეზონანსის მოვლენამ ერთხელ კიდევ დაადასტურა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილი ამერიკული დოქტრინის „ნეოგლობალიზმის“ სიძლიერე და მასშტაბურობა. „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით

¹ ჩვენ შევიშუბავთ „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“, როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისა და „ნეოკლასიკური სინთეზის“ (ახალი შინაარსით) ერთიანობა, რომელიც განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომში.

ცნობილ თეორიულ პოსტულატებზე აგებული ეს სტრატეგია ითვალისწინებს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევას), მის საფუძველზე ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრას, რომელშიც დომინირებული პოზიცია აშშ-ს უკავია. 1997 წლიდან ამ პროცესში მონაწილეობს „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს“ გაფართოების საფუძველზე შექმნილი „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ სხვა უმსხვილესი ქვეყნებიც.

ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის აუცილებლობა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობას უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც გამოიკვეთა პროგრესული ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკაში და რიგი ქვეყნების ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, მათ განვითარებაში.

ეს პროცესები დააჩქარა, „კეინზიანურ რევილუციასთან“ ერთად, 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლამ და მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა. 1950 წელს ეკონომიკური წესრიგის თეორიის ფუძემდებელი გერმანელი ვალტერ ოიკენი წერდა: „ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძინა ახალი შინაარსი.....საათმა დაჰკრა, უნდა ვიჩქაროთ, თორემ სამრეწველო აპარატი მას გაჭყლებს“.²

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დენიელ ბელი წერდა: „ჩვენ მოწმენი ვართ დასავლეთში მიმდინარე მასშტაბური ისტორიული პროცესების, როდესაც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ბურჟუაზიული კულტურა სწრაფ ეროზიას განიცდის. ახალ საზოგადოებაში, სადაც სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება, მთავარია არა ძლიერი კუნთები, არამედ ცოდნა და ინფორმაცია.“³

ეკონომიკური თეორია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კატალიზატორია. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიების შექმნასა და განვითარებაში, დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესებაში, პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატეს ზრდაში, მომსახურების წარმოების გაფართოებაში, ტექნოლოგიების განსაკუთრებული როლის წარმოჩენაში და ა.შ. ამ მოსაზრებას ისტორიული ნიაღვრეებიც ადასტურებს.

ის გარემოება, რომ სახელმწიფო, სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს, ახალი დროის გამოწვევაა. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, იგი წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვაა უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

2 Ойкен В. Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., 1995. с. 68.

3 Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М. «Academia», 1999, с. 113.

კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციის წინა პლანზე წამოწევა ბაზრის პრინციპების რეალიზაციისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად და აღიარებული.

დღეს ბევრს მსჯელობენ ეკონომიკური მეცნიერების კრიზისზე, რაც არ არის სწორი, კრიზისშია ეკონომიკური თეორია, უფრო ზუსტად კი, ეკონომიკური პოლიტიკა, რისთვისაც აუცილებელია მენისტრის (ძირითადი მიმართულებების) შეცვლა.

ახალი კენიზიანელები ცდილობენ ჩამოაყალიბონ ახალი ნეოკლასიკური სინთეზი, როგორც „ნეოკლასიკური სინთეზის“ მოდიფიცირებული ვარიანტი. ამისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია ეკონომიკურ პოლიტიკაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება, რაც სახელმწიფოს მიანიჭებს ახალ როლს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში (იხ. სქემა №1).

„ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“ მოდიფიცირებული ვარიანტი, ჩვენი აზრით, იქნება საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ზემოთ წარმოდგენილი ძირითადი მიმართულებებისა და XX საუკუნის 80-იან წლებში განვითარებული ქვეყნებისა, პირველ რიგში კი, აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში მოქმედი ნეოკლასიკური სინთეზის (რომელიც ახალ შინაარსს შეიძენს – გარდა მაკროეკონომიკური პრობლემებისა, თანამედროვე ტექნოლოგიური ბუმის პირობებში გაითვალისწინებს მიკროეკონომიკურ პრობლემებსაც) ერთიანობა. „ნეოკლასიკური სინთეზის“ ახალი შინაარსის შესახებ ამერიკელი მეცნიერებიც აღნიშნავენ. მოკლედ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებებისა და „ნეოკლასიკური სინთეზის“ ერთიანობა იქნება „ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“ მოდიფიცირებული ვარიანტი. ეს საიხლეა მსოფლიო ეკონომიკაში.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დარწმუნდნენ იმაში, რომ ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის პროგრამას უჭირავს.

სოციალური უსამართლობა და სოციალური კატასტროფები, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება საბაზრო კონკურენციის შეზღუდვით, ხელისუფლებასთან ბიზნესის შერწყმით. მთავარი ძალა, რომელიც წინ ეღობება საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, არის ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც წარმოშობს უსამართლობას ეკონომიკაში და საერთოდ, საზოგადოებაში. ამიტომ ეკონომიკის დაცვა ხელისუფლების ინტერვენციისაგან ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქვეყანა მაშინ ვითარდება, როდესაც ხელისუფლება ატარებს კონკურენციულ პოლიტიკას. ამიტომაცაა აღიარებული, რომ კონკურენციული პოლიტიკა საუკეთესო სოციალური პოლიტიკაა. ეკონომიკურ პოლიტიკაში ყველაზე

საზოგადოებრივი საქმის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები

| | |
|---|--|
| 1. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გალატაკების არდაშეება. | 2. საზოგადოებრივი დოვლათის მოსახლეობისათვის მიწოდება უფასოდ ან დოტაციური ფასით. |
| 3. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგიის განსაზღვრა. | 4. ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობის შემუშავება და დაცვა. |
| 5. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება და მონოპოლიების წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება. | 6. მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობისა და ღრმა პოლარიზაციის არდაშეება. |
| 7. შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება. | 8. გადასახადების მანევრებით ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერება. |
| 9. დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. | 10. ბუნებრივი მონოპოლიების შენარჩუნება და მათი პრივატიზაციის არდაშეება. |
| 11. საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრება. | 12. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. |
| 13. კერძო საკუთრების დაცვა და ხელშეწყობა. | 14. საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უპირველესი როლის დაცვა. |
| 15. ახალი საბიუჯეტო ფედერალიზმის მაკროეკონომიკური რეგულირება. | 16. ფულად-საკრედიტო რეგულირების მოქცევა თავის ფუნქციონირების საზღვრებში. |
| 17. მცირე და საშუალო ბიზნესის აქტიურად ხელშეწყობა. | 18. საშუალო ფენის რეალურად ჩამოყალიბება და მისი რაოდენობის ზრდა. |
| 19. უარყოფითი გარე ეფექტების (ექსტერნალიტების) წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება. | 20. ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება. |
| 21. კონკურენციის სფეროში წესრიგის დაცვა. | 22. სოციალური წესრიგის დაცვა. |
| 23. სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. | 24. ინსტიტუციური წესრიგის დაცვა და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარება. |
| 25. საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. | 26. განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება. |
| 27. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება. | 28. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება. |
| 29. ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა. | 30. ინოვაციური პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა. |
| 31. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. | 32. ბუნებათსარგებლობის აპრობირებული წარმართვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. |
| 33. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. | 34. ნარჩენების რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და გატარება. |
| 35. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება. | 36. გლობალიზაციის დადებითი ეფექტების გამოყენება და უარყოფითი ეფექტების დაძლევა. |

ცუდი ის არის, რომ მსხვილი ბიზნესმენები ადგილს იკავებენ ხელისუფლებაში და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ მონოპოლიურ პოზიციებს ბაზარზე.

განვითარებულ ქვეყნებში ადგილს სულ უფრო იკავებს სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა. ამ გზით მიმავალი ქვეყნები დღეს უპირატესობას ანიჭებენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სისტემის ორგანიზებას, თვითდასაქმების სისტემის განვითარებასა და არა სოციალური დახმარების ჩვეულებრივ, შეიძლება ითქვას, ვადაგასულ სისტემას.

ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებით მსოფლიოს განვითარების კანონზომიერმა პროცესმა ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა ეკონომიკურ პროგრესს, რაც, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ტექნოლოგიურ ბუმში გამოიხატა. ამიტომაც გახდა აუცილებელი ეკონომიკური თეორიის შეინსტრუმისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც 25 წელზე მეტია გრძელდება და დასასრული არ უჩანს. დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი, ისტორიულად განსაზღვრული ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ფასეულობები, რაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარების სტრატეგიაში აისახება. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ეყრდნობა იმ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ (პოლიტიკურ, კულტურულ და ა.შ.) ფასეულობათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა უშუალო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე და არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებაზე. ეს უკანასკნელი კი დიდ როლს ასრულებს XXI საუკუნის პრიორიტეტის რეალიზაციაში – ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების საფუძველზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანი „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის მოთხოვნათა რეალურ ცხოვრებაში განხორციელებაა.

ასეთია დღეს კონტრასტულ სამყაროში მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა. ეპოქალურმა მოვლენებმა და პროცესებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, რომელმაც გამოკვეთილი ადგილი უნდა დაიკავოს ჩამოყალიბების პროცესში

მყოფ „ახალ ნეოკლასიკურ სინთეზში“ და, შესაბამისად, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ქვეყანა, რომელიც ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში დაეყრდნობა აღნიშნულ თეორიულ პოსტულატებს, ქმნის ქვეყნის განვითარების საკუთარ მოდელს. ბუნებრივია, ეს მოთხოვნები საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს, თუ გვინდა ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება.

წყაროები და ლიტერატურა:

1. სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 1938;
2. ასათიანი რ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მენისტრიმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 25 მარტი, 2011. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, №1;
3. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2012;
4. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი. „ივერიონი“, 2012;
5. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М. «Academica», 1999, с. 113;
6. Ойкен В. Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., 1995. с. 68;
7. Гэлбрейт Д.К. Экономика невинного обмана. Правда нашего времени. Перевод с английского. М., издательство «Европа», 2009;
8. Кеннс Дж. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., «Прогресс», 1978;
9. Тилберген Я. Пересмотр международного порядка. Перевод с английского. М., «Наука», 1980;
10. Эрхард Л. Благосостояние для всех. Перевод с немецкого. М., «Начала-Пресс». 1991;
11. Stiglitz J.E. Economics of the public sector. Second Edition. New York-London. “W.W. Norton & Company”, 1988;
12. Asatiani R. Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. “Bulletin of the Georgian Academy of Sciences”. Volume 169, number 2, 2004;
13. Krugman P. How did economists get it so wrong? “New York Times”, September 2, 2009 (კრუგმანი პ. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10);
14. Asatiani R. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol. 3(2-3), Ca&CC press, Sweden, 2009;
15. Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Political Developments”. New York, Nova Science Publications, Inc, 2011.

ROZETA ASATIANI

**ECONOMIC THEORY AS A BASIS AND DETERMINER FOR THE
ECONOMIC POLICY FORMATION****(A historico-economic analysis)****Summary**

Economic trends and therefore, corresponding theories, played a great role at any stage of the development of the world economy. Economic policy of the leading countries of the world was based on the Smithsonian liberal economic theory according to which the state played only the role of a "night watchman". Uncontrollable economy caused the global economic crisis, which went down in history as "Great Depression" of the 1929-1933. The famous Keynes's economic theory known as "Keynesian revolution" pulled the global economy out of the depression. This theory based on socialization of economy played a great role in the world economy which from the 50-ies was followed by scientific-technical revolution, creation of the system of national accounts, transfer of industrial society into postindustrial society, formation of the public sector economics, division of countries into the developed and developing countries, etc. In the early 80s, the economic policy was based on the "neoclassical synthesis" initiated by Paul Samuelson. Currently, new Keynesians try to develop "new neoclassical synthesis" that is why economic policy has not yet been based on any economic theory. We (R. Asatiani) have developed a new neoclassical synthesis as a unity of the public sector economics and neoclassical synthesis.

The main reason for the failure of Georgia in the first place should be sought in the wrong economic policy. Today, in economic policy it is necessary to take into account the main directions of the economy of the public sector economics which will cause an increase in socialization of the economy and give a new impetus to economic progress. Hence, it is necessary to change the mainstream of economic theory and economic policy.

როზეტა ასათიანი

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ КАК ОСНОВА И ОПРЕДЕЛИТЕЛЬ ФОРМИРОВАНИЯ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ

(историко-экономический анализ)

Резюме

Экономические направления и, соответственно, теории играли огромную роль на любом этапе развития мировой экономики. Экономическая политика ведущих стран мира опиралась на смитовскую либеральную экономическую теорию, которая отводила государству лишь роль «ночного сторожа». Неуправляемая экономика вызвала мировой экономический кризис, который вошел в историю как «Великая депрессия» 1929-1933 годов. Появление экономической теории Кейнза, так называемая «кейнзианская революция» вывела мир из этой тяжелой депрессии. Эта теория, основанная на социализации экономики, сыграла огромную роль в развитии мировой экономики, за которой с пятидесятых годов последовала научно-техническая революция, создание системы национальных счетов, перерастание индустриального общества в постиндустриальное, начало создания экономики общественного сектора, разделение стран на развитые и развивающиеся и т.д. В начале 80-х годов в основу экономической политики была положена теория «неоклассического синтеза», инициатором которого считается Пол Самуэльсон.

Сегодня, новые кейнсианцы пытаются разработать «новый неоклассический синтез», поэтому экономическая политика еще не основана на какой-либо экономической теории. Мы (Р. Асатиани) разработали «новый неоклассический синтез» как единство основного направления государственного сектора и «неоклассического синтеза» (в новом содержании).

Главную причину неудачи Грузии следует в первую очередь искать в неправильной экономической политике. Сегодня в экономической политике необходимо учитывать основные направления экономики государственного сектора, что обеспечит усиление экономической социализации и придаст новый импульс экономическому прогрессу. Вот почему необходимо изменение мейнстрима экономической теории и, следовательно, экономической политики.

ბალა გზირიშვილი

ზოგიერთი საკითხი ლევილის მამულის ისტორიიდან

ქართველი ერის ისტორიაში XX საუკუნის დასაწყისი დიდი პოლიტიკური ძვრებით აღინიშნა: საუკუნეზე მეტ ხანს რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფმა საქართველომ 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რითაც წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილმა ახალმა სახელმწიფომ-საბჭოთა რუსეთმა, დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის საქართველოს რესპუბლიკასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ასევე დამფუძნებელი კრების წევრების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი იყო ბრძოლის გაგრძელება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპის ქვეყნების მესვეურთა მხარდაჭერის საფუძველზე, რაც მოითხოვდა მოქნილი პოლიტიკის გატარებას, წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას, საერთაშორისო მდგომარეობის მომნიშვნებასა და მაქსიმალურ მომზადებას, რადგან რუსეთი ნებაყოფილობით არ დათმობდა მისთვის ასე მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ სახელმწიფოს.

ნოე ჟორდანიამ სამოღვაწეოდ პარიზი აირჩია. 1922 წელს საქართველოს მთავრობამ თავის სახელზე სახელმწიფო სახსრებით ლევილის შატო შეიძინა, რომლის მიზანიც, მამია ბერიშვილის (იგი იყო ლევილის „ქართული კერის“ ასოციაციის თავჯდომარე) თქმით, მისი ლტოლვილ ქართველთა თავშესაფრად ქცევა და საქართველოს გათავისუფლების შემდეგ მისი ისევ საქართველოს საკუთრებაში დაბრუნება იქნებოდა¹. მას შემდეგ უამრავი დრო გავიდა და ლევილის მყუდრო სავანეში მრავალმა ქართველმა ლტოლვილმა პპოვა თავშესაფარი. მათში არ ჩამქრალა სამშობლოში დაბრუნების იმედი. მაგრამ დრო გავიდა და ბევრი მათგანისთვის ეს იმედი იმედად დარჩა.

1991 წლის 9 აპრილს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველომ ხელახლა აღიდგინა დამოუკიდებლობა და ლევილის მამულის ბედიც დღის წესრიგში დადგა. თითქმის 25 წელი გრძელდებოდა მოლაპარაკებები მამულის საქართველოსთვის დასაბრუნებლად.

¹ გურამ შარაძე, „ჩვენ-ქართველი“, „ლევილის ქართული მამული და მისი დაბრუნების გზები“, გამომცემლობა „ობოლი მარგალიტი“, თბილისი, 1998წ, გვ. 97.

ახლახან, 2016 წლის 23 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკაში, დაბა ლევილის ტერიტორიაზე ხელი მოეწერა ლევილის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს, რითაც დასრულდა თითქმის 25 წლიანი პროცესი და მამული მის კანონიერ მემკვიდრეს, ქართველ ხალხს დაუბრუნდა².

ამდენად, წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას სწორედ ეს მოვლენები განსაზღვრავს და ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ მოხდეს საფრანგეთში წასული ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ისტორიის უცნობი ფაქტების გამოვლენა, ლევილის მამულის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა-განხილვა, მითუმეტეს, რომ ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია ლევილის არქივში დაცული წყაროების კვლევას.

საფრანგეთის ქართული ემიგრაციის და ლევილის მამულის ისტორიაზე ბევრი დაწერილა, ბევრი მეცნიერი დაინტერესებულა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის კვლევით, განსაკუთრებით ფასდაუდებელია ამ მხრივ ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ შარაძის ღვაწლი. მისმა მრავალმხრივმა შემოქმედებამ, ემიგრანტული ლიტერატურის, ისტორიის, პუბლიცისტიკის კვლევამ საფრანგეთსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული ემიგრანტების ცხოვრების ბევრი თეთრი ფურცელი შეავსო და ხელმისაწვდომი გახადა საქართველოს მოსახლეობისთვის, სწორედ მისი ნაშრომებია ძირითადი წყარო ემიგრაციის საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

ეს ნაშრომი პირველი მცდელობაა, მეცნიერულად იქნეს შესწავლილი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის, ლევილის შატოსა და მის მოზინადრეთა ისტორიის ის უცნობი დეტალები, რომელიც ასახულია ემიგრანტების პირადი არქივებში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტებსა და ოქმებში, სხვადასხვა ეპისტოლარულ წერილებსა და ანგარიშებში. თითქმის არაა მონოგრაფიულად შესწავლილი ლევილის საარქივო მასალა, რომელიც დაყოფილია 10 წლიან პერიოდებად დღიდან მამულის შექმნისა და მოიცავს იმ ძირითად ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტებს, რაც ასახულია „Foyer Georgienis“ ოქმებსა და „ქართული კერის“ გამგეობის წევრების ჩანაწერებში. ეს დოკუმენტები თავმოყრილია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდ 2126-ში და მოიცავს 67 ერთეულს

ლევილის მამულის არქივის დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა საქმე №62, რომელიც წარმოადგენს ლევილის მამულის წესდებას და საქმე №63, რომელიც არის ლევილის შინაგანაწესი. ეს ორივე დოკუმენტი შესრულებულია ფრანგულ ენაზე. აქ წარმოგადგენთ მათ ქართულ თარგმანს, რომელიც მათი სამეცნიერო სივრცეში შემოტანის პირველი მცდელობაა. მართალია მამულის შინაგანაწესი გადმოცემული აქვს თავის ჩანაწერებში მამია ბერიშვილს (საქმე №66-ში), მაგრამ იქ იგი არასრულადაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ამ თარგმანს, იგი სრული სახითაა მოცემული და აუცილებელ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

2 http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=31076.

ასოციაცია ქართული კერა. წესდება (საქმე №62)

ასოციაცია ქართული კერის საქმიანობას წარმოადგენს ქართული წარმომავლობის მოხუცებული და თავშესაფრის საჭიროების მქონე პირების, ან მათი შთამომავლების, მეუღლეებისა და ქვრივების შეფარება.

ასოციაცია ქართული კერა ვალდებულია, განახორციელოს ტერიტორიისა და შენობის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ყველა სარემონტო სამუშაო, ისევე როგორც ნებისმიერი სახის სამუშაო, რომელიც საჭიროა მემკვიდრეობის დაცვისთვის.

დაზღვევა

მრავალი წელია, რაც ქართული კერა აფორმებს ყოველწლიურად განახლებად სადაზღვევო ხელშეკრულებებს და აზღვევს ცენტრალურ შენობას, დამხმარე ნაგებობებს და პარკში არსებულ ხეებს. მეორეს მხრივ დაზღვეული გვაქვს ეთნიკურ ნიადაგზე დანყებული ან სხვა სახის არეულობა, ვანდალიზმი, ბუნებრივი კატასტროფები, აგრეთვე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

ამაედროულად ასოციაცია ქართული კერა უფლებამოსილია, მის მობინადრეებს მოსთხოვოს, ინდივიდუალური დაზღვევით დააზღვიონ მათი პირადი ქონება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

დროა, თქვენც შეიტანოთ ასოციაციაში თქვენი ფინანსური წილი. ამავდროულად მოგეთხოვებათ, წარმოადგინოთ მოქმედი დაზღვევის მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასოციაცია მოგთხოვთ, დაუყოვნებლივ გააფორმოთ სადაზღვევო ხელშეკრულება, ისე როგორც გათვალისწინებულია შინაგანაწესით.

შინაგანაწესი

თანამიმდევრულად შეგახსენებთ შატოს ბინადართათვის განკუთვნილ ასოციაცია ქართული კერის მიერ შედგენილ შინაგანაწესებს:

-1961 წლის, ხელმოწერილია თავჯდომარის ლევან ფალავას მიერ.

-1967 წლის, ხელმოწერილია თავჯდომარის ნიკო ურუშაძის მიერ.

-1973 წლის, ხელმოწერილია თავჯდომარის ნამო გოგუაძის მიერ.

ქართული კერის დირექტორთა საბჭომ წინა შინაგანაწესები გაასაჯაროვა 1986 წლის ნოემბერში და საყოველთაო სარგებლობისთვის გამოაკრა შატოს მისაღებ დარბაზში.

ამ შინაგანაწესის ორი ეგზემპლარი დღესვე გადაეცემა თითოეულ მობინადრეს, რომელიც დღესვე დაგვიბრუნებს ერთ ხელმოწერილ ეგზემპლარს წარწერით „წავიკითხე და ვეთანხმები“.

საკუთრების მოვლა

ქართული კერის დირექტორთა საბჭოს აქვს მობინადრეთა შემოწირულობით და მოკრძალებული შემოსავლით საკუთრების მოვლის რთული ვალდებულება.

თავს უფლებას მიეცემთ, შეგახსენოთ ჩვენს მიერ დასაფარი ფიქსირებული ხარჯები:

-ადგილობრივი გადასახადები, რომელიც დღესდღეობით ძალიან მძიმეა ჩვენთვის, რადგანაც აღარ შეგვიძლია გადასახადების შემცირების მოთხოვნა, ისე როგორც წარსულში მოვახერხეთ.

-მთლიანი საკუთრების სრული დაზღვევა.

-წყლისა და ელექტროენერჯიის გადასახადი.

საბრუნავი კაპიტალი ჩვენთვის აუცილებელია, რათა დროულად მოვახერხოთ წყლისა და ელექტროენერჯიის გადასახადის დაფარვა, ვინაიდან ზოგიერთი მობინადრე ადმინისტრაციისთვის თანხის გადახდას აგვიანებს.

საიამოვნებით შეგახსენებთ, რომ ქართული სათვისტომოს 1983 წლის მოქმედი თავჯდომარე გაოცდა ჩვენი რესურსების სიმწირით და მოგვილოცა ასეთი მოკრძალებული ბიუჯეტით მიღწეული შედეგები.

რამდენიმე წელია, რაც ახალ მობინადრეებისთვის ჩვენს მიერ მოთხოვნილმა შემონირულობამ საშუალება მოგვცა, წამოგვეწყო შენობის გადასარჩენად საჭირო გადაუდებელი სამუშაოები.

ქართული კერის უძრავი ქონების მართვის სამოქალაქო საზოგადოების ხელძღვანელი, ვიქტორ ხომერიკი გარკვეულ თანხას ფლობს, რომელიც მას ასოციაცია ქართული კერისთვის გადაეცა. ის თანახმაა და ვალდებულებას იღებს, ჩვენი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, გადმოგვცეს აუცილებელი და გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო სათანადო თანხა.

ბულალტერია

ასოციაციის წესდების თანახმად, დირექტორთა საბჭო აწარმოებს მის მიერ წარმოებული ნებისმიერი ოპერაციის რეგულარულ ბულალტერიას და მართვის შესახებ მოხსენებას წარადგენს ასოციაციის წევრთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე.

წესდება

მეტრ მარიუს მუტემ, ქართველების მხურვალე დამცველმა, შეადგინა ასოციაცია ქართული კერის წესდება. მისი რჩევით ასოციაციის წევრების რიცხვი შეძლებისდაგვარად მცირე უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ასოციაცია ქართული კერა დაარსდა 1959 წლის 27 ნოემბერს და შედგებოდა შვიდი წევრიგან. ესენი იყვნენ: ქალბატონი ნამეტია გოგუაძე, ბატონი ლევან ფალავა, ბატონი მიხეილ სტურუა, ბატონი ფილიპე შარაძე, ბატონი ქარსელაძე, ბატონი გიორგი ერაძე, ბატონი მამია ბერიშვილი.

ბატონი გიორგი ერაძე, როგორც უძრავი ქონების მართვის სამოქალაქო საზოგადოების ხელმძღვანელი, არ შედიოდა დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში.

მეტრ მუტეს მიერ 1959 წელს შედგენილი წესდების თანახმად, თავშესაფრის მიცემის ფაქტი არ იძლევა ასოციაციის წევრობის უფლებამოსილ-

ბას, იმავე წესდების თანახმად, ასოციაცია ქართული კერის წევრობისთვის საჭიროა განაცხადის გაკეთება დირექტორთა საბჭოში.

ასოციაციის წევრობის ნებისმიერ მოთხოვნაზე ერთპიროვნულ გადანყევტილებას იღებს დირექტორთა საბჭო.

უარის შემთხვევაში მიზეზი არ არის დასაბუთებული და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (1959 წლის 27 ნოემბერის წესდება).

ასოციაცია ქართული კერის მიერ განხორციელებული სამუშაოები

- ულ ფერის ქუჩის №8-ის კარის შეკეთება;
- გალავნის კედლის სამუშაოების შესრულება კლოს დე ლევილის მხრიდან;
- კედლის შეკეთება პასტორის ქუჩის მხრიდან;
- გალავნის კედლის ამოყვანა, აღდგენა დეგუტის (თაყაიშვილი) მხრიდან;
- ქალბატონი გოგუაძის ფანჯრის შეკეთება;
- ქალბატონი გოგუაძის საცხოვრებლის კოჭების გამოცვლა;
- შატოს სარდაფების ამოშრობა;
- სამუშაოები გამდინარე საკანალიზაციო მილებზე;
- გამდინარე კანალიზაციები შატოს სარდაფებში და ჭების შემდგომ სადრენაჟო სისტემის მოწყობა;
- ბატონ გვეტაძესთან ბუხრის შეკეთება;
- ქალბატონი მუსხელიშვილის მიერ დაფინანსებული სამი ბუხრის შესაკეთებელი სამუშაოების ნაწილობრივი დაფინანსება: ქალბატონი მუსხელიშვილის, ბატონი ასათიანი და ქალბატონი ლაბაძის ბუხრები;
- ქალბატონი მუსხელიშვილის მხარეს წვრილი ხრემის დაყრა;
- შენობის სახურავის ლარის გუდრონით გამაგრება;
- კოშკის შიფერის სახურავის ერთი ნაწილის შეკეთება;
- დაზიანებული საკანალიზაციო მილების შეკეთება;
- სანტიქნიკური სამუშაოები (2 გაჟონვა, 9 განმენდა, 2 ონკანი);
- ცაცხვების შესხევა;
- მებოზლების კატეგორიული მოთხოვნით დიდი მუხის გასხვლა;
- საჯარო საპირფარეშოების დამონტაჟება.

E.D.F ელექტრისიტე დე ფრანსი

(საფრანგეთის ელექტრომომარაგების კომპანია)

დირექტორთა საბჭოს დიდი სურვილი აქვს, ჰქონდეს ელექტრო ენერჯის ხაზის დამონტაჟების შესაძლებლობა, რაც მობინადრეებს შემდგომში ინდივიდუალური ელექტრო გათბობის სისტემით სარგებლობის საშუალებას მისცემდა. სამი წლის მანძილზე EDF-თან არაერთგზის მცდელობისა, კრედიტის ვერ მიღების გამო ვერ შეეძელით განგვეხორციელებინა ეს პროექტი, რომელიც ჩვენ ყველას (ასოციაციას და მაცხოვრებლებს) ასე გულით გვიხდოდა.

მართლაც, უიულ ფერის ქუჩიდან შატოს უკანა ფასადამდე ელექტროსადენის ინსტალაციის ბოლო ხარჯთაღრიცხვის მაჩვენებელმა, მიუხედავად

იმისა, რომ წინა ხარჯთაღრიცხვებზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა, 1987 წლის 22 იანვრისთვის 143.838 ფრანკს მიაღწია.

ეს თანხა მხოლოდ ერთადერთი ცენტრალური შენობის ელექტროსადენის მონტაჟს ითვალისწინებს (უფრო ზუსტად შატოს) და არ მოიცავს დამხმარე შენობა-ნაგებობებში ელექტროსადენების მონტაჟს, რომლის დამატებითი და დეტალური ხარჯთაღრიცხვა მოგვიანებით იქნება შედგენილი.

1984 წელს გათბობის დამონტაჟებისთვის საჭირო მთლიანმა თანხამ 424.034 ფრანკს მიაღწია.

ამ 143.838 ფრანკის მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჩვენს მობინადრეებს არ სურდათ საერთო მრიცხველები, მათ სურდათ ინდივიდუალური ხაზი და მრიცხველი და მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადის გადახდა პირდაპირ EDF-თან.

თითოეულმა მობინადრემ უნდა შეადგინოს პერსონალური ინსტალაციის დოსიე პაკტარიმ დე ლ'ესონის დახმარებით.

მამულის მოვლა-პატრონობისთვის უძრავი ქონების სამოქალაქო საზოგადოების და ასოციაციის არსებობა აუცილებელია.

ჩვენ არ გვაქვს უფლება, ცვლილებები შევიტანოთ დენილობაში მყოფი საქართველოს მთავრობის მიერ შედგენილ და ნოტარიულად დამონმებულ წესდებაში.

უძრავი ქონების სამოქალაქო საზოგადოება და ასოციაცია უნდა მოქმედებდეს ერთობლივად, საერთო მიზნებით.

მამულთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი უძრავი ქონების სამოქალაქო საზოგადოებასა და ასოციაციას შორის განხილული უნდა იქნეს თანასწორუფლებიანობის პრინციპით, ისე როგორც ადრე ხდებოდა.

ასოციაციის შინაგანანწესი უნდა დაიცვას ყველამ, გამონაკლისის გარეშე.

ამგვარად, როგორც წინამდებარე მოხსენების დასაწყისში აღვნიშნეთ, ქართული კერის წიაღში მობინადრეებს შეუძლიათ იცხოვრონ მთელი ცხოვრების მანძილზე ან იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოისურვებენ.

ქართველი ახალგაზრდობა

თუ ქართველი ახალგაზრდობა მოისურვებს სპორტული ან კულტურული აქტივობების ორგანიზებას, ასოციაცია ქართული კერა დიდი სიამოვნებით მიიღებს მათ.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჩვენი მოკრძალებული ბიუჯეტი არ მოგვცემს პროექტის განხორციელებისათვის მათთვის მატერიალური დახმარების განევის საშუალებას.

ასოციაცია ქართული კერის თავჯდომარე: მ. ბერიშვილი

ასოციაცია „ქართული კერა“

შატოს მცხოვრებთათვის განკუთვნილი შინაგანანწესი (საქმე №63)

10. დირექტორთა საბჭოს მიერ მართული საკუთრების ყველა მაცხოვრებელი მიიჩნევა როგორც მობინადრე და ვერცერთ შემთხვევაში ვერ გამოთქ-

ვამს პრეტენზიას მოიჯარეობაზე, მესაკუთრეობასა და ასოციაციის წევრობაზე.

20. მობინადრებისთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი და დამხმარე შენობა-ნაგებობები მათ მიერვე უნდა იქნეს გამოყენებული და დაუშვებელია მათი გადაცემა ნებისმიერი სხვა პირისთვის.

30. ასოციაციის საკუთრების მობინადრეები ვალდებული არიან, გადაიხადონ ყოველწლიური საწევრო გადასახადი, რომელიც მოხმარდება გადასახადების და საკუთრების მოვლის ხარჯების დაფარვას.

40. ასოციაციის დირექტორთა საბჭო ადგენს საწევრო გადასახადის ოდენობას. თითოეული მობინადრისათვის დაკისრებული საწევრო გადასახადის გამოთვლა ხდება მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის მიხედვით.

50. ადმინისტრაციისთვის გადასახდელი საწევრო შენატანი უნდა გადაერიცხოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს ხაზინდარს, ამ უკანასკნელის მიერ ფიქსირებულ ვადებში, ყოველი წლის ნოემბრის თვეში.

60. მობინადრეები ვალდებული არიან, გადაიხადონ ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადი, რომლის გადანაწილება ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის მიხედვით.. ამ მიზნით ისინი ვალდებული არიან, გააადვილონ სხვადასხვა მრიცხველთან წვდომა, გასაღების დუბლიკატი უნდა გადაეცეს ნდობით აღჭურვილ პირს, მრიცხველის მონაცემების ამონერის, წყლის გაჟონვის ან ხანძრის შემთხვევაში გამოსაყენებლად.

70. მობინადრებმა ყოველწლიურად უნდა გააფორმონ მრავალრიცხოვანი სადაზღვევო ხელშეკრულებები და დამადასტურებელი საბუთი წარუდგინონ ასოციაციის დირექტორთა საბჭოს. მოქმედი სადაზღვევო პოლისის ასლი უნდა გადაეცეს ხაზინდარს, საწევრო გადასახადის ანგარიშსწორებასთან ერთად. ამ პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში საკუთრების, მათ შორის შენობისთვის, მიყენებული ნებისმიერი ზარალის ანაზღაურება მოუწევს დამრღვევ პირს.

80. მობინადრებმა, რომლებიც მთავარ შენობაში არ ცხოვრობენ, საწევრო გადასახადთან ერთად უნდა გადაიხადონ ფრანგული ადმინისტრაციის მიერ მათზე დაკისრებული გადასახადები.

90. საკუთრებაში შემავალ შენობებში აკრძალულია ყველა იმ პირის ცხოვრება, რომელიც არ არის რეგისტრირებული ასოციაციის ადმინისტრაციაში და არ არის ჩაწერილი მობინადრეთა სიაში.

100. მობინადრეთათვის გადაცემული მიწის ნაკვეთები და ხეხილი უნდა იქნეს მოვლილი და შენახული.

110. ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტერიტორიაზე არსებული ხეების, ხეხილის ან სხვა ნარგავების მოჭრა.

120. აკრძალულია სხვების მოსავალთან ან ხილთან შეხება.

130. თითოეული მობინადრე ვალდებულია, მოუაროს მისი საცხოვრებელი ადგილის როგორც შიდა, ასევე გარე ნაწილს და არ ჩახერგოს სხვა მობინად-

რეთა გასასვლელი. ასოციაციის კუთვნილი ქონების დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არაკეთილსინდისიერების ან დაუდევრობის გამო, შეკეთების პასუხისმგებლობა დაეკისრება დამზიანებელს.

140. მშობლები პასუხისმგებლები არიან მათი შვილების, სტუმრების ან ვიზიტორების მიერ ჩადენილ დარღვევებზე.

150. ასოციაციის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე არავის აქვს რაიმე შენობის აშენების ან ტრანსფორმირების უფლება.

160. ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე სრულიად იკრძალება ნებისმიერი ძრავიანი ავტომობილის გაჩერება მამულის ტერიტორიაზე.

170. ასოციაციის ნებისმიერი წევრი ვალდებულია, დაეხმაროს დირექტორთა საბჭოს წინამდებარე შინაგანანესის დაცვაში.

180. წინამდებარე შინაგანანესის არშესრულება ჩაითვლება მძიმე დარღვევად და დირექტორთა საბჭოს აქვს ქონების ჩამორთმევისა და მის მიერ ფიქსირებულ ვადებში შესაბამისი ზომების მიღების უფლება.

190. ყველა მოზინადრე ვალდებულია, ხელი მოაწეროს წინამდებარე შინაგანანესს და ერთი ეგზემპლარი დაიტოვოს თავად.

წინამდებარე შინაგანანესი ძალაში შევიდა 1961 წლის 1 ოქტომბერს ასოციაცია ქართული კერის დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერედ იქნა მიღებული 1986 წლის 29 ნოემბრის დირექტორთა საბჭოს კრებაზე.

თავჯდომარე: მ.ბერიშვილი (ხელმოწერა)

მდივანი: გ. ნოზაძე (ხელმოწერა)

ხაზინდარი: ი. ბოკუჩავა (ხელმოწერა)

ნავიკითხე და ვეთანხმები: (ხელმოწერა)

ამგვარად, ჩვენს მიერ შესწავლილი დოკუმენტები უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ქართული ემიგრაციის ისტორიის მონოგრაფული შესწავლისთვის. მასში დაცული საინტერესო ცნობები წარმოდგენას გვიქმნის ლევილის მამულის მმართველობის და მისი მოზინადრეების უფლება-მოვალეობის შესახებ. ემიგრაციის პირველი ტალღიდან მოკიდებული, ლევილის მამული გახდა მთავარი ნათესაყუდელი და თავშესაფარი სამშობლოდაკარგული ქართველებისთვის, ადგილი, სადაც იყო მთავარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მუხტი, რაც მას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ ძალზე აუცილებელი იყო მამულის მმართველობის გონივრული სტრუქტურისა და შინაგანანესის შემუშავება, საჭირო იყო, რომ შატოში თავშეფარებული ხიზნები გარკვეულ წესებს და კანონებს დამორჩილებოდნენ, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ქართული სათვისტომოს მართვა-გაძღოლა, გადასახადების გადახდა და ზოგადად უცხო მინაზე არსებობა.

ლევილის მამულის წესდება და შინაგანანესი ერთგვარი კონსტიტუცია გახდა იქ მცხოვრები ემიგრანტებისთვის, იგი აწესრიგებდა მამულის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მისი მმართველობიდან დაწყებული თითოეული შეხიზნულის უფლება-მოვალეობებით დამთავრებული.

ამ დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ ლევილის მამულის პირველი შინაგა-

ნანესი შეიქმნა და ნოტარიულად დამტკიცდა საქართველოს დევნილი მთავრობის მიერ შატოს შექმნისთანავე (მისი ძირითადი მუხლები გადმოცემული აქვს ქართული კერის გამგე გიორგი ერაძეს საქმე №14-ში), რაც შეეხება შინაგანანესის აქ მოცემულ ვარიანტს, მისი შედგენა ფრანგი სენატორის მარიუს მუტეს სახელს უკავშირდება, იგი ლევილის ქართველებს ნამდვილ მფარველად მოეწონა. სწორედ მის სახელს უკავშირდება მამულის სამართლებრივად მონესრიგება და მისი წესდების შემუშავება. მარიუს მუტეს მამია ბერიშვილი თავის ჩანაწერებში (საქმე №66) საკვებით დამსახურებულად უწოდებს ქართველების დიდ მეგობარსა და მოამაგეს. სწორედ მუტეს რჩევით, ლევილის მამულს მიენიჭა საქველმოქმედო დაწესებულების, ხოლო მის ბინადრებს „სეხიზნულის“ სტატუსი. ამან მამული გადაარჩინა დიდ სახელმწიფო გადასახადებს და ამკარა გაკოტრებას, რადგან მისი ისედაც მწირი ბიუჯეტი ამას ვერ განწვდებოდა და იგი შეწყვეტდა არსებობას.

ლევილის შინაგანანესი წარმოდგენას გვიქმნის მამულის ადმინისტრაციულ მონყობაზე, რომლის მიხედვით ქართულ კერას მართავდა კერის ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 1959 წლის 27 ნოემბერს და შედგებოდა 7 წევრისგან. ესენი იყვნენ: ქალბატონი ნამეტია გოგუაძე, ბატონი ლევან ფალავა, ბატონი მიხეილ სტურუა, ბატონი ფილიპე შარაძე, ბატონი ქარსელაზე, ბატონი გიორგი ერაძე, ბატონი მამია ბერიშვილი.

ქართული კერის ასოციაციის უპირველესი მიზანი იყო, ყველა იმ პირის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ვინც ამას განსაკუთრებით საჭიროებდა: მოხუცების, მათ ვინც წარმოშობით საქართველოდან იყო, მათი მემკვიდრეების, მეუღლეების და მათი ქვრივების. შატოში ცხოვრების მსურველი კი ბევრი იყო, თუმცა ვერ ხერხდებოდა ყველას საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება და ეს არაერთხელ გამხდარა ემიგრანტებს შორის ბრძოლისა და დაპირისპირების საგანი, რაც კარგადაა ასახული ლევილის დოკუმენტებში, განსაკუთრებით საქმე №66-ში.

მამულის მეორე უმნიშვნელოვანესი ორგანო იყო ადმინისტრაციული საბჭო, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა მის მიერ წარმოებული საქმიანობის რეგულარული ხარჯთაღრიცხვა და ასოციაციის წევრების საერთო კრებისთვის ანგარიშის წარდგენა თანხის განკარგვის თაობაზე.

ქართული კერის სხვა ორგანოებიდან აღსანიშნავია დირექტორთა საბჭო და უძრავი ქონების სამოქალაქო საზოგადოება, ისინიც ასოციაციასთან ერთად განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ მამულის ქონების დაცვისა და მისი მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების საქმეში.

შინაგანანესს 1961 წელს ხელს აწერდა მაშინდელი თავჯდომარე ლევან ფალავა, 1967 წელს – თავჯდომარე ლევან ურუშაძე, ხოლო 1973 წელს – თავჯდომარე ნამეტია გოგუაძე. იგი ძალაში შევიდა 1961 წლის 1 ოქტომბერს, ხელმეორედ იქნა დამტკიცებული 1986 წლის 29 ნოემბერს და გამოიკრა შატოს მისაღებ დარბაზში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქართველი ემიგრანტების მხრიდან (გიორგი წერეთლისა და მამია ბერიშვილის დაპირისპირება საქმე №66-ში) არაერთხელ

გაისმა ბრალდება ქართული კერის ასოციაციის მიმართ, რომ მთელი მისი არსებობის მანძილზე მამულს არ ჰქონდა შინაგანანესი.

შინაგანანესი წარმოდგენას გვიქმნის იმ მძიმე პირობებზე, რომელშიც უხდებოდათ ცხოვრება ქართველ ემიგრანტებს. მისი მწირი ბიუჯეტი ვერ წვდებოდა შატოს აუცილებელი რეპარაციის ხარჯებს. ეს პრობლემა ხაზგასმულია ლევილის მამულის არქივის ყველა იმ დოკუმენტში, რომლის ავტორებიც ქართული კერის გამგეები არიან. გიორგი ერადე, რომელიც 1947 წლიდან 1970 წლამდე სათავეში ედგა ქართულ კერასა და მამულის შუაგულში ტრიალებდა, თავის ჩანაწერებში (საქმე №15) საუბრობს რა მამულის უმძიმეს მდომარეობაზე, ამის მიზეზად უსახსრობასთან ერთად, შატოში გამეფებულ უწესრიგობას, უპატრონობასა და ზოგიერთი მობინდარის უპასუხისმგებლო და გულგრილ დამოკიდებულებას ასახელებს, რომელმაც გააათქეცა მამულის მატერიალური ზარალი. სწორედ ამ ფონზე მართლაც სასიცოცხლო და აუცილებელი იყო შინაგანანესის მიღება და მისი ცხოვრებაში მკაცრად გატარება, რომ ქართველთა კერა გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს.

ამ დოკუმენტში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხაზგასმული, რომ არავის არ აქვს უფლება, ცვლილებები შეიტანოს მამულის წესდებაში, რომელიც ჯერ კიდევ დეენილობაში მყოფმა მთავრობამ შეადგინა და დაამტკიცა ნოტარიულად. ახლანდელი წესდება სხვა არა არის რა, თუ არა მაშინდელის მემკვიდრე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლევილის მამულის მკვიდრებს არ გადაუხვევიათ იმ გზისთვის და სულისკვეთებითვის, რომელიც პირველმა ემიგრირებულმა მთავრობამ დასახა და დაუტოვა შთამომავლობას. ეს შემართება გასდევს ლევილის არქივის თითქმის ყველა დოკუმენტს.

ამრიგად, ლევილის მამული იყო პატარა საქართველო საფრანგეთში, ქართული კუნძული სამშობლოდაკარგული ემიგრანტებისთვის და ამიტომ მისი ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ისტორიასთან.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გურამ შარაძე, „ჩვენ ქართველნი“, „ლევილის ქართული მამული და მისი დაბრუნების გზები, გამომცემლობა „ობოლი მარგალიტი“, თბილისი, 1998 წ.
2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე №62, საქმე №63, საქმე №66.
3. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=31076 როგორ შეარჩია საქართველოს დეენილმა მთავრობამ ლევილი.

BELA GZIRISHVILI

SOME OF THE ISSUES ARE FROM THE HISTORY OF LEUVILLE

Summary

The history of the Georgian land of Leuville is associated with a new and recent history of Georgia. After invading Georgia, in February/march, 1921 by Soviet Russia, the government of the Democratic Republic was forced to immigrate to France.

In 1922, Georgian emigrants purchased Leuville Château near Paris with the state funds, which became the main headquarters of the fight for the gaining Georgia's independence and as a shelter for asylum seekers.

This article presents two articles of the Leuville Archives: Georgian translation of the Statute and Regulation of Leuville's Dominion and its scientific analysis, which is of utmost importance to study the history of Georgian emigration. All these sources provide the most important information to the authorities of Leuville's estate, about its inhabitants rights and obligations and immigrants living in general.

Leuville was a small Georgia in France, the Georgian island for homeless people and its history is a vital link to long history of freedom and independence of Georgia.

Б. ГЗИРИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗ ИСТОРИИ ПОМЕЩЬЯ ЛЕВИЛЬЯ

Резюме

История грузинского поместья Левилья органически связана с новой и новейшей историей Грузии. В феврале - марте 1921 года, когда советская Россия оккупировала Грузию, правительство демократической республики Грузии была вынуждено эмигрировать во Францию.

В 1922 году эмигранты на своё имя приобрели вблизи Парижа Шато Левиль с помощью средств государства, которое впоследствии стало главной штаб-квартирой в борьбе для возвращения независимости Грузии.

В данной статье представлены два документа из левильского архива (грузинский перевод с французского), устав Левильского поместья и правило внутреннего распорядка и дан его научный анализ, который чрезвычайно важен для изучения истории грузинской эмиграции, так как эти источники дают важнейшие сведения об органах правления Левильского поместья, о правах и обязательствах его обитателей и в общих чертах о жизни эмигрантов.

Левил был маленькой Грузией во Франции, грузинский остров для людей потерявших родину. Его история важнейшее звено в борьбе за независимость и свободу Грузии.

ნიწო ოთსოზორია

შრომითი მიგრაცია საქართველოდან რისკაჲი და გამონევეჲი

საქართველოს ისტორიაში მიგრაციას განსაკუთრებული როლი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო მომხდარი ომების შედეგად განეკუთვნება. მოსახლეობა ნებსით თუ უნებლიეთ, მუდმივად მიგრირდება ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ.(1)

საქართველოს უახლესი ისტორია ემიგრაციის რამდენიმე ტალღას გამოყოფს.

1. 1950-იან წლებამდე, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური რეპრესიების შედეგად იძულებითი (საბჭოთა კავშირის შიგნით) გადასახლებებით ხასიათდება;

2. 1950-1990 წლებში, რა დროსაც საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ასევე უპირატესად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარეობდა;

3. 1990 წელს მასობრივი ემიგრაცია, რომელიც ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სამხედრო კონფლიქტებს მოჰყვა.(2)

1991 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური სისტემის ცვლა. გარდამავალი პერიოდი საქართველოში კრიზისით დაიწყო: ეკონომიკური კავშირები დაირღვა, სანარმოები გაჩერდა, გაჩნდა ენერგეტიკული პრობლემები, უმუშევრობა, ინფლაცია, კორუფცია და ა.შ. გარდამავალმა პერიოდმა საზოგადოების სოციალური დაუცველობის პრობლემა წარმოშვა. ძველი ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების რღვევამ ტრანსფორმაციის მთელი რიგი სპეციფიკური პრობლემები გააჩინა. სოციალური უზრუნველყოფის ძველი სისტემის ცვლილება და ახალი პროცესები შრომითი მონყობის სფეროში, რაც საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან არის დაკავშირებული, პირველ რიგში, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეეხო.

გარე მიგრაციის გამო საქართველოში გაჩნდა „ტყინების გადინებისა“ და „ტყინების დაკარგვის“ პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ გარე მიგრანტები განათლებულები არიან, უმეტეს შემთხვევაში ისინი ჩართულნი არიან არალეგალურ, დაბალანაზღაურებად და დაბალკვალიფიციურ სამუშაოებში, რომლებიც არ მოითხოვენ მათგან ასეთ მაღალ განათლებას და ამიტომ ეს მოვლენა შეიძლება შევაფასოთ, როგორც გარკვეული ტიპის „ტყინების და-

კარგა“. (3) რასაც ემიგრაციის წყაროს ქვეყნებისთვის არა მხოლოდ დროებითი, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მრავალმხრივი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

დღეის მდგომარეობით გარე მიგრაცია საქართველოს მოსახლეობის ფორმირების ნამყვან კომპონენტს წარმოადგენს. დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარის თამარ ჩიბურდანიძის თქმით: „ქვეყნიდან გასულთა 70% ქალია და ყველა მათგანი (35-40 წლიდან 50-55 წლამდე) ეს კი დემოგრაფიულ პრობლემას ქმნის, ქვეყნიდან ყველაზე დიდი რაოდენობით შრომითი მიგრანტები გაედინებიან.“(4) თუ მანამდე საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში მიდიოდნენ, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში ქართველ მიგრანტთა რაოდენობა გაზარდა.

დემოგრაფების კვლევები და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების პროგნოზი ადასტურებს, რომ 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა 2 მილიონ 985 000 ადამიანამდე შემცირდება. ქვეყანა 2018 წლიდან დემოგრაფიული კრიზისის ფაზაში შევიდა. მკვლევართა აზრით, თუ ასე გაგრძელდა 25 წელიწადში შობადობის კლება გარდაუვალია, რაც 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. (5) შობადობის შემცირება და შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების მხრიდან დიდი შეშფოთება მისი შედეგების გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოეთში სამუშაო მიზნით მიგრაცია, უმეტესად ამ ქვეყნებში მიგრანტების არალეგალური დასაქმებით მთავრდება, საექტო ხდება მათი ადამიანური უფლებებისა და ღირსების საკითხი. ქართველი მიგრანტები დიდი სოციალური რისკის ქვეშ იმყოფებიან, რადგან არ არსებობს ან შეჩერებულია (რუსეთის შემთხვევაში) ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმება მუშახელის გაცვლისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, ხოლო ქვეყანაში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემა არასაკმარისად უზრუნველყოფს მოსახლეობას.

ქართველი ემიგრანტები რუსეთის ფედერაციაში (ფულადი გზავნილები)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისთვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც ასევე სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული(6) (იხილეთ ცხრილი 1). მოქალაქეების მიხედვით, იმიგრანტები და ემიგრანტები ძირითადად საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან - რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, აშშ., ინდოეთი, საბერძნეთი - ჩამოდიან, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტების ჯგუფები საკმაოდ მცირე ზომისაა.

ცხრილი: ემიგრანტთა და იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით, 2017წ.(7)

| მოქალაქეობა | იმიგრანტი | | | ემიგრანტი | | |
|---------------------------|-------------|----------|--------|-------------|----------|--------|
| | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი | ორივე სქესი | მამაკაცი | ქალი |
| | 2017 | | | | | |
| სულ | 87,239 | 50,488 | 32,751 | 85,451 | 47,770 | 37,681 |
| საქართველო | 48,343 | 28,989 | 19,354 | 67,269 | 36,713 | 30,556 |
| რუსეთის ფედერაცია | 9,723 | 5,391 | 4,332 | 5,105 | 2,763 | 2,342 |
| თურქეთი | 4,365 | 3,396 | 969 | 2,136 | 1,646 | 490 |
| უკრაინა | 2,275 | 1,170 | 1,105 | 1,552 | 960 | 592 |
| სომხეთი | 2,042 | 1,097 | 945 | 1,523 | 858 | 665 |
| აზერბაიჯანი | 3,501 | 2,064 | 1,437 | 1,487 | 798 | 689 |
| ჩინეთი | 904 | 717 | 187 | 849 | 648 | 201 |
| ა.შ.შ. | 1,075 | 632 | 443 | 668 | 403 | 265 |
| ინდოეთი | 2,686 | 2,055 | 631 | 653 | 533 | 120 |
| საბერძნეთი | 569 | 319 | 250 | 445 | 239 | 206 |
| ისრაელი | 429 | 268 | 161 | 342 | 188 | 154 |
| სხვა ქვეყნის მოქალაქე | 7,246 | 4,337 | 2,909 | 3,370 | 1,989 | 1,381 |
| მოქალაქეობის არმქონე პირი | 81 | 53 | 28 | 52 | 32 | 20 |

საქსტატი არ აგროვებს ინფორმაციას ემიგრანტთა დანიშნულების ქვეყნების შესახებ. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, თუ რომელი ქვეყნებისკენ არის მიმართული ქართველ ემიგრანტთა ნაკადი. თუმცა არსებული კვლევების შედეგებზე და უკვე ჩამოყალიბებული დიასპორისა და მიგრაციულ ქსელებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველ ემიგრანტთა ძირითად დანიშნულებების ქვეყნებს შესაძლოა წარმოადგენდეს რუსეთი, თურქეთი, ევროკავშირის ქვეყნები.

არსებული შეფასებისა და სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი ემიგრანტი რუსეთში ცხოვრობს. რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, რუსეთში მიგრაციულ აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 49983-ს შეადგენდა, რაც აღემატება 2015 წლის იმავე მაჩვენებელს - 43762.(8)

დღეისათვის მათგან ვერც ერთი უწყება ვერ იძლევა საწინდარ და ამომწურავ ინფორმაციას რუსეთში მცხოვრები ქართველების რიცხოვნობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით, როგორცაა: არალეგალური მიგრაციის აღრიცხვას-

თან დაკავშირებული სირთულეები, ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების გამო მიგრაციის სამსახურთა კორდინაცია ნაკლებია და სხვა.

მიუხედავად რუსეთის ფედერაციასთან უკიდურესად პოლიტიკური დაძაბულობისა (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტები, საქართველოს სეცესირებული ტერიტორიები, დიპლომატიური იზოლაცია, რუსეთში არსებული მიგრანტოფობიის პრობლემა), გეოგრაფიული სიახლოვის, ენობრივი ბარიერის ფაქტობრივი არ არსებობისა და მოსახლეობის ინტენსიური კავშირების გამო მაინც არ წყდება საქართველოდან შრომით მიგრანტთა ნაკადი. ამის ძირითადი მიზეზი ალბათ არის ის, რომ რუსეთი სოციალური გარემოს თანხედომით ყველაზე ახლოს დგას საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, ერთიანი კულტურული სივრცის, სოციალური წყობის და თუნდაც, კონფესიური თვალსაზრისითაც.


განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის როლი საქართველოდან გასული შრომითი მიგრანტების რიცხოვნობისა და საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების კუთხით. საქართველოდან შრომითი მიგრაციის მთავარი ტალღა ორი ათეული წლის მანძილზე რუსეთზე მოდიოდა.

1990-იანი წლების შუახანებიდან ვიდრე 2000-იან წლების შუა ხანებამდე რუსეთზე მოდიოდა შრომითი მიგრანტების დაახლოებით 70%. მათ მიერ ფულადი გზავნილების ასეთივე მაღალი დონე შენარჩუნდა კიდევ უფრო დიდხანს 2010 წლის დასაწყისამდე ანუ საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მთავარი დონორი ამ წლების მანძილზე იყო (და რჩება) რუსეთი - მისმა ჯამურმა სიდიდემ ამ საუკუნეში 6,8 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციების 51,4% - ცალკეულ პერიოდებში (2008-2010წწ.) (9)

რუსეთის ქართველთა დიასპორის არსებობა და გავლენა საქართველოზე ნათლად ვლინდება მის მიერ განხორციელებულ ფულად გზავნილებში. 2018 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, ფულადი გზავნილების სახით ევროკავშირის ქვეყნებიდან 78 მლნ დოლარი გადმოირიცხა, ხოლო რუსეთიდან 64 მლნ დოლარი. იანვარ-თებერვალში ჯამში 224 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რომლის 35% ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 29% რუსეთზე მოდის. მესამე ადგილზე ისრაელია 11%-იან წილით (24 მლნ დოლარი). შემდეგ მოდის აშშ და თურქეთი 8-8%-იანი წილით (19-19 მლნ დოლარით).

2017 წელს ევროკავშირიდან 428 მლნ დოლარი, ხოლო რუსეთიდან 455 მლნ დოლარი გადმოირიცხა. რუსეთის წილი გზავნილებში 2013 წლიდან შემცირდა და ბოლო 5 წელიწადში ფაქტობრივად განახევრდა, ევროკავშირიდან გზავნილებს კი ზრდის ტენდენცია აქვს. ასევე 2017 წლიდან სწრაფად იზრდება ისრაელიდან გადმოირიცხული თანხები და შესაბამისად, ისრაელის წილი გზავნილებში. ისრაელის წილი 2013 წელს 1% იყო, 2018 წლის იანვარ-თებერვლის მიხედვით კი 11%-ია. რუსეთში განვითარებული ეკონომიკური არასტაბილურობა პირდაპირ აისახა საქართველოში გადმოირიცხული თანხების მოცულობაზე (10).

გრაფიკი: ქვეყნების წილი საქართველოში გადმორიცხულ თანხებში (ფულადი გზავნილები. (10))



რუსეთიდან ქართველი მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში, რადგან მრავალი ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენს და სიღარიბის დონეს ამცირებს. ამავე დროს რამდენადაც ღიძია ფულადი გზავნილების წილი ეკონომიკაში, იმდენად მაღალია მიმღები ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება ღონორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ ეკონომიკური კრიზისი ღონორ ქვეყანაში ამცირებს მიმღებ ქვეყანაში გადარიცხულ ფულად ნაკადებს. სწორედ ეს უკანასკნელი, სხვა დანარჩენ მიზეზებთან ერთად, სახელდება ღარის გაუფასურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს დიპლომატიური კავშირის არარსებობისა და რუსეთთან საკმაოდ მცირე ეკონომიკური ურთიერთობებისა, საქართველოს ეკონომიკა დიასპორის გავლით მაინც იმყოფება რუსეთის ეკონომიკასთან გარკვეული დამოკიდებულებით.

რუსეთიდან გადმორიცხული თანხის წილი მთელ გადმორიცხვებთან მიმართებაში ბოლო წლებში მცირდება. მიზეზი წესით, რუსეთში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობი გაუარესებაა. უკრაინის წინააღმდეგ მიმართულ რუსულ სახელმწიფო პოლიტიკას დასავლეთის ქვეყნებმა ეკონომიკური სანქციებით უპასუხეს. იმავდროულად, საომარ მოქმედებებში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა რუსეთს დიდი ფული უჯდება და ეკონომიკის შეფერხებას უწყობს ხელს. მაგრამ, რუსეთის ეკონომიკისთვის მთავარი პრობლემა, საერთაშორისო ანალიტიკოსების თუ სხვადასხვა პოლიტიკოსების აზრით, ნავთობზე ფასების ვარდნაა.

ემიგრანტთა ფულად გზავნილებს, როგორც დანაზოგის და ინვესტიციების პოტენციურ წყაროს, გააჩნია შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, კერძოდ ფულად გზავნილებს აქვთ პოტენციალი,

მოახდინონ ეკონომიკის ცალკეული სექტორების სტიმულირება, ხელი შეუწყონ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, გააუმჯობესონ მრავალი ოჯახის ცხოვრების დონე და შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებლები. (12) ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფულადი გზავნილების უარყოფით მხარეს. მიმღები ოჯახების მიერ სამუშაოს შოვნის მცდელობის შემცირება, უმუშევარი ხალხი აღარ ეძებს სამუშაოს, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება მუშაობის, ინოვაციური სამენარმეო საქმიანობის დაწყების მოტივაციას ანელებს, ვინაიდან ფულადი გზავნილების უდიდესი ნაწილი მოხმარებაზე იხარჯება, ვიდრე ეკონომიკურ წარმოებაზე. (13)

ამავე დროს, საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ სასარგებლოა მიგრანტებისთვის გამიზნული და მათზე მორგებული ფინანსური პროდუქტების შემუშავება და შეთავაზებაც. იქ, სადაც კერძო ფულადი გზავნილები მიგრანტების ოჯახებისკენ მიემართება, ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგალითად, ინდოეთმა) შექმნა ე.წ. „არარეზიდენტების“ ანაბრები საინვესტიციო ნაკადების გაზრდისათვის, რომლებიც გამოყენებული იქნება უფრო დანაზოგების შესაქმნელად, ვიდრე მოხმარებისათვის (როგორც ფულადი გზავნილების შემთხვევაშია). ამ ანაბრებს აქვს მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გაცვლის კურსის გარანტიები და მათზე დარიცხული პროცენტი გადასახადისგან არის გათავისუფლებული. იქ, სადაც საინვესტიციო კლიმატი ხელსაყრელია და მოგება მაღალი, შედარებით მდიდარი მიგრანტები ინვესტიციებს ფინანსურ ინსტრუმენტებში აბანდებენ, როგორც მაგალითად, ინდოეთის ობლიგაციების შემთხვევაშია. (14) საქართველოს მთავრობამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტი წარმოადგინა 2017 წელს - ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა „სტარტაპ საქართველო“. ამ პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული და მდგრადი ბიზნეს გეგმები. ეს პროგრამა ქართველ მიგრანტებს შესაძლებლობას მისცემს საკუთარ ქვეყანაში ბიზნესით დაკავდეს.

შრომით მიგრანტთა დემოგრაფიული სტრუქტურა

კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ შრომითი მიგრაციული ნაკადები 1990-2006 წლებში, ძირითადად, ოთხი ქვეყნისკენ იყო მიმართული - რუსეთშია გასული მთლიანი ნაკადის 2/3. ეს განაპირობა ისტორიულად ფორმირებულმა ხალხთაშორისმა კავშირმა, რუსული ენის შედარებით უკეთესმა ცოდნამ, ნათესავების სიმრავლემ, ინფორმაციული თვალსაზრისითაც უფრო ხელმისაწვდომობამ და ტერიტორიულმა სიახლოვემ.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველოს „პროვინციული“ რეგიონებიდან უმთავრესად რუსეთში გადაადგილდებიან. სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის შრომით მიგრაციულ კავშირებს რუსეთთან ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც თავისთავად განსაზღვრავს სომეხი მოსახლეობის ვექტორს.(15) მიგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ჯავახეთის სომხებში, რუსეთში სეზონური მიგრაცია გახდა. რუსეთის სხვადასხვა ქალაქში შრომისუნარიან მამაკაცთა დიდი ნაწილი ძირითადად სამ-

შენებლო სექტორში დასაქმდა. სეზონური მიგრაციისთვის ხელი არ შეუშლია საქართველო-რუსეთს შორის ბოლო წლებში არსებულ დაძაბულ ურთიერთობას, რადგან მიგრანტ მუშების უმრავლესობას რუსეთის პასპორტები ჰქონდათ. (16)

2000 წლამდე სანამ სავიზო რეჟიმი ამოქმედდებოდა რუსეთის ფედერაციაში ქართველ მიგრანტთა ნაკადების რაოდენობა საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20000 -დან 25000 ადამიანამდე მერყეობდა. (17) შემდეგ კი, ვისაც შესაძლებლობა აღმოაჩნდა, დაბრუნდა რუსეთიდან და დასავლეთისკენ გაემართა. კვლევების თანახმად, დაბრუნებულ მიგრანტთა შორის 15%-20%-ია რუსეთიდან დაბრუნებული, რაც უკავშირდება, როგორც სავიზო რეჟიმის შემოღებას, ისე რუსეთთან მიგრაციული პროცესების შედარებით ცირკულარულ ხასიათს და აგრეთვე, ევროპული ფასეულობებისაკენ სწრაფვას. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის მიგრაციული ვექტორი უფრო მალე შეიცვალა და მიმართულებებს შორის რუსეთი ევროპისა და აშშ-ს მომდევნო ადგილზე გადავიდა 90-იან წლების დამლევს. 2003-2012 წლების პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა შრომითი მიგრაცია ჯერ საბერძნეთის, შემდეგ კი იტალიის მიმართულებით. (18)

სშირია შემთხვევები, როცა მიგრანტები გარკვეული ფინანსური დანაზოგით ბრუნდებიან, ყიდულობენ უძრავ-მოძრავ ქონებას, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ სამუშაოდ კვლავ უკან, უცხოეთში ბრუნდებიან. მათი არგუმენტი ასეთია: სოციალური თვალსაზრისით საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა და თავის სარჩენს იქ უფრო შოულობს. უცხოეთში მრავალწლიანი მიგრაციის პერიოდში სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიღებულები კი უკვე ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობის გამოყენებით, გარკვეული პერიოდით მუშაობენ ამ ქვეყნებში, ხოლო სამშობლოში სეზონურად ჩამოდიან და საზღვრებს გარეთ გამომუშავებული ფულით ცხოვრობენ. ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც უცხოეთში, შედარებით მაინც, წარმატებული შრომითი მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ რჩებიან სამშობლოში. (19) შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმეტესად უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცხოვრების სურვილია. შრომითი მიგრანტების დაახლოებით 80% სწორედ ამ მოტივით მიდის ქვეყნიდან.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, გარკვეულმა ობიექტურმა, თუ სუბიექტურმა მიზეზებმა დროულად ვერ უზრუნველყო საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის გამოცოცხლება, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება და მოამზადა ხელსაყრელი ნიადაგი შრომითი რესურსების ქვეყნიდან გადინებისათვის. შედეგად - შეიცვალა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და მისი ეთნოდემოგრაფიული სურათი, გაუარესდა ქვეყნის სამუშაო ძალის ხარისხი. ამ პრობლემის დაძლევის საფუძველი არის ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნა და შრომის ანაზღაურების მონესრიგება.

შრომით მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივები

საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თანამემამულეთა დაბრუნების ხელშეწყობისა და რეინტეგრაციის მიზნით, როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერი პროგრამები 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო თანხა 400 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ აღნიშნული თანხა გასცა არასამთავრობო ორგანიზაციებზე სარეინტეგრაციო პროგრამების განსახორციელებლად.(20)

არასამთავრობო ორგანიზაციების რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც პროგრამის გამჭვირვალობას, ასევე რეინტეგრაციის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის გაძლიერებასა და განვითარებას.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

1. სოციალური პროექტების დაფინანსება
2. დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა
3. პროფესიული სწავლება
4. ანაზღაურებადი სტაჟირება
5. სამედიცინო მოსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება
6. იურიდიული დახმარება
7. საზოგადოებრივი ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით 460 დაბრუნებული მიგრანტის მომართვა აღირიცხა, საიდანაც ბენეფიციარად 398 ადამიანი დარეგისტრირდა, მათგან 46.5%-ქალი, ხოლო 53.5% კაცი იყო, რეგისტრირებულ ბენეფიციართა თითქმის ნახევარი (45%) 26-და 40 წლამდე ასაკობრივი ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო 39%-ის ასკი 40-დან 60 წლამდე მერყეობს. დაბრუნების მიხედვით რუსეთი (16%). დაბრუნებულთა ყველაზე მოთხოვნადი სერვისი ბიზნეს კონსულტაციაა. კვლევების თანახმად, დაბრუნებული მიგრანტები მიდრეკილი არიან ინვესტირების (მათ შორის, სოფლის მეურნეობაში), ბიზნესის დაწყებისა და თვითდასაქმებისკენ, რაც ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ სხვა (21) ქვეყნიდან ისინი ბრუნდებიან როგორც დანაშოვით, ასევე ახალი ცოდნით და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის საკითხი აქტუალობას არ კარგავს და მეტიც, დღითიდღე მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დაბრუნების ძირითად მიზეზად ემოციური ფაქტორები სახელდება, რაც უკავშირდება ოჯახის წევრების მონატრებას, სამშობლოზე ნოსტალგიას.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების რეინტეგრაციის პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ეკო-

ნომიკის განვითარებაში მიგრანტების პოზიტიური მონაწილეობის გაზრდას და სამშობლოში მიგრანტთა რეინტეგრაციას.

წყაროები და ლიტერატურა:

1. მიგრაციის სახელმძღვანელო, თბ.2017წ. ნან.V, მიგრაციის ისტორია, გვ.107
2. საქ.2017 წ. მიგრაციის პროფილი, თბ. 2017წ. გვ.12
3. ემიგრაციისა და სოფელ-ქალაქს შორის მიგრაციის სოციალურ გავლენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქ. 2012 წ. გვ.3 გაზეთი „კომერსანტი“, 2018 წ. 07/17.
4. იქვე.
5. მიგრაციის საკითხთა კომისია 2015წ. გვ.13
6. საქსტატი ეროვნული სამსახური 2017წ.
7. საქართველოს 2017წ.მიგრაციული პროფილი
8. ნ. ჭილაძე, საქართველო რუსეთი, 2018წ. გვ.133
9. ფობეს, 16 მარტი,2018
10. საქსტატი 2018წ.
11. საქ.2017წ. მიგრაციის გრაფიკი გვ.31
12. საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქ. ეკონომიკაში, გვ.11.
13. იქვე გვ.18
14. ნ.ჭელიძე, საქართველო რუსეთი ,2018წ. გვ.13
15. მ.კომახია,უთნიკური უმრავლესობის კვლევების სერია,2011წ. N2, გვ.15
16. საქართველოს მიგრაციის კომისია, 2017წ. გვ. 18
17. ნ. ჭელიძე იქვე.
18. ზ. ჭითანავა. გვ.7
19. www.mra.gov.ge
20. საქ.მიგრაციის პროფილი, 2017წ. გვ.64
21. <https://sputnik-georgia.com/georgia/20180530/240666765/საქართველოში-დაბრუნებულ-მიგრანტებს-გრანტიგადაეცათ.html>

NINO OTKHOZORIA

LABOR MIGRATION FROM GEORGIA: RISKS AND CHALLENGES

Summary

Migration is a difficult demographic process which became a part of modern civilized society. It is based on human rights decision to choose their own living space. In the conditions of globalized era, the migration wave from developing countries to developed countries has significantly risen. Of course, due to Georgia’s strategic geo-political situation, our citizens are not the exemption too. The collapse of the Soviet Union brought the disruption of economic relations, the changes of old social live and built new processes in labor market of every Post Soviet country. As for the last – the

formation of new market economy, it had an impact on almost every Georgia's citizen.

Labor migration became an important event of Georgia's socio-economic life. The statistics data shows that the major part of Georgian immigrants lives in the Russian Federation. And here, the rights of labor migrants are less protected, as there is no bilateral agreement between the two countries, which can guarantee the worker's exchange and social security. Still, despite the above mentioned fact, the results of many surveys shows that, the money transferred by Georgian citizens from Russia to the country in 2018 is 64 million dollars. We have to say that, money transfers promote economic growth and the stability of national currency.

Beside the above listed risks and positive sides, the labor migration in Georgia has lead to demographic disaster. Unfortunately, we have to admit that, if in the country, the birth rate is not increases, the demographic catastrophe is inevitable.

Georgian government has done certain important steps and created pull factors for the migrants and their reintegration. Since 2015 up today the government spends quite a large sum for the support of returned migrants' reintegration.

აარჲენ მარგველაშვილი

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რადაქციისა და წართლისეული წუსხის მნიშვნელოვანათვის რუსთველოლოგიაში

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია დუმლით ინყება – დროის მდინარებამ როგორც ვეფხისტყაოსნის დედანი, ისე პოემის ტექსტთან საზოგადოების მიმართების კვალი და რუსთველის სახელიც კი, თითქოს საგანგებოდ დამალა – არც წერილობითი, არც სხვა ნივთიერი წყარო მათ შესახებ მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში არაეითარ ცნობას არ გვანვდის. ოთხი საუკუნის შემდეგ კი ერთბაშად ჩნდება პოემისადმი ინტერესის დამადასტურებელი წყაროები. ამ ეპოქიდან შემორჩა ქართულ სინამდვილეს როგორც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, ისე ტექსტის აქტუალობის დამადასტურებელი სხვა ნიშნები და ირკვევა, რომ მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის მისაღები და ბუნებრივი ყოფილა პოემის ვრცელი რედაქციები. ეს კი უტყუარი მონმობაა იმისა, რომ დუმლიის ეპოქა, სინამდვილეში, განსწავლულ მოშიარეთა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრთა რუსთველის ტექსტთან აქტიური კომუნიკაციის ეპოქა ყოფილა. შემორჩენილი წუსხები, სწორედ ამ ეპოქაში შექმნილ მრავალ ჩანართ სტროფთან ერთად, შეიცავს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ თუ მსოფლმხედველობრივ ინტერესებზე მორგებულ, რუსთველური ტექსტის დამაზუსტებელ თუ მაკორექტირებელ მნიშვნელოვან ეპიზოდებსაც და ინდო-ხატაელთა და ხვარაზმელთა ამბის წარმომჩენ დაწართ სტროფებსაც. დროის ამ ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში პოემის წუსხათა შემქმნელები, ტექსტის გადამწერები, რედაქტორები, მოშიარეები თუ წუსხათა დამკვეთები ცდილობდნენ შეეკრიბათ და დედნის ტექსტთან ერთობლიობაში, ერთ ხელნაწერში, გაბმულ ტექსტად წარმოეჩინათ პოემასთან დაკავშირებული ძველი თუ ახლადშექმნილი პოეტური კომენტარები, ინტერპრეტაციები, ავტორთან დაუსწრებელი დიალოგის თუ პოლემიკის შედეგად წარმოქმნილი დამატებები თუ დაკლებები, სიუჟეტის დამაზუსტებელი და შემავსებელი, თუ მაკორექტირებელი სტროფები. ხშირად აქვე თავსდებოდა ტექსტის დამასურათებელი მინიატიურები.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის სახელმწიფოებრივ ფუნქციასა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მის მნიშვნელობას მთელი სისრულით დოკუმენტირებული სახით წარმოაჩენს პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა. 1712 წელს მეფე ვახტანგ მეექვსის რედაქციით დასტამბულ ვეფხისტყაოსანში პირვე-

ლად არის გამიჯნული პოემის შეძლებისდაგვარად დადგენილი რუსთველური ტექსტი და ტექსტთან რედაქტორის კომუნიკაციისა და დიალოგის შედეგად ჩამოყალიბებული თვალსაზრისები, ერთ წიგნში თავმოყრილია სიტუაციური კონტექსტისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე ტექსტი, რომელიც ხაზს უსვამს როგორც გამოცემის დანიშნულებას, ისე რუსთველის ტექსტის სახელმწიფოებრივ ფუნქციას. ამ გამოცემიდან მოყოლებული დღემდე დომინირებს პოემის ვახტანგ მეექვსის მიერ განსაზღვრული სტროფული შედგენილობის ფარგლებით ნიშანდებული მოკლე რედაქციები, რომლებიც განსხვავებულია ნიუანსებით, მაგრამ არსებითად განმნდელია არარუსთველური დანართი სტროფებისაგან და, ამასთან ერთად, აღარ შეიცავს არც ხვარაზმელთა და არც ინდო-ხატაელთა ამბავს.

მეოცე საუკუნეში საბჭოთა მმართველობამაც აღიარა ვეფხისტყაოსნის ტექსტის სახელმწიფოებრივი ფუნქცია და 1937 წელს, მასშტაბურ საიუბილეო დღეებში, ვეფხისტყაოსნის ინდო-ხატაელთა ამბით შეესებული აკადემიური რედაქცია მიანოდა მკითხველს. ეს გადაწყვეტილება დღემდე სადავოდ და მნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემად რჩება. სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ საიუბილეო გამოცემასთან დაკავშირებული გარემოება, რომელსაც კარგად წარმოაჩენს ა. შანიძის პუბლიკაცია და ის, რომ 1966 წელს, რუსთველისადმი მიძღვნილ მომდევნო მასშტაბურ იუბილეზე, ორმა დამოუკიდებელმა საგანგებო სარედაქციო საბჭომ ვახტანგ მეექვსის გამოცემის სტროფული შედგენილობის ფარგლებით განსაზღვრული აკადემიური რედაქცია გამოაქვეყნა. მაგრამ უკვე 1988 წელს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ პოემას კვლავ დაურთო ინდო-ხატაელთა ამბავი და თავისი გადაწყვეტილება ასე განმარტა: „თუმცა ინდო-ხატაელთა ამბავს მკაფიოდ აქვს ალბეჭდილი ინტერპოლატორის ხელწერა (რაც უმთავრესად ენობრივ და მხატვრულ გაუმართაობაში მდგომარეობს), ჩვენ იგი მაინც დავტოვეთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, რამდენადაც ერთგვარად ავსებს პოემის შინაარსობრივ ხარვეზს, ამთლიანებს და კომპოზიციურად მტკიცედ კრავს პოემის სიუჟეტს.“[6:7]. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ჩამოყალიბებული ეს მდგომარეობა გამოხატავს ვახტანგისეული გამოცემისადმი უნდობლობის ტენდენციასა და მის, როგორც ვეფხისტყაოსნის რუსთველურ ტექსტთან მიმართებული ნყაროს მნიშვნელობას, მე-17 საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით აკინიებს, განმტკიცებს თვალსაზრისს, რომ ვახტანგისეული რედაქცია პოემისა წარმოადგენს მე-17 საუკუნის ხელნაწერებით დადასტურებული ვრცელი ვარიანტების ხელოვნურად შეკვეცილ ისეთ ვერსიას, რომელსაც დაბოლოების ნაწილში არ მოეპოვება ნიმუში ადრინდელი ხელნაწერებიდან.

ვეფხისტყაოსნის 150-ზე მეტი ხელნაწერით წარმოდგენილი მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე ს. ცაიშვილმა ჩამოაყალიბა სისტემური მიდგომა, რომელიც რუსთველური ტექსტის ცვლილებების მკაფიო სტრუქტურული სახის წარმოჩენას ისახავდა მიზნად. მეცნიერის მეთოდოლოგია გულისხმობს პოემის სამი შემადგენელი ნაწილის, პროლოგის, ძირითადი ნაწილისა და დანარ-

თი თავების დამოუკიდებელ ანალიზს, ხელნაწერთა სტროფული შედგენილობის საფუძველზე. ყოველი ამ ნაწილისათვის მკვლევარი ხელნაწერებში ეძებს არსებით განსხვავებებს და შესაბამისად აჯგუფებს ნუსხებს. მაგალითად, პროლოგის სტროფული შედგენილობის ანალიზის საფუძველზე მეცნიერი გამოყოფს ვრცელ, მოკლე და სტროფების განსაკუთრებული თანმიმდევრობის, თუმცა შედგენილობით კვლავ ვრცელ რედაქციებს. პოემის ძირითადი ნაწილის ანალიზისათვის კი სტროფული შედგენილობის საყრდენად იყენებს არა ვახტანგისეულ რედაქციას, არამედ 1937 წლის საიუბილეო გამოცემას და სწავლობს ხელნაწერებში ამ გამოცემის მიმართ დანართად მიჩნეული სტროფების შედგენილობას. მისი დაკვირვებით, დანართი სტროფები ოთხ განსხვავებულ „ა“, „ბ“, „გ“, და „დ“ პლასტად შეიძლება დაჯგუფდეს. მათი სხვადასხვა კომბინაცია გამოარჩევს ხელნაწერთა ოთხ რედაქციულ ჯგუფს. პირველ რედაქციულ ჯგუფში ერთიანდება ხელნაწერები, რომლებიც შეიცავს მხოლოდ „ა“ პლასტს, მეორე ჯგუფი – „ა“ და „ბ“ პლასტებს, მესამე რედაქციული ჯგუფი „ა“, „ბ“ და „გ“ პლასტების ერთობლიობის შემცველ ნუსხებს უყრის თავს, ხოლო მეოთხე ჯგუფში ერთიანდება ის ხელნაწერები, რომლებიც შეიცავს „ა“ და „დ“ პლასტებს.

განსაკუთრებულია ს. ცაიშვილის დამოკიდებულება პოემის ვახტანგისეული რედაქციისა და ხელნაწერთა იმ დიდ ჯგუფისადმი, რომელიც ვახტანგისეული რედაქციიდან მომდინარედ მიიჩნევა. კერძოდ, მეცნიერის მეთოდოლოგიით, ეს უკანასკნელი ვერ იქნება პოემის ტექსტის რედაქციული სახესხვაობისათვის დამატებითი, ვახტანგისეულისაგან განსხვავებული ინფორმაციის შემცველი. ვახტანგისეული რედაქციის წყაროების ძიებას კი ავტორი არაერთ მონოგრაფიულ კვლევას უძღვნის, გამოაქვს სათანადო დასკვნები და აყალიბებს არსებითი მნიშვნელობის დებულებას: „მე-17 საუკუნის ხელნაწერთა შორის არ მოიპოვება ვახტანგისეულის მსგავსი ნუსხა და მხოლოდ 1712 წლის გამოცემაში შემუშავდა პოემის ახალი მოკლე რედაქცია“ [13:310].

ს. ცაიშვილის თვალსაზრისით, ვახტანგისეული რედაქციის სტროფული შედგენილობა აშკარად ხელოვნურად შეკვეცილ დაბოლოებას აჩვენებს და მას არ უნდა ჰქონოდა წინამორბედი ძველი ხელნაწერის სახით. ცხადია, ეს მეტად პრინციპული საკითხია და აქვე შევნიშნავთ, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტში ვახტანგ მეექვსის „უხეში და უმართებულ“ ჩარევის შესახებ პირველად ყველაზე მკვეთრი ტექსტი გამოაქვეყნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, რომლის მოსაზრებები დაედო კიდევ საფუძვლად პოემის 1937 წლის საიუბილეო გამოცემას. მისი კატეგორიული თვალსაზრისით: „სრულიად უმართებულა ინდო ხატაელთა ამბის ცალკე გამოყოფა; იგი ძირითადი ტექსტის განუკვეთელ ნაწილს და პოემის ნამდვილ დაბოლოებას წარმოადგენს: ავტონომიური არსებობის უფლება მას მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის მაკრატელმა მიანიჭა.“[3:X]; „ცხადია, ვახტანგ მეფემ, თვითონ პოეტმა და მეცნიერმა, როდესაც ითავა დიდი საქმე – ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა, მხედველობაში მიიღო პოემის განწყობა ბოლოში და მოჰკვეცა მას ეს ბოლო,

მაგრამ ნამდვილად მოსაკეცე შვიდ თავს შეცდომით გააყოლა კიდევ სამი თავი – ინდო-ხატაელთა ამბავი. ამ უმნიშვნელოვანესი აქტის შესახებ ვახტანგმა ხმაც არ ამოიღო თავის შენიშვნებში, ვინაიდან იცოდა, რომ ვერავე-თარი მჭერმეტყველებით ვერ გაამართლებდა იმ თვითნებობას, რომელიც მან ჩაიდინა“ [3: XXV].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ „თვითნებობის“ შესახებ ვახტანგ მეფე იმიტომ კი არ დუმს, რომ მას უნებლიეთ მოუვიდა ისეთი შეცდომა, რომელსაც ველარ გამოასწორებდა, არამედ იმიტომ, რომ მან არჩევანი მოკლე ვერსიის სასარგებლოდ გააზრებულად გააკეთა, მის ხელთ არსებულ სანდო ნუსხათა მონაცემების გათვალისწინებით. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება ვეფხისტყაოსნის ნერეთლისეულად სახელდებული №-5006 ხელნაწერის მნიშვნელობა. დღეს შემორჩენილ ხელნაწერთაგან მხოლოდ ვეფხისტყაოსნის ნერეთლისეულად სახელდებული №-5006 ნუსხა შეიცავს ვახტანგისეული რედაქციის სტროფული შედგენილობის მხარდამჭერ საგულისხმო ჩვენებას, რის გამოც ამ ხელნაწერის მნიშვნელობა განსაკუთრებულია.

№-5006 ხელნაწერის გადამწერი თანმიმდევრულად მისდევს პოემის დაბოლოების მოკლე ვერსიას, მაგრამ რატომღაც შეუნყვეტია მისი დასრულება, თანაც ისე, რომ ერთ-ერთი სტროფის მეორე სტრიქონი შუამდეც კი არ მიუყვანია, თავისუფალი დაუტოვებია გვერდის დარჩენილი სივრცე, მომდევნო გვერდიდან კი უკვე დაბოლოების ვრცელი ვერსიის გადწერა დაუწყია. ამ ხელნაწერს სათანადო ყურადღება პირველად დ. კარიჭაშვილმა მიაქცია [9:412-424], ხოლო შემდეგ პ. ინგოროყვამ გამოიყენა სწორედ იმის მტკიცებულებად, რომ პოემის დაბოლოების ვახტანგისეული მოკლე ვერსია რომელიღაც, ახლა უკვე დაკარგული ხელნაწერიდან მომდინარეობს [4:501-513].

ს.ცაიშვილის დასკვნის შესაბამისად კი ნერეთლისეული ხელნაწერის ჩვენება ვერ ჩაითვლება პოემის ვახტანგისეული ვერსიის დღემდე უცნობი ძველი დედნიდან მომდინარეობის რეალურობის არგუმენტად, რადგან ნერეთლისეული ხელნაწერის შუა ნაწილი, თითქმის 600 სტროფი, დაბოლოების ვრცელი ვერსიის დასაწყისამდე, თავად არის გადამწერილი უშუალოდ ვახტანგისეული გამოცემიდან. ის წერს: „ხელნაწერის შუა ნაწილი ზუსტად ემთხვევა ვახტანგისეულ ტექსტს. ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის არც ერთი ხელნაწერი ამ მონაკვეთში არ ემთხვევა ვახტანგის გამოცემას. №-5006 ხელნაწერი კი მოცულობის მხრივ გამოცემის იგივეობას წარმოადგენს ..., ასეთივე მდგომარეობაა ნაკითხვებში; ვახტანგისეული გამოცემის ყველა სწორი თუ არასწორი ნაკითხვიდან ყველა ასევე მეორდება ამ ნაწილში. ვახტანგის გამოცემის კორექტურული შეცდომებიც გამეორებულია №-5006-შიც ... ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ №-5006 ხელნაწერის ეს მონაკვეთი წარმოადგენს ვახტანგისეული გამოცემის პირს“ [11:322].

მართლაც შთამბეჭდავია, როცა ორი რედაქციულად განსხვავებული ტექსტი 600 სტროფის მოცულობით ერთმანეთთან არათუ მსგავსებას არამედ იგივეობას ამჟღავნებს და ეს ფაქტი მტკიცებულებადაც გამოდგებოდა იმისათვის, რომ ერთი ტექსტი მეორის დედნად გველიარებინა, მაგრამ ეს მარ-

თებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველაფერი, არა მარტო სტროფული შედგენილობა, არამედ ტექსტიც, ერთმანეთს ნამდვილად დაემთხვეოდა.

საინტერესოა, რომ დაკვირვებული და ყოველთვის კრიტიკულად განწყობილი მკვლევარი გ. შარაძე, თავის საყურადღებო ნაშრომში [14:71-72], როცა ცაიშვილის თვალსაზრისს განიხილავს, დამატებით არგუმენტსაც კი უთითებს მისი დასკვნის გასაძლიერებლად, თუმცა, როგორც ჩანს, არც კი დაეჭვებულა და არ გადაუმოწმებია ძირითადი დებულებები. მკვლევარი, მართალია, აღიარებს, მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებელია წერეთლისეული ნუსხის შექმნის ს.ცაიშვილისეული სურათით და ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ „რით არის გამოწვეული, რომ №-5006 თავში და ბოლოში მე-17 საუკუნის ვრცელი რედაქციული ტიპის (ს. ცაიშვილის მტკიცებით – დ" ტიპის) ხელნაწერს მისდევს, ხოლო შუა ნაწილში კი ვახტანგისეულ 1712 წლის ბეჭდური გამოცემის ასლს წარმოადგენს?“. №-5006 ნუსხის შექმნის ასეთი სურათის გასამართლებლად გ. შარაძე დეტალურად სწავლობს ნუსხაში დასურათებათა მოხვედრის საკითხს, თანმიმდევრულად და სრულიად სამართლიანად მსჯელობს და, მინიატიურების ქვემოთ გაკეთებული მინაწერების ანალიზის საფუძველზე, ასკვნის, რომ „მინაწერების ნაკითხვების ასეთი საგრძნობი დაშორება ხელნაწერის ტექსტისაგან, ცხადია, მხოლოდ მაშინ იყო მოსალოდნელი თუ მინიატიურები ადრე სწორედ იმ ხელნაწერში იქნებოდა ჩაკრული, სადაც მათ მინაწერთა ეკვივალენტური ნაკითხვები იყო დაცული“. წერეთლისეულ ნუსხაში კი, მისი სიტყვებით, „მინიატიურის მინაწერთა და ხელნაწერის ტექსტის დამონმებულ ადგილთა შორის საგრძნობი და ხშირად მკვეთრი ვარიანტული სხვაობანია: ვისი/მისი; მდაგავს/მწვაედა; ჩაეჯე/შეეჯე; გაეელ/შეეელ; გაეკვირი/შეეხედენ; ვლიდენ/მივლენ; ყოლბსა/ყოლბთა; იცოდი/იცოდე; დახედეს/დამხედეს; ავიდეს/შევიდეს; აძერეს/გაძერეს; ლხინისა/ჭირისა.“ [14:84].

როგორც ჩანს, ს. ცაიშვილის დასკვნა გადამოწმების გარეშე ფაქტად აღიარეს არა მარტო გ. შარაძემ, არამედ ა. შანიძემ, გ. წერეთელმა, რ. პატარიძემ და სხვებმა. მათ წერეთლისეული ნუსხა ვახტანგისეული გამოცემიდან, როგორც დედნიდან, მომდინარედ მიიჩნიეს და, შესაბამისად, წერეთლისეულად სახელდებული ხელნაწერი მე-18 საუკუნის ნუსხად გამოცხადდა, წინააღმდეგ ე. თაყაიშვილის, კ. კეკელიძის, დ. კარიჭაშვილის, პ. ინგოროყვასა და სხვათა თვალსაზრისისა, რომლებიც ამ ხელნაწერს მე-17 საუკუნისად მიიჩნევდნენ.

სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ნებისმიერ მკვლევარს, გულდასმით რომ შეეძარებინა ვახტანგისეული გამოცემა და წერეთლისეული ნუსხა, ის პრაქტიკულად ყველა სტროფში აღმოაჩენდა არა მხოლოდ თანხვედრებს, არამედ მეტად საგრძნობ და ხშირად მკვეთრ ვარიანტულ სხვაობებს. განსხვავებათა არსებობის საფუძველზე კი არ დაეთანხმებოდა ს.ცაიშვილის პრინციპულ დასკვნას.

ხელნაწერის შესწავლამ და ვახტანგისეულ გამოცემასთან მისმა დეტალურმა შედარებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ვახტანგისეული რედაქციისა და

წერეთლისეული ნუსხის მითითებული 600 სტროფი განსხვავდება ტექსტის თვალსაზრისით, და არ დასტურდება მეცნიერის მონოგრაფიებში მოტანილი თვალსაზრისი, რომ თითქოს ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთში ხელნაწერს ზუსტად გადმოაქვს არა მარტო 1712 წლის გამოცემის წაკითხვები, არამედ კორექტურული შცდომები და სხვა ბეჭდური ცდომილებებიც კი, და რომ ხელნაწერის შუა ნაწილი თითქოს ზუსტად ემთხვევა ვახტანგისეულ ტექსტს.

ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობის საილუსტრაციოდ მოვიტანთ განსხვავებათა რამდენიმე პრინციპული ხასიათის ნიმუშს, რომელიც ერთი ტექსტის მეორიდან მომდინარეობას უბრალოდ გამოორიცხავს, მიუხედავად სხვა დეტალების თანხვედრისა.

წერეთლისეული ხელნაწერის 243-ე ფურცლის პირველ გვერდზე ასეთი ფაქტობრივი სურათია: იქ სადაც მთავრდება პოემის მოკლე რედაქცია, ოთხი სტროფი სრულად არის ჩანერილი. მეხუთე სტროფის დასაწყისი სიტყვისათვის, „ტარიელს“, რომელიც სინგურით უნდა შესრულებულიყო, ადგილი გამოტოვებულია, ხოლო შემდეგ შავი მელნით ორ სტრიქონად არის მოტანილი ტექსტი:

„...და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი
შვიდი ტახტი სა ...“.

და პოემის დასასრულის მოკლე რედაქცია აქ არის შეწყვეტილი ისე, რომ გვერდის დარჩენილ ცარიელ ნაწილზე ერთი სტროფი კიდევ დაეტეოდა. დაუსრულებელი სტროფის სიტყვები ზუსტად დასტურდება ვახტანგისეულ გამოცემაში, მაგრამ ეჭვი იბადება უკვე ამ სტროფის უშუალო წინა სტროფის ურთიერთშედარების შემდეგ, რადგან ვახტანგისეულ გამოცემაში ვკითხულობთ („ჩვიზ“):

„სამთავე ვლეს ლთნ მათებრ სხვა ნურა ნუ დაბადოსა
მოეგებიან მტერობა ვერავინ დაიქადოსა
მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა
ვითა მართებდა პურობდეს ღვინოსა სვემდეს არ დოსა“.

წერეთლისეული ხელნაწერი კი ამ სტროფის განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს:

„სამთვე ვლეს ლთნ მათებრ სხვა ნურა ნუ დაბადოსა
მოეგებნიან მტერობა ვერავინ დაიქადოსა
მინდორსა შინა სადილად გარდაჯდეს უდილადოსა
ვითა მართებდა პურობდეს ღვინოსა სუმიდეს არ დოსა“.

სტროფებში გახაზული ნაირკითხვები მექანიკურ თუ კორექტურულ სხვაობათა რიგს წამდვილად არ უნდა მიეკუთვნოს და თუ ამ მონაცემებით აღძრულ ეჭვს პოემის „შუა“ ნაწილის სხვა 600 სტროფის მონაცემებთანაც გადავამოწმებთ, აღმოვაჩინებთ ძალზე ბევრ უფრო მნიშვნელოვან და პრინციპული ხასიათის ნაირკითხვებსაც, რაც ნუსხის შუა ნაწილის ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობის ვერსიას საფუძველს აცლის. სანიმუშოდ მოვიტანთ მათ მცირე ნაწილს:

ჩტმფ (2) — მომღერალისა/მომღემარისა

- ჩტპე (3) — ადვილად/ავთანდილ
 ჩტჟე (1) — უთხრა შემიგია გამიგია ვიცი მერა/ლალი ამხანაგობს საუ-
 ბართა ესოდენრა
 ჩყიე (2) — სამი ათასსა/სამასი ათას
 ჩუმე (4) — ზრავს/სძრავს
 ჩუპა (3) — სათანაოდ/სათანადოდ
 ჩუპჳ (4) — ავთანდილა/ავთანდილ დგა
 ჩეჳ (3) — ახელებს/აახლებს
 ჩფთ (3) — რომელი/რომე
 ჩეკა (1) — მან/მუნ
 შჳჳ (2) — თუცა შენ ჩემად არა გცალს/თუ შენ ჩემთვის არა გცალან
 ჩნე (4) — გვნატრიან/გვნატრიდენ
 ჩო (2) — ფატმანისსა/ფატმან მისსა
 ჩრნბ (4) — დაეტყებნეს მისით/დაეტყუევენეს მისთვის
 ჩრნთ (1) — მადლი/ძალი
 ჩს (3) — წერასა/წყენასა
 ჩსოე (2) — ქმნილსა/ქმნილმან
 ჩსპე (4) — დამალული/დაფარული
 ჩსით (4) — ჳელითა/ენითა
 ჩსკგ (1) — მოუდია/მოუცია
 ჩსკგ (4) — დიდი/მათი
 ჩსნთ (3) — მზესა/ზედა
 ჩსიგ (2) — ვცნა/ვცან.

კიდევ მრავალ მსგავს განმასხვავებელ ნიმუშს ემატება ისეთი, თითქოს უმ-
 ნიშნელო განსხვავებაც, როგორიცაა სხვაობა „უბრჯგუსა“ და „ჳ“ გამოყენე-
 ბაში. მოტანილი ფაქტები, ვფიქრობთ, საკმარისია იმის დასტურად, რომ პოემის
 ამ მონაკვეთში ვახტანგისეული გამოცემისა და წერეთლისეული ნუსხის ტექს-
 ტობრივ დამთხვევასთან საქმე ნამდვილად არ უდა გექონდეს და რომ ფაქტები
 საკმარისია მტკიცებულებისათვის: წერეთლისეული ნუსხა არ წარმოადგენს ვახ-
 ტანგისეული გამოცემის გამეორებას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ორი ტექსტის
 განსხვავების დამადასტურებელ მოკლე, უეჭველ და უტყუარ ბეჭედად შეიძლე-
 ბა გამოვიყენოთ ორი უდავოდ რუსთველური სტროფის განსხვავება.

ერთი მათგანი ვახტანგისეულ გამოცემაში (სტროფი „ჩფმზ“) ასე იკითხება:

„კვლავ უძღვნა ძღვენი ორთავე მზგავსი მათისა ბედისა
 ათასი თვალი ნაშობი რომანულისა დედლისა

კვლავ მარგალიტი ათასი მართ ვითა კვერცხი ბატისა
 ათასი ცხენი ტაიჭი სიდიდით მსგავსი ქედისა“

წერეთლისეულში კი გვაქვს:

„კულავ ეძღვნა ძღუენი ორთავე მსგავსი მათისა ბედისა
 ათასი თუალი ნაშობი რომანულისა დედისა

კულა მარგალიტი ათასი მართ ვითა კუერცხი ტრედისა
 ათასი ცხენი ტაიჭი სიდიდით მსგავსი ქედისა“

მხოლოდ ამ სტროფის ჩვენებაც კი იქნებოდა საკმარისი საკითხის გადასაჭრელად და იმის დასტურად, რომ წერეთლისეული ნუსხის და ვახტანგისეული რედაქციის შუა ნაწილთა ტექსტობრივ დამთხვევასთან საქმე ნამდვილად არ უნდა გვეკონდეს, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა ვახტანგისეული გამოცემის „ჩპ“ სტროფის შედარება წერეთლისეული ნუსხის შესაბამის სტროფთან. ეს სტროფი პოემის ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშია, ის უდავოდ რუსთველურია. მართალია, ხელნაწერების მიხედვით გვაქვს სტროფის ვარინტული ნაკითხვები, მაგრამ ნაირკითხვები არც ისე ბევრია და მით უფრო გასაკვირია, რომ წერეთლისეული ნუსხის ეს უნიკალური ვარიანტი ხელნაწერთა ვარიანტების არც ერთ გამოცემაში არ არის შეტანილი [15:682-683], [4:359].

ვახტანგისეულ რედაქციაში ვკითხულობთ:

„თქვა ყვაი ვარდთა რას ა ქ ნ ე ვ ს ანუ რა მისი ფერია
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკილად არ უმღერია
უმსგავსო საქმე ყველაი მოკლე და მით ოხერია
რა უთქვამს რა მოუჩმახავს რა წიგნი მოუწერია“.

წერეთლისეული ნუსხის სრულიად უნიკალური ნაირკითხვა კი გვთავაზობს:

„თქვა ყვაი ვარდსა რას ღ ი რ ს ა ანუ რა მისი ფერია
მაგრა მაზედა ბულბულსა ჯერ ტკილად არ უმღერია
უმგზავსო საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია
რა უთქვამს რა მოუჩმახავს რა წიგნი მოუწერია“.

ეს ნაირკითხვა არათუ ვახტანგისეული გამოცემიდან არ მომდინარეობს, არამედ საერთოდ წარმოადგენს წერეთლისეული ხელნაწერის განსაკუთრებულობას.

წერეთლისეული ნუსხის ეს ნაირკითხვა გამოცემაში შეიტანა ბროსე, ფალავანდიშვილი, ჩუბინაშვილის კომისიამ, თუმცა ჩვენთვის ცნობილი არ არის სარგებლობდა თუ არა კომისია სწორედ ამ ნუსხით თავიანთი გამოცემის მომზადებისას [2]. თავის გამოცემაში პავლე ინგოროყვამაც [4], რომელიც, ცხადია, ამ ნუსხას კარგად იცნობდა, წერეთლისეული ნუსხის ნაირკითხვას მიაწიჭა უპირატესობა.

წერეთლისეული ნუსხის მნიშვნელოვან განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ კალიგრაფი სიტყვაში „ვეფხი“ ყველგან, გამონაკლისის გარეშე, მოიხმობს არა ასონიშან „ხ“-ს, არამედ „ვ“-ს.

ახლა კი შევეხოთ ს. ცაიშვილის მეორე და გადამწყვეტ, ეფექტურ არგუმენტად გამოყენებულ, დაკვირვებას.

მკვლევრის არგუმენტაციისათვის, ტექსტობრივ იგივეობასთან ერთად, მისივე სიტყვებით, „საგულისხმოა ერთი დეტალიც, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხისათვის. ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკუნის ყველა ხელნაწერი იცავს სიტყვათა გამყოფ ორი წერტილის ტრადიციას. ვახტანგის გამოცემის რედაქტორი, ალბათ, სტამბური ბეჭდვის სიძნელეთა გამო, ამარტივებს ამ წესს და მხოლოდ სტრიქონის შუაზე (ცეზურაზე) და

ბოლოში სვამს ორ წერტილს. გამოირკვა, რომ შ-5006 ხელნაწერის პირველ ნაწილში ყველა სიტყვას ორწერტილები უზის, ხოლო იმ ადგილიდან კი, საიდანაც ვახტანგის ტექსტის გადანერაა დაწყებული, ეს ორწერტილები სწორედ შუაზეა (ცეზურაზეა) დასმული [11:320-324]. ამრიგად, მკვლევრის თვალსაზრისით, შ-5006 ხელნაწერის კალიგრაფი, თითქოს, კოპისტის სიზუსტით მისდევს როგორც ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს, ისე სიტყვების გამყოფი წერტილების გამოყენების წესსაც.

თუ გავყვებით ს. ცაიშვილის ლოგიკას, წერეთლისეული ნუსხის კალიგრაფი ჯერ მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან, შემდეგ ვახტანგისეული გამოცემიდან და შემდეგ კვლავ მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან, ზუსტად იწერდა ტექსტს და იხატავდა გამყოფი წერტილების გამოყენების სურათსაც (მე-17 საუკუნის ხელნაწერებში გამოყენებულია ყოველი სიტყვის ორწერტილით გამიჯვნის წესი, ვახტანგისეული გამოცემა კი გამყოფ ნიშანს მხოლოდ ცეზურასა და სტრიქონის ბოლოში მოიხმობს). ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ კალიგრაფი არამარტო შუა ნაწილში, არამედ პოემის დანართი ეპიზოდების ტექსტშიც ვახტანგისეული გამოცემის პრინციპით მხოლოდ ცეზურაზე იყენებს გამყოფ ორწერტილს, ანუ არ მიჰყვება ცაიშვილის ლოგიკას და არ იცავს მე-17 საუკუნის ხელნაწერთა ტრადიციას და ყოველი სიტყვის შემდეგ არ სვამს გამყოფ წერტილებს. ამიტომ, ვფიქრობ, ხელნაწერის ეს მახასიათებელი ნიშანი ვერ იქნება „გადამწყვეტი მნიშვნელობისა“ იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, თითქოს, კალიგრაფს შუა ნაწილის გადანერის მიზნით არა მე-17 საუკუნის ხელნაწერი, არამედ ვახტანგისეული გამოცემა გამოეყენებინოს. კალიგრაფის მიერ სიტყვათა გამყოფი ორწერტილების გამოყენების საკითხის გასარკვევად კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხელნაწერში არებული სხვა ფაქტობრივი მონაცემებიც. კერძოდ, ის გარემოება, რომ ხელნაწერი სწორედ შუა ნაწილიდან მოყოლებული არ არის დასრულებული სახის.

წერეთლისეულ ნუსხაში სულ, 87 მინიატურის შემცველ ფურცლებთან ერთად, 289 ფურცელია. 167-ე ფურცლის პირველ გვერდამდე ხელნაწერის ყველა გვერდი დასრულებული სახისაა და ყოველ მათგანზე განთავსებულია ზუთ-ზუთი სტროფი პოემის ტექსტისა. 167-ე ფურცლის პირველ გვერდზე კი რატომღაც ოთხი სტროფია გადანერილი და თავისუფალია კიდევ ერთი სტროფისათვის საკმარისი სივრცე, ხოლო ფურცლის მეორე გვერდის ზედა ოთხი მეხუთედი თავისუფალია, ქვედა მეხუთედზე კი განთავსებულია სათაური („აქ ავთანდილი ვარსკვლავთ ეუბნების თავის ბუნებაზედან ...“) და კიდევ ერთი სტროფი („მიმავალი ცაბა შესტირს...“);

მსგავსი სურათი გვაქვს ყოველი მომდევნო 168, 169 და 170 ფურცლის ექვს გვერდზეც. ყოველი მათგანი ავთანდილის მნათობთადმი მიმართული ლოცვის თითო სტროფს ისე იტევს, რომ გვერდის სივრცის ზედა ოთხი მეხუთედი ცარიელია;

264-ე და 265-ე ფურცლების მეორე გვერდებზე თითო სტროფი გვაქვს ქვედა ნაწილში, 268-ეზე კვლავ ერთი სტროფი გვაქვს, ოღონდ ზედა ნაწილში;

270-ე ფურცლის მეორე გვერდზე გადანერილია მხოლოდ სამი სტროფი;

271-ე ფურცლის პირველ გვერდზე ქვემოთ გვაქვს ერთი სტროფი, მეორე გვერდზე კი განთავსებულია მხოლოდ სამი სტროფი;

272-ე ფურცლის პირველ გვერდზე ქვემოთ გვაქვს ორი და მეორე გვერდზეც ქვემოთ ორი სტროფი;

273-ე ფურცლის პირველ გვერდზე ზემოთ გვაქვს სამი სტროფი, მეორე გვერდი კი თავისუფალია; 274-ე ფურცლის პირველ გვერდზე მხოლოდ ოთხი სტროფია განთავსებული;

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ხელნაწერის მეორე ნაწილი, 175-ე ფურცლის შემდეგ, გადანერილია სხვა ხარისხის ქალაქად, მართალია, გამოყენებულია კვლავ სპარსული ქალაქი ჭვირნიშების გარეშე, მაგრამ ის თვალშისაცემად უფრო თეთრია, ვიდრე წინა ნაწილის ფურცლები და სწორედ აქედან, ე.ი. უკვე 176-ე ფურცლის მეორე გვერდის მესამე სტროფის შუიდან, მოყოლებული ყოველი სიტყვის შემდეგ აღარაა დასმული გამყოფი ორნერტილები;

აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობა გვაფიქრებინებს, რომ როცა პირველი 16 ფურცელი უკვე შევსებული იყო. გადაწყდა ხელნაწერის დასურათებისათვის ზრუნვა იმ ანგარიშით, რომ მხატვარს დამოუკიდებელ თავისუფალ ფურცლებზეც და ტექსტით ნაწილობრივ შევსებულ ფურცლებზეც ემუშავა და სათანადოდ დაესურათებინა ნუსხა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სიტუაციით ისარგებლა კალიგრაფმა და ფურცლებზე თავისუფალი სივრცის დატოვებასთან ერთად ყოველი სიტყვის შემდეგ გამყოფი ნიშნების დასმის მექანიკური სამუშაოს შესრულება მომავლისათვის, იქნებ სულაც ხელნაწერის შემკობის შემდგომი ეტაპისათვის, გადადო. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ, წერეთლისეული ხელნაწერი დღეს მართლაც ყველაზე მდიდრულად დასურათებული ნუსხაა და მინიატიურები მასში დამოუკიდებელი ფურცლების სახით არის ჩართული, მაგრამ ფაქტია, რომ მინიატიურებით შევსება თავდაპირველი განზრახვლების შესაბამისად არ განხორციელდა და ხელნაწერის არაერთი ფურცლის სივრცე შეუვსებელი და ცარიელი დარჩა. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არა აქვს ნუსხას სრულქმნილი თუ დასრულებული სახე. ამავე მიზეზის გამო ვეღარ დაასრულა თავისი მექანიკური სამუშაო კალიგრაფმა და ამ დაუზიანებელ ნუსხას ამიტომ არ გააჩნია თავისი ანდერძიც. არადა ამ შესაძლებლობით აუცილებლად უნდა ესარგებლა კალიგრაფს, რომელიც ნუსხის პირველივე გვერდზე პოემის სათაურს ასეთ ტექსტს ურთავს: „ღთო წარმართენ საქმენი ხელთა ჩემთანი უფალო“.

ნუსხათა სრულქმნილებამდე მიყვანა რომ ხშირად ვერ ხერხდებოდა, ამის საუკეთესო მაგალითია უძველესი, მე-16 საუკუნის მიწურულში შესრულებული, მდიდრულად მოხატული, მაგრამ დაუსრულებელი, თავსა და ბოლოში სრულიად დაუზიანებელი 3-2074 ნუსხა, რომლის კალიგრაფიც, წერეთლისეული ნუსხის კალიგრაფის მსგავსად, ასევე რამდენიმე დედნით სარგებლობდა და რომელსაც ასევე არ ახლავს ანდერძი.

ჩვენი კვლევის შედეგად შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მართალია, წერეთლისეული ნუსხის გადამწერი სარგებლობდა ორი, ან მეტი ნუსხით,

მაგრამ ამ ტექსტებს შორის ვერ ვიგულისხმებთ ვახტანგისეულ გამოცემას.

ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით წერეთლისეული ნუსხის ტექსტის არქაულობისა და მისგან განსხვავების საგულისხმო ფაქტია ის, რომ გადამწერი მთელი ტექსტის მანძილზე უმრავლეს შემთხვევაში ხმარობს რუსთველური ეპოქის „სლვას“ და იშვიათ შემთხვევებში „სულას“ ან „სელას“ მაშინ, როცა ვახტანგისეულ რედაქციის სათანადო კონტექსტებში ძირითადად გვხვდება „სვლა“ ხოლო „სლვა“ არ გვხვდება.

იმ თვალსაზრისს, რომ წერეთლისეული ნუსხა წინ უსწრებს ვახტანგისეულ გამოცემას და, როგორც ამას ე. თაყაიშვილი ვარაუდობს, ხელნაწერი მე-17 საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული, რამაზ პატარიძის გამოკვლევაც უჭერს მხარს, რადგან ქართული ხელნაწერების ქალაქის ნარმომავლობის მის მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მე-18 საუკუნის პირველი დეკადის შემდეგ საქართველოში პრაქტიკულად მხოლოდ ევროპული ქალაქი შემოდის და ვეფხისტყაოსნის ნუსხებიც მხოლოდ ჭვირნიშინან ქალაქზე სრულდებოდა, წერეთლისეული ნუსხის ორივე ნაწილი კი შესრულებულია მხოლოდ სპარსულ გასანთლულ ქალაქზე.

ამ არგუმენტების საფუძველზე, უნდა უარვყოთ ს. ცაიშვილის მიერ წერეთლისეული ხელნაწერის მე-18 საუკუნის I ნახევრით დათარიღება და მ-5006 ხელნაწერის შექმნის თარიღი ისევ მე-17 საუკუნეში უნდა ვივარაუდოთ. შესაბამისად, დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ მე-17 საუკუნეში არსებობდა ვახტანგის გამოცემის მსგავსი ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციული ტექსტი და დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ხელნაწერთა ჩვენების გარდა არ არსებობს სხვა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ვახტანგ მეექვსისეულ კომისიას ხელოვნურად შეეკვეცა ტექსტი. როგორც ჩანს, ვახტანგისეული კომისია „მაკრატილით“ კი არ ქმნიდა ახალს, არამედ, ითვალისწინებდა რა მის ხელთ არსებულ ხელნაწერ ნუსხათა მონაცემებს, თავისი შეხედულების შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებდა ან ერთი, ან მეორე ნუსხის ჩვენებას და მას საკუთარ ვერსიად ტოვებდა. „ვახტანგისეულ გამოცემას, უნებლიე ლაფსუსების გარდა, არ მოეპოვება თითქმის არც ერთი ნაკითხვა, რომელიც არ გვხვდებოდეს ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკუნის ე.ი. ვახტანგის უწინარეს ხელნაწერებში“ (11, გვ. 54; 12, გვ. 24) და არა მარტო ნაკითხვები, არამედ სტროფული შედგენილობის თანმიმდევრობაც და მოცულობაც დასტურდება მე-17 საუკუნის ან ერთი ან მეორე ხელნაწერით. პოემის პროლოგისა და დაბოლოების ვახტანგისეული ვერსიის უფრო ადრე არსებობის ჩვენებას კი ნამდვილად გვაძლევს მისგან დამოუკიდებელი წერეთლისეული ნუსხა.

ჩვენი აზრით ვეფხისტყაოსნის ნუსხების გენეალოგიის, მათი რედაქციული სახესხვაობისა და, საერთოდ, რუსთველური ტექსტის ცვლილების ისტორიის კვლევა აუცილებლად უნდა წარიმართოს რუსთველოლოგიის ფუძემდებლის ვახტანგ მეექვსის მიერ ხელდასხმული ტექსტის და არა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის საფუძველზე.

ლიტერატურა

1. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937.
2. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის რედაქციით, 1841.
3. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ. 1934
4. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, თბ. 1953
5. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1966
6. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის გამოცემა, თბ., 1988
7. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბ. 1966
8. E. Такашвили. Описание, II, Тифлис, 1908
9. დ. კარიჭაშვილი, ჟურნ. განათლება, 1913, VI, გვ. 412-424
10. კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის, თბ. უნივ. შრომები ტ. X, გვ. 111., 1939
11. ს. ცაიშვილი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 320-324, 1955
12. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ. 1957
13. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, წერილები და გამოკვლევები, I, თბ. 1984.
14. გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ. 1973
15. რ. პატარაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ჭვირნიშნები, მრავალთავი – V, თბ. 1975.
16. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, შოთა რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, თბ. 1961–1964

PARMEN MARGVELASHVILI

FOR THE SIGNIFICANCE OF THE VAKHTANGIAN EDITION AND OF THE TSERETELI MANUSCRIPT IN RUSTVELOLOGY

Sammary

We have the factual information to prove the earlier existence of similar version of the Vakhtangian edition of the Panther's Skin in Tsereteli list S-5006, which was considered to be a 17th century list.

From the second half of 20th century, a point of view formed in Rustvelology that this manuscript cannot be taken into consideration, because "it itself is commissioned from the Vakhtangian edition and the middle section of the manuscript directly repeats the Vakhtangian edition" and that "the manuscript exactly transfers not only the 1712 reads, but errata and the other print errors, too".

By studying the manuscript, one can find out not mechanical and accidental, but an important, often the essential variant differences in the most stanzas, and it gets known that the list also differs from the Vakhtangian edition in the middle section of

the poem and comes from an older original version, the calligrapher of the list is not a copyist and the list is unique in the middle section, showing such a variant difference that distinguishes it from all the other manuscripts.

It must be said that there is no other argument except the manuscript testimony, which according to the commission has been artificially shortened and it is not appropriate to say that “only a short edition of the poem was created in the 1712 edition” – the Vakhtangian edition considers the data of the list according to the opinion, showing one or the other of the list of the testimony, and he was leaving as his own version. And since so the Tsereteli’s list of the 17th century contains the earlier existence of the poem’s ending of the Vakhtangian version, the Vakhtangian edition undoubtedly belongs to the head of the study of the genealogy and text development history of the list of the Man in the Panther’s Skin.

П. И. МАРГВЕЛІАШВИЛИ

О ЗНАЧЕНИИ РЕДАКЦИИ ПЕРВОГО ПЕЧАТНОГО ИЗДАНИЯ ВЕПХИСТКАОСАНИ И СПИСКА ЦЕРЕТЕЛИ В РУСТВЕЛОЛОГИИ

Резюме

Из 150 рукописей Вепхисткаосани только S-5006, которая считалась списком второй половины XVII века, содержит указание о существовании краткой редакции окончания поэмы, аналогичной Вахтанговской редакции первого печатного издания. Однако со второй половины двадцатого столетия в руствелологии утвердилось мнение, что данные этой рукописи, т.е. списка Церетели, нельзя принимать во внимание, ввиду того что она сама в средней части текста, на протяжении 600 строф, не просто подобна, а буквально совпадает с печатным изданием, повторяя даже её типографские опечатки и упущения, тем самым список надо датировать XVIII веком, а появление Вахтанговской редакции поэмы приписать воле и литературному вкусу редактора, который представил собственную сокращённую версию древних списков.

На основе детального исследования и сравнения первого печатного издания Вепхисткаосани со списком Церетели S-5006, мы пришли к выводу, что, помимо отмеченных совпадений, существуют множество разночтений в тексте средней части поэмы, среди которых есть настолько принципиального и существенного характера разночтения, что обязаны признать, не только отличие текстов, но и архаичность списка Церетели, поэтому надо вернуться к её прежней датировке и признать, что первое издание Вепхисткаосани и краткая Вахтанговская редакция окончания поэмы, на самом деле, основана на реальных показаниях древних рукописей, на существование которых и свидетельствует дошедший до нас список второй половины XVII века, список Церетели S-5006.

ნანა ხაზარაძე

გიორგი მელიქიშვილი - 100

ასი წლის წინათ, თბილისის ძველ უბანში - ხარფუხში, 1918 წლის 30 დეკემბერს სულიერებით აღსავსე ოჯახში, შემდგომში მსოფლიოში აღიარებული ურარტოლოგი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის კვლევების სკოლის დამფუძნებელი, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გიორგი მელიქიშვილი დაიბადა.



რასაკვირველია, 2002 წლის მარტის სედიან დღეებში ვერ ვიფიქრებდი, რომ ბატონი გიორგის სიცოცხლის გზას 1918 წლიდან 2002 წლამდე მეც გავივლიდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დიდი მასწავლებლის გამოუქვეყნებელ მემუარულ ჩანაწერებს წავიკითხავდი, მის სულიერ სამყაროში ასე ღრმად ჩავიხედავდი, ჩემთვის სრულიად ახალ, მეოცნებე, გულისა, ლალ, სხვადასხვა ქვეყნების ტბებსა, ზღვებსა და ოკეანეებში ცურვით აღტაცებულ, ჭადრაკისა და ფეხბურთის დიდად მოყვარულ, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ურთიერთობისას ბავშვად ქცეულ, ოჯახის წევრებისათვის ასე ნაცნობ და ჩემთვის ასე უცნობ, მაგრამ კიდევ უფრო დიდ და საინტერესო ბატონ გიორგის აღმოვაჩინდი.

ნიჭიერებითა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით პატარა გიორგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. ქართული წერა-კითხვა სკოლამდელ ასაკში, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, შეისწავლა. იქვე რუსულ ენასაც დაეუფლა და მათემატიკასაც. შემდგომში ბატონი გიორგი უდიდესი მაღლიერებით იხსენებდა მათ მეზობლად მცხოვრებ სასულიერო პირს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარს, ივანე ქავთარაძეს, რომელმაც მომავალ დიდ მეცნიერს შრომაც შეაყვარა, პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუღვიძა და სწავლა-განათლების მშვენიერ სამყაროსაც აზიარა.

მომავალი პროფესიის არჩევანზე ბატონი გიორგი ბევრს ფიქრობდა: მას ისტორიაც იზიდავდა და ასტრონომია-ფიზიკაც. ბოლოს ისტორიის მუზის - კლიოს მსახურება გადაწყვიტა.

მომავალი პროფესიის არჩევანზე ბატონი გიორგი ბევრს ფიქრობდა: მას ისტორიაც იზიდავდა და ასტრონომია-ფიზიკაც. ბოლოს ისტორიის მუზის - კლიოს მსახურება გადაწყვიტა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე პირველკურსელ გიორგი მელიქიშვილს ქართველ მეცნიერთა თანავარსკვლავედი დახვდა. მას ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ლევან მუსხელიშვილის, გიგო ნათაძის, ალექსანდრე ნამორაძის, გიორგი გოზალიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, კოტე ბაქრაძის, მოსე გოგიბერიძის, იასე ცინცაძისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექციები. უნივერსიტეტში სწავლის წლებში ბატონი გიორგის მომავალ კვლევა-ძიებათა პრობლემატიკა თანდათან გამოიკვეთა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ძველი ისტორიის იმ სამეცნიერო ნრის აქტიური წევრი გახდა, რომელსაც ძველი მსოფლიოს ისტორიის მაშინ უკვე კარგად ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გიორგი გოზალიშვილი ხელმძღვანელობდა. ბატონი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაშიც.

იდუმალეებით მოხილი ძველალმოსავლური სამყაროს შესწავლის სურვილი ბატონ გიორგის განსაკუთრებით მას შემდეგ მოეძალა, როდესაც სიმონ ჯანაშიას მიერ საქართველოში მოწვეული ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის, მსოფლიოში აღიარებული ურარტოლოგის, კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის და ხეთოლოგიის ფუძემდებლის, ჩეხი მეცნიერის, ბედრჟიხ შროზნის ლექციების კურსს დაესწრო.

1939 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ნარჩინების დიპლომით დამთავრების შემდეგ, გიორგი მელიქიშვილი იმავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურის პირველ კურსზე ჩაირიცხა, სპეციალობით: „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“. გიორგი გოზალიშვილისავე რჩევით, ასპირანტმა ურარტოლოგიის დარგში დაოსტატება გადაწყვიტა, თუმცა, სიმონ ჯანაშიაც და ნიკოლოზ ბერძენიშვილიც მას, როგორც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულს, საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობას არაერთგზის სთავაზობდნენ. ბატონი გიორგი გიორგი წერეთელთან ლურსმული დამწერლობისა და ურარტული ენის შესწავლას შეუდგა. პირველმა ნარმატებულმა შედეგებმაც არ დააყოვნა: 1941 წლის ნოემბრისათვის ბატონი გიორგი ლურსმულ დამწერლობასაც დაუფლა და ურარტულ ენასაც, შეეძლო დამოუკიდებლად ამოეკითხა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებული ურარტული წერილობითი ძეგლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლისას (1939-1941 წწ.) გიორგი მელიქიშვილმა ფრიადზე ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული კურსები ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში (ზოგადი კურსი), ფრანგულ ენაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

1941 წლის ნოემბერში სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი წერეთლის ერთსულოვანი შუამდგომლობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის თანხმობით, გიორგი მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურიდან ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) ასპირანტურაში იქნა

გადაყვანილი. უფრო მეტიც, იმავე ქართველ მეცნიერებს განზრახული ჰქონდათ იგი ლენინგრადში გაეგზავნათ, სადაც სამეცნიერო კვალიფიკაციას ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეთა – ვ. სტრუვეს, ბ.პიოტროვისკის, ი. დიაკონოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით აიმაღლებდა. სამწუხაროდ, ამ კეთილ განზრახვას აღსრულება არ ეწერა: 1941 წლის 22 ივნისს დაწყებულმა ომმა შეუძლებელი გახადა ლენინგრადს ბატონი გიორგის გამგზავნება.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ბატონი გიორგის სამეცნიერო ხელმძღვანელები გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია ბრძანდებოდნენ. გიორგი წერეთელი მას ასურულ-ბაბილონურ (აქადურ), ურარტულ, ძველ ებრაულ და არაბულ ენებში ამზადებდა, სიმონ ჯანაშიასთან კი საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს ეუფლებოდა. ძველი ბერძნულის ცოდნას ბატონი გიორგი ს. ყაუხჩიშვილს უმაღლოდა, ხოლო გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებისას – თ. ავილოვს.

ძველი (ე. წ. „მკვდარი“) და ახალი ენების დაუფლებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება-დამუშავების პარალელურად ბატონი გიორგი ინტენსიურად მუშაობდა საკვალიფიკაციო ნაშრომზე: „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა“. თანდაყოლილმა ნიჭიერებამ და თავაულებელი შრომის გამორჩეულმა უნარმა აქაც ახალგაზრდა მკვლევარს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. 1944 წლის გაზაფხულზე საკუთარი ხელით, ულამაზესი კალიგრაფიით გადაწერილი სადისერტაციო ნაშრომის სამი ეგზემპლარი გიორგი მელიქიშვილმა თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გიორგი წერეთელსა და ოფიციალურ ოპონენტებს – სიმონ ჯანაშიას და მაქსიმე ბერძნიშვილს წარუდგინა.

ბატონი გიორგის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული საჯარო პაექრობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1944 წლის 15 დეკემბერს გაიმართა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე გიორგი მელიქიშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიების შედეგებმა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მონონება დაიმსახურა. სამეცნიერო საბჭომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ერთსულოვნად მიანიჭა. მოგვიანებით იგივე გადაწყვეტილება მოსკოვში მაშინ არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამაც მიიღო.

წლების მანძილზე დიდი მეცნიერებისაკენ გიორგი მელიქიშვილის გზის გამკვლევი და დიდი გულშემატიკივარი, იმყამად კი ოპონენტი სიმონ ჯანაშია თავისი რეცენზიის დასკვნით ნაწილში აღნიშნავდა: „შეიძლება ითქვას, ჩვენ წინაშე ისეთი მკვლევარია, როგორ მკვლევართა მომზადებაც ჩვენს ამოცანას შეადგენს. ამხ. გ. მელიქიშვილი უკვე იმდენად იცნობს სამ ევროპულ ენას, რომ თავისუფლად სარგებლობს ამ ენებზე არსებული ლიტერატურით. იცნობს და დაუფლებულია კიდევ რთულ კატეგორიას ამ წყაროებისა – ლურსმულ წყაროებს. ამ ლურსმული წყაროების ციტირება ნაშრომში და, საერთოდ, მეთოდოლოგიური მხარე ნაშრომისა ამჟღავნებს სერიოზულ, ნამდვილ მეცნიერულ სკოლას, რომელიც დისერტანტს გაუვლია. ეს არის დამსახურება ამხ. დისერტანტის ხელმძღვანელისა, შემდეგ, ალბათ, მეცნიერული გარემოცვისა და შემდეგ, უეჭველად,

თვით დისერტანტისა. ამით არ ამოიწურება ჩვენი დისერტანტის ღირსება; აქ არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო დებულებები, რომლებიც საკმაო წვლილის შეიტანენ ამ რთულ და უაღრესად დახლართულ სფეროში“.

ბატონმა გიორგიმ თავისი დიდი მასწავლებლის – სიმონ ჯანაშიას იმედი სრულად გაამართლა. მან ურარტოლოგიას, ძველალმოსავლური მეცნიერების ერთ-ერთ ურთულეს დარგს განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა.

1944-1957 წლები ბატონმა გიორგიმ თავდაუზოგავ შრომაში გაატარა. პირველი ორენოვანი (ქართულ-რუსული) სამეცნიერო სტატია სათაურით: „ურარტუს ღვთაებათა საკულტო ცენტრები“ – მან 1946 წელს „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ (ტ. III, N 6) გამოაქვეყნა. 1947-1952 წლებში მეცნიერი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“, „Вестник древней истории“-ს ფურცლებზე, „ანალებში“, „მიმომხილველში“ პირველწყაროების სკრუპულოზურ ანალიზზე დაფუძნებული, არაერთი ახალი დებულების შემცველი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომით წარსდგა.

1947-1952 წლები დიდი სამზადისი აღმოჩნდა ეტაპობრივი მნიშვნელობის ნაშრომების შესაქმნელად და გამოსაქვეყნებლად, რომელთაც ბატონ გიორგის საყოველთაო აღიარება მოუპოვეს და მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს.

„Вестник древней истории“-ს 1953 წლის NN 1, 2, 3, 4-სა და 1954 წლის N1-ში ბატონი გიორგის „Урартские клинообразные надписи“, ხოლო 1954 წელს თბილისში მისი ფუნდამენტური მონოგრაფია – „Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I Наирри-Урарту“ – გამოქვეყნდა. ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილისეული კორპუსი სპეციალისტებს იმ დროისათვის ცნობილი უკლებლივ ყველა ურარტული წარწერის ტრანსლიტერაციას, რუსულ თარგმანს, კომენტარებს, ურარტული ენის გრამატიკას და საძიებლებს სთავაზობდა. ამ გამოცემაზე აღმოსავლეთმცოდნეთა აღფრთოვანებულმა რეაქციამ არ დააყოვნა. მსოფლიოში ცნობილმა ურარტოლოგმა და ხეთოლოგმა იოჰანეს ფრიდრიხმა „Вестник древней истории“-ს რედაქციას, 1953 წლის პირველი ნომრების გამოქვეყნებისთანავე, საგანგებო წერილით მიმართა, სადაც ქართველი მეცნიერის ნამუშევარი მსოფლიო ურარტოლოგიის უდიდეს მიღწევად შეაფასა.

ბატონი გიორგის ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსისადმი და, საერთოდ, მისი ურარტოლოგიური ძიებებისადმი ამგვარი აღტაცებული დამოკიდებულება იოჰანეს ფრიდრიხს, რომელსაც მეცნიერი თავის „მემუარულ ჩანაწერებში“ „ჩემს კერპს“ უწოდებს, ბერლინიდან გამოგზავნილ წერილებში არაერთგზის გამოუვლენია.

„Вестник древней истории“-ს 1953 წლის N1-ს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, პროფესორი იგორ დიაკონოვი და მსოფლიოში აღიარებული სხვა არაერთი მეცნიერი გამოეხმაურა.

მოვლენებს წინ გაეუსწრებ და დაეძენ, რომ კიდევ უფრო დიდი მონონება და აღიარება ხვდა წილად „Урартские клинообразные надписи“-ს წიგნად გამოცემას, რომელიც 1960 წელს მოსკოვში განხორციელდა. ეს ფუნდამენ-

ტური ნაშრომი, რომელსაც მაშინ ანალოგი არ მოეპოვებოდა, იმ დროისათვის ცნობილ 500-მდე ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლსაც გვაცნობდა და ურარტული გრამატიკის საიდუმლოებათა ამოხსნის წარმატებულ შედეგებსაც გვაზიარებდა. ფასდაუდებელია „კორპუსისათვის“ დართული ურარტული ენის ლექსიკონი, რომელიც ყველა ურარტული სიტყვის, საკუთარი სახელისა და იდეოგრამა-დეტერმინანტივის სიმფონიას წარმოადგენს. ბატონ გიორგიმდე ამ მასშტაბის და ამ ხარისხის სამუშაო არც ჩვენში და არც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავის ჰქონია შესრულებული.

ბატონი გიორგის პირად არქივში თვალსაჩინო რუსი ურარტოლოგის, „Халдоведение“-ს, „Язык Ванской клинописи“-ს და სხვა არაერთი ურარტოლოგიური ნაშრომის ავტორის, ერთ დროს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერისხულ აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის წერილებიც ინახება. ამ გზავნილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის მაღალ სამეცნიერო წრეებში გიორგი მელიქიშვილის ურარტოლოგიური ძიებანი.

აღერთვანება „Урартские клинообразные надписи“-ს 1960 წლის გამოცემასთან დაკავშირებით ვერც იტალიელმა ცნობილმა ურარტოლოგმა, მარიო სალვინიმ დამალა, რომელმაც ამ გამოცემას „ურარტოლოგთა ბიბლია“ უწოდა.

ბატონი გიორგი ყველა იმ საქებარ სიტყვას, რომელიც მის ურარტოლოგიურ ძიებებთან დაკავშირებით იყო გამოთქმული, ალბათ, გულისყურით უსმენდა, მაგრამ როგორც მეცნიერის პირადი ჩანაწერებიდან და მიხეილ წერეთლისადმი მიძღვნილი წერილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ურარტოლოგიის კორიფეს“, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ის რადიო-ინტერვიუ იყო, რომელიც უკვე მხცოვანმა მეცნიერმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უცხოეთში ჩანერა, სადაც მსოფლიო ურარტოლოგიაში ქართველ მეცნიერთა მიერ შეტანილი დიდი წვლილის მაგალითად თავისი ძმისშვილი – გიორგი წერეთელი და გიორგი მელიქიშვილი დაასახელა.

1954 წელი ბატონი გიორგისათვის ფეხბედნიერი სხვა მიზეზებითაც აღმოჩნდა. ამ წელს ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსთან ერთად ძველალმოსავლური ისტორიოგრაფია ზემოთ უკვე მოხსენიებული მონოგრაფიით „Наши-Урарту“-თი გამდიდრდა. ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ გიორგი მელიქიშვილმა ურარტოლოგია თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ეს მონოგრაფია კომპლექსური კვლევის სამაგალითი ნიმუშია. მასში უმდიდრესი პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულადაა შესწავლილი ნაირი-ურარტუს ისტორიული გეოგრაფიის, უძველეს ახლო აღმოსავლეთში განსახლებულ მრავალრიცხოვან ხალხთა ეთნიკური კუთვნილების ურთულესი საკითხები, გაშუქებულია ამ მსხვილი რეგიონის სხვადასხვა ეთნოსთა ისტორიული განვითარების პროცესები, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა აღდგენილი ნაირი-ურარტუს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური წყობის სურათი, გამოვლენილია მისი თავისებურებანი და, ამასთანავე, წარმოჩენილია ამ ქვეყნის მოსახლეობის კულტურისა და რელიგიის ისტორიის სრულიად ახალი ასპექტები.

1954 წელი ბატონი გიორგის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტით აღინიშნა. ამ წლის 30 აპრილს „Урагские клинообразные надписи“-ს და „Напри-Урагты“-ს საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სამეცნიერო საბჭომ მას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ოპონირებას დისერტანტს რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები – ვ. სტრუვე, ნ. მეშჩანინოვი და ბ. პიოტროვსკი უწევდნენ. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ოპონენტებმა გიორგი მელიქიშვილი ქება-დიდებათ აავსეს. უფრო მეტიც, ურჩიეს, იგივე სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლადაც წარედგინა. ლენინგრადში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ჩასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა – თ. გამყრელიძემ, ა. მენაბდემ, გ. გიორგაძემ, ო. ცქიტიშვილმა, ზ. შარაშენიძემ ბატონი გიორგის გამარჯვებით დიდად გაიხარეს. ამკარა იყო, რომ ამიერიდან ურარტოლოგიის საერთაშორისო ცენტრი ბინას საქართველოში დაიდებდა.

ნაშრომებისათვის „Урагские клинообразные надписи“ და „Напри-Урагты“, ლენინური პრემიის დაარსების პირველივე, 1957 წელს, 39 წლის გიორგი მელიქიშვილმა, საბჭოთა ისტორიკოსებს შორის პირველმა, დაიმსახურა ქვეყნის ეს უმაღლესი ჯილდო.

ძველალმოსავლური ძიებანი ბატონ გიორგის არც XX საუკუნის 60-80-იან წლებში შეუწყვეტია. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებში მან ძველალმოსავლური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი გამოსცა.

გიორგი მელიქიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ამ ურთულესი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის სკრუპულოზურ შესწავლას მეცნიერის არაერთ ნაშრომში ვხვდებით, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებული გიორგი მელიქიშვილისეული კონცეფცია მთელი სისრულით მაინც მის ორ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაშია ჩამოყალიბებული. ესენია: 1965 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში შესული, მისი ავტორობითვე შესრულებული გამოკვლევა: „ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი“ (თბილისი, 1970).

ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში ბატონმა გიორგიმ დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მიმართ. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ იგი აქტიურად ჩაერთო 1954 წელს საქართველოში ამ პრობლემისადმი მიძღვნილ საკმაოდ ცხარე დისკუსიაში. დისკუსიის მსვლელობისას წარმოთქმული მისი მოხსენების თეზისები 1954 წელსვე გამოქვეყნდა, ხოლო 1955 წელს იმავე პრობლემასთან დაკავშირებული მელიქიშვილისეული ნააზ-

რევი სრულყოფილად აისახა მონოგრაფიაში: „საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს შემდგომშიც არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა. უკვე 1958 წელს მან დიდი შრომა გასწია ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის დასადგენად. „მოქცევა ქართლისაჲ“-ს, „ქართლის ცხოვრების“, ბერძნულ-რომაული და ძველი სომხური წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების გზით და, ამასთანავე, ქართლის (იბერიის) სამეფოში და ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარე რთული პროცესების გათვალისწინებით, მეცნიერმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძველი ქართლის (იბერიის) ისტორიის ქრონოლოგიაში. ასეთივე გამოწვლილვითი კვლევა ჩაატარა მეცნიერმა ძველი ქართლის (იბერიის) მეფეთა სიის ქრონოლოგიის შესწავლის მიმართულებითაც და იმ ახალ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ სიებში არსებითი ხასიათის ხარვეზები არსებობს, კერძოდ, გამორჩენილია იმ ქართველ მეფეთა სახელები, რომლებიც ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებიდან ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ქართლში (იბერიაში) რეალურად მოღვაწეობდნენ. ამ საკითხს მეცნიერი 1978 წელს კვლავ მიუბრუნდა სამეცნიერო წერილში: „ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ“ („მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, №3, გვ. 54-63). იმავე თემას ეხება აკადემიკოს ბ. პიოტროვსკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში 1985 წელს გამოქვეყნებული მისი სტატია: „Список царей древней Картли (Иберии)“.

1962-1967 წლებში გიორგი მელიქიშვილმა ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველ ისტორიასთან დაკავშირებით ახალი თვალსაზრისის შემცველი კიდევ ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: „ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მოამბე“, 1962, გვ. 221-237) და „ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა „მაცნე“, 1967, გვ. 48-60).

ბატონი გიორგის სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ იგი ვერც იმ საერთაშორისო და იმდროინდელ საკავშირო დისკუსიების მიმართ იქნებოდა გულგრილი, რომლებიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ე. წ. „აზიური წესის“ რაობის პრობლემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა. რაკი ეს დისკუსიები ძველალმოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებებში სოციალური წყობის რაობის ახლებურ იდენტიფიკაციას მიზნად ისახავდა, უკეთ კი, ამ საზოგადოებაში მონათმფლობელური წყობის არსებობას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ამგვარ დისკუსიებში მონაწილეობა საბჭოთა ისტორიკოსებისათვის არცთუ ისე უსაფრთხო უნდა ყოფილიყო. ეს ვითარება საკმაოდ თვალნათლივ გამოჩნდა მოსკოვში, 1966 წლის 3-8 თებერვალს გამართულ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, კულტურისა და ფილოლოგიისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციის მუშაო-

ბის დღეებში, როდესაც მისი მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მათ შორის, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნენი: ი. დიაკონოვი, მ. გელცერი, ნ. პასტოვსკაია და სხვები), დისკუსიის თავიდან აცილების მიზნით, „თეორიულ არდადეგებს“ ითხოვდა, ხოლო მეორე – გააფთრებით იცავდა საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებულ თვალსაზრისს ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე შემდგარ დისკუსიაზე ბატონი გიორგის მოხსენებამ, საკმაოდ დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, დიდი მონონება დაიმსახურა (რის მოწმეც ამ ნარკვევის ავტორიც იყო).

ზემოხსენებულ დისკუსიაზე, მეცნიერთა საკავშირო და საერთაშორისო ფორუმებზე წაკითხულ მოხსენებებში, ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე შესრულებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო პუბლიკაციებშიც, იმ დროისათვის არსებული პირველწყაროების მთლიანობაში გააზრების საფუძველზე, ბატონმა გიორგიმ საკუთარი, სრულიად ახალი კონცეფცია წარმოადგინა როგორც კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის, ასევე ძველაღმოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებაში საკუთრების ფორმებისა და კლასობრივი სტრუქტურის ურთულესი პრობლემის შესახებ.

სამეცნიერო წრეები საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც გიორგი მელიქიშვილის ორიგინალურ კონცეფციას დიდი ინტერესით შეხედნენ. მან არაერთი თანამოაზრე და მომხრე შეიძინა.

XX საუკუნის 50-90-იან წლებში ბატონმა გიორგიმ საზოგადოებას საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების რაობის შესახებ საკუთარი ხედვაც არაერთგზის გააცნო. მელიქიშვილისეული ახალი თვალსაზრისი თავდაპირველად მის კაპიტალურ მონოგრაფიაში „К истории древней Грузии“ აისახა (1954). შემდეგ წლებში იმავე პრობლემასთან დაკავშირებული კვლევა-ძიების შედეგებმა ასახვა კონცეპტუალური ხასიათის ისეთ ნაშრომებში პპოვა, როგორებიცაა: „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების საკითხი“ („მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, N1, 1966); „საქართველოს ისტორიის ნარკვევები I“ (თბილისი, 1970); „К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли)“ (ВДИ, 4, 1977. с. 188-195); „ძველი ქართული სახელმწიფოები და მათი სოციალ-ეკონომიკური წყობილება“ (საერთაშორისო ქართველოლოგიური მეორე სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1993, გვ. 5-16) და სხვ.

1979 წელს წერილობითი წყაროებისა და XIX-XX საუკუნეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ერთობლიობაში გააზრების გზით, გიორგი მელიქიშვილმა ნაშრომში: „ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური დახასიათებისათვის“ („მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1, 1979, გვ. 19-41) ქართველ მთიელთა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი) სოციალ-ეკონომიკური წყობის განვითარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

ბატონი გიორგის სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ძიებანი ზემოაღნიშ-

წულით არ შემოფარგლულა. მონოგრაფიაში: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებები და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1973, 167 გვ.) და სტატიაში „ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №6965, 1994, 1 აპრილი) ავტორმა სრულყოფილად წარმოაჩინა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების რთულ პროცესში ცალკეული ქართული პოლიტიკური გაერთიანებების როლი და ადგილი. ამასთანავე, ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეფცია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისა და ერთიანი ქართველი „ფეოდალური ხალხის“ გენეზისის პრობლემების შესახებ. ამ მიმართულებით გიორგი მელიქიშვილის მიერ განხორციელებული შრომატევადი ძიებები წარმატებული აღმოჩნდა. მისმა ზემოხსენებულმა მონოგრაფიამ 1976 წელს ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი ჯილდო – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ბატონ გიორგის ძველი აღმოსავლეთის, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის მანამდე ნაკლებად შესწავლილი სხვა ასპექტებიც აინტერესებდა. საყურადღებო შედეგებით დაგვირგვინდა მეცნიერის ძიებანი მეტალების – „რკინის“, „ვერცხლის“ და „ფოლადის“ აღმნიშვნელი ტერმინების ქართულ ენაში შეღწევის გზების შესახებ.

ტერმინოლოგიური ძიებების თვალსაზრისით, არანაკლებ ინტერესს იმსახურებს 1966 წელს გიორგი მელიქიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია: „შავი ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში“ („კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966, გვ. 26-33), სადაც იგი თუქულთინურთა I-ისა (ძვ. წ. 1245-1209 წწ.) და თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული „ზემო ზღვის“ იდენტიფიკაციის საკითხს ეხება და ამ ტერმინს შავ ზღვას უკავშირებს.

ბატონი გიორგი არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის ინიციატორი, ავტორი და რედაქტორი გახლდათ. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირველობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულს ეკუთვნის, რომლის გამოცემა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე სრულად ასახავს. ქართულ ისტორიოგრაფიაში „ნარკვევებს“ ანალოგი ჯერ-ჯერობით არ მოეპოვება.

ბატონი გიორგი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის მთავარი რედაქტორი, I ტომის რედაქტორი და ამავე ტომის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ. ამ ტომში შესული მისი ნარკვევები (ტ. I, გვ. 5-24; 38-76; 312-619; 644-660) პირველწყაროთა მაქსიმალური მრავალფეროვნებით, მათი ანალიზის მაღალი დონითა და ახალი თვალსაზრისების სიმრავლით გამოირჩევა.

1982 წელს ამ შესანიშნავი გამოცემისათვის გიორგი მელიქიშვილს, ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ბატონი გიორგი სხვა არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის მოთავეც იყო. 1971 წელს მისი თაოსნობით, რედაქტორობითა და ავტორობით

არა მხოლოდ სტუდენტმა-ახალგაზრდობამ, არამედ ძველი აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულმა სპეციალისტებმაც ძველადმოსავლეთმცოდნეობის ყველა იმდროინდელ მიღწევაზე დაფუძნებული „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის“ სახელმძღვანელო მიიღო, სადაც ცნობილმა ქართველმა მკვლევრებმა, ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით, სრულად წარმოადგინეს ძველი აღმოსავლეთის ყველა ძირითადი ქვეყნის (შუმერის, ეგვიპტის, ხურმითანის, ხეთების, ურარტუს, ფინიკიის, პალესტინის, ასურეთის, ბაბილონის, ირანის, ფრიგიის, ლიდიის, ინდოეთის, ჩინეთის) ისტორია. დასახელებული ნაშრომის მეორე, გადამუშავებული ვარიანტი 1988 წელს გამოიცა. ამ კოლექტიური სახელმძღვანელოს როგორც პირველ, ისევე მეორე გამოცემას ურარტუსადმი მიძღვნილი ბატონი გიორგის შესანიშნავი ნარკვევები ამშვენებს. დიდი წვლილი შეიტანა გიორგი მელიქიშვილმა „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათიის“ შექმნაშიც, რომელიც მკითხველს ძველადმოსავლურ ენებზე შესრულებული, სხვადასხვა ხასიათის „ისტორიული და რელიგიური ტექსტები, სამართლის ძეგლები, ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები და ა. შ.“ წერილობით წყაროებთან ერთად ურარტული ლურსმული ნარწერების მელიქიშვილისეულ ქართულ თარგმანებსაც აცნობს (გვ. 264-295).

გიორგი მელიქიშვილს სხვებზე უკეთ პქონდა გაცნობიერებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირუთენელი ისტორიის ცოდნას მონარდი ახალგაზრდობის პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთების აღზრდისათვის. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ იგი არც საქართველოს ისტორიაში სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის ცალკეული ნარკვევების დაწერაზე ამბობდა უარს. პირველი ასეთი ნარკვევი: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე“ – მან საშუალო სკოლის VIII-X კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსათვის მოამზადა, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან სფეროში. მისი მონაწილეობით საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ისეთი ქართულ-რუსულენოვანი სახელმძღვანელოები შეიქმნა, როგორებიცაა: „История Грузии“, I. Учебное пособие (Тбилиси, 1960. с. 3-63); „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის (მეორე გამოცემა), (თბილისი, 1960, გვ. 3-69); „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის (მესამე გამოცემა), (თბილისი, 1961, გვ. 3-63); „История Грузии“, Учебник для IX-XI классов (Тбилиси. 1963. с. 3-57); „საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი)“, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი და ავტორი შემდეგი პარაგრაფებისა: NN 3, 4, 9-11, 16-20 (თბილისი, 1980, გვ. 11-17; 27-31; 39-57); იგივე წიგნი ბატონი გიორგის ავტორობითა და რედაქტორობით 1990 წელსაც გამოიცა და ა. შ.

ბატონი გიორგი არაერთი ისტორიოგრაფიული ნარკვევის ავტორია. ერთ-ერთი ამგვარი ნაშრომი მან 1971 წელს ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზის შეფასებას მიუძღვნა: „საქართველოს ისტორიოგრაფიის მიღწევები 50 წლის მანძილზე“. წინას-

იტყვაობა ნაუმძღვარა წიგნს: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“.

თავისი დიდი მასწავლებლების, აკადემიკოსების – ივანე ჯავახიშვილის, სომინ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და გიორგი წერეთლისადმი უღრმესი პატივისცემა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა დროს დაწერილ ისტორიო-გრაფიულ ნარკვევებში მრავალგზის დაადასტურა.

გიორგი მელიქიშვილი დროს არც სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების შექმნისათვის იმურებდა ძალისხმევას. გავიხსენოთ ისეთი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები, როგორიცაა: „ურარტუ“, „ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის“, „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები“ და ა.შ.

გიორგი მელიქიშვილი წლების მანძილზე ხალხის თანამშრომლობდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამომცემლობასთან. ამ გამოცემის ცალკეულ ტომს ბატონი გიორგის არაერთი სტატია ამდიდრებს.

ორიოდე სიტყვა ბატონი გიორგის სამსახურეობრივი კარიერის შესახებაც უნდა ითქვას. 1944 წელს, ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე, აკადემიკოს ს. ჯანაშიას თაოსნობით ბატონი გიორგი მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში იწყებს. 1944 წლის აპრილიდან ივლისამდე იგი ამ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1944 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1953 ივლისიდან 1961 წლის ივლისამდე – სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის, მოადგილე. 1954-1961 წლებშივე გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტში თავისივე დაარსებული ძველი ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელია. 1961 წელს, საბჭოთა კავშირში შეთავსების აკრძალვის სპეციალური კანონის ამოქმედებისას, ბატონი გიორგი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან დირექტორის მოადგილედ უნდა დარჩენილიყო, ან ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების სრულუფლებიანი გამგე გამხდარიყო. მან ძველი ისტორიის განყოფილების გამგეობა არჩია. გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტის ყოველმხრივ წარმატებულ ამ განყოფილებას 1999 წლამდე ურყევე ბურჯად ედგა.

აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლის ნოემბერს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ბატონი გიორგის კანდიდატურა წარუდგინა. საერთო კრებას ესწრებოდნენ აკადემიკოსები: ირ. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ა. ბარამიძე, ა. ბოჭორიშვილი, კ. გამსახურდია, ი. დოლიძე, ვ. თოფურია, გ. ლეონიძე, აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, გ. ჯიბლაძე; ნევრ-კორესპონდენტები: ი. აბულაძე, ქ. ლომთათიძე, რ. ნათაძე, გ. ჩიტაია. აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა, კ. გამსახურდიამ, შ. ნუცუბიძემ, ი. დოლიძემ, რომელთაც მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორად ბატონი გიორგის

არჩევას. კენჭისყრის პროცედურა გ. ახელედინამ, კ. გამსახურდიამ და შ. ნუცუბიძემ ჩაატარეს. გიორგი მელიქიშვილი დასახელებული ინსტიტუტის დირექტორად ერთხმად აირჩიეს. ასეთივე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ვერდიქტიც. ამ თანამდებობაზე მან 1965 წლიდან 1999 წლამდე იღვანა. აქვე დავძენ, რომ ინსტიტუტის დირექტორად ახალი ვადით ბატონი გიორგი რამდენიმეგზის აირჩიეს. უკანასკნელი არჩევნები 1997 წლის 4 ივლისს შედგა, თუმცა, არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, 1999 წლის თებერვალში ბატონმა გიორგიმ თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. თავხელიძეს, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ბატონი გიორგის თხოვნა დაკმაყოფილდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში, ბატონი გიორგის პირად საქმეში, 1999 წლის 18 თებერვლით დათარიღებული N 32 დადგენილება ინახება, რომელიც გვამცნობს:

„1. აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, თანახმად პირადი თხოვნისა, განთავისუფლდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან ა. წ. 18 თებერვლიდან.

2. ისტორიული მეცნიერებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი დაინიშნოს ინსტიტუტის საპატიო დირექტორად დირექტორის ხელფასის შენარჩუნებით, გამოეცხადოს მადლოდა და საპრემიო ფონდიდან დაჯილდოვდეს 4 თვის ხელფასით“.

დადგენილებას ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე აწერს.

ეს იყო 1999 წელს. მაგრამ მანამდე იყო 1960 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ერთხმად აირჩიეს. იყო 1967-1971 წლებიც, როდესაც გიორგი მელიქიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გახლდათ, იყო 1965 წელი, როდესაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდება მიენიჭა, იყო 1956 წელი, როდესაც გიორგი მელიქიშვილმა პროფესორის ნოდება მიიღო. იყო 1988 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიმ წევრად აირჩიეს. 1999 წლამდე ბევრი სხვაც იყო ისეთი, რამაც, ზემოაღნიშნულთან ერთად, ბატონი გიორგის სახელი უკვდავყო.

გიორგი მელიქიშვილმა ქართული მეცნიერების მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გაიტანა. იგი მეცნიერთა არაერთი საკავშირო და საერთაშორისო ფორუმის მონაწილე გახლდათ; ბრწყინვალე მოხსენებებით წარსდგა და ეროვნული საისტორიო მეცნიერება ღირსეულად წარმოაჩინა აღმოსავლეთმცოდნეთა XXIV და XXV კონგრესებზე მიუნხენსა და მოსკოვში (1957, 1960 წწ.), სტოკჰოლმში, მოსკოვსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე (1960, 1970, 1973), ანთროპოლოგ-ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესებზე ტოკიოში და ჩიკაგოში (1968, 1973). გიორგი მელიქიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ასირიოლოგთა

საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ხელოვნებისა და ფილოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციებში (მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი), სოციალისტური ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენციებში („შულმუ“), ანტიკოს-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონფერენციებში („ეირენე“) და ა. შ. ახალი კონცეფციებითა და ჰიპოთეზებით გაჯერებული მედიქიშვილისეული მოხსენებები, როგორც წესი, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე უმაღლვე ქვეყნდებოდა და სამეცნიერო წრეების განსაკუთრებულ ინტერესსა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

1965-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა) ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო მეცნიერების აღმავლობაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი გიორგის მიერ 1954 წელს დაფუძნებული ძველი ისტორიის განყოფილების შესახებაც, რომელიც, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ძველადმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის ჩამოყალიბების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა.

გიორგი მედიქიშვილმა მუხლჩაუხრელად არა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იღვანა. 1944 წლიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე, იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე, სადაც სხვადასხვა ჰუმანიტარულ სასწავლო დისციპლინებში ლექციებს წარმატებით კითხულობდა.

ბატონი გიორგი არაჩვეულებრივი მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ. მართალია, მომავალი საკვლევი პრობლემატიკის შერჩევას ჩვენი ინტერესების, შესაძლებლობების, სიბეჯითისა თუ ნიჭიერების გათვალისწინებით საზღვრავდა, საზღვარგარეთიდან მიღებულ ახალ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურასაც დიდი ხალისით გვაცნობდა, ჩვენს პირველ, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ნაშრომებსაც გულისყურით ეცნობოდა და განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებებსაც ყურადღებით უსმენდა, მაგრამ თავად კვლევა-ძიების პროცესში, როგორც წესი, არ ერეოდა, სრულ თავისუფლებას გვაძლევდა.

ბატონი გიორგის დამსახურება ეროვნული მეცნიერების, ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე პრემიებითა და სამთავრობო ჯილდოებით არაერთგზის აღინიშნა. როგორც უკვე ითქვა, 1957 წელს მას ლენინური, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა (1976 წ.) და საქართველოს სახელმწიფო პრემიები (1982 წ.) მიენიჭა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: „საპატიო ნიშნის“ (1966 წ.), „შრომის წითელი დროშის“ (1976 წ.), „ოქტომბრის რევოლუციის“ (1966 წ.), აგრეთვე, სხვადასხვა მედლებით 1946, 1970, 1975, 1985 წლებში.

გიორგი მელიქიშვილი 2002 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. დაგრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია დააარსა. მადლობა განგებას, რომ ამ პრემიის პირველი ლაურეატის პატივი მერგო.

მადლობა განგებას, ჩემს დიდ მასწავლებელთან 45 წლიანი, მარად კეთილად მოსაგონებელი ურთიერთობის სიხარული რომ მომანიჭა.

NANA KHAZARADZE

GIORGI MELIKISHVILI -100

Summary

The article is dedicated to the 100th anniversary of the birth of the prominent Georgian scholar, doctor of historical sciences, professor, academician of the national Academy of Sciences of Georgia, teacher, public figure, laureate of state and academic prizes – Giorgi Melikishvili.

The work deals with the scholar's invaluable contribution to the development of branches of humanities highly difficult to research – namely, oriental studies, Caucasology, Kartvelology.

In the article the creative path of the world-renowned scholar, respected in Georgia and far beyond its borders, is presented in the light of results of his fundamental research of many years, as well as enthusiastic reviews of Georgian and foreign colleagues, published and unpublished memoirs, travel notes and epistolary materials.

Н.В. ХАЗАРАДЗЕ

ГЕОРГИЙ МЕЛИКИШВИЛИ -100

Резюме

Статья посвящена 100-летию со дня рождения выдающегося грузинского ученого, доктора исторических наук, профессора, академика Национальной Академии наук Грузии, педагога, общественного деятеля, неоднократного лауреата государственных и академических премий – Георгия Меликишвили.


В статье речь идет о бесценном вкладе ученого в развитие сложнейших для изысканий отраслей гуманитарной науки – востоковедения, кавказоведения, Картвелологии.

В статье творческий путь ученого с мировым именем, почитаемого и в Грузии и далеко за ее пределами, представлен в свете итогов его многолетних фундаментальных исследований, а также восторженных отзывов, рецензий грузинских и иностранных коллег, опубликованных и неопубликованных мемуаров, путевых записей и материалов эпистолярного жанра.

ლ. ხალიჩიშვილი, ა. დავუშვილი

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი 90 წლისაა

დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა



ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახ. პრემიის ლაურეატს, წმ. გიორგის ოქროს ჯერის ორდენის, ღირსების ორდენისა და ივანე ჯავახიშვილის მედლის კავალერს ბატონ დავით მუსხელიშვილს, რომელმაც ასეთი დიდი ღვაწლი დასდო ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებას. სწორედ მის მიერ არის შექმნილი ქართველ ისტორიკოს-გეოგრაფოსთა ქართული სკოლა, რომელიც ასე გამორჩეულია თავისი მიღწევებით...

აკად. დავით მუსხელიშვილის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, წიგნები, მონოგრაფიები, სამეცნიერო თუ პუბლიცისტური სტატიები კი განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს ნაშრომები, ეს მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები დაბეჭდილი ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე – ეხება ქართველი ერის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს. სწორედ მათზე აღიზარდა ქართველი ისტორიკოსების არა ერთი თაობა.

აკად. დავით მუსხელიშვილი დაიბადა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგის, ლევან მუსხელიშვილის ოჯახში. დედა – ელენე ხუნდაძე ძლიერ სათნო, ქართული ტრადიციების მოყვარული ადამიანი ყოფილა. სწორედ ამ ძირძველ ქართულ, ტრადიციულ ოჯახში აღიზარდა და პიროვნულად გამოიწოვო კიდევ მომავალი აკადემიკოსი. ეს ოჯახი კი ჩვეულებრივი ოჯახი არ იყო. როგორც დავით მუსხელიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი მიუთითებს: „ტრადიციულ, ძირძველ ქართულ ოჯახში აღზრდილი პიროვნებაა აკად. დავით მუსხელიშვილი. მისმა წინაპარმა – პოლკოვნიკმა მუსხელიშვილმა, თავისი საბრძოლო შეპარტებით, 1877-1878 წლების ომის დროს, რუსეთის იმპერია აალაპარკა. ამ ოჯახის მეორე წარმომადგენელმა კი საფრანგეთში, პარიზში იმით გაითქვა სახელი, რომ ევროპის ერთიანობის იდეის გამორჩეული ენთუზიასტი იყო და დღესაც სწორედ ის მიაჩნიათ ამ საქმის რეალიზატორებს შორის ერთ-ერთ მონაწილედ. ბევრი, ძალიან ბევრი ღირსეული ინტელიგენტი გამოვიდა ამ ჩინებული

ქართული ოჯახიდან: მეცნიერნი, ხელოვანნი, მამულიშვილნი...”

1936 წელს მშობლებმა პატარა დათუნა (ასე უხმობდნენ ოჯახში მომავალ აკადემიკოსს) თბილისის მე-18 სრულ საშუალო სკოლაში მიიყვანეს, სადაც ის განათლებას ეზიარა გამორჩენილი ქართველი პედაგოგების: ვარდო ვარდიანიშვილის, კოტე თოთიბაძის, ბიძინა ფერაძის, გიორგი მგალობლიშვილის და სხვათა შემწეობით. ყმანელობიდან დაჰყვა მომავალ აკადემიკოსს სიბეჯითე, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მიზანსწრაფვა.

სამშობლოს მხურვალე სიყვარული – ეს კი მომავალ აკადემიკოსს ოჯახში ჩაუნეგეს... და ტრადიციულადაც მოსდგამდათ. ლევან მუსხელიშვილი ხომ გამორჩენილი მეცნიერი და დიდი პატრიოტი იყო. ის ივანე ჯავახიშვილის საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და თავის მასწავლებლის უდიდესი ნდობით სარგებლობდა. დიდი ივანე გამორჩეულ სიტობსა და სიყვარულს ავლენდა ახალგაზრდა არქეოლოგის მიმართ, მოსწონდა მისი შემოქმედება, იზაირებდა მის შეხედულებებს. სამუხებაროდ ლევან მუსხელიშვილი 1942 წელს გარდაიცვალა და შვილებზე ზრუნვა დედამ – ქალბატონმა ელენემ იტვირთა – სწორედ მან გააგრძელა შვილების აღზრდა და ეს პროცესი ლოგიკურ დასრულებამდე მიიყვანა – 1947 წელს დავით მუსხელიშვილმა ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა...

მამის მაგალითი და შინაგანი ხმაც უბიძგებდა, რომ აუცილებლად ისტორიკოსი-არქეოლოგი უნდა გამხდარიყო. ამიტომაც უდიდესი ინტერესით დაინყო სწავლა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მას ლექციებს უკითხავდნენ: აკად. ნ. ბერძენიშვილი, ახალგაზრდა მეცნიერები მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, ი. აბულაძე, თ. ყაუხჩიშვილი და სხვები. საისტორიო მეცნიერებით ახალგაზრდის დაინტერესება თავიდანვე ისეთი ძლიერი იყო, რომ სწორედ სტუდენტობის წლებში დაწერილი მისი პირველი ნაშრომები: „ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნის შედგენის თარიღისათვის“ და „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის“ პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებასაც კი მიიქცევს. ახალგაზრდის პირველმა, დამოუკიდებელმა ნაბიჯმა უფროსი კოლეგების მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდას – უკვე აღარ იდგა საკითხი, თუ სად უნდა გაეგრძელებინა სწავლა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ და რა საქმე უნდა გაეჩინა საკეთებლად – მას ეს არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა...

1952 წელს ახალგაზრდა დავით მუსხელიშვილმა სწავლა გააგრძელა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. იმჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეს ინსტიტუტი გამორჩეული და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო რესპუბლიკაში: აქ შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ გამორჩენილი ქართველი ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქეოლოგები. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკად. ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც აგრძელებდა რა ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ტრადიციებს, უდიდეს ყურადღებას უთმობდა ისტორიკოსების ახალი თაობის აღზრდის საქმეს. საკანდიდატო დისერტაციის თემა, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს შეურჩიეს

და დაუმტკიცეს, საინტერესოც იყო და რთულიც. დადგენილ ვადაში დავით მუსხელიშვილმა ნარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ციხე-ქალაქი უჯარმა. ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა“. ახალგაზრდა მკვლევარის ეს განაცხადი ინტერესით მიიღო საისტორიო საზოგადოებამ. აი, რას ნერდა ცნობილი ქართველი არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე ნაშრომის შესახებ: „გარდა ქალაქ უჯარმის აღმოცენება-განვითარება-დაქვეითების ისტორიის გამოკვლევისა, აქ მრავალი სხვა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემაც არის დასმული და გადაჭრილი, მონოგრაფია დიდი, გულმოდგინე და დაძაბული შემოქმედებითი კვლევა-ძიების შედეგია. იგი უეჭველად შევა ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ძირითად ფონდში, როგორც იმდროინდელ ქალაქთა სპეციალური, კონკრეტული, ყოველმხრივი შესწავლის ერთ-ერთი პირველი მარჯვე და ნაყოფიერი ცდა“.

დამეთანხმებით, რომ უაღრესად მაღალი შეფასებაა, რითიც სახელოვანმა მეცნიერმა ახალგაზრდა მკვლევარს გზა დაულოცა და მომავალი ნარმატებული მუშაობა უსურვა.

ახალგაზრდა მეცნიერის შემოქმედებითი განვითარება, ისტორიის ინსტიტუტის კედლებში, აკად. ნიკო ბერძენიშვილის მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. დავით მუსხელიშვილის ბიოგრაფი აღნიშნავს: „ახალგაზრდა მეცნიერის შემართება და ენთუზიაზმი შეუმჩნეველი არ დარჩენია ისტორიის ინსტიტუტის იმჟამინდელ დირექტორს აკად. ნიკო ბერძენიშვილს, რომელმაც გამორჩეულად დაიახლოვა ახალგაზრდა მკვლევარი და, თამამად შეიძლება ითქვას, მისი მომავალი შემოქმედებითი ცხოვრების მაგისტრალური გზის დამსახავი მოძღვარიც კი გახდა“.

დიდმა მეცნიერმა დროულად შეამჩნია ახალგაზრდა მეცნიერის მიდრეკილება საისტორიო გეოგრაფიის საკითხებისადმი – მის არქეოლოგიურ თუ ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშებში ეს დაინტერესება XX საუკუნის 50-იანი წლებში უკვე რეალურად წარმოჩინდება. ნიკო ბერძენიშვილმა ახალგაზრდა კაცს გაუცხოველა ამ მიმართულებით კვლევის სურვილი – იმჟამად საისტორიო გეოგრაფიის პრობლემებს საბჭოთა კავშირში ყურადღებას თითქმის არ აქცევდნენ და ამ საქმეში ქართველი მეცნიერების დამსახურებაც და პირველობაც უდავო ფაქტია.

დავით მუსხელიშვილმა შემოიკრიბა საკითხით დაინტერესებული ახალგაზრდები (დ. ბერძენიშვილი, ჯ. გვასალია, თ. ტატიშვილი. ი. სიხარულიძე და სხვ.) და ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება, რომელსაც დავით მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა.

მართლაც, სწორედ 1965 წელს ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა ისტორიული გეოგრაფიის კაბინეტი, რომელიც ორი წლის შემდეგ ამავე სახელწოდების განყოფილებად გადაკეთდა. სწორედ ამ სამეცნიერო უჯრედს ჩაუდგა სათავეში ახალგაზრდა დავით მუსხელიშვილი და სულ მალე განყოფილება ინსტიტუტის ნაწყვანი და მოწინავე სამეცნიერო კოლექტივი გახდა: ხშირი სამეცნიერო ექსპედიციები, ინტენსიური მუშაობა საისტორიო გეოგრაფიის

თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, უდიდესი ორგანიზაციული საქმიანობა, გამორჩეული ნაშრომები, კოლექტიური თუ ინდივიდუალური მონოგრაფიები, სამეცნიერო დისკუსიები, პრობლემური წერილები და სტატიები... ერთი სიტყვით – განყოფილება „სუნთქავდა“, ვითარდებოდა, იზრდებოდა...

და აი შედეგით: 1973 წელს დავით მუსხელიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“. ნაშრომს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა მხარეში განხორციელებული ექსპედიციების შედეგები: უჯარმასა და რაჭაში, ფშავსა და ხოვლეში, ივრისა და მტკვრის, ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობებში, ქვემო ქართლში, კახეთსა და საქართველოს სხვა ადგილებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების მასალები, არსებული მდიდარი სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული გააზრების შედეგები და ა.შ.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში დავით მუსხელიშვილი განსაკუთრებით ბევრს ბეჭდავს სტატიებსა და წერილებს როგორც სამეცნიერო, ისე სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში – ის უდიდეს საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწეოდა საისტორიო გეოგრაფიის აქტუალურ საკითხების შესახებ. სწორედ ეს ნაშრომები იზიდავდა ახალგაზრდა ისტორიკოსებს ამ საინტერესო დარგში მუშაობის გასაგრძელებლად. ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება ყოველწლიურად იზრდებოდა ახალი კადრებით, ახლი თაობით...

როგორც აკად. დავით მუსხელიშვილის ბიოგრაფი სამართლიანად აღნიშნავს: ამ პერიოდის მის „ნაშრომებში ასახულია დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინის რაობის, მისი კვლევის საგნისა და მეთოდების შესახებ. მისი აზრით, ისტორიული საქართველოს ტერიტორია არის არა პოლიტიკური შემთხვევითობის გამოვლენა, არამედ ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული განვითარების კანონზომიერი შედეგი.“

სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში ისიც, რომ „დავით მუსხელიშვილის მიერ დადგენილი ეს კანონზომიერება და ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, ამის საფუძველზე მიღებული მეთოდოლოგიური დასკვნა ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადექვატურობის შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.“

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით მუსხელიშვილის ინტენსიური საველურ-არქეოლოგიური მუშაობის შესახებაც, რაც განსაკუთრებით გაცხოველდა XX საუკუნის 70-იან წლებში და მეტად საინტერესო შედეგებით მოიჭანა. 1972-1978 წლებში დავით მუსხელიშვილი მონაწილეობდა კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, სწორედ მან გათხარა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი – ანაკლის დიხაგუჭუბა II. გამოკვლევის შედეგები ახალგაზრდა მეცნიერმა გამოაქვეყნა როგორც თბილისის, ისე მოსკოვის სამეცნიერო ჟურნალებში, მის დასკვნებსა და მოსაზრებებს გაეცნო საკავშირო საისტორიო საზოგადოებაც.

მნიშვნელოვანი და საეტაპო დავით მუსხელიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა – „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა“ (1978 წ.).

როგორც დავით მუსხელიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი მიუთითებს: „მასალის ყოველმხრივი შესწავლა ავტორს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ აღმ. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ძვ. წ. XV-V საუკუნეებში ერთიდა იგივე ეთნიკურ-კულტურული სახის მქონე მოსახლეობაა. დ. მუსხელიშვილი აქ აღმოსავლეთ ქართველ მოსახლეობას ადასტურებს. ესაა ტომთა ავტოქტონობის დასაბუთება კონკრეტული არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე“. ამ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიო-გრაფიისათვის.

ამავე პერიოდში დაიბეჭდა დავით მუსხელიშვილის სადოქტორო დისერტაცია: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ (ორ წიგნად), რომელსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს დღესაც, რადგან ის გახდა ჩინებული სახელმძღვანელო ისტორიკოსთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში, მას აქტიურად იყენებენ საუნივერსიტეტო სალექციო თუ სასემინარო მუშაობაში. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ წლების მანძილზე თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში თვითონ დავით მუსხელიშვილი ახალგაზრდებს უკითხავდა კურსს საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში.

როცა საქმეში ჩახედული ქართველი ისტორიკოსები აკად. დავით მუსხელიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ამ პერიოდის შედეგებზე საუბრობენ, განსაკუთრებით გამოკვეთენ შემდეგს: „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულმა შესწავლამ, ამასთან ერთად, ქვეყნის ტერიტორიული ევოლუციის თვალსაზრისით რამდენიმე კანონზომიერება წარმოაჩინა: 1. ერთგვაროვანი თვითკმარი ეკონომიკის რეგიონები („მთაში“, ან „ბარში“), ცალკეული გეომორფოლოგიური ეთეულები, ცალკეულ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთეულებად ყალიბდებიან („ხევი“, „ქვეყანა“), მაგალითად, თრიალეთი, ტაშირი, დვალეთი, თუშეთი. 2. არაერთგვაროვანი ეკონომიკის რეგიონებში სხვადასხვა გეომორფოლოგიური სისტემები („მთა და „ბარი“) ერთიან ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ერთობებად ყალიბდებიან („ხევი“, „ქვეყანა“), მაგალითად, თორთუმისა და ქსნის ხეობები, კახეთის საერისთავოები და 3. სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ ორგანული შერწყმისათვის საკმარისი არ არის ეკონომიკური, თუნდაც ინტენსირი კავშირები. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ეთნიკურ-კულტურული ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია თვით საქართველო, რომელიც საბოლოოდ მაშინ გაერთიანდა, როდესაც ფეოდალური საზოგადოება ეთნიკურ-კულტურული თვალსაზრისით ერთიან მთლიანობად იქცა, ანუ, ფაქტობრივად მის შემდეგ, რაც ქართველი ერი ჩამოყალიბდა. შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დ. მუსხელიშვილის ზემოთხსენებული კონცეფცია ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში გამოთქმული ახალი სიტყვაა. საზოგადოების ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესის ამგვარად წარმოჩენით, ის ზოგად მეთოდოლოგიურ მნიშვნელობასაც იძენს“. ამ უაღრესად სამართლიან და ჩინებულ შეფასებას ჩვენ მეტს ვერაფერს დაუვმატებთ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დავით მუსხელიშვილის ხშირი და საინტერესო ურთიერთობის შესახებ საკავშირო საისტორიო საზოგადოებასთან

– მისი ხშირი გამოსვლები საკავშირო კონფერენციებსა და თუ შეხვედრებზე მოსკოვში, ტალინში, ერევანში და სხვა ქალაქებში მიზნად ისახავდა ქართველ ისტორიკოს-გეოგრაფოსთა შეხედულებების პოპულარიზებას.

უდიდესია დავით მუსხელიშვილის დამსახურება აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის რიგი კარდინალური საკითხის სიღრმისეული დამუშავების საქმეში. მან შეისწავლა და გამოაქვეყნა: „აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“, „აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის“ და ბევრი სხვა ნაშრომი, რომლებიც მიზნად ისახავდა დაესაბუთებინა, რომ თვალმისანედომი ისტორიის მთელ მანძილზე აფხაზეთი მუდამ იყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

სწორედ ამ, მეტად საინტერესო სამეცნიერო მუშაობისა, საყურადღებო მეცნიერული დასკვნების და საისტორიო მეცნიერების დარგში განეული უდიდესი დამსახურების გამო 1993 წელს პროფ. დავით მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ დავით მუსხელიშვილის ურთიერთობაზე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან აკად. გიორგი მელიქიშვილთან, რომელმაც ამ პოსტზე 1965 წელს შეცვალა აკად. ნიკო ბერძენიშვილი. მსოფლიოში სახელგანთქმული ურარტოლოგი დიდად აფასებდა აკად. დავით მუსხელიშვილის ღვაწლს და მის წვლილს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში. სწორედ მისი ხანგრძლივი დირექტორობის პერიოდის მანძილზე განსაკუთრებით ნაყოფიერად გაიშალა აკად. დავით მუსხელიშვილისა და მისი განყოფილების შემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ ამ წლებში განყოფილებაში საფუძველი ჩაეყარა მეტად საჭიროო და მნიშვნელოვანი პროექტს – დაიწყო ქართულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ, რუსულ წყაროებში საყურადღებო მასალების შეგროვება და საისტორიო რუკების მომზადება კაპიტალური ნაშრომისათვის – „საქართველოს ისტორიის ატლასი“, რომელიც ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო საკმაოდ გვიან გამოქვეყნდა.

1999 წელს აკად. გიორგი მელიქიშვილმა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადავეები თავის უმცროს კოლეგას, აკად. დავით მუსხელიშვილს გადააბარა და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისაკენ გზა დაულოცა.

დრო, როცა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ეს ორგანიზაციული ცვლილება მოხდა, უმძიმესი იყო საქართველოსთვის და თითქოს გამოსავალიც არ ჩანდა. აკად. დავით მუსხელიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავს: „ეს იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უმძიმესი პერიოდი – არ იყო ხელფასი, არ იყო განათება, არ იყო გათბობა, არ იყო ... არაფერი. იყო მხოლოდ იმედი და უდიდესი ენთუზიაზმი კოლექტივისა, რომელიც დაირაზმა აკად. დავით მუსხელიშვილის გარშემო და ამ ურთელეს პირობებში გადაწყვიტეს ერთად აელორძინებინათ მშობლიური ინსტიტუტი, კვლავ მოეპოვებინათ რესპუბლიკაში ნამყვანი სამეცნიერო უჯრედის ნოდება.“

სწორედ ამ დროიდან იწყება აკად. დავით მუსხელიშვილის ინტენსიური და მრავალმხრივ ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარ-

ქოსთან. მსოფლიო ქრისტიანობის 2000 წლის იუილესთვის ემზადებოდა. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაიბადა იდეა ამ დიდებულ თარიღს შეხვედროდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმით, თბილისში მოეწვიათ კოლეგები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და კვლავ ეჩვენებინათ ქართული საზოგადოებათმცოდნეობის მაღალი დონე. ამ ინიციატივის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის. ილია II-მ ქმედითი დახმარება აღმოუჩინა ქართველ მეცნიერებს, რადგან სწორედ მისი იდეა იყო აღდგენილიყო კომუნისტების მმართველობის პერიოდში ხელოვნურად ჩატყეხილი ხიდი მეცნიერებასა და ეკლესიას შორის. აკად. დავით მუსხელიშვილი ქართველ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა პატრიარქის ამ ინიციატივას და ძალიან ბევრიც გააკეთა ამ მიმართულებით.

2000 წლის ოქტომბერში საქართველოს საპატრიარქოს დიდ დარბაზში გაიხსნა თბილისის I საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო და მომავალი“. სიმპოზიუმს დაესწრო საზღვარგარეთი 8 ქვეყნის ისტორიკოსი, რომელთა მოხსენებებში წარმოჩენილი იყო ქრისტიანული პრობლემატიკის მრავალი ასპექტი. სიმპოზიუმში იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ცნობილმა ბულგარელმა ქართველოლოგმა პროფ. ელკა ბაკალოვამ დააყენა საკითხი თბილისში, უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოს დედაქალაქში შექმნილიყო ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ პრობლემებით დაინტერესებული ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერების პერიოდულ კავშირს, დააფუძნებდა საერთაშორისო ჟურნალს, ჩაატარებდა სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, დისკუსიებს და ა.შ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გაითვალისწინა ამ საერთაშორისო ცენტრის დაარსების უდიდესი მნიშვნელობა და თვითონ დააფუძნა „საქართველოს მართლიმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი“, რომლის გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე აკად. დავით მუსხელიშვილია.

არსებობის მანძილზე საერთაშორისო ცენტრმა უკვე ჩაატარა 5 საერთაშორისო სიმპოზიუმი, რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, დისკუსია. სისტემატურად გამოდის სამეცნიერო ცენტრის პერიოდული ჟურნალი „ლოგოსი“, ინტენსიურია კავშირები იტალიელ, გერმანელ, ავსტრიელ, ამერიკელ მეცნიერებთან.

ქართულ საისტორიო მეცნიერებათში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკად. დავით მუსხელიშვილი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმ. გიორგის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

საპატიო, მაგრამ მეტად რთული აღმოჩნდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობა – ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, მეცნიერის შრომა საერთოდ არ ფასდებოდა – მიზერული ხელფასი, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, საექსპედიციო დაფინანსების სრული უგულებელყოფა, ხელფასის ხშირი სეკვესტრები, ინ-

ტიტუტის ბიუჯეტში სამეურნეო ხარჯებისათვის დაფინანსების თითქმის არ არსებობა. იყო შემთხვევა, როდესაც ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს მთელი წლის მანძილზე არა ჰქონდა განათება – ინსტიტუტის ბიუჯეტში ამისთვის ხარჯი გათვალისწინებული არ იყო. ასეთ ვითარებაში ღირებული სამეცნიერო პროდუქციის შექმნა ძალიან ძნელია, მაგრამ დავით მუსხელიშვილმა შემოიკრიბა ენთუზიასტები – თავის საქმის ჩინებული სპეციალისტები: აკად. გრიგოლ გიორგაძე, პროფ. ნანა ხაზარაძე, პროფ. მ. სამსონაძე, პროფ. ა. ბენდინიშვილი, პროფ. ვ. ითონიშვილი, პროფ. ჯ. რუხაძე, მეცნიერების დოქტორები: თ. ოჩიაური, ი. სურგულაძე და მრავალი სხვა, რომელთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგები ძალიან მალე ყველასათვის საცნაური გახდა. ინსტიტუტმა შექმნა დამოუკიდებელი გამომცემლობა „მემატიანე“, სადაც მზადდებოდა ინსტიტუტის თანამშრომლების სამეცნიერო პროდუქცია. ინსტიტუტმა ააღორძინა საინსტიტუტო სამეცნიერო ჟურნალი „ანალები“, რომელიც წელიწადი ორჯერ გამოდიოდა. პარალელურად ინსტიტუტი გამოსცემდა საისტორიო აღმანახს - „კლიო“, რომელშიც ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად იბეჭდებოდა სხვა ავტორების საინტერესო საისტორიო ნაშრომებიც. ინსტიტუტმა განაახლა ახალგაზრდა მეცნიერთა პერიოდული ჟურნალი „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“ და ა.შ. და ა.შ.

უდიდესი მნიშვნელობისაა პროექტი, რომელიც 1999 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა ისტორიულ-ეთნოლოგიური ნაშრომის „ქართველების“ (რუსულ ენაზე) მომზადებასა და გამოცემას. ეს პროექტი მოსკოვის ეთნოგრაფიისა და ანტროპოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ტიშკოვის რჩევით დაიწყო და ამ ნაშრომის მოსკოვში გამოცემას ვარაუდობდნენ. ამ პროექტმა მოიცა ქართველი ისტორიკოსებისა და ეთნოლოგების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა მისი შესრულება წლებში გაინელა.

2003 წელს საქართველოს სახელმწიფოს დაფინანსებით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადგომით მოხერხდა აკად. დავით მუსხელიშვილისა და მისი სკოლის მიერ მრავალი წლის შრომის შედეგის „საქართველოს ისტორიის ატლასის“ პუბლიკაცია. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქართველი ისტორიკოსთა ცხოვრებაში – საზოგადოებამ მიიღო მეცნიერულად გამართული, ქართული და უცხოური ნყაროების შეჯერების საფუძველზე მაქსიმალური ობიექტრობის დაცვით მომზადებული ნაშრომი. მოგვიანებით მოხდა ამ ნაშრომის განახლებული ვერსიის გამოცემა, მომზადდა მისი ინგლისური ვარიანტიც. აი, რას ნერდნენ ამ ატლასის შესახებ ქართველი ისტორიკოსები: „74 რუკისგან და განმარტებითი ტექსტებისგან შემდგარი ატლასი დოკუმენტირებული პუბლიკაციაა: სათანადო არგუმენტაციით, პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიის პოლიტიკური ცვლილებების პროცესი უძველესი პერიოდდან დღევანდლამდე. მომზადდა ატლასის ინგლისური ვერსია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემათიკის სწორ გააზრებას უცხოეთში. „საქართველოს ისტორიის ატლასს“ მეცნიერულთან ერთად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება“.

მართლაც, ამ საისტორიო რუკების პუბლიკაციის უდიდესი მნიშვნელობა ისიც არის, რომ ბოლო წლებში ახლო და შორეულ სამეზობლოში განსაკუთრებით გაძლიერდა სახელმწიფოს სპეციალური სტრუქტურების მიერ ანგაჟირებული მეცნიერების მხრიდან საქართველოს ისტორიის რიგი კარდინალური საკითხის ფალსიფიცირება – ცდილობენ დაამტკიცონ საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს ისტორიული მიწებისა და მთელი ოლქების მიმართ, არის მცდელობა ეჭვის ქვეშ დააყენონ მათზე ქართველი ერის ისტორიული და კანონიერი უფლებები, მისი ისტორიული, კულტურული მიღწევები. ბოლო წლებში საისტორიო მეცნიერება იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად გადაიქცა და, ამ მხრივ, „საქართველოს ისტორიის ატლასს“ უკვე შეედლო პასუხი გაეცა ყველა არაკეთილმსურველი მეცნიერისა თუ სახელმწიფო მოღვაწისათვის, ვინც ცდილობდა უკანონო პრეტენზიები წამოეყენებინა საქართველოს ხელისუფლებისათვის.

უდიდესია აკად. დავით მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს ახალი ეროვნული სიმბოლიკის – ეროვნული დროშის დადგენის საქმეში. ქართულ და უცხოენოვან (განსაკუთრებით – პორტუგალიურ) წყაროებზე დაყრდნობით აკად. დავით მუსხელიშვილმა დაასაბუთა, რომ შუა საუკუნეების ერთიანი საქართველოს რუკა იყო თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარი. აი, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მის მიერ მიღებული დასკვნა: „1. სხვადასხვა ხასიათის პირდაპირი მონაცემებით (XIV საუკუნის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პორტულანები, 1299 წლის პილიგრიმული ჩვენება) მტკიცდება, რომ XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამზე ჯვარი (ჯვრები) იყო გამოსახული. 2. ქართული, სომხური, ლათინური და არაბული პირველწყაროების ურთიერთშეუჯერების საფუძველზე შესაძლებელია საბუთიერი ვარაუდის გამოთქმა, რომ ასეთივე იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა XII-XIII საუკუნეებში. სწორედ ეს იყო „დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი“.

სწორედ აკად. დ. მუსხელიშვილის ინიციატივით ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა ფართო დისკუსია აღნიშნული პრობლემის გარშემო, სადაც ქართველმა ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა და ეთნოგრაფებმა წარმოადგინეს ფრიად საინტერესო არგუმენტები, რითიც განამტკიცეს ეს ახალი თვალსაზრისი საქართველოს ისტორიული დროშის შესახებ.

ძალიან მალე საქართველოს პარლამენტმა თეთრ ფონზე ხუთჯვრიანი დროშა ეროვნულ სიმბოლიკად გამოაცხადა...

იმჟამად ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ძალიან ბევრი სამეცნიერო დისკუსია, კონფერენცია იმართებოდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. ინსტიტუტთან მოქმედებდა სამეცნიერო კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოც, რომლის ხელმძღვანელი აკად. დავით მუსხელიშვილი იყო. ამ საბჭომ ძალიან ბევრ ნიჭიერ ადამიანს მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატისა თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ამით გზა დაულოცა შემდგომი მეცნიერული მუშაობისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ 2005 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა დაძლია განვითარების ურთულესი პერიოდი და საქართველოს მონინავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიგებში ჩადგა.

აი, ამონარიდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2003 წლის 3 აპრილის № 58 დადგენილებიდან, რომელიც ინსტიტუტში მივლინებული სპეციალური კომისიის მიერ კომპლექსური გამოკვლევის შედეგად დაინერა: „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 1998-2002 წლების სამეცნიერო და სამეცნიერო ორგანიზაციული საქმიანობა შეფასდეს დადებითად“.

არა „დამაკმაყოფილებლად“ – არამედ „დადებითად“!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას ამ შეფასების დროს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ის უდიდესი სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობა, რაც კოლექტივმა აკად. დავით მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით განახორციელა: 2000 წელს - დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი: „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“; დაიბეჭდა „საქართველოს ისტორიული ატლასი“; მომზადდა „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), დაიწყო მუშაობა „ქართველებზე“ – ყველაფერი ქართველების ისტორიასა და ეთნოგრაფიის შესახებ და ამ და ა.შ.

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, 2006 წელს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიასთან ერთად, განსაკუთრებული ცინიზმით დაარბიეს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გარეთ გამოყარეს აკად. დავით მუსხელიშვილი და მისი თანამოაზრენი. რატომ?

როგორც აკად. დ. მუსხელიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფი მოუთითებს: „ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ – მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე, აკად. დავით მუსხელიშვილი მუდამ უკომპრომისო იყო და არის უკანონობის, არაპროფესიონალიზმის, უვიცობის ნიჭიერებად გასაღების, ანტიქართული ძალისხმევის, ფსევდოპატრიოტიზმისა და არაკაცობის ნინალმდეგ“.

ჯერ კიდევ 2003 წელს ის საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფალს წერდა: „ჩვენ გაფრთხილებდით, რომ სახელისუფლო სტრუქტურების საყოველთაო კორუმპირებულობის და მაფიოზური კლანების ანტიეროვნული „მოღვაწეობის“ შედეგად, საქართველო უკვე იმ ზღურბლს იყო მიმდგარი, რომლის გადალახვის შემდეგ იგი ჩამოყალიბდება, როგორც შუა საუკუნეების ტიპის აღმოსავლური ბარბაროსული სახელმწიფო“.

2006 წელს საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფალის გასაგებად ხმა-მაღლა აცხადებდა: „ამიტომ ჩემი (და არა მხოლოდ ჩემი) რწმენით თუ ჩვენ არ გვიანდა საბოლოოდ ჩაკეალთ ქართული სული, გვინდა კვლავ ავლორძინდეთ, როგორც პრესტიჟული ერი და არ გადავიქცეთ სხვის ხელში სათამაშო, უსახურ ბრბოდ (რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, თვალნათლივ ჩანს), საქართველოს ისტორია და საერთოდ ქართველოლოგიური მეცნიერებანი, აღიარებული უნდა იქნას უპირველეს პრიორიტეტულ დარგებად, რომლებიც

უნდა განვითარდნენ სახელმწიფოს ეგიდით და საბაზო დაფინანსების საფუძველზე. სხვაფრივ ჩვენი ერის გათახსირებისა და გადაგვარების პროცესი შეუქცევადი გახდება და ამაში პასუხისმგებლობის დიდი წილი განათლებისა და მეცნიერების დღევანდელ სამინისტროს დაეკისრება“.

ხელისუფლებამ და მისმა ერთგულმა სამინისტრომ დროულად მოახდინეს რეაგირება ამ მკაცრ კრიტიკაზე – აკად. დავით მუსხელიშვილი და მისი ინსტიტუტის საუკეთესო, ღირსეული თანამშრომლები სამსახურიდან გარეკეს...”

აკად. დავით მუსხელიშვილმა და მისმა თანამოაზრებებმა 2006 წელს დააარსეს არასამთავრობო, დამოუკიდებელი სამეცნიერო უჯრედი „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი“, რომელმაც გააგრძელა სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი მელიქიშვილის დროინდელი ინსტიტუტის ტრადიციები. სამეცნიერო ცენტრის პოტენციალი ირწმუნეს სპონსორებმა, გრანტის გამცემმა ფონდებმა და ორგანიზაციებმა. ცენტრმა დიდი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გაშალა და არა ერთ გამარჯვებასაც მიაღწია.

2008 წლის აგვისტოს ომი განსაკუთრებულად ტრაგიკულია საქართველოს უახლეს ისტორიაში. დაიკარგა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი, გაჩნდნენ ლტოლვილების ახალი არმიები...

ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა ახლო სამეზობლოში ანტიქართული ტენდენციები არა მარტო ზოგიერთი ერის ისტორიკოსებსა თუ საზოგადოებათმცოდნეებს შორის, არამედ ამ პროცესს უკვე საკმაოდ ძლიერად და წარმატებით მართავდა რუსეთის სპეცსამსახურის განსაკუთრებული განყოფილება. უამრავი ნაშრომი იწერებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს არავითარი სამართლებრივი და ისტორიული უფლება არა აქვს აფხაზეთზე, შიდა ქართლზე, მესხეთ-ჯავახეთზე. ანგაჟირებული მეცნიერები, მრავალათასიანი ტირაჟებით, სხვადასხვა ენაზე უმტიკცებდნენ მსოფლიოს საზოგადოებას იმასაც კი, რომ თურმე საქართველო საერთოდ არ არსებობდა, ის „სადღაც 1936 წელს შეიქმნა“ ი. სტალინის ძალისხმევით და სწორედ „მან აჩუქა საქართველოს სამხრეთ ოსეთი“, რომელიც დიდი ალანიის სამეფოს ნაწილი იყო და უხსოვარ დროიდან თავის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

აკად. დავით მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ისტორიკოსების, ეთნოლოგების, ფილოლოგების ავტორიტეტულმა ჯგუფმა შეადგინა სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის კონკრეტული გეგმა, რომელიც წარუდგინეს საქართველოს თითქმის ყველა პრეზიდენტს, ყველა მთავრობას და თითქმის ყველა მინისტრს, ვინც განათლებასა და მეცნიერებას ვითომ რომ კურირებდა.

საქართველოს ხელისუფლებას დაენანა ფული, რომ შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი ქართველი მეცნიერებისაგან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ ყველა არამეცნიერულ – ფალსიფიცირებულ შეხედულებას არგუენტირებულად უპასუხებდნენ და დაიცავდნენ საქართველოს ეროვნულ ღირსებას.

ფული არ დაენანა „მაგთიკომს“, მის ხელმძღვანელს ბატონ გია ჯოხთა-ბერიძეს, რომელმაც გათავისა პრობლემის განსაკუთრებული სიმწვავე და ასეთი ჯგუფის არსებობის აუცილებლობა. „მაგთიკომმა“ გამოყო თანხა და ეს საპრობლემო ჯგუფი შეიქმნა. ამ მუშაობის კონკრეტული შედეგი იმავე წელს უკვე რელიეფურად გამოჩნდა: დაიბეჭდა რამდენიმე კრებული, რომლებიც ქვა-ქვამზე არ ტოვებენ ფსევდოისტორიკოსთა შრომებიდან, მათი „მოსაზრებებიდან“, „დასკვნებიდან“. აი, ეს ნაშრომები: «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», «Некоторые вопросы истории осетин Шида Картли», «Некоторые вопросы истории грузино-русских взаимоотношений в современной историографии».

მაგრამ დღეს მართო რუსულ ენაზე ნაშრომის პუბლიკაცია აღარ კმარა, საჭიროა ინგლისურენოვანი სამყაროც გაერკვეს სამხრეთ კავკასიის ისტორიაში, შეიცნოს მისი ურთიულები პრობლემები.

ამაში კი ქართველ ისტორიკოსებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ჩვენმა თანამემამულემ, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ, ნიუ-იორკის დიდი სამეცნიერო გამომცემლობის „ნოვას“ მფლობელმა და ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნადია გოცირიძემ, რომელმაც არ დააყოვნა და ძალიან მალე საერთაშორისო საზოგადოებამ მიიღო ინგლისურ ენაზე აკად. დავით მუსხელიშვილის რედაქტორობით მომზადებული: „Some Issues of Georgian History in Armenian Historiography“, „Certain Aspects of Georgian-Russian relations in Modern Historiography“. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება გამომცემლობა „ნოვას“ მიერ დაბეჭდილი ნაშრომი: „Georgian history: David Muskhelishvili, Mikhael Samsonadze, Aleksander Daushvili“. ამ ნაშრომში სრულიად ახლებურად არის შესწავლილი საქართველოს ისტორიის რიგი პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე. ეს ნაშრომი გამომცემლობამ მთელს მსოფლიოში განავრცო და მისი ყიდვა უკვე შეეძლოთ ლონდონსა თუ სიდნეიში...

სპეციალურად გვინდა შევეხოთ ისტორიკოს-გეოგრაფოსების დავით მუსხელიშვილის სკოლასაც... უკვე ნამოვიდა ახალი თაობა – სწორედ ამ თაობის წარმომადგენელი, დავით მუსხელიშვილის საყვარელი მოწაფე ჩაუდგა სათავეში დარბეულ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს და ყველას გვეჯერა, რომ კვლავ აღორძინდება ის, რაც ასე აღორძინებული იყო...

საიუბილეო დღეებში, როცა მეცნიერი უკან იხედება და თავის განვლილ გზას იხსენებს, ძალიან ბევრი რამ აგონდება: გამარჯვებებიც და დამარცხებებიც, სიხარულიც და პრობლემებიც; და ყველაფერ ამაში აკად. დავით მუსხელიშვილის გვერდით მუდამ იყო მისი ოჯახი – ქალბატონი ნანა, შვილები – გიორგი და ვახტანგი, მისი უსაყვარლესი შვილიშვილები და შვილთაშვილები...

ქართული საისტორიო საზოგადოება ულოცავს დიდებულ მამულიშვილს, აკად. დავით მუსხელიშვილს დაბადებიდან 90 წლის ოუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებსა და ადამიანურ ბედნიერებას, რაც მან თავისი მუხლწაუხრელი შრომით კიდევაც მოიპოვა და კიდევაც დაიმსახურა.

უჩა ბლუაშვილი - 70

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი უჩა ბლუაშვილი დაიბადა 1949 წლის პირველ იანვარს, ახალციხის რაიონში. 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973 წელს. იმავე წელს ის მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. 1978 წელს უჩა ბლუაშვილი სამუშაოდ გადადის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრაზე. 1986 წელს ის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტია. შემდგომ წლებში უჩა ბლუაშვილი მუშაობდა პარლამენტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში პრეზიდენტის რწმუნებულის მთავარ მრჩეველად, სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსად, განათლების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილედ. 2009 წელს ბლუაშვილი კვლავ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას უბრუნდება, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის რანგში ის დღემდე ემსახურება ახალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

თავის სადისერტაციო ნაშრომში (1984), შემდეგ კი გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ წლებში (1989) გამოცემულ ბროშურაში („სკკპ სოციალური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე“) უ. ბლუაშვილი მწვავედ აკრიტიკებს საბჭოთა სოციალურ პოლიტიკას. „დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო პრიმიტიული თვალსაზრისი, რომ საბჭოთა ყოფაში ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენები მხოლოდ წარსულის გადმონაშთებია“, წერს ის. ნაშრომში სათანადო არგუმენტების მოშველიებით დამაჯერებლად არის დასაბუთებული საბჭოთა სოციალური პოლიტიკის სრული უპერსპექტივობა. ავტორის განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა სინამდვილეში მყარად დამკვიდრებული მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა წილად მოხმარებულ სიკეთეთა და მომსახურების დაახლოებით მესამედი მოდიოდა.

თავის დროზე სოციალური სამართლიანობის განმტკიცებისთვის შემოღებული ეს ფონდები, რომლებმაც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ეტაპზე მართლაც შეასრულეს გარკვეული პოზიტიური როლი, „მოხერხებული“ საბჭოთა ჩინოვნიკების ხელში თანდათან იქცნენ სოციალური უსამართლობის

გალრმავების ინსტრუმენტებად. ნაშრომში ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტია მოხმობილი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ორს დავიმომბებთ: საბჭოთა პერიოდში მსხვილ ორგანიზაცია-დანესებულებებთან შექმნილი იყო ვაჭრობისა და განაწილების სამსახურები, სანარმოს მუშაკებს ემსახურებოდნენ სპეციალურად ამ სანარმოებთან შექმნილი სამედიცინო დანესებულებები, დასასვენებელი სახლები და სხვ. ანალოგიური სამსახურები ჰქონდათ კომკავშირის, პროფკავშირის და პარტიული ორგანიზაციების აპარატებსაც.

ფორმალურად, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მმართველობით დანესებულებებს ემსახურებოდა სპეციალური კლინიკა, ისევე, როგორც დიდი ქარხნის მუშებს მათი ასეთივე საავადმყოფო. მაგრამ ხელმძღვანელი აპარატის მუშაკების საავადმყოფო აღჭურვილი იყო უახლესი აპარატურით, იქ მუშაობდნენ ყველაზე მაღალკვალიფიციური ექიმები, მათი საავადმყოფო მაქსიმალურად იყო მომარაგებული მედიკამენტებით, ყოველი პალატა აქ ერთ, ან ორ კაცზე იყო გათვლილი და ა. შ. მაშინ, როდესაც ქარხნის საავადმყოფო მედიკამენტების, თანამედროვე აპარატურის, საავადმყოფო სანოლების მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ასეთივე მდგომარეობა იყო დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების განაწილებაშიც. ფორმალურად აქაც ყველაფერი სამართლიანად იყო - მუშაც ღებულობდა საგზურს და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკიც. მაგრამ ეს უკანასკნელი სოჭის საგზურს ღებულობდა აგვისტოსეტიკებში, მუშას კი იგივე საგზურს იანვარ-თებერვალში აძლევდნენ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბლუაშვილის დისერტაცია, ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდში გამოსული მისი სხვა ნაშრომები შეიცავდნენ საბჭოთა იდეოლოგიისთვის დამახასიათებელ კლიშეებს და სტერეოტიპებს, რომელთა გარეშეც ისინი დღის სინათლეს ვერ იხილავდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უჩა ბლუაშვილი ეროვნულ პრობლემატიკას უღრმავებდა. 1994 წელს გამოიცა მისი საკმაოდ მოცულობითი ნარკვევი - „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ“. ეს იყო პირველი ნაშრომი, რომელშიც საქართველოში 1988-1991 წლებში განვითარებული რთული და მტკივნეული პოლიტიკური პროცესების კრიტიკული გააზრების ცდა იყო მოცემული. ნაშრომს ემოციურობის კვალი ამჩნევია, რაც სულაც არაა გასაკვირი: 1991/1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებიდან ხომ სულ ორიოდე წელი იყო გასული. ამის მიუხედავად ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და აქცენტები დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას.

2012 წელს გამოქვეყნდა უჩა ბლუაშვილის ნაშრომი - „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“ ავტორი მასში გაცილებით სრული სახით განიხილავს ჩვენი უახლესი ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს, რომელშიც, ბლუაშვილის სიტყვებით, იყო ყველაფერი: „ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და 9 აპრილით გამოწვეული საოცარი ერთობაც, დამოუკიდებლობის მოპოვებით, საერთაშორისო აღიარებით მოგვრილი სიხარულიც და ძირძველი ქართული მინების დაკარგვით განცდილი სიმწარეც...“

„შეიძლება თუ არა ქვეყნის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ეტაპის ნაკლები დანაკარგებით გავლა?“ სვამს კითხვას ავტორი და თვითონვე პასუხობს: „შეიძლება. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მოგვეთოკა ემოციები და გადაწყვეტილებების მიღებაში ცივი გონებით გვეხელმძღვანელა, საჭირო იყო ირაციონალიზმის პრაგმატიზმით, სულსწრაფობის მოთმინებით ჩანაცვლება... ე. ი. საჭირო იყო ქართველებს ჩვენს საუკუნოვან თვისებებზე, ანუ ქართველობაზე გვეთქვა უარი.“

ეს კი, როგორც გვსმით, შეუძლებელი იყო. ერთი სიტყვით, შეიძლება... მაგრამ არ შეიძლება.“

2015 წელს უჩა ბლუაშვილი აქვეყნებს ამ პრობლემისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ნაშრომს - „საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1987-2003 წწ“. ამ სტელტანიან ნიგნში ფუნდამენტურად არის გამოკვლეული ქართული ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები, გაანალიზებულია დამოუკიდებლობის წლებში ქართული ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის მიერ დამკვეთული შეცდომები, აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მასაზრდოებელი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ავტორი შეფასებას აძლევს 1991/1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებასაც: „საქართველოს სახელისუფლო გუნდში მომხდარი განხეთქილების შედეგად ოპოზიციაში გადასულმა პოლიტიკოსთა და ეროვნული გვარდიის ნაწილმა, ციხიდან გათავისუფლებული ჯაბა იოსელიანის „მხედრონის“ შეიარაღებული მხარდაჭერის, აგრეთვე, პოლიტიკურად საზოგადოების ყველაზე უფრო აქტიური ნაწილის - ინტელიგენციისა და სტუდენტობის მორალურ-პოლიტიკური თანაგრძნობით, გარეშე ძალის სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გზით საქართველოში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ოპოზიციური განწყობა განპირობებული იყო ხელისუფლების ხისტი, მოუქნელი ავტორიტარული მმართველობითი კურსით, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ლავირების უუნარობით, მძიმე შეცდომებით.“

ცხადია, უჩა ბლუაშვილის ამ შეფასებას, ისევე, როგორც იმ წლებში განვითარებული პოლიტიკური პროცესების მისეულ ხედვას, საქართველოში, სადაც ყოველ სამ ქართველს მინიმუმ ხუთი აზრი გააჩნია, უთუოდ გამოუჩნდება მონიხალმდევნი. თუმცა, ერთი რამ სრულიად უდავოა: საქართველოს უახლესი ისტორიის ვერცერთი მკვლევარი ბლუაშვილის ამ ნაშრომს გვერდს ვერ აუვლის.

უჩა ბლუაშვილის სამეცნიერო ინტერესების კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მუსლიმი მოსახლეობის პრობლემა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც დეპორტაციის მთავარი მიზეზი მეორე მსოფლიო ომის წლებში სამხრეთ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის თურქეთთან ფარული თანამშრომლობა იყო, მან პირველმა გამოთქვა და დამაჯერებლად დაასაბუთა მოსაზრება, რომ დეპორტაციის უმთავრეს მიზეზს ომის შემდგომ ტაო-კლარჯეთის დაბრუნების სტალინური გეგმა წარმოადგენდა. ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად, ანუ,

მაჭახელას, ბორჩხას, მაკრიალის, არტაანის, ართვინისა და ტაოს ოლქების შემოერთების შემთხვევაში, ახლადშემოერთებული მოსახლეობა, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მუსლიმ მოსახლეობასთან ერთად, ბლუაშვილის აზრით, შექმნიდა ერთეულ მაჰმადიანურ არეალს, რომელსაც შეეძლო კონფესიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი პრობლემები შეექმნა პატარა ქრისტიანული საქართველოსთვის. „განსაკუთრებული ხიფათის შემცველი იყო ახალი მაჰმადიანური ნაკადის მიერთება სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობასთან. ამ უკანსკენლს დაკარგული ჰქონდა არა მხოლოდ ენა და სარწმუნოება, არამედ ეროვნული ცნობიერებაც... ასეთ პირობებში ქართულ მოსახლეობასთან ახლადშემოერთებული მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესი ძალზე გაჭიანურდებოდა. მეტიც, შესაძლოა ის პრობლემატურაც გამხდარიყო.

შეუძლებელია, რომ სტალინის მხედველობის არეში ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნების პრობლემის ეს ასპექტი არ მოხედრილიყო... თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მათ ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის ჩასახლებათი საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაებლანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს ამ რეგიონში.

ეჭვსგარეშეა, რომ სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა მიერ დაიგეგმა, როგორც ქართული მიწების დაბრუნების შორსგამიზნული სტრატეგიული გეგმის ნაწილი, როგორც ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი, მოსამზადებელი ეტაპი.“ - წერს ავტორი.

სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ მესხებს კიდევ უფრო მეტად დაუმახინჯეს მენტალიტეტი. მათი ეროვნული ცნობიერების გათურქების პროცესი უცხო მიწაზე საბოლოოდ დასრულდა. ამიტომაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (დღემდე აქვს) რეპატრირებული მესხებისთვის ნამდვილი და არა დამახინჯებული ისტორიის გაცნობას. 2008 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა უჩა ბლუაშვილის წიგნი „მესხეთის სახელოვანი შვილები“. ამ ნაშრომის მიზანი რეპატრირებული მესხებისთვის თავიანთი ჭეშმარიტი ისტორიის, სახელოვანი წინაპრების მოღვაწეობის გაცნობა იყო. წიგნმა არა მხოლოდ რეპატრირებული მესხების, არამედ ჯერ კიდევ უცხო მიწაზე მყოფი დეპორტირებული მოსახლეობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ბევრი რეპატრირებული სწორედ ამ წიგნის მეშვეობით გაეცნო თავისი ხალხის ჭეშმარიტ ისტორიას, რის შემდეგაც მან ქართული გვარი დაიბრუნა და სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტად იქცა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არდაჰანის უნივერსიტეტში 2018 წლის აპრილში გამართულ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველი მეცნიერის მოხსენებამ და კითხვებზე მისმა პასუხებმა მსმენელთა საყოველთაო მონონება დაიმსახურა.

წლების განმავლობაში უჩა ბლუაშვილი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს ისტორიასთან ერთად, პოლიტოლოგიაში და

საერთაშორისო ურთიერთობებშიც კითხულობდა ლექციებს. ამის შედეგია 2010 წელს მისი ავტორობით გამოცემული ლექციების კურსი „პოლიტიკურ მეცნიერებათა შესავალი“ და 2011 წელს გამოქვეყნებული „საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი“. ეს უკანასკნელი 2016 წელს გადამუშავებული და შევსებული სახით ხელმეორედ გამოიცა. ამ წიგნებით დღემდე არაერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ეუფლებიან ცოდნას.

მკითხველთა მოწონება დაიმსახურა 2016 წლის ბოლოს გამოცემულმა უჩა ბლუაშვილის წიგნმა „საქართველოს ისტორია 1900-2016“. ნაშრომში ორიგინალურად არის გააზრებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, 30-იანი წლების რეპრესიებისა და სხვა საკითხები, ჩვენი უახლესი ისტორიის უკანასკნელი ათწლეულის ისტორია კი ქართული ისტორიოგრაფიაში, საერთოდ, პირველად არის გაშუქებული.

ბ-ნი უჩას პედაგოგიური პოზიციისათვის დამახასიათებელია სამართლიანობა და ობიექტურობა, რის გამოც გამორჩეულად მიმზიდველია აღსაზრდელებისთვის. „როგორ მომენატრა თქვენი ლექციების მოსმენა, ბატონო უჩა“ - ეს ამონარიდი ყოფილი სტუდენტების მინანქრებიდანაა, ყოფილი ლექტორისადმი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უჩა ბლუაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა. მისი ანალიტიკური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში და მკითხველთა ფართო წრის მოწონებით სარგებლობს.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობის ასპარეზზე თუ ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში ბ-ნი უჩა ბლუაშვილის უმთავრესი ცხოვრებისეული კრედო მუდამ იყო და არის მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობა, უაღრესი პრინციპულობა და პირადი პატიოსნება. ეს იშვიათი პიროვნული თვისებები ხშირად გამხდარა ხელშემშლელ ფაქტორებად მისი კარიერული აქტივობების გზაზე. მაშინაც კი როდესაც გარშემო ქაოსი, ძალმომრეობა და კორუფცია იყო გამეფებული, ბ-ნი უჩა ბლუაშვილისთვის მხოლოდ პროფესიონალიზმი და ზნეობრივი პრინციპების ერთგულება რჩებოდა ქვეყნის ნამდვილ სამსახურად.

ერთი მაგალითი: სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსის თანამდებობის დაკავებისას უჩა ბლუაშვილის წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა სამი უმთავრესი ამოცანა. 1. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს მონყვეტილი ჯავახეთის ორი რაიონის - ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების განათლების განყოფილებების დაბრუნება ამ სივრცეში. განათლების სამინისტრო სხვადასხვა მიზეზების გამო წლობით ვერ აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს ამ რაიონებში. ახალქალაქისა და ნინოწმინდის განათლების განყოფილების გამგეები რეგულარულად დადიოდნენ სომხეთში, საითქენაც გზებიც უკეთესი იყო და იქიდან წამოსული დახმარებაც - რეალური, თბილისში კი ისინი წელიწადში ერთხელ თუ გამოჩნდებოდნენ; 2. რეგიონის არაქართულენოვან (ძირითადად - სომხურ) სკოლებში ქართული ენის სწავლების კარდინალური გაუმჯობესება. იმ დროისთვის (1997) ნინოწმინდისა და ახალქალაქის 5 სომხურ სკოლაში საერთოდ არ ჰყავდათ ქართული ენის მასწავლებელი. ამ სკოლების მიერ გაცემულ ატესტატების გრაფის - „ქართული

ენა" გასწორე ნიშნის მაგივრად რუსულად აღნიშნული იყო - „არ გაუელია“. სომხური სკოლების უმრავლესობაში ქართული ენის მასწავლებლებად გაფორმებული იყვნენ ამ ენის სრულიად არმცოდნე პირები, რომლებიც ქართული ენის გაკვეთილებზე მოსწავლეებს შრომის, ან სომხეთის ისტორიის გაკვეთილებს უტარებდნენ.

ამ ორი ამოცანის გადაწყვეტა წარმატებით მოხერხდა. რეგულარული გახდა ახალქალაქისა და ნინოწმინდის განათლების განყოფილებების გამგეების ვიზიტები სამმართველოში და სამინისტროში, არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხერხდა კვალიფიციური კადრების გაგზავნა სომხურ სკოლებში, უმაღლესი განათლების მქონე ქართული ენის მასწავლებლების პროცენტულმა რაოდენობამ სომხურ სკოლებში 1997 წლის 38 პროცენტიდან 2002 წლისთვის 62 პროცენტი შეადგინა და ა.შ.

რაც შეეხება მესამე ამოცანას - სამცხე-ჯავახეთის საგანმანათლებლო სივრცეში უაღრესად კორუმპირებული ატმოსფეროს განმუხტვას, - აქ უჩა ბლუაშვილი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. განათლების სფეროში მოკალათებულ კორუმპირებულ ადამიანებს ქომაგები აღმოაჩნდათ რაიონულ გამგებებში, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში და თვით განათლების სამინისტროშიც. ეს უკანასკნელი თვეობით ბლოკავდა ბლუაშვილის მიერ დოკუმენტურად ყოველმხრივ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ კორუმპირებული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მას შემდეგ კი, რაც ბლუაშვილმა უარი განაცხადა მოთხოვნაზე, ახალქალაქის განათლების გამგის თანამდებობაზე ქართული ენის შესანიშნავად მცოდნე, კომპეტენტური და პატიოსანი კადრის ნაცვლად, წარედგინა სრულიად არაკომპეტენტური და ქართულის არმცოდნე პირი, ბლუაშვილის წინააღმდეგ, ყურით მოთრეული საბაბით, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ზემოდან წამოსული „დავალების“ შესასრულებლად გამოძიებლები არ ერიდებოდნენ მასწავლებლების შანტაჟს, ტყუილისა და ჭორების გავრცელებას. ამის მიუხედავად, წელიწადნახევარის უშედეგო მცდელობების შემდეგ, ისინი იძულებულნი გახდნენ ელიარებიანათ, რომ ბლუაშვილის საქმიანობაში არა თუ კანონდარღვევას, არამედ კანონისგან უნებლიე გადაცდომასაც არ ჰქონია ადგილი და საქმე დანაშაულის არარსებობის მუხლით დაეხურათ.

ბ-ნი უჩა საკუთარი ქვეყნის ბედზე, მის ყოველდღიურ ყოფაზე მოფიქრალი პიროვნებაა. მას ყველაფერი აინტერესებს - პარლამენტი, საგარეო პოლიტიკა, სოციალური პრობლემები თუ ნებისმიერი ეპიზოდი, რაც შეიძლება რომ სამშობლოს ჭირსა თუ ლხინს ეხებოდეს, ნუხს ქვეყნის საწუხარზე და უხარია მისი წინსვლა.

ვუსურვოთ ბ-ნი უჩას ჯანის სიმრთელი, შემოქმედებითი წარმატებები და სამშობლოს კეთილდღეობა.

პროფესორები: დიმიტრი შველიძე, ალექსანდრე დაუშვილი,
როლანდ თოფჩიშვილი, ოთარ ჯანელიძე, ავთანდილ ტუქვაძე

10. IX. 2018

რუსუდან ლაბაძე

საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი II
„თბილისის უნივერსიტეტის 100 წელი“

27-28 სექტემბერს თბილისში ჩატარდა მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი – „თბილისის უნივერსიტეტის 100 წელი“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული. საერთაშორისო კონგრესს, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წელს მიეძღვნა, ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო უძღვოდა, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ხელმძღვანელობდა.

კონგრესში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ეწვივნენ ქართველოლოგები მთელი მსოფლიოს მასშტაბით: თ. დრაგაძე (დიდი ბრიტანეთი); კ. ლერნერი, რ. ენოხი (ისრაელი); ა. ჰარისი, პიტერ ფ. სკინერი (აშშ); კ. ვამლინგი (შვედეთი); ალესანდრო მ. ბრუნი (იტალია); მ. ნავროთი, რ. შრადე (გერმანია); ბ. გილმორი (დიდი ბრიტანეთი); ა. ჩერკასოვი, ა. სამინსკი, ლ. სოლოვიოვა, მ. ალბოგაჩიევა (რუსეთი); მ. შმიგელი (სლოვაკეთი); შ. გაფუროვი, ტ. მაზაევა (ჩეჩნეთი); ბ. ხარსიევი, ი. ალმაზოვი (ინგუშეთი); კონგრესის სტუმრებს შორის იყო როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის, ბ. მესხის, პრორექტორის და ნამყვანი მეცნიერების შემადგენლობით; აგრეთვე ინგუშ მეცნიერთა დიდი დელეგაცია.

კონგრესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებმაც.

27 სექტემბერს საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ გახსნა. შესავალი სიტყვით კონგრესის მონაწილეებს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მიმართა. მან აღნიშნა, რომ ასეთი მასშტაბის სამეცნიერო ფორუმი სხვადასხვა ქვეყნების ქართველოლოგთა მონაწილეობით უკვე მეორედ ტარდება საქართველოში და ამდენად, ტრადიცია გრძელდება. მონაწილეებს მიმართა აგრეთვე ქართველოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. კონგრე-

სის მონაწილეებს მიესალმნენ: მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ბესარიონ მესხი, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შახრუდინ გაფუროვი; მალმოს (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი კარინა ვამლინგი; ვენეციის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი ალესანდრო მარია ბრუნი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი აკად. თამაზ გამყრელიძე.

გახსნის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა პლენარული სხდომა, რომელსაც აკად. ნანა ხაზარაძე და რუსი მეცნიერი პროფ. ალექსანდრე ჩერკასოვი თავმჯდომარეობდნენ. პლენარულ სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1. შ. გაფუროვი, ლ. გარსაევი „ნახურ-ქართულ ურთიერთობათა ფურცლები“; 2. მ ნაერთი „3D ლაზერული სკანირება დმანისში და ახალი მონაცემები ვანის არქეოლოგიური ადგილების შესახებ“; 3. კ. ვამლინგი „შვედური პუბლიკაცია 1920 წელს საქართველოში მოგზაურობის შესახებ“; 4. ნ. ხაზარაძე, ნ. ბახსოლიანი „ჰიდრონიმი „ფაზისი“ და ევროპა-აზიის საზღვარი“.

პლენარული სხდომის შემდეგ კონგრესის მუშაობა უკვე სექციებში გაგრძელდა, რომელთა სხდომები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

„საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის ფარგლებში ოთხი სექცია მოქმედებდა: ენათმეცნიერების, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიისა და ლიტერატურისა და ხელოვნების, რომლებსაც ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი ქართველოლოგები უძღვებოდნენ. ორი დღის განმავლობაში სექციების სამ-სამი სხდომა ჩატარდა. კონგრესის მუშაობის განმავლობაში ასზე მეტი მოხსენება იქნა წაკითხული, რომლებიც კვლევის მაღალი დონით და პრობლემათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ.

28 სექტემბერს კონგრესის უცხოელ მონაწილეებს საკუთარ რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდა. შეხვედრის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიესალმნენ: გიორგი კვესიტაძე, კონსტანტინე ლერნერი, ალესანდრო მარია ბრუნი, თამარ დრაგაძე, ისა ზურაბოვი, ბესარიონ მესხი, როინ მეტრეველი. დასასრულ, ილია II -მ მიმართა კონგრესის მონაწილეებს. მან მაღლობა გადაუხადა ქართველოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის, წარმატებები უსურვა სამეცნიერო საქმიანობაში და დალოცა ისინი.

ორდღიანი სამეცნიერო ფორუმი 28 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიხურა. სექციის ხელმძღვანელებმა შეაჯამეს სამეცნიერო ფორუმის შედეგები და აღნიშნეს, რომ მეორე ქართველოლოგიური კონგრესის მუშაობამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. უცხოელმა ქართველოლოგებმა აღფრთოვანებით ისაუბრეს საქა-

რთველოში გატარებული დღეების შესახებ და დიდი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს.

საკმაოდ მრავალფეროვანი იყო კონგრესის კულტურული პროგრამა. უცხოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ლამის თბილისი. 29 სექტემბერს კი, კონგრესის დახურვის შემდეგ, ისინი კახეთს ეწვივნენ და ყვარლისა და სიღნაღის ღირსშესანიშნაობანი მოინახულეს. მათ შორის, ბოდბის მონასტერი, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და ქალაქის სხვა ტურისტული ადგილები, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ილიას ტბა, კავკასიონის კლდეში ნაკვეთი ღვინის საცავი „მელვინეობა ხარება“.

სამი წლის შემდეგ საქართველო კვლავ უმასპინძლებს ქართველოლოგებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან კვლევის ახალი პრობლემებითა და მიდგომებით.

ახალი ნიგნები

ვლ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2018;

ნიგნის ავტორი, ცნობილი რუსი ურნალისტი, 1920-1930-იან წლებში დასავლეთ ევროპაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომის ავტორია. ახლახანს ქართულ ენაზე გამოცემული ეს ნაშრომი 1921 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული ნაშრომიდან არის თარგმნილი (მთარგმნელები ქ. კუსიკაშვილი და თ. ხეტაშვილი).

ნიგნში კრიტიკულად და საინტერესოდაა წარმოჩენილი როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფა, ასევე აქ მიმდინარე მოვლენები და რეფორმები. საგულისხმოა, რომ ნიგნზე მუშაობისას ავტორი ცნობილი სოციალ-დემოკრატის, ირაკლი წერეთლის მონევით იმყოფებოდა საქართველოში და უშუალოდ აკვირდებოდა მიმდინარე პროცესებს. მისი ნიგნის გამოცემა ქართულ ენაზე, უდავოდ დაინტერესებს როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი ისტორიის მეცნ. დოქტ. ნ. მგელაძე, რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, გამომც. „სამშობლო“ 640 გვ. ბათუმი, 2018;

ჟიულ მურიე, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვ. ანთელავამ, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბ. ხორავამ, „არტანუჯი“, 380 გვ. თბ., 2018;

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში მოღვაწე მოგზაურისა და მკვლევარის ჟიულ მურიეს ნაშრომს ინტერესით გაეცნობა როგორც საქართველოსა და კავკასიის ისტორიის სპეციალისტი, ასევე საქართველოს და კავკასიით დაინტერესებული მკითხველი.

ვ. გოილაძე, ახალი გამოკვლევები, რედაქტ. აკად. რ. მეტრეველი, 230 გვ. „საჩინო“ თბ., 2018;

კრებულში შესულია ავტორის მიერ ბოლო წლებში დაწერილი მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი გაეცნობა V-XI საუკუნეების ქართულ-ბიზანტიურ სამყაროს.

ს. მეტრეველი, ანა კალანდაძე და პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი, რედაქტ. მ.ჯოხაძე, 222გვ. თბ., 2018;

ნიგნში XXI საუკუნის 40-იან წლებში ანა კალანდაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, მის მიერ ამ წლებში დაწერილი ლექსები შესწავლილია ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ კონტექსტში, ხოლო მისი პირველი ნიგნი განხილულია სწორედ, ნომენკლატურული კრიტიკისა და ავტორიტარული რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის დისკურსში.

ვ. მაჩიტაძე, ნარკვევები თურქეთის ისტორიიდან, რედაქტორები: აკად.

ე. ჯაფელიძე, აკად. რ. გაჩეჩილაძე, „კლიო“, 224 გვ. 2018;

ნარკვევებში შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ეხება თურქეთის ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს. კრებული გათვალისწინებულია სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისა და თურქეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები (XIV). რედაქტორები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, 512 გვ. თბ., 2018;

ქართული დიპლომატია, №18, რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, თბ., 2018. წელიწდეულის ეს ნომერი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სტატიებით როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიის საკითხებზე.

მეგზური ავტორთათვის

1. წარმოდგენილი სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე 1,5 ინტერვალით, გვერდითი არეები – 25-25 მმ. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 ნაბეჭდ გვერდს ილუსტრაციებისა და რეზიუმეების ჩათვლით.

2. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- ავტორის სრული სახელი, გვარი, რუსულ რეზიუმეში მამის სახელი სტატიის სათაური;
- ტექსტი.
- დამონმბებული წყაროების და ლიტერატურის სია
- წყაროების და ლიტერატურის სია ტექსტში უნდა დალაგდეს ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ტექსტში ლიტერატურა აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში, გვერდის ნომრები გამოყოფილი უნდა იყოს: ნიშნით; მაგ. [21: 235]); ილუსტრაციებს უნდა ახლდეს წარწერები;

4. ავტორმა სტატია უნდა წარმოადგინოს როგორც ამონაბეჭდის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით: CD ან DVD დისკით.

5. სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

6. ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.